ISSN 2587-4713 4-5 2018

ECONOMICS

ეკონომიკა

1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS ” - Monthly International reviewed and refereed scientific journal

4-5, 2018

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Мекваби швили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

თბილისი - 2018

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ზაზა გოიშვილი - სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების განვითარების საქმეში ---------- 6
ზურაბ ჩინჩალაძე - მოგების გადასახადის ახალი მოდელი--------- 14
ანზორ აბრალავა, ლევანი კერესელიძე - სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებების განაწილების სისტემების სრულყოფის მიმართულებები ---------- 31

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ალექსანდრე ვაჭარაძე - პირდაპრი უცხოური ინვესტიციების განხორციელების თეორიული ასპექტები---------- 40
ეკატერინა ზაქარაძე, თამარ რევაზიშვილი - ქვეყნის სატრანზიტო თავისებურებანი - პრობლემები და პერსპექტივები-- 55
ლელა ბიჭიაშვილი - ადამიანური კაპიტალის მართვის ორგანიზაცია და კადრების დენადობის განსაზღვრა ---------- 61

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ნატო ქათამაძე - მუნიციპალური საბიუჯეტო პოლიტიკის პრობლემები საქართველოში ---------- 71

რეგიონული ეკონომიკა

ზაზა ბარბაქაძე - სოფლად განვითარებული უარყოფითი მოვლენების გამომწვევი მიზეზები შიდა ქართლის რეგიონში ------ 79
ევგენი ბარათაშვილი, თამარ მაჭარაშვილი - სამხრეთ კავკასიის რეგიონში ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების შეფასება კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით---------- 86

დარგობრივი ეკონომიკა

დავით გოგიაშვილი - სასურსათო უსაფრთხოება და შრომითი რესურსების დასაქმება აგრარულ სექტორში---------- 93
პაატა კოლუაშვილი, ზაზა ბარბაქაძე - ინტენსიურ მებაღეობაზე გადასვლის მოტივაციები(შიდა ქართლის მაგალითზე) ---------- 104
ზვიად ვეკუა - ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირება ქართულ ჯანდაცვაში ---------- 111
თეონა ზოიძე, მარინა მეტრეველი - ინოვაციები საექსკურსიო საქმიანობაში და მათი დანერგვა საქართველოში ---------- 120
დავით გოგიაშვილი - მიწის როლი აგრობიზნესში---------- 128
ზაზა ბარბაქაძე - სოფლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მცდელობები ---------- 140

ია ფირანიშვილი-გიგიბერია - ეკონომიკური სარგებელი
პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოდულური
საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესში ---------- 147
თამარ როსტიაშვილი, ფიქრია კირკიტაძე - პერსონალის
მართვის ეფექტიანობის კრიტერიუმები მცირე ბიზნესში ---------- 161

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

Nato Samnidze - Supplier Selection Methods
in Purchasing Management ---------- 167
გიორგი ხაბურზანია - მარკეტინგული კონტროლის
როლი საბაჟო მართვის სისტემაში ---------- 174
თამარი დევიძე, გიორგი შოშიტაშვილი - გლობალიზაციის
პირობებში სტრატეგიული მენეჯმენტის, ტექნოლოგიებისა
და ცოდნის მენეჯმენტის ზეგავლენა ბიზნესზე ---------- 184
ლევანი კერესელიძე - მუნიციპალური მართვის
ხარისხის შეფასების მეთოდიკის შემუშავების საკითხები ---------- 191
ლალი ხარბედია, ბადრი დავითაია, მზისადარ ბჟალავა -
ხელმძღვანელობისა და ლიდერობის კონცეპტუალური
ასპექტები მართვაში ---------- 200
ლევანი კერესელიძე - მეთოდური რეკომენდაციები
მუნიციპალური მართვის ეფექტიანი
მექანიზმების ფორმირებისათვის ---------- 209
მარიამ ყიფშიძე - ვირტუალური კომუნიკაციის საქმიან
ურთიერთობებზე ზეგავლენის დადებითი ფაქტორები ---------- 218
ლია ჯორჯიაშვილი - სტრატეგიული
გადაწყვეტილებების ფორმირების მექანიზმი ---------- 226
მარიამ ყიფშიძე - მოლაპარაკების პროცესის სწორი ფორმირება
კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით ---------- 235
პაატა კოღუაშვილი, მარიამ ხიზანიშვილი -
პრობლემურ გადაწყვეტილებათა მიღებისას
სიტუაციების განვითარების მოდელირება ---------- 246
სალომე ტოგონიძე - ბრენდის პერცეფცია და
დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის საშუალებით
ორგანული პროდუქტის ხარისხის ფენომენი ---------- 260

მსოფლიო ეკონომიკა

ზაზა გოიშვილი - საქართველოს სოფლის
მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა
და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა ---------- 275
სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 290

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Zaza Goishvili - The Main Directions of State Regulation in the Development of Agricultural Products ---------- 6

Zurab Chinchaladze - The New Model of Corporate Income Tax------ 14

Anzor Abralava, Levan Kereselidze - The Directions for Improvement of Authority Delegation Systems of the State and Local Government Authorities ---------- 31

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Aleqsandre Vacharadze - The Theoretical Aspects of Foreign Direct Investment ---------- 40

Ekaterina Zakaradze, Tamar Revazishvili - The Transit Peculiarities of A Country - Problems and Perspectives ---------- 55

Lela Bichiashvili - Human Capital Management and Determination of the Strength of the Staff ---------- 61

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Nato Qatamadze - The Problems Of the Municipal Budget Policy In Georgia ---------- 71

REGIONAL ECONOMY

Zaza Barbakadze - The Causes of the Negative Effects of Rural Development in Shida Kartli Region ---------- 79

Evgeni Baratashvili, Tamar Matcharashvili - The Estimation of Business Development Opportunities in the South Caucasus Region Countries according to the Corruption Perception Index (CPI) -------- 86

SECTORAL ECONOMY

David Gogiashvili - Food Security and Employment of Labor Resources in the Agricultural Sector ---------- 93

Paata Koghuashvili, Zaza Barbakadze - Transition Motivations for Intensive Gardening (on the example of Shida Kartli) ----------104

Zviad Vekua - Integration of Information Technology in Georgian Health Care System ----------111

Teona Zoidze, Marina Metreveli - Innovations in Excursion Activities

and Their Implementation in Georgia ----------120
David Gogiashvili - The Role of Land in Agribusiness ----------128
Zaza Barbakadze - Attempts to Introduce
the New Technologies in Rural Areas----------140
Ia Piranishvili - Gigiberia - The Economic Benefit during the
Implementation Process of the Work - based Educational
Model in Professional Educational Institutes ----------147
Tamar Rostiashvili , Fiqria kirkitadze - The Performance
Criteria for Personnel Management in Small Business ----------161

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Nato Samnidze - Supplier Selection Methods
in Purchasing Management----------167
Giorgi Khaburzania - The Role of Marketing
Control in the Customs Management System ----------174
Tamar Devidze, Giorgi Shoshitashvili - The Impact of Strategic
Management, Technologies and Knowledge Management on the
business in Globalization----------184
Levani Kereselidze - The Issues of Development
of Municipal Management Quality Assessment Methodology----------191
Lali Kharbedia, Badri Davitaia, Mzisadar Bzhalava -
Guidance and Leadership Conception Aspects in Management--------200
Levan Kereselidze - The Methodic Recommendations
for Forming of Effective Mechanisms of Municipal Management------209
Mariam Kipshidze - The Positive Factors of Virtual
Communications' Impact on Business Relationships ----------218
Lia Jorjiashvili - Mechanisms of Formation of Strategic Decisions---226
Mariam Kipshidze - The Right Formation
of Negotiation Process According to Cultural Characteristics ----------235
Paata Koghuashvili, Mariam Khizanishvili - Situations
Development Modeling While Making Problematic Decisions ---------246
Salome Togonidze - Brand Persecution and Dimitri
Uznadze Mood Theory Phenomenon of Organic Product Quality -----260

WORLD ECONOMY

Zaza Goishvili - Modern State of Agriculture
of Georgia and the EU Neighborhood Policy ----------275
The Publication Requirements ----------290

სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების განვითარების საქმეში

ზაზა გოიშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწაემოება უნდა განხორციელდეს კერძო სექტორის ინტენსიური განვითარებით, ხოლო სახელმწიფომ რეგულირებისათვის მიზანშეწონილია გამოიყენოს სახელმწიფო შეკვეთების მექანიზმი, მწარმოებლებთაგან სას. სამ. პროდუქციის გარანტირებულ ფასებში შესყიდვა და ფიუჩერსული გარიგებები.

საკრედიტო რესურსებით აგროსექტორის გარანტირებული უზრუნველყოფა მხოლოდ კომერციული დაწასებულებების გამოყენებით პრაქტიკულად შეუძლებლია, რადგან კერძო სტრუქტურა აგრარული პოლიტიკის ფორმირებისას ვერ შეძლებს ობიექტურობის დაცვას.

დღეისათვის მეტად აქტუალურია სახელმწიფოს მხრიდან მაღალი რისკის მატარებელი სასოფო-სამეურნეო წარმოების დაზღვევის საკითხის მოგვარება. მეტად მაღალია ქვეყანაში აგრარულ სექტორში დღეს მომქმედი სადაზღვევო კომპანიათა მომქმედი სადაზღვეო განაკვეთები, რაც ხშირად მიუღებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებილი ფერმერბისათვის. აღნიშნულის დარეგულირებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფო-კომერციული სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება, სადაც სახლმწიფო აქტიურად იქნება ჩართული სადაზღვევო ფონდების ფორმირებაში ბიუჯეტის წილობრივი

მონაწილეობის საფუძველზე. ამასთანავე აუცილებელი(სავალდებულო) უნდა გახდეს სოფლად მეწარმე სუბიექტებისთვის საკუთარი წარმოების დაზღვევა.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო რეგულირება, სასოფლო-სამეურნეო აღწარმოება, საკრედიტო რესურსი, ფერმერული მეურნეობები.

ძირითადი ტექსტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების სახელმწიფო რეგულირება, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს მისი სტრატეგიის შემუშავებასა და აგრარული სექტორის განვითარების ზუსტი ორიენტირების განსაზღვრას.

სამწუხაროა მაგრამ ფაქტია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ფაქტიურად თვითდინებაზეა მიშვებული აგრარული სექტორის განვითარება, სახელმწიფომ მთლიანად მოიხსნა საკუთარი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ვალდებულება. სოფლის მეურნეობის და გადამამუსავებელი მრეწველობის განვითარებას სტიქიური ხასიათი ჰქონდა.

თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების რეგულირების ქმედითი ინსტრუმენტი უნდა გახდეს აგრარული სექტორის გრძელვადიანი (5-7 წლიანი) განვითარების ახალი სტრატეგია, რომელიც შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შთანხმებასთან (DCFTA). პროგრამის ამოსავალი საწყისი უნდა გახდეს ეროვნული თავისებურებებისა და მსოფლიო მეურნეობის განვითარების გამოცდილების შეხამება(სინთაზი). ქვეყნის მრავალდარგოვანი სფეროს განვითარების პრიორიტეტი უნდა გახდეს ეკოლოგიურად სუფთა, ხელმისაწვდომი და მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქციის წარმოება.

ასეთი პროგრამის სახით უნდა მოგვევლინოს 2019-2024 წლების ქვეყნის აგრარული სფეროს განვითარების ახალი სტრატეგია, მისი ცალკეული რეგიონების სასურსათო ბაზრისფორმირების თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნრო ნედლეულისა და სურსათის

წარმოების განსაზღვრული დონის მიღწევას, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, სურსათის სამამულო მწარმოებელთა მხარდაჭერას, სურსათზე გარანტირებული ფასების დადგენა-შენარჩუნებას, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას და მთელ რიგ რონისძიებებს, რომელთა გატარება, აუცილებელია სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის.[1]

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოება უნდა განხორციელდეს კერძო სექტორის ინტენსიური განვითარებით, ხოლო სახელმწიფომ რეგულირებისათვის მიზანშეწონილია გამოიყენოს სახელმწიფო შეკვეთების მექანიზმი, მწარმოებლებთაგან სას. სამ. პროდუქციის გარანტირებულ ფასებში შესყიდვა და ფიუჩერსული გარიგებები.

ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს განვითარებულ ქვეყნებში სას. სამ. პროდუქციის მწარმოებელთა მხარდაჭერის აპრობირებული ფორმები და მეთოდები (სუბსიდია, დოტაცია, ექსპორტის დაკრედიტება) იმ ზომით და ფარგლებში, რაც დაშვებულია მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის სტანდარტებით წესებით, საქარტველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებეით.

თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში აგრარული სფეროს მდგრადი განვითარების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის სათანადო საბიუჯეტო დაფინანსებას. დღეისათვის აგრარული სფეროს დარგთა დაფინანსება ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფს ამ სფეროში წარმოების სტაბილურობას, გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ვარ აკმაყოფილებს აგრარული სექტორის ეფექტურ ფუნქციონირებას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების დაკრედიტების სისტემა საჭიროებს ახალი ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე დახვეწას. კერძოდ, უნდა შემუშავდეს კომერციულ

1 ახალ პროგრამაში ასახული უნდა იქნეს როგორც სახელმწიფო საბიუჯეტო მოცულობები, ასევე მთელი რიგი სხვადასხვა სახის შეღავათები და სტიმულები მასში ჩართული ბიზნეს სუბიექტებისათვის.

საბანკო სექტორსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის ურთიერთობათა ახალი პრინციპები და თანამშრომლობის მექანიზმები. საჭიროა ფართოდ იქნეს გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების გრძელვადიანი დაკრედიტების ფორმა, როგორიცაა ლიზინგი. რომელიც დიდ როლს შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით აღჭურვაში. აუცილებელია შეიცვალოს წვრილი (გლეხური) მეურნეობების კრედიტებზე ხელმისაწვდომობის მექამიზმი. ჩვენი აზრით სოფლად უნდა აღსდგეს აგრარულ სექტორში თვითდაკრედიტების სისტემა, თვით საკრედიტო კოოპერატივების ფორმირებით.

საკრედიტო რესურსებით აგროსექტორის გარანტირებული უზრუნველყოფა მხოლოდ კომერციული დაწასებულებების გამოყენებით პრაქტიკულად შეუძლებლია, რადგან კერძო სტრუქტურა აგრარული პოლიტიკის ფორმირებისას ვერ შეძლებს ობიექტურობის დაცვას.

საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ პრობლემის რეალურად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირებით. იგი შემდეგი ობიეტური ფაქტორებითა და სპეციფიკური თავისებურებებითთაა განპირობებული:

- წარმოების პროცესის სეზონური ხასიათი;
- წარმოების რენტაბელობის დაბალი დონე;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური მახასიათებლების დაბალი საიმედობა(არამდგრადობა);
- სოფლად საქონელმწრმოებლებისათვის მოკლევადიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობის ციკლური ხასიათი;
- სოფლად დაგროვილი მწირი კაპიტალის გადინება;
- გლეხური მეურნეობის მხრიდან კრედიტის ასაღებად საჭირო გირაოს უქონლობა.

ქვეყანაში სპაციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირების შემდეგ

შეიქმნება რეალური პირობა აგრარული სექტორის დაფინანსება-დაკრედიტების მწყობრი სისტემის არსებობისათვის. ამი-

ტომ აგრარული სექტორის დაკრედიტების სისტემის შექმნისა და რეგულირების საქმეში სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა აუცილებელ ღონისძიებად გვესახება.

დღეისათვის მეტად აქტუალური სახელმწიფოს მხრიდან მაღალი რისკის მატარებელი სასოფო-სამეურნეო წარმოების დაზღვევის საკითხის მოგვარება. მეტად მაღალია ქვეყანაში აგრარულ სექტორში დღეს მომქმედი სადაზღვევო კომპანიათა მომქმედი სადაზღვეო განაკვეთები, რაც ხშირად მიუღებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებილი ფერმერბისათვის. აღნიშნულის დარეგულირებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფო-კომერციული სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება. სადაც სახლმწიფო აქტიურად იქნება ჩართული სადაზღვევო ფონდების ფორმირებაში ბიუჯეტის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე. ამასთანავე აუცილებელი(სავალდებულო) უნდა გახდეს სოფლად მეწარმე სუბიექტებისთვის საკუთარი წარმოების დაზღვევა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოში სურსათის მრავალი სახის წარმოება ჯერ კიდევ იმპორტირებულ ნედლეულსა და მასალების გამოყენებას ეფუძნება. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ხორბალს, რძის ფხვნილს, ცხოველურ და მცენარეულ ცხიმებს, თევზის პროდუქტებს და ა. შ. ჩვენი აზრით, სახელმწიფომ ყოველწლიურად უნდა დააზუსტოს იმპორტის და სამამულო წარმოების ნედლეულის ბალანსი, უნდა დაიხვეწოს იმპორტის სტრუქტურა, მასში თანამედროვე ტექნილოგიების, ლიცენზიების წილის ამაღლების მიმართულებით.

სახელმწიფომ უნდა იმუშაოს როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან შეზღუდვებზე, რათა წაახალისოს ზრდა და სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის დივერსიფიცირება. საქართველოს უახლოეს პერსპექტივაში, რომ ჰქონდეს კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის სექტორი, მთავრობამ უნდა წაახალისოს და ხელი შეუწყოს აგრარული კლასტერებისა და პროდუქტიული ალიანსების ჩამოყალიბებას. მთავრობამ უნდა განაახლოს სასოფლო-სამეურნეო განათლება და ფერმერებს მიაწოდონ კონკრეტული მომსახურებები, რათა გადაიჭრას

აგრარულ სექტორში არსებული ცოდნის ხარვეზები.

სასოფლო-სამეურნეო აღწარმოების სახელმწიფო რეგულირება მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევრო დირექტივებთან, რომელიც უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად და დასრულდეს 2030 წლისთვის. მნიშვნელოვანი, როლი უნდა ითამაშოს საქართველოს რეგიონალურმა და მუნიციპალურმა სახელისუფლებო სტრუქტურებმა. მათი აქტიური მხარდაჭერით ადგილებზე უნდა განხორციელდეს აგრარული მეწარმეობის განვითარების მხარდამჭერი პროექტები, რომლებიც განსაზღვრავენ მისი განვითარების ძირითად მიმართულებებს ორგანიზაციულ–ინსტიტუციონალურ კომპლექსურ ღონისძიებათა ხარჯზე. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობის პირობებში მათი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციულ ინსტრუმენტთა ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარებული აგრარული მეწარმეობის ინფრასტრუქტურის ფორმირებას. აღნიშნულ ინსტრუმენტთა გამოყენებით რეგიონული და მუნიციპალური ორგანოები უშუალო ზეგავლენას ახდენენ ფერმერული (გლეხური) მეურნეობების, სასოფლო–სამეურნეო საწარმოების და ბიზნეს–სტრუქტურების ეკონომიკურ ზრდაზე,

სამეწარმეო და სავაჭრო პროტექციონიზმის შემდგომი განვითარების კუთხით რეგიონული და მუნიციპალურ დონეზე, მიზანშეწონილია გამოვყოთ, შემდეგი მიმართულებები:

• აგრობიზნესის საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და შესაბამისობაში მოყვანა სახემწიფო რეგულირების პრიორიტეტებთან;

• აგრარულ სფეროში დასაქმებულ მეწარმეთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის სრულყოფა;

• ადგილებზე, ფერმერთა საკონულტაციო ცენტრებში ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობათა ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის შექმნა და ინფორმაციის მიწოდების თანამედროვე ტექნილოგიის დანერგვა;

• საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე ორიენტაციის აღების ხელსეწყობა;

• აგრარულ სფეროში დასაქმებულ მეწარმეთა პროფესიული დონის ამაღლება და გადამზადება.

საქართველოს აგრობიზნესის სისტემაში სახემწიფო რეგულირების სამართლებრივ ბაზასთან ადაპტაციის მიზნით აუცილებელია ნირმატიული აქტების კორექტირება, რომელშიც კონკრეტულად ასახული იქნება მეწარმე სუბიექტებისათვის მხარდაჭერის ეტაპები.

დასკვნა

სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების და კერძო ინვესტიციების რესურსების განაწილებამ უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის გაფართოვებული კვლავწარმოება და საოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებელთა მიმოქცევის ხარჯების მინიმიზაცია. ჩვენს ხელთ არსებული საექსპერტო შეფასებები მოწმობენ, რომ მასტიმულირებელი საკრედიტო, სადაზღვევო, საბაჟო-სატარიფო და საგადასახადოგარემოს შექმნა, მეწარმე სუბიექტებისათვის უზრუნველყოფს აგრარულ სფეროში ძირითადი სახის პროდუქციის წარმოების გადიდებას 1,5-2 ჯერ. ამის შედეგად იზრდება საკუთრების სხვადასხვა ფორმის მეურნეობათა სამეწარმეო ალღო და ინიციატივა, ხოლო სასურსათო საქონლის შიდა ბაზარზე გვექნება მარალხარისხოვანი სასურსათო საქონელი მინიმალური დანახარჯებით.

ლიტერატურა:

1. პ. კოღუაშვილი რონალდ რეიგანის აგრარული პოლიტიკა თბ. 2012 წ.

2. saqarTvelos soflis meruneobis ganviTarebis strategia 2017-2020 w.w. Tb., 2017 w.

3. Попова О.В. Государственное регулирование агропромышленного производства в за-рубежных страных и аграрная политика России: монография. Орел. ГАУ, 2014. 213 с.

4. ს. ვაშალომიძე, ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა თბ. 2016 წ.

REFERENCES:

1. P. Koguashvili, Ronald Reagan's Agrarian Policy, Tb. 2012 year
2. Georgia's Agricultural Development Strategy Tb. 2017 year
3. Popova O.V. State regulation of agro-industrial production in foreign countries and agrarian policy of Russia: the monograph. Eagle. GAU, 2014. 213 p
4. S. Vashalomidze, EU Agrarian Policy Tb. 2017 year

THE MAIN DIRECTIONS OF STATE REGULATION IN THE DEVELOPMENT OF AGRICULTURAL PRODUCTS

Zaza Goishvili - PhD student of GTU

RESUME

In terms of the market economy, agricultural production in the country should be implemented by intensive development of the private sector.And it is advisable that the government use the state orders mechanism, purchase of agricultural products at the guaranteed prices from manufacturers and future deals with them.

Guaranteed provision with credit resources of agro-sector only with commercial establishments are practically impossible, because the private structure will not be able to defend the objectivity while agricultural policy formation.

Nowadays, from the state it is very relevant to settle the insurance issue of high risk agricultural production. The insurance rates of insurance companies operating in the agricultural sector are very high, which is often unacceptable for farmers employed in the agricultural production. For regulation of the above issue, we think that it is advisable the establishment of a state-commercial insurance system, where the state will be actively involved in the formation of insurance funds based on the budget partial participation. At the same time it should be necessary (mandatory) to insure by entrepreneurial entities own production in rural areas.

Keywords: State regulation, agricultural reproduction, credit resource, farms.

მოგების გადასახადის ახალი მოდელი

ზურაბ ჩინჩალაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში კრიტიკულადაა განხილული საქართველოს ხელისუფლების ინციატივა კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის, მოგების გადასახადის, დარიცხვისა და ადმინისტრირების ახლი წესის შემოღების შესახე. კერძოდ, დასაბუთებულია, რომ მოგების გადასახადის ახალი სისტემა, ეგრეთწოდებული "ესტონური მოდელი" მიზანმიმართულად ზემოქმედებს სამუშაო ძალის დასაქმებაზე, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და კორპორაციული კაპიტალის ხვედრითი წილის ზრდაზე ეკონომიკაში. ამავე დროს ნაჩვენებია ამ ახალი მოდელის შემოღებით გამოწვეული პრობლემები და მისი დაძლევის გზები.

შესავალი

2017 წლის პირველი იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის ახალი წესი. რეფორმის ინიცირება მოხდა 2016 წლის დასაწყისში, მთავრობის ახალი კაბინეტის და პრემიერ-მინისტრის დამტკიცების შედეგად.[1] მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, შეიმუშავა ეკონომიკის სწრაფი განვითარების 4 პუნქტიანი გეგმა(მთავრობა 2016),[2] რომელიც ეკონომიკურ რეფორმასთან ერთად, მოიცავს განათლების რეფორმას, სივრცით მოწყობას და საჯარო მმართველობის რეფორმას. მართალია აღნიშნული გეგმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ქართველმა ეკონომისტებმა, მაგრამ იგი მოწონებული იქნა ჩვენი პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ.

1 საქართველოს პარლამენტი, 2016. საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, თბილისი: საქართველოს საკანონდებლო მაცნე

2 მთავრობა, ს., 2016. თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა, თბილისი: სამთავრობო პროგრამა

4 პუნქტიანი გეგმის ეკონომიკური რეფორმის პირველ და უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს მოგების გადასახადის რეფორმა. იგი ასევე მოიხსენიება როგორც ესტონური მოდელის საგადასახადო სისტემა, რაც გულისხმობს გაუნაწილებელი მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას. 2016 წლის პირველ ნახევარში მოხდა ახალი საგადასახადო სისტემის შემუშავება და 2017 წლის პირველი იანვრიდან იგი ამოქმედდა. ახალი საგადასახადო რეგულაციების და ინიციატივების დეტალური ანალიზი წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს.

რას წარმოადგენს მოგების გადასახადის ესტონური მოდელის ქართული ანალოგი? ოგების გადასახადის ახალი მოდელის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ **გადასახადის გადამხდელი თავისუფლდება მოგების გადასახადისგან იმ შემთხვევაში, თუ არ გაანაწილებს მოგებას ან არ გასწევს ისეთ ხარჯს, რომელიც არ უკავშირდება მის ეკონომიკურ საქმიანობას.**[1] ეს ნიშნავს რომ, თუ რეზიდენტი ან არარეზიდენტი საწარმო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავალს არ გაანაწილებს და მიღებულ შემოსავლების რეინვესტირებას მოახდენს თავისსავე ორგანიზაციაში, იგი თავისუფლდება მოგების გადასახადისგან. ამგვარად შექმნილი ახალი ღირებულება, რომელიც მიემართება ეკონომიკაში კაპიტალური დაბანდების სახით არ აღირიცხება როგორც კორპორაციის მოგება და არ იბეგრება ბიუჯეტის მიერ.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ახალი მოდელი არ ეხება ყველა ტიპის დაწესებულებას, მაგალითად:

• ორგანიზაციას, მათ შორის: სსიპ, აიპ, საქველმოქმედო ორგანიზაციას;

• კანონმდებლობით განსაზღვრული ნავთობის და გაზის ოპერაციების შედეგად მოგების მიმღებ პირებს;

• არარეზიდენტ საწარმოს, რომლის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი არ მიეკუთვნება მის

1 შემოსავლების სამსახური, 2016. მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი წესი. [ინტერნეტი]

ხელმისაწვდომია: http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=9918 [მოპოვებულია 01.02.2018]

მუდმივ დაწესებულებას საქართველოში;

• ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობ პირს;

• კომერციულ ბანკს, საკრედიტო კავშირს, სადაზღვევო ორგანიზაციას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას და ლომბარდს;

• ინდივიდუალურ მეწარმეს, მიკრო-ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს.

ეს მოდელი მოქმედებს რეალურ სექტორის იმ სფეროებში, სადაც საქონლის წარმოება და მომსახურეობა წარმოდგენილია სტრუქტურულად გამოცალკევებული ტექნოლოგიური ციკლის სახით. ამიტომ მისი ზემოქმედება გამიზნულია წარმოების მოცულობის სტიმულირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით. შესაბამისად იგი გათვლილია გრძელვადიან პერსპექტივაზე. სამეწარმეო დაწესებულებების მიერ დაზოგილი (მოგების გადასახადისგან განთავისუფლებული) სახსრები უნდა მოხმარდეს კომპანიის განვითარებას და გაფართოებას. აღნიშნულმა გარემოებამ უნდა გაზარდოს კომპანიების ბრუნვა, შემოსავალი, შესაბამისად დასაქმდება უფრო მეტი ხალხი, დასაქმებულებს გაეზრდებათ შემოსავლები და უკვე სხვა საგადასახადო კომპონენტებიდან, როგორიც არის საშემოსავლო გადასახადი, დღგ, ქონების გადასახადი და ა.შ. შესაძლებელი იქნება უფრო მეტი შემოსულობების მოზიდვა სახელმწიფო ბიუჯეტისთვის.

მოგების გადასახადის პირველადი შედეგები

2017 წლიდან განხორციელებული რეფორმის პირველადი შედეგების ანალიზი, გარკვეულწილად გვაჩვენებს სურათს, რა მოხდა და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები მომავალში. წინასწარი ანალიტიკური-სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის, რის საფუძველზეც შეიძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთავრობამ წინასწარ მიიღო ზომები 2016 წლის ბოლოს, საპარლამენტო არჩევნების დასრულების შემდეგ, განეხორცი-

ელებინა დამატებითი ცვლილებები საგადასახადო სისტემაში, რაც შეეხებოდა აქციზის განაკვეთის გაზრდას კონკრეტულ პროდუქტებზე.[1] როგორც ზევით აღვნიშნეთ, ერთადერთი გადასახადი, რომელიც მოქმედ ხელისუფლებას შეუძლია გაზარდოს არის აქციზი. შესაბამისად, მოგების გადასახადის ახალ მოდელთან ერთად, კონკრეტული მიზნებისთვის, პარალელურ რეჟიმში გაიზარდა აქციზის გადასახადი.

მოგების გადასახადით შექმნილი საბიუჯეტო დეფიციტი

ეკონომისტების და ფინანსისტების წინასწარი პროგნოზებით, მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტში მოგების გადასახადის კომპონენტიდან შევიდოდა 400-500 მილიონი ლარით ნაკლები.[2] შესაბამისად, ეს თანხა დარჩებოდა კერძო სექტორში და სტიმულირებას მისცემდა ეკონომიკური განვითარებისთვის. მეორე მხრივ, გაჩნდა კითხვები თუ როგორ დააბალანსებდა მთავრობა მოგების გადასახადის ახალი მოდელით გამოწვეული ბიუჯეტის დეფიციტს?

მომავალში, პოტენციურად წარმოქმნილი პრობლემის მოგვარების რამდენიმე გზა განიხილებოდა და სხვადასხვა ვარაუდები ყალიბდებოდა ექსპერტების მხრიდან. პირველ რიგში, შესაძლებელი იყო ბიუჯეტის შემცირებასთან ერთად სახელმწიფო ხარჯების შემცირება. რას ნიშნავს ეს? თუ ბიუჯეტის შემოსულობები შემცირდებოდა ამ რეფორმის შედეგად და სხვა არაფერი არ შეიცვლებოდა, ამ შემთხვევაში ნაკლული ბიუჯეტით უნდა წარმართულიყო სახელმწიფო დანახარჯები. 2017 წლის დასაწყისში დამკვიდრებული ე.წ. „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკა, მოიაზრებდა მთავრობის მხრიდან ადმინისტრირების ხარჯის შემცირებას 10-15%-ით, თუმცა, ეს არ იქნებოდა საკმარისი 500 მილიონიანი დეფიციტის დასაბალანსებლად.[3] ამ

1 ბ. ნამჩავაძე, 2017, გადასახადის ზრდის ნადმვილი მიზეზი, ფორბსი, მოპოვებულია ვებგვერდიდან: http://forbes.ge/news/1828/gadasaxadis-zrdis-namdvili-mizezi (30.06.2017)

2 ურუმაშვილი, ე., 2015. მოგების გადასახადი უქმდება, რას გულისხმობს ესტონური მოდელი?. [ინტერნეტი]

3 ნამჩავაძე, ბ., 2016. იზრდება თუ მცირდება ხელისუფლების შენახვის ხარჯები?. [ინტერნეტი]

გზით ბოლომდე წასვლის შემთხვევაში, უნდა შემცირებულიყო სოციალური საკითხებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი და ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის განკუთვნილი სახსრები.

ინფრასტრუქტურის განვითარება ცალსახად ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას და სოციალურ კეთილდღეობას, შესაბამისად, ამის ხარჯზე ეკონომიის გაკეთება არ იქნებოდა მართებული. პარალელურად, 4 პუნქტიანი გეგმის ფარგლებში, მთავრობის მიერ დაანონსდა ინფრასტრუქტურის განვითარების მრავალი პროექტი. მეორე მხრივ, პოლიტიკური სტაბილურობის და საზოგადოების დიდი ნაწილის კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, არც სოციალური ხარჯები არ იქნა შემცირებული, პირიქით, მიუხედავათ წინასწარი სპეკულაციებისა, ბიუჯეტი ამ მხრივაც გაიზარდა კიდეც.[1] რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო ეს ქვეყნის განვითარების ამ კონკრეტულ სტადიაზე, სადავო საკითხია.

ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრის სხვა გზას წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან ან სხვა ორგანიზაციები და სახსრების მოზიდვა. ამ გზით მოზიდული სახსრები, ხშირ შემთხვევაში, არ არის უფასო თუ ის არ არის წარმოდგენილი საბიუჯეტო დახმარების ან პირდაპირი გრანტის სახით, და შესაბამისად ქვეყანას ეკისრება პროცენტის გადახდა. საქართველოს შემთხვევაში, ჯერ კიდევ შეიძლება ითქვას, რომ შეღავათიანი პროცენტი მაინც წარმოადგენს დამატებით ფინანსურ ტვირთს. სავალუტო ფონდებიდან დამატებითი სახსრების მოზიდვა წარმოადგენს ყველა ქვეყნის ყოველწლიურ სტანდარტულ პროცესს და არც საქართველოა გამონაკლისი. წლების მიხედვით, სესხის ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს საჭიროების მიხედვით, თუმცა ჯდება გარკვეულ ჩარჩოებში. ერთბაშად

Available at: http://forbes.ge/news/1152/izrdeba-Tu-mcirdeba-xelisuflebis-Senaxvis-xarjebi

[მოპოვებულია: 04.02.2018]

1 ფინანსთა სამინისტრო, 2017. "საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი, თბილისი: საქართველოს ფინანსთა სამინისტო

მაღალი კრედიტის აღება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად, ამ კონკრეტულ პერიოდში, შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი.

მოგების გადასახადი ახალი მოდელის შემოღებას გამო წარმოქმნილი საბიუჯეტო დისბალანსის აღმოფხვრის ღონისძიებები

მესამე გზა, რომელიც საქართველოს მთავრობამ რეალურად აირჩია, იყო ბიუჯეტის დაბალანსება სხვა გადასახადების ხარჯზე. ვინაიდან უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ, რომ ერთადერთი გადასახადი, რომლის გაზრდაც რეალურად სახელმწიფოს შეუძლია, არის აქციზის გადასახადი, ზუსტად ამ კომპონენტზე მოხდა ყურადღების გამახვილება. 2016 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ ერთდროულად გააკეთა რამდენიმე განცხადება ქვეყნის ფინანსების მიმართულების განსასაზღვრად. დაანონსდა აქციზის გაზრდა ნავთობპროდუქტებზე, თამბაქოს ნაწარმზე და ავტომობილებზე და ამავდროულად გაკეთდა განცხადება ლარიზაციასთან დაკავშირებით.[1]

თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გაზრდა წარმოადგენს მსოფლიოში აპრობირებულ პრაქტიკას დაწესდეს და გაიზარდოს გადასახადი ისეთ პროდუქტებზე, რომელიც ზიანს აყენებს მოსახლეობას, მაგალითისთვის თამბაქო, ალკოჰოლი, ყავა, ტკბილეულობა, შაქარი, სათამაშო ბიზნესი და ა.შ. გადასახადის გაზრდის მიზეზად, ხშირ შემთხვევაში, სახელდება ამგვარი საქონლის ან სერვისის განზრახ გაძვირება იმისათვის, რომ შემცირდეს მისი მოხმარება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარები და ექსპერტები ამგვარ გადასახადს მოიხსენიებენ, როგორც „Sin Tax", თუმცა რამდენად სწორ მიდგომას და ახსნას წარმოადგენს ეს არგუმენტი სადავოა.[2]

გრძელვადიან პერსპექტივაში, როდესაც თამბაქოს ფასი ეტაპობრივად იზრდება, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, უმეტესწილად დაბალ შემოსავლიანმა ადამიანებმა, შესაძლოა

1 შაპირო, დ., 2017. 1 იანვრიდან თამბაქოზე, ნავთობპროდუქტებზე და ავტომობილებზე აქციზი გაიზარდა, თბილისი: Sputnik

2 InternationalBusinessTimes, 2012. ettes and Alcohol 'Sin Taxes' Increase Revenue Without Discouraging Consumption. [Online]

შეამცირონ მოხმარება და მთავრობის ამგვარმა სვლამ გამოიღოს შედეგი დაახლოებით 5-7 წლის შემდეგ. რეალურად, მოკლევადიან ჭრილში, თამბაქოს და ასევე სხვა მავნე პროდუქტის გამოყენება რჩება იგივე დონეზე, რადგან პირველ ეტაპზე ცვლილება შეიძლება იყოს უმნიშვნელო მაგალითად 50 თეთრი ერთ კოლოფ სიგარეტზე. შესაბამისად, თუ იგივე რაოდენობის თამბაქო იყიდება, რაც წინა წლებში აქციზის გაძვირებამდე, გამოდის, რომ სახელმწიფო მოიზიდავს მეტ შემოსავალს. ანალოგიურად, აქციზის გაძვირებით ალკოჰოლზე და სხვა ტიპის მოხმარების „მავნე" პროდუქტებზე, მოკლევადიან პერიოდში, მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება, რაც პირდაპირ დარტყმას მიაყენებს დაბალ და საშუალო შემოსავლების მქონე მოსახლეობას.

ნავთობპროდუქტები წარმოადგენს ეკონომიკური აქტივობების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ინდუსტრიული წარმოებიდან დაწყებული სერვისის მიწოდებით დამთავრებული ბიზნეს პროცესები დამოკიდებული არის ნავთობპროდუქტების მოხმარებაზე. ბუნებრივი აირი და სხვადასხვა სახის ნავთობი ყოველდღიურად გამოიყენება, როგორც სამეწარმეო სფეროში, ასევე პირადი მოხმარების კუთხით. ინდუსტრიული საწარმოების უმეტესობა დამოკიდებული არის ნავთობპროდუქტების მიწოდებაზე, რომ შექმნან ეკონომიკური დოვლათი. ყოველდღიური სამომხმარებლო პროდუქტების ფასის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს დისტრიბუციის კომპონენტი. შესაბამისად, ნავთობის ფასის ცვლილება იქნება ეს ბუნებრივად, გლობალური მიზეზებიდან გამომდინარე თუ ხელოვნურად, აქციზის გადასახადის გაზრდით გამოწვეული, პირდაპირ აისახება სამომხმარებლო პროდუქტების ფასებზე.

შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამეწარმეო მიმართულებით ნავთობპროდუქტების მოხმარება წარმოადგენს „აბსოლუტურად არაელასტიური მოთხოვნის" მაგალითს. ეკონომიკური ტერმინის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში, რომ მიუხედავათ ფასის ცვლილებისა, ამ შემთხვევაში გაზრდისა,

მოთხოვნა ამ პროდუქტზე არ იცვლება.[1] თეორიისგან განსხვავებით, პრაქტიკაში (რეალურ ეკონომიკაში) ზუსტად და ცალსახად შეიძლება ყველაფერი არ ვითარდებოდეს, თუმცა მსგავსი პრინციპი შეგვიძლია მივუსადაგოთ ამ კონკრეტულ შემთხვევას.

სამეწარმეო კუთხით ნავთობპროდუქტებზე აქციზის ფასის გაძვირებით, მოკლევადიან პერიოდში, მოთხოვნა პროდუქტზე საგრძნობლად არ და ვერც შემცირდებოდა, როგორც ეს ზოგადად ხდება პროდუქტზე ფასის მატების შედეგად (მოთხოვნის შემცირება). მეორე საკითხია კერძო პირების მიერ ბუნებრივი აირის და ნავთობპროდუქტების მოხმარება. ფასის ცვლილება ამ შემთხვევაში შესაძლებელია უფრო სენსიტიური იყოს და გარკვეულწილად იმოქმედოს მომხმარებლის ქცევაზე, რაც შეიძლება გამოისახოს პირადი ავტომობილების ნაცვლად საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გადასვლით, უფრო ენერგო ეფექტური სატრანსპორტო საშუალებების შეძენით და ა.შ. საქართველოში ეს ტენდეცია ეტაპობრივად მკვიდრდება, არა-მეწარმე პირების მიერ ნავთობპროდუქტების მოხმარების შემცირება, თუმცა ბუნებრივი აირის მოხმარება უმეტესწილად რჩება იგივე, მიუხედავათ ფასის გაზრდისა.

2017 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტი, ბუნებრივი აირზე და ნავთობპროდუქტებზე დაწესებული აქციზის გადასახადიდან შეივსო 514 მილიონი ლარით, წინა წელთან შედარებით 277 მილიონით გაიზარდა, რაც შეადგენს დაახლოებით 114 %-იან ზრდას.[2] შედარებისთვის, რაოდენობრივი ზრდა 2016-დან 2017 წლამდე აღმოჩნდა პროპორციული აქციზის გადასახადის ზრდასთან მიმართებაში. როგორც აღვნიშნეთ, აქციზის გადასახადის და შესაბამისად ამ პროდუქტებზე ფასის ზრდამ არ გამოიწვია მისი მოხმარების მკვეთრი შემცირება. ბუნებრივი აირიდან მიღებული გადასახადი გაიზარდა 2,4-ჯერ, ბენზინზე 2,07-ჯერ, დიზელ-

1 Wang, C. & Segarra, E., 2011. The Economics of Commonly Owned. Journal of Agricultural and Resource Economics , 36(1), pp. 95-120

2 საქართველოს ხაზინა, 2018. საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი შემოსულობები. [ინტერნეტი] Available at: http://treasury.ge/common/get_doc.aspx?doc_id=16855 [09.02.2018]

ზე 2,3-ჯერ, ნავთზე 2,5-ჯერ ხოლო სხვა ნავთობპროდუქტებზე 1,7-ჯერ.[1]

შემოსულობების პროცენტული ზრდა სახეობების მიხედვით თითქმის ზუსტად იმეორებს აქციზის გადასახადის ზრდის კოეფიციენტებს. სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რაც შეიძლება გარკვეულ ზეგავლენას ახდენდეს გაზის თუ ნავთობის მოხმარებაზე, ფაქტი რჩება, რომ ეს წარმოადგენს აბსოლუტურ არაელასტიურ მოთხოვნასთან ძალიან ახლოს მდგარ შემთხვევას, როდესაც ფასი იზრდება, თუმცა მოთხოვნა რჩება იგივე.

ამ ნაბიჯით და ეკონომიკურ-ფინანსური გათვლებით, საქართველოს მთავრობამ შეძლო დამატებით 277 მილიონი ლარის მობილიზაცია, რათა დაებალანსებინა გარკვეული დანაკარგი, რაც შეიძლება ახალი რეფორმის განხორციელებით მიეღო.[2]

ავტომობილების განბაჟებისას აქციზის გადასახადი მკვეთრად გაიზარდა 2017 წლიდან. ავტომობილების აქციზის გადასახადის ფასი განისაზღვრება ავტომობილის ძრავის მოცულობის სიდიდით, 1 კუბური სანტიმეტრი მრავლდება ავტომობილის წლოვანების მიხედვით განსაზღვრულ კოეფიციენტზე. მიმდინარე რეგულაციებით კოეფიციენტი მერყეობს 0,8-დან 2,5-მდე. 2016 წლის რეგულაციებით ყველაზე დაბალი კოეფიციენტი იყო 0,5 შვიდიდან თორმეტ წლამდე ავტომობილებისთვის და 1,5 ერთიდან ორ წლამდე ავტომობილებისთვის. განსხვავებული რეგულაციებია ჰიბრიდულ და ელექტრო-ავტომობილებზე.

მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის გადასახადის გაზრდა განპირობებული იყო როგორც ბიუჯეტის შესავსებად, ასევე შექმნილი მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინა-

1 ბიზნესპრესნიუსი, 2017. 12 ცვლილება, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელდა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://bpn.ge/finansebi/30985-12-cvlileba-romelic-2017-tslis-1-ianvridan-sagadasakhado-kanonmdeblobashi-gankhorcielda.html?lang=ka-GE

[06.02.2018]

2 საქართველოს ხაზინა, 2018. საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი შემოსულობები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: http://treasury.ge/common/get_doc.aspx?doc_id=16855

[09.02.2018]

რე. რთულად სათქმელია, სახელმწიფოსთვის და საზოგადოებისთვის ამ ორიდან რომელი საკითხია უფრო აქტუალური.

ამ შემთხვევაში, განსხვავებით თამბაქოსა და ნავთობპროდუქტების აქციზის ზრდის საკითხისგან, სადაც ძირითადი მიზანი მაინც ბიუჯეტის დანაკარგის შევსება იყო, ავტომობილების აქციზის ზრდის მთავარი მიზეზი შესაძლოა სოციალური და ეკოლოგიური საკითხები ყოფილიყო. თუ სიგარეტის, გაზის და ბენზინის გაძვირებამ ვერ შეძლო მათი მოხმარების შემცირება, და შესაბამისად საგრძნობლად გაზარდა მოსაკრებელი, იმპორტული ავტომობილების აქციზის ცვლილებამ სხვაგვარი ეფექტი იქონია.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2017 წელს იმპორტული ავტომობილების განბაჟებით მოზიდულმა გადასახადმა შეაგინა დაახლოებით 108 მილიონი ლარი,[1] როდესაც 2016 წელს 110 მილიონი ლარი იყო. შესაბამისად, აქციზის გადასახადის ცვლილებამ ნეგატიურად იმოქმედა ბიუჯეტში მოზიდულ შემოსულობებზე, განსხვავებით თამბაქოს და ნავთობპროდუქტების კომპონენტისგან.

საგადასახადო სისტემაში გატარებული რეფორმირების მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

პირველად განვიხილავთ მოგების გადასახადის რეფორმებით მიღებულ შედეგებს. როგორც წინასწარ იყო პროგნოზირებული, საკმაოდ ბევრმა სამეწარმეო დაწესებულებამ ისარგებლა აღნიშნული რეფორმის ბენეფიტით და მოზიდული შემოსავლების რეინვესტირება მოახდინა ორგანიზაციაში. შედეგად, შემცირდა მოგების გადასახადიდან მოზიდული შემოსავალიც სახელმწიფოსთვის. საბოლოო დაანგარიშებით, 2017 წელს მოგების გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა მიაღწია 756 მილიონ ლარს და დაუბრუნდა დაახლოებით 2011 წლის მაჩვენებელს. წინა წელთან შედარებით ეს ციფრი შემცირდა თითქმის 300 მილიონი ლარით, რაც პროგნოზირებული იყო ექ-

1 საქართველოს ხაზინა, 2018. საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი შემოსულობები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: http://treasury.ge/common/get_doc.aspx?doc_id=16855

[მოპოვებულია: 09.02.2018]

სპერტების მიერ.[1]

მეორეს მხრივ, აქციზის გადასახადის გაზრდით, სახელმწიფო ბიუჯეტში ჯამში აქციზის გადასახადიდან ბიუჯეტში შევიდა 1.45 მილიარდი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 380 მილიონი ლარით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ თამბაქოს და ნავთობპროდუქტების აქციზის გადასახადით სხვაობამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 400 მილიონი ლარი, აქციზის სხვა გადასახადებიდან შემცირებული შემოსავლების გათვალისწინებით ჯამური ნაშთი გამოვიდა 380 მილიონი ლარი.

ამ გზით საქართველოს მთავრობამ შეძლო იმავე წელს დაებალანსებინა ახალი რეფორმით გამოწვეული დანაკარგი მხოლოდ აქციზის გადასახადის გაზრდის ხარჯზე გარკვეულ საქონელზე. რაც ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია, დანაკარგის პირდაპირი დაბალანსების მიუხედავათ, სახელმწიფოს მთლიანი შემოსავალი ყველა გადასახადიდან ჯამურად გაიზარდა დაახლოებით 1 მილიარდი ლარით.[2]

სტატისტიკური მონაცემებით, საგრძნობლად გაიზარდა დამატებითი ღირებულების გადასახადით მოზიდული თანხა 2017 წელს, დაახლოებით 836 მილიონი ლარით და შეადგინა 4,122 მილიონ ლარი. ასევე, საკმაოდ მაღალი ზრდა განიცადა საშემოსავლო გადასახადით მოზიდულმა შემოსავლებმა და გახდა 2,525 მილიონი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 547 მილიონი ლარით გაიზარდა. უმნიშვნელო ზრდა დაფიქსირდა იმპორტის გადასახადზე - 1,6 მილიონი და რაც ასევე საინტერესოა, 426 მილიონი ლარით შემცირდა „სხვა არა-კლასიფიცირებული გადასახადების“ კომპონენტი წინა წელთან შედარებით.

---

1 საქართველოს ხაზინა, 2017. საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი შემოსულობები. [ინტერნეტი]ხელმისაწვდომია: http://treasury.ge/common/get_doc.aspx?doc_id=15776

[მოპოვებულია: 09.02.2018]

2 საქართველოს ხაზინა, 2018. საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი შემოსულობები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: http://treasury.ge/common/get_doc.aspx?doc_id=16855

[მოპოვებულია: 09.02.2018]



გრაფიკი #1

©ზურაბ ჩინჩალაძე, წყარო: საქართველოს ხაზინა

გრაფიკი #1-ზე წარმოდგენილი არის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით. 2008 წელს საშემოსავლო გადასახადის შემოღების შემდეგ, სახელმწოფო შემოსავლები სტაბილურად იზრდებოდა წლების მიხედვით. 2009 წელს, ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე და რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, გადასახადებით მოკრებილი თანხა შემცირდა, თუმცა მომდევნო წელსვე დაუბრუნდა წინა ნიშნულს. შემდეგ მოხდა შემოსავლების მკვეთრი ზრდა, სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე. 2013 წელს მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება, გამომდინარე ახალი პოლიტიკური ვითარებიდან, ახალი პარლამენტის და მთავრობის არჩევის პირობებში.[1] შემდეგ დაიწყო სტაბილური

1 პარლამენტი, ს., 2018. წინა მოწვევის პარლამენტები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: http://parliament.ge/ge/parlamentarebi/wina-mowvevis-parlamentebi [მოპოვებულია: 09.02.2018]

ზრდა და 2017 წელს წინა წელთან შედარებით, გადასახადებიდან მოზიდული ბიუჯეტი გაიზარდა 1 მილიარდი ლარით.



გრაფიკი #2

©ზურაბ ჩინჩალაძე, წყარო: საქართველოს ხაზინა

2017 წლის ბიუჯეტის 46% შედგება დღგ-ს გადასახადისგან, რომელიც წარმოადგენს შემოსულობების აბსოლუტურ უმრავლესობას და დაახლოებით ორჯერ მეტია, ვიდრე საშემოსავლო გადასახადიდან მოზიდული თანხები. თავის მხრივ, საშემოსავლო გადასახადის წილმა 2017 წელს შეადგინა 28%, რაც წარმოადგენს 2 მილიარდ 525 მილიონ ლარს. აქციზის გადასახადიდან მიღებული შემოსავლების წილი შეადგენს 16%-ს. შემცირებული მოგების გადასახადი 2017 წლის ბიუჯეტში შეადგენს 8%-ს, ხოლო იმპორტის გადასახადი და სხვა არა-კლასიფიცირებული გადასახადის წილი გამოვიდა თითო პროცენტი. რაც შეეხება ქონების გადასახადს, ის არ აღირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, რადგან ეს გადასახადი ადგილობრივ ბიუჯეტებში ირიცხება.[1]

მიუხედავად ამისა, 2017 წელს მოზიდული შემოსავლები, განხორციელებული რეფორმების ფონზე, დამაკმაყოფილებლად

1 საქართველოს ხაზინა, 2018. საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი შემოსულობები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: http://treasury.ge/common/get_doc.aspx?doc_id=16855 [მოპოვებულია 09 02 2018]

შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს მთავრობისთვის, რადგან პირველად 10 წლის განმავლობაში მოხდა ასეთი მასშტაბური ზრდა გადასახადებიდან მიღებული შემოსავლისა.

დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ახალი საგადასახადო სისტემა მოგების გადასახადთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე შეიძლება ჩაითვალოს დადებითად ეკონომიკის სტიმულირების თვალსაზრისით. ერთი წლის თავზე 2018 წლის აპრილის მდგომარეობით, ისახება გარკვეული შედეგები, რის საფუძველზეც ჩატარდა აღნიშნული რეფორმის ანალიზი და კვლევა. თუმცა, უფრო კონკრეტულ შედეგებზე საუბარი შესაძლებელი იქნება საგადასახადო ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, 2018 წლის მეორე კვარტალში. მიუხედავად ამისა, როგორც სტატიაში არის აღნიშნული, რეფორმა გათვლილი არის გრძელვადიან პერიოდზე და რეალურ შედეგებს ეკონომიკის განვითარების და სოციალური კეთილდღეობის ამაღლების მხრივ უნდა ველოდოთ 5-10 წლის თავზე. საბოლოო წარმატების მისაღწევად, ასევე აუცილებელია მთავრობის მიერ სხვა საგადასახადო სექტორების მოწესრიგება და გაუმჯობესება. ხელისუფლება აქტიურად აანონსებს სხვა საგადასახადო ინიციატივებს, კერძოდ მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის დამატებით საგადასახადო შეღავათების შემოღებას, რაც ასევე მისასალმებელია, რადგან ეს სექტორი უნდა წარმოადგენდეს ეკონომიკური აქტივობების ძირითად ბირთვს, როგორც განვითარებულ ქვეყნებში არის დღესდღეობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს პარლამენტი, 2016. *საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ,* თბილისი: საქართველოს საკანონდებლო მაცნე

2. მთავრობა, ს., 2016. *თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა,* თბილისი: სამთავრობო პროგრამა შემოსავლების სამსახური, 2016. *მოგების გადასახადის დაბეგვრის*

ახალი წესი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=9918 [მოპოვებულია 01.02.2018]

3. ბ. ნამჩავაძე, 2017, *გადასახადის ზრდის ნადმვილი მიზეზი,* ფორბსი, მოპოვებულია ვებგვერდიდან: http://forbes.ge/news/1828/gadasaxadis-zrdis-namdvili-mizezi (30.06.2017)

4. ურუმაშვილი, ე., 2015. *მოგების გადასახადი უქმდება, რას გულისხმობს ესტონური მოდელი?.* [ინტერნეტი]

5. ნამჩავაძე, ბ., 2016. *იზრდება თუ მცირდება ხელისუფლების შენახვის ხარჯები?.* [ინტერნეტი]

6. Available at: http://forbes.ge/news/1152/izrdeba-Tu-mcirdeba-xelisuflebis-Senaxvis-xarjebi [მოპოვებულია: 04.02.2018]

7. ფინანსთა სამინისტრო, 2017. *"საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი,* თბილისი: საქართველოს ფინანსთა სამინისტო

8. შაპირო, დ., 2017. *1 იანვრიდან თამბაქოზე, ნავთობპროდუქტებზე და ავტომობილებზე აქციზი გაიზარდა,* თბილისი: Sputnik

9. InternationalBusinessTimes, 2012. *ettes and Alcohol 'Sin Taxes' Increase Revenue Without Discouraging Consumption.* [Online]

10. Wang, C. & Segarra, E., 2011. The Economics of Commonly Owned. *Journal of Agricultural and Resource Economics* , 36(1), pp. 95-120

11. საქართველოს ხაზინა, 2018. *საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი შემოსულობები.* [ინტერნეტი] Available at: http://treasury.ge/common/get_doc.aspx?doc_id=16855

12. ბიზნესპრესნიუსი, 2017. *12 ცვლილება, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელდა.* [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://bpn.ge/finansebi/30985-12-cvlileba-romelic-2017-tslis-1-ianvridan-sagadasakhado-kanonmdeblobashi-gankhorcielda.html?lang=ka-GE

13. საქართველოს ხაზინა, 2017. *საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი შემოსულობები.* [ინტერნეტი]ხელმისაწვდომია: http://treasury.ge/common/get_doc.aspx?doc_id=15776

14. პარლამენტი, ს., 2018. *წინა მოწვევის პარლამენტები.* [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია : http://parliament.ge/ge/parlamentarebi/wina-mowvevis-parlamentebi

15. საქსტატი, 2018. *სახელმწიფო ბიუჯეტი,* თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

REFERENCES:

1. Parliament of Georgia, 2016, *Ammedment to the Tax Code of Georgia,* Tbilisi, Legislative Herald of Georgia

2. Government of Georgia, 2016, *Freedom, Rapid Development, Welfare,* Tbilisi, Government Program.

3. Revenue Service of Georgia, 2016. *New model of corporate tax.* [internet], Available at: http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=9918 Accessed on: 01.02.2018

4. Namchavadze B., 2017, *The real reason behind the increase of taxes,* Forbes, Available: http://forbes.ge/news/1828/gadasaxadis-zrdis-namdvili-mizezi (30.06.2017)

5. Urumashvili, E., 2015 *Corporate tax will be cancelled, what does Estonian model mean* [internet source]

6. Namchavadze B., 2016 *Are the cost of financing the governemt increasing or decreasing?* Available at: http://forbes.ge/news/1152/izrdeba-Tu-mcirdeba-xelisuflebis-Senaxvis-xarjebi (04.02.2018)

7. Ministry of Finance, 2017, *Georgian Law on "State budget of Georgia 2017",* Tbilisi, Ministry of Finanace of Georgia

8. Shapiro D., 2017, *Excise on Tobacco, Oil and Automobiles increased from 1st of January,* Tbilisi, Sputnik

9. InternationalBusinessTimes, 2012. *ettes and Alcohol 'Sin Taxes' Increase Revenue Without Discouraging Consumption.* [Online]

10. Wang, C. & Segarra, E., 2011. The Economics of Commonly Owned. *Journal of Agricultural and Resource Economics* , 36(1), pp. 95-120

11. Treasury of Georgia, 2018, *Income Consolidated budget revenues of Georgia,* Available at: http://treasury.ge/common/get_doc.aspx?doc_id=16855

12. Businespressnews, 2017. *12 amendments, that have been conducted in taxation system of Georgia from 1st of January 2017.* Available at: https://bpn.ge/finansebi/30985-12-cvlileba-romelic-2017-tslis-1-ianvridan-sagadasakhado-kanonmdeblobashi-gankhorcielda.html?lang=ka-GE

13. Treasury of Georgia, 2017, *Income Consolidated budget revenues of Georgia,* http://treasury.ge/common/get_doc.aspx?doc_id=15776

14. Parliament of Georgia, 2018, previous convocation parliaments, Available at: http://parliament.ge/ge/parlamentarebi/wina-mowvevis-parlamentebi

15. Geostat, 2018, *State Budget,* Tbilisi, National Statistics Office of Georgia

THE NEW MODEL OF CORPORATE INCOME TAX

Zurab Chinchiladze
PhD student of GTU

RESUME

The article critically analyzes the new initiatives of Georgian Government in terms of corporate income tax, individual income tax, new rules of charging and administration. In particular, it justifies that new corporate tax system, so-called the Estonian model is directed towards employment, development of investment environment and increase of corporate capital share in the Economy. The article also outlines the challenges of the new model and ways how to solve them.

Keywords: Taxation, the Estonian Model, corporate income tax, individual income tax, excise, tobacco, oil, automobiles.

სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებების განაწილების სისტემების სრულყოფის მიმართულებები

ანზორ აბრალავა
ემდ, სტუ პროფესორი
ლევანი კერესელიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სახელმწიფოს მიერ, მისთვის განკუთვნილი ფუნქციების ჯეროვნად განხორციელებისათვის, საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ოპტიმალური სისტემის ჩამოყალიბება. ხელისუფლების დანაწილებისას უმნიშვნელოვანესი ყურადღება უნდა მივაქციოთ მმართველი რგოლების ორგანიზაციულ დანაწილებას, სადაც სახელწიფოს ძირითადი ფუნქციები განაწილებულია სხვადასხვა ორგანოებზე იმგვარად, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია მთელ სახელმწიფო ხელისუფლებაზე კონტროლის მოპოვება.

ხელისუფლების ზოგადი, ოპტიმალური ორგანიზაციის პრობლემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ტერიტორიული თვითმმართველობის საკითხი. ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს დაკისრებული აქვს ესა თუ ის უფლებამოსილება, არ წარმოშობს იმის ვალდებულებას, რომ ყველა საკითხი ამ ორგანომ უნდა გადაჭრას. ადგილზე წამოჭრილი ყველა პრობლემის გადაწყვეტა ობიექტურად მართლაც ძალიან რთულია ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისათვის. ამის გათვალისწინებით, რეალურ გამოსავალს წარმოადგენს ის, რომ გარკვეული უფლებამოსილებები მიენიჭოს ადგილზე მოქმედ ქვესტრუქტურებს, ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს (მაგ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს). თუ მოხდება უფლებამოსილებათა სწორი, ზუსტი განაწილება, ეს უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტურ და გამართულ ფუნქციონირებას.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ბიუჯეტი, რეგიონი, ეკონომიკური ზრადა, ფინანსები, ადგილობრივი თვითმმართველობა, მუნიციპალური მართვა, სუბსიდიები, ეკონომიკური სისტემა, ფინანსური რესურსები.

შესავალი

თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მუნიციპალური მართვის დონეებს შორის უფლებამოსილებებისა და ფუნქციების განაწილების მდგომარეობის შეფასება და კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრა. სტატიაში განხილულია სახელმწიფო და ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებს შორის უფლებამოსილებისა და ფუნქციების განაწილების მეთოდოლოგიური ასპექტები, მუნიციპალური მართვის სისტემაში ფუნქციათა განსაზღვრის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები.

ძირითადი ტექსტი

საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბების პროცესში ცენტრის რეგიონებთან და რეგიონების ადგილობრივ თვითმმართველობასთან ფინანსურ ურთიერთობებს დასაწყისშივე თან ახლდა მკვეთრი წინააღმდეგობები. მეცნიერების აზრით, ეს დაკავშირებული იყო არა მიღებული საბიუჯეტო-საგადასახადო მოდელის კერძო ნაკლოვანებებთან, არამედ თავდაპირველი სამუშაო პირობების შეუსაბამობასთან.

მეცნიერების აზრით[1], სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემის კრიზისის დაძლევას სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური, სამართებლივი და ორგანიზაციული საფუძვლების უზრუნველყოფას, ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნას, ხელს შეუწყობს შემდეგი ზომები:

1)ერთიანი სახელმწიფოებრივი მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფა, რომლებიც შეიძლება კორექტირებული იყოს რეგიონების ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით;

---

1 www.polit.ra/research/2006/-08/07sheiman.html.IIIefiMaH, ჯანმრთელობის რესტრუქტურიზაცია: რისკების შეფასება / ი.მ. შეიმანი

2) რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობების გათანაბრება;

3) განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონების პრიორიტეტული განვითარება;

4) რეგიონების ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებების მაქსიმალური გამოყენება;

5) ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიების წაყენება და უზრუნველყოფა;

6) ყოველ რეგიონში წარმოების სტაბილიზაცია, ეკონომიკური ზრდის აღდგენა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

ზოგიერთი მეცნიერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალური სტანდარტების საფუძველზე საბიუჯეტო სისტემის დონეების მიხედვით ხარჯების ფორმირებასა და განაწილებას, რომლებიც დიფერენცირებულია ობიექტური ტერიტორიული განსხვავებების გათვალისწინებით ე.ი. შესაბამისი ბიუჯეტების ხარჯების წილის გათვალისწინებით. შესაძლებელია სამი სახის სტანდარტის შექმნა: სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი სტანდარტი. აუცილებელია ასევე სტანდარტების სტრუქტურისა და „ღირებულების“ რეგულარული, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადათვალიერება, სახელმწიფო და ადგილობრივი ფინანსების მდგომარეობის გათვალისწინებით.

ერთ-ერთ ზომად, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებების რეალიზაციის შესაძლებლობას იძლევა, ჩვენ მივიჩნევთ ადგილობრივი მნიშვნელობის უფლებამოსილებების საკითხების როგორც განსაკუთრებული სახის მომსახურებების განხილვას, რაც თავის მხრივ უფლებამოსილებების ნორმატიულ-სამართებლივი, ფინანსური და ტექნიკური (ტექნოლოგიური და ორგანიზაციული) კომპონენტების განხილვას გულისხმობს. ეს ფინანსური და ტექნიკური ფუნქციების და ღონისძიებების ცალკეული კომპონენტების რეალიზაციის საშუალებას მოგვცემს ამა თუ იმ დონეზე (რაიონში ან დასახლებაში) სხვადასხვა ეკონომიკური მექანიზმებით (მუნიციპალიტეტებს, მეურნეობათშორის

კოოპერაციებს, აუტსორსინგებს შორის შეთანხმებები).

აუცილებელია ასევე კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების ფორმირება ყოველი მუნიციპალური წარმონაქმნისათვის, რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების პროგრამულ-მიზნობრივი მექანიზმების გამოყენება, მათი საშუალებით საბიუჯეტო და საგადასახადო ზემოქმედების შევსება. ბიუჯეტთაშორისო დამოკიდებულებების ფორმალიზაციის და უნიფიკაციის აუცილებლობისა და მნიშვნელობის მიუხედავად, ეს ზომები თავისთავად, სახელმწიფო საბიუჯეტო-საგადასახადო კონტექსტიდან მოწყვეტით ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტური თვითუზრუნველყოფის ზრდას. მიღებული მოდელი არ აღმოფხვრის მაღალი ტერიტორიული დიფერენცირების საწყის მიზეზებს და ვერ მიგვიყვანს სახელმწიფო დამოკიდებულებების ფინანსური პრობლემების გადაწყვეტასთან. რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების განსაზღვრული ბალანსის მისაღწევად, მთავარი ფინანსური ინსტრუმენტის - ტრანსფერების გარდა, აუცილებელია საბიუჯეტო რეგულირების სხვა მეთოდები, რომლებსაც მიეკუთვნება რეგიონებისა და მუნიციპალური წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნობრივი რეგიონული პროგრამების დაფინანსება. სახელმწიფო საბიუჯეტო-საგადასახადო მოდერნიზაციის სისტემის ერთ-ერთი ვარიანტი უნდა გახდეს ტერიტორიის სახელმწიფო მხარდაჭერის ახალი ფორმა: სუბვენციები და სუბსიდიები, რომლებიც ტერიტორიამდე საკმაოდ აზრიანი და პრაქტიკულად აპრობირებული პროგრამული (საპროექტო) დაფინანსების ტექნოლოგიებით მიიტანება. საბიუჯეტო დამოკიდებულებების მოდერნიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს სახელმწიფო მხარდაჭერის - კონკრეტული ამოცანების პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდები, რომლებიც შეიძლება გადაიჭრას ხელსაყრელ დადგენილ ვადებში და ყველა დონის მიზნობრივი სახსრებისა და არასაბიუჯეტო მიზნობრივი ფონდების გამოყოფით.

რეგიონულ დონეზე საბიუჯეტო რეგულირებისას განისაზღვრება ურთიერთობები საქართველოს სუბიექტების სახე-

ლმწიფო ხელისუფლებასა და მუნიციპალური წარმონაქმნების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო მინიმალური სოციალური სტანდარტების ფინანსურ უზრუნველყოფასთან, რომლებიც დადგენილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ, მუნიციპალური წარმონაქმნების ფინანსური მხარდაჭერით, მათ მიერ ცალკეული სახელმწიფო უფლებამოსილებებზე ხარჯების დაფინანსებით, აგრეთვე რეგიონების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად წარმოქმნილი ადგილობრივი ბიუჯეტების დამატებითი ხარჯების დაფინანსება.

რეგიონში საბიუჯეტო რეგულირების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს დადგენილი მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციასთან დაკავშირებული ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიების მიწოდება. სუბსიდიები ხორციელდება რეგიონული ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, უკან დაბრუნების გარეშე. ეს მექანიზმი განსაკუთრებით აქტუალურია მუნიციპალური წარმონაქმნებისათვის, რომლებსაც თავისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტიპით არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსები ხარჯებთან ბალანსირებისათვის, სოციალური ქსელის მიმდინარე შენარჩუნებისათვის და მისი შემდგომი განვითარებისათვის.

ასეთ ეკონომიკურ-ფინანსურ მდგომარეობაში მათი განვითარების მნიშვნელოვანი პირობა ხდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ტერიტორიული პროგრამის სახელმწიფო მხარდაჭერა. ასეთი პროგრამის რეალიზაციის ხარჯები ჩართული იქნება რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების შესაბამის განყოფილებებსა და ქვეგანყოფილებებში, მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, დაიგეგმება კანონში ბიუჯეტის შესახებ, მუნიციპალური წარმონაქმნის ჭრილში.

ის, რომ პროგრამების დაფინანსება, რომლებიც გადაჭრიან ერთობლივი წარმოების პრობლემებს, დელეგირდება სახელმწიფო სუბიექტების დონეზე, მხარს უჭერს ეკონომიკური და

სოციალური პროცესების რეგიონალიზაციის ფაქტს, რომლებიც შეიმჩნევა ბოლო ათწლეულში. ამ პროცესების რეგულირების ფუნქციების სულ უფრო დიდი რაოდენობა გადადის სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური დონეებიდან რეგიონულში. ამიტომ, რეგიონული ბიუჯეტების როლი ძლიერდება, ხოლო მათი გამოყენების სფერო ფართოვდება. რეგიონული ბიუჯეტებიდან სახელმწიფო აქტიურად აწარმოებს ეკონომიკურ პოლიტიკას. ხელისუფლების რეგიონული ორგანოებისათვის გამოიყოფა დამატებითი საშუალებები, თანადაფინანსების პირობებით ხორციელდება ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში და გზების შენარჩუნებაზე, გარემოს დაცვაზე. რეგიონული ბიუჯეტით დაფინანსებულთა წრე მუდმივად ფართოვდება. რეგიონული ბიუჯეტების და სახელმწიფოს თანადაფინანსების პროგრამების დახმარებით ხორციელდება ტერიტორიების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეების გათანაბრება, რომლებიც ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა პირობების შედეგად ჩამორჩნენ თავის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში ქვეყნის სხვა რეგიონებს. ასეთი ჩამორჩენის დასაძლევად მუშავდება რეგიონული პროგრამები მუნიციპალური წარმონაქმნებისათვის, ფიქსირებული რეგიონული ბიუჯეტებისაგან.

სახელმწიფო სუბიექტების ფუნქციათა ურთიერთქმედება შეეხება ცალკეული უფლებამოსილებების ქვემოდან ზევით გადაცემის საკითხებს, სახელმწიფოს მონაწილეობა სახელმწიფო სუბიექტებში ხელისუფლების განხორციელებაში, განსაკუთრებულ შემთხვევებში (განსაკუთრებული და საომარი მდგომარეობა; სახელმწიფო იძულებითი ზომების გამოყენება, მათ შორის დროებითი ფინანსურ ადმინისტრაციული ფუნქციები და ა.შ). აუცილებელია წარმოებისა და უფლებამოსილებების ფუნქციების განაწილების ახალი სისტემის წინასწარი შეფასება და კონცეპტუალურ-სისტემური ანალიზი. იმის წინასწარი შეფასება, თუ რამდენად შეესაბამება უფლებამოსილებების და რესურსების განაწილების ახალი სისტემა სახელმწიფო მთლიანობის პრინციპების ოპტიმალურ რეალიზაციას, სახელმწი-

ფო ხელისუფლების ერთიან სისტემას, სუბსიდირებას, ხელს უწყობს სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის შედეგიანობის ამაღლებას და პასუხობს სახელმწიფოს ახალი სოციალური და ეკონომიკური წარმოების მიზნებს.

ამგვარად, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებების გამიჯვნისადმი მეთოდოლოგიური მიდგომების ჩატარებული ანალიზი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონული პროგრამების ფორმირებისას, საშუალებას იძლევა გამოვყოთ ქვეყანაში ჩამოყალიბებული უფლებამოსილებების განაწილების სისტემების სრულყოფის მიმართულებები:

• მუნიციპალური წარმონაქმნების პროგრამულ-მიზნობრივი ტექნოლოგიების სახელმწიფოს მიერ ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის როლში ფართო გამოყენება ჰპოვა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ამოცანის დაფინანსებამ.

• ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობის რიგის და ფორმის შემუშავება, სახელმწიფო კანონმდებლობის დონეზე. მათ შორის სოციალური სტანდარტების სისტემით.

• ფინანსური დამოკიდებილებების რეგულირება მუნიციპალურ წარმონაქმნებს შორის, სოციალური პროგრამების რეალიზაციისას, ფინანსური რესურსების ოპტიმალური გადანაწილების მიზნით როგორც მუნიციპალური რაიონის შიგნით, ისე მთლიანად ქვეყნის სუბიექტებს შორის.

• რაციონალური განვითარების სახელმწიფო რეგულირების ინფორმაციული უზრუნველყოფის სრულყოფა.

დასკვნა

ამრიგად, მუნიციპალური მართვის დონეებს შორის უფლებამოსილებებისა და ფუნქციების განაწილების ანალიზი აუცილებელია მუნიციპალური მართვის სისტემაში უფლებამოსილებითი და ფუნქციონალური მექანიზმების შემუშავებისათვის.

სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოე-

ბის უფლებამოსილებების გამიჯვნისადმი მეთოდოლოგიური მიდგომების ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, დასახულია ქვეყანაში ჩამოყალიბებული უფლებამოსილებების განაწილების სისტემების სრულყოფის მიმართულებები.

შემოთავაზებულია სახელმწიფო საბიუჯეტო-საგადასახადო მოდერნიზაციის სისტემის ტერიტორიის სახელმწიფო მხარდაჭერის ახალი ფორმები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი -„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“.

2. ჩიხლაძე ნ. ადგილობრივი ბიუჯეტის გამჭვირვალობის აქტუალური საკითხები. სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. ქუთ. 2008 წ. გვ.6-8

4. www.economy.gov.ge- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი.

5. www.governement.gov.ge საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი.

6. www.mof.ge- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდ

7. http://www.citystrategy.leontief.ru информационно-аналитический сайт по проблемам территориального стратегического планирования и управления.

REFERENCES:

1. Law of Georgia on -„State Supervision of Activities of Local Self-Governance Bodies”

2. N. Chikladze, urgent issues of transparency of local budget. Thesis of scientific conference, Kut. 2008 pg.6-8

4. www.economy.gov.ge- Official web-site of the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia;

5. www.governement.gov.ge Official web-site of the Government of Georgia

6. www.mof.ge- Official web-site of the Ministry of Finances of Georgia

7. http://www.citystrategy.leontief.ru News and analysis website about problems of territorial strategic planning and management

THE DIRECTIONS FOR IMPROVEMENT OF AUTHORITY DELEGATION SYSTEMS OF THE STATE AND LOCAL GOVERNMENT AUTHORITIES

Anzor Abralava
Georgian Technical University, Professor
Levan Kereselidze
PhD. Student of GTU

RESUME

The Optimal system of state authorities shall be developed for proper fulfillment of its functions by the state. The organized division of management chain needs a special attention in case of authority delegation, where main functions of the state are divided among different authorities so that none of them can control the whole state authority.

The territorial self-government is an important part of general, optimal organizational problem of the authority. The administrative authorities have different rights, which do not cause appearing of obligation of solving all issues by that authority. It is really difficult for central authority to solve all local problems. A real way out includes giving of definite rights to local substructures or other administrative authorities (i.e. local self-governments). If rights are distributed in a correct manner, it will ensure effective and proper functioning of the state authority.

Key words: state budget, delegation of authority, region, economic growth, funds, local self-government, municipal management, subsidies, economic system, financial resources.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების თეორიული ასპექტები

ალექსანდრე ვაჭარაძე
თსუ დოქტორანტი

რეზიუმე

მოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების შესახებ არსებული ცნობილი თეორიების ანალიზი. განხილულია და დახასიათებული უცხოელ მკვლევართა ცნობილი მოსაზრებები პირდაპირი უცხოური ინვესტიციათა მოტივაციასთან დაკავშირებით და მოცემულია მათი შეფასება.

განხილულია შემდეგი თეორიები: ნეოკლასიკური ვაჭრობის თეორია, რომელსაც მიეკუთვნება ჰექშერ-ოლინის (წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის) თეორია; საკუთრების უპირატესობის თეორია; ადგილმდებარეობის და ტრანსნაციონალიზაციის უპირატესობის თეორია, როგორც ეკლექტიკური პარადიგმა, „ცოდნა-კაპიტალის" მოდელი და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა განხორციელების რისკის დივერსიფიკაციის თეორია.

გაანალიზებულია მკვლევართა მოსაზრებები, რომლებიც ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს კარგად ხსნიან საოპერაციო ხარჯებისა და ცოდნა-კაპიტალის მოდელებით. განხილულია მკვლევართა მოსაზრებები რისკის დივერსიფიკაციის თეორიასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს პირდაპირ უცხოური ინვესტიციებს იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას „საქმიანობის რისკის" დივერსიფიკაცია.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფაქტორების თანაფარდობის, ადგილმდებარეობისა და ტრანსნაციონალიზაციის უპირატესობის, "ცოდნისა და კაპიტა-

ლის", პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რისკის დივერსიფიკაციის თეორიები.

ძირითადი ტექსტი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი (ყველასთვის მისაღები) ეკონომიკური თეორია, რომელიც განმარტავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველა განმსაზღვრელ ფაქტორს. ნაცვლად ამისა არის რამდენიმე ფრიად განსხვავებული (ზოგიერთ შემთხვევაში საპირისპირო) ეკონომიკური თეორია, რომელიც შეისწავლის ამა თუ იმ ტიპის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელ ფაქტორებს განცალკევებით. მაგალითად მეცნიერი აგარვალი (1980), განასხვავებს 13 ეკონომიკურ მოდელს გაერთიანებულს 4 კატეგორიად. ეს კატეგორიებია: (1) „სრული კონკურენციის ჰიპოთეზა"; (2) „არასრული კონკურენციის ჰიპოთეზა"; (3) „საინვესტიციო კეთილდღეობის ჰიპოტეზა" და (4) „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების განმსაზღვრელი ფაქტორები". ამ მიმართულებით უფრო ახალი კვლევაა, მეცნიერ ფაეტის (2009) ნაშრომი, სადაც ნაცვლად 13 თეორიისა განხილულია 9 ძირითადი ეკონომიკური თეორია და მოდელი. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია სამეცნიერო-კვლევით ლიტერატურაში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან (პირდაპირ და არაპირდაპირ) დაკავშირებული ძირითადი ეკონომიკური თეორიები, დაწყებული 1960-იანი წლებიდან თანამედროვე პერიოდამდე. **(1)**

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ არსებული თეორიული მოსაზრებები

ნეოკლასიკური ვაჭრობის თეორია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელ ერთ-ერთ პირველ ეკონომიკურ მოდელად შეგვიძლია მივიჩნიოთ ნეოკლასიკური ვაჭრობის თეორია. კონკრეტულად, ასეთია ჰექშერ-ოლინის, წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის თეორია, რომელიც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განიხილავს, როგორც კაპიტალით საერთაშორისო ვაჭრობის ინ-

სტრუმენტს. ჰექშერ-ოლინის თეორია დაფუძნებულია 2×2×2 ზოგადი წონასწორობის მოდელზე. კონკრეტულად, ორი ქვეყანა (ერთი ჭარბი კაპიტალით, ხოლო მეორე ჭარბი შრომით), ორი საწარმოო ფაქტორი (შრომა და კაპიტალი) და ორი საქონელი (შრომატევადი და კაპიტალტევადი). მოდელში დაშვებულია, რომ არის სრული კონკურენცია, როგორც სასაქონლო, ასევე საწარმოო ფაქტორების ბაზარზე; ასევე იდენტურია მასშტაბის მუდმივი ეფექტი; არ არის სატრანსპორტო ან სხვა ტიპის ხარჯი საქონლისა და კაპიტალის ბაზარზე. ჰექშერ-ოლინის თეორიის თანახმად ქვეყნებს გააჩნიათ საწარმოო ფაქტორების განსხვავებული შეფარდებითი უპირატესობანი. აღნიშნული თეორიის ეკონომიკური შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: ქვეყანა რომელსაც გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა კაპიტალტევადი პროდუქციის წარმოებაში, სპეციალიზდება ამ მიმართულებით და, ან ექსპორტზე გაიტანს იმ საქონელს, რომლის შემთხვევაშიც მას აქვს წარმოების ჭარბი ფაქტორი (ამ შემთხვევაში კაპიტალტევადი საქონელი), ან უშუალოდ გადაიტანს წარმოების პროცესს (რაც გულისხმობს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას) იმ ქვეყანაში, სადაც კაპიტალი დეფიციტურია და შესაბამისად შედარებით ძვირად ღირებულიც, ვიდრე თავის ქვეყანაში. თეორიის თანახმად, ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ საწარმოო ფაქტორების ფასები არ გაუტოლდება ერთმანეთს.

ჰექშერ-ოლინის თეორიის მსგავსად, მაკდუგალ-კემპის მოდელის თანახმადაც კაპიტალი მიედინება იმ ქვეყანაში, სადაც უფრო მაღალი სარგებელია კაპიტალზე. ეს მოდელი, ისევე როგორც ჰექშერ-ოლინის თეორია, ეფუძნება დაშვებებს, როგორიცაა: სრული დასაქმების პირობები და მასშტაბის მუდმივი ეფექტი, იმ განსხვავებით, რომ მაკდუგალ-კემპის თეორია დაფუძნებულია ერთ საქონელზე (ნაცვლად ორისა ჰექშერ-ოლინის შემთხვევაში) და წარმოების ორ ფაქტორზე. **(2)**

საერთო ჯამში, ნეოკლასიკური ვაჭრობის თეორიებით განხილული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელ ფაქტორებზე დიდ გავლენას ახდენს გადასახადები, რომელიც ზღუდავს კაპიტალის თავისუფალ მიმოქცევას. შესაბამისად, ამ

თეორიის თანახმად, სახელმწიფოს შეუძლია ითამაშოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი, რათა ხელი შეუწყოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

საკუთრების უპირატესობის თეორია. ნეოკლასიკური ვაჭრობის თეორია, როგორც ეკონომიკური მოდელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სპეციფიკური მახასიათებლების შესასწავლად, ფართოდ არის გაკრიტიკებული მკლევართა მიერ. მათ შორის, ერთ-ერთი პირველი ახალგაზრდა მეცნიერი, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა ნეოკლასიკურ მოდელის შესაძლებლობები (იგი შეეცადა აეხსნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მოტივაცია, იყო ჰაიმერი (1976). მისი აზრით სრულყოფილი კონკურენციის პირობების დაშვება ნეოკლასიკურ თეორიაში ვერ ხსნის პირდაპირი უცხოური ინვესტიციათა არსებობის ფენომენს. ჰაიმერის აზრით, პირიქით, სწორედ საერთაშორისო ბაზარზე შეზღუდული კონკურენციის პირობები განმარტავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციას. მის შემთხვევაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხილულია მრავალეროვნული კორპორაციების (MNC) თეორიის მეშვეობით, რომლის თანახმადაც მრავალეროვნული კორპორაციები არიან დიდი საწარმოები, რომელთაც გააჩნიათ საბაზრო ძალაუფლება. ჰაიმერი იყენებს მონოპოლისტური უპირატესობის ცნებას და მისი მეშვეობით განმარტავს მიზეზებს თუ რატომ ხორციელდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მისი აზრით, უცხოურ საწარმოებს ჭირდებათ "საკუთრების უპირატესობები", როგორიცაა: პროდუქციის „უნიკალურობა", წარმოების ახალი ტექნოლოგიები ან საავტორო უფლებები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსახორციელებლად. რაც უფრო მაღალია თითოეული ზემოთ მოყვანილი ფაქტორის როლი, მით მეტი მოტივაცია აქვს უცხოურ საწარმოს პირადად განახორციელოს წარმოების პროცესი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, ვიდრე გააფორმოს შეთანხმება ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ (ან მიანიჭოს ლიცენზიები ადგილობრივ მწარმოებლებს). ამ შემთხვევაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ის,

რომ საწარმომ უცხო ბაზარზე შესვლისას არ დაკარგოს უპირატესობა, რაც მას გააჩნია წარმოების პროცესში, იქნება ეს პროდუქციის უნიკალურობა, სავაჭრო ნიშანი, თუ წარმოების ახალი ტექნოლოგია.**(3)**

საკუთრების უპირატესობის თეორიის თანახმად, გარკვეულ ფაქტორებს, როგორიცაა საპროექტო-კონსტრუქტორული სამუშაოები (R&D), სარეკლამო ხარჯები, ტექნოლოგიები, კაპიტალინტენსიურობა, სამუშაო ძალის კვალიფიკაცია, საწარმოს მოცულობა, მასშტაბის დადებითი ეფექტი და გამოცდილება, აქვთ გავლენა მრავალეროვნული კორპორაციების გადაწყვეტილებებზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით.

საკუთრების, ადგილმდებარეობის და ტრანსნაციონალიზაციის უპირატესობის თეორია. დანინგმა (1979) გააერთიანა ტრანსნაციონალიზაციის თეორია ტრადიციულ ვაჭრობის თეორიასთან და შექმნა ეგრეთ წოდებული „ეკლექტიკური პარადიგმა", რომელიც განმარტავს მიზეზებს, თუ რატომ ცდილობენ საწარმოები გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე და რა მეთოდებით უნდა განახორციელონ მათ ეს შესვლა (პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, ექსპორტით თუ ლიცენზირებით).**(4)**

მრავალეროვნული კორპორაციების მოდელის თანახმად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი ფაქტორები წარმოდგენილია შემდეგი სამი ტიპის უპირატესობათა გათვალისწინებით: (1) საკუთრება, (2) ადგილმდებარეობა და (3) ტრანსნაციონალურობა. აქედან პირველი (საკუთრების საფუძველზე მინიჭებული უპირატესობა) ითვალისწინებს ისეთ უპირატესობებს, რომელიც გააჩნია საწარმოებს პროდუქციის წარმოების პროცესში, როგორიცაა:

- კონკურენტული უპირატესობა ადგილობრივ მწარმოებლებთან შედარებით;
- პატენტი;
- ტექნიკური გამოცდილება;
- მენეჯერული უნარები; და
- რეპუტაცია.

ადგილმდებარეობის ფაქტორი ითვალისწინებს ისეთ მოტივებს, როგორიცაა:

• დაცული ბაზრის დაკავება, სადაც ტარიფები ან სხვა შეზღუდვები აფერხებს პროდუქციის ექპორტით შეტანას;

• ხელსაყრელი საგადასახადო კოდექსი;

• წარმოების და ტრანსპორტირების დაბალი ტარიფები;

• დაბალი რისკი; და

• კონკურენციისთვის ხელსაყრელი (სამართლებრივი თვალსაზრისით) გარემო.

რაც შეეხება ტრანსნაციონალიზაციის ფაქტორს, ამ დროს საწარმოები ახორციელებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და უშუალოდ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე იწყებენ წარმოების პროცესს იმიტომ, რომ: 1)შეამცირონ საოპერაციო ხარჯები, 2) შეამცირონ სხვა საწარმოების მხრიდან იმიტაციის რისკები, 3) შეინარჩუნონ კონკურენტული უპირატესობა და რეპუტაცია უცხო ქვეყნების ბაზარზე ეფექტური მართვითა და ხარისხის კონტროლით. ტრანსნაციონალიზაციის მეთოდი ძირითადად განპირობებულია საკუთრების უპირატესობის „საზოგადოებრივი საქონლის" ბუნებით. ამ მოდელის თანახამდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი განსაკუთრებით მაღალია ეკონომიკის ისეთ სფეროებში, რომლებიც მოიცავენ საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და მარკეტინგული პროდუქციის წარმოებას.

საერთო ჯამში, საკუთრების, ადგილმდებარეობისა და ტრანსნაციონალიზაციის უპირატესობათა თეორია, სხვა ფაქტორებთან ერთად, როგორებიცაა: ბაზრის მოცულობა, ტრანსპორტირების ხარჯები, სამუშაო ძალაზე დანახარჯები, პოლიტიკური რეჟიმი, ინფრასტრუქტურა და მასზე საკუთრების უფლება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, როგორც გადინებას, ასევე შემოდინებას.

ჰორიზონტალური და ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორია. ჰორიზონტალური და ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესიციების თეორია წარმოადგენს ალტერნატიულ მეთოდს, რომელიც განიხილავს მრავალეროვ-

ნული კორპორაციების ქმედებასა და, კონკრეტულად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელ ფაქტორებს, როგორც „საკუთრებისა" და „ადგილმდებარეობის" უპირატესობათა მეშვეობით, ასევე ისეთი ფაქტორების დახმარებით, როგორიცაა ტექნოლოგიები და ქყვეყნის სხვა მახასიათებლები.

ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში საკუთრების უპირატესობა ძირითადად გულისხმობს ცოდნასა და კაპიტალს, ხოლო ადგილმდებარეობის უპირატესობა მოიცავს ქვეყნაში ბაზრის ტევადობას, საშუალო და საშუალოზე მაღალ სავაჭრო ხარჯებს. ამავე დროს ვერტიკალური ტიპის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში დაბალ სავაჭრო ხარჯებსა და ქვეყნის სხვა სპეციფიკურ მახასიათებლებს.

ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდელი განხილულია მარკუსენის და ვენაბლეს (1998) ნაშრომში, სადაც ავტორებმა ზოგადი წონასწორობის მოდელში გამოიყენეს კურნოტის ოლიგოპოლია, რათა განესაზღვრათ: მრავალეროვნული კორპორაციების გადაწყვეტილებები; ვაჭრობის სტრუქტურა; და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო ბაზრის მოცულობასთან, სავაჭრო ხარჯებთან, მიკროეკონომიკურ დონეზე, მასშტაბის ეკონომიასთან და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონეებთან). მათი დასკვნით, მრავალეროვნულ კორპორაციებს ჰქონდათ უპირატესობა ადგილობრივ მწარმოებლებთან შედარებით მაშინ, როდესაც:

- კონკრეტული პროდუქციის გატანა მსოფლიო ბაზარზე პრობლემას წარმოადგენდა;
- როდესაც ქვეყნების ბაზრების მოცულობა და დანახარჯი სამუშაო ძალაზე დაახლოებით ერთნაირი იყო; და
- როცა ტრანსპორტირების ხარჯები მაღალი იყო. **(5)**

ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხილულია ჰანგის და მარკუსენის (1999) ნაშრომში, სადაც მათ გამოიყენეს 2×2×2 მოდელი შუალედური პროდუქტებით. მო-

დელში ნავარაუდებია, რომ საწარმოები აწარმოებენ, როგორც პროდუქციას, რომლსაც აქვს მასშტაბის მუდმივი ეფექტი, ისე პროდუქციას, რომელსაც აქვს მასშტაბის მზარდი ეფექტი. მასშტაბის მუდმივი ეფექტის მქონე პროდუქციის წარმოების პროცესში ჩართული იყო, როგორც კვალიფიციური სამუშაო ძალის მიერ დამზადებული შუალედური პროდუქტი (რომელიც იწარმოებოდა საბაზისო ქვეყანაში), ასევე არაკვალიფიციური სამუშაო ძალის მიერ დამზადებული შუალედური პროდუქტი. ამ მოდელის თანახმად მრავალეროვნული კორპორაციების გადაწყვეტილება ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თაობაზე მიიღებოდა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯი, ბაზრის მოცულობა (ტევადობა) და უცხო ბაზარზე საწარმოო ფაქტორების სიჭარბის არსებობა. საბოლოო პროდუქციაზე ტრნასპორტირების მაღალი გადასახადი უარყოფითად მოქმედებდა ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებაზე იმ საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც წარმოების პროცესში იყენებდნენ შუალედურ პროდუქტებს. ასეთი ვითარება წარმოიქმნებოდა, ვინაიდან მათ უწევდათ ორმაგი გადასახადი: პირველად, როდესაც შუალედური პროდუქტები შეჰქონდათ უცხო ქვეყანაში და მეორედ, როდესაც საბოლოო პროდუქცია გამოჰქონდათ და შეჰქონდათ თავიანთ ქვეყანაში. საერთო ჯამში, ბაზრის დიდი მოცულობა, და/ან ჭარბი წარმოების ფაქტორების არსებობა ბაზარზე დადებითად მოქმედებს ვერტიკალურ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების განხორციელებაზე.**(6)**

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მრავალეროვნული კორპორაციები ამჯობინებენ ჰორიზონტალური პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების განხორციელებას მაშინ, როდესაც მათ სურთ თავიანთი წარმოების გადატანა მომხმარებლებთან (გასაღების ბაზრებთან) ახლოს, რომ ამით შეამცირონ სავაჭრო ხარჯები. ამავე დროს განმსაზღვრელ ფაქტორებს შეიძლება წარმოადგენდეს: მსგავსება ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებს შორის, ასევე მსგავსება საწარმოო ფაქტორებით უზრუნველყოფაში

და/ან მაღალი ტრანსპორტირების ხარჯები. მრავალეროვნული კორპორაციები არჩევენ ვერტიკალურ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებას, როდესაც, მაგალითად, მათ სურთ გადაიტანონ არაკვალიფიცირებული სამუშაო ძალის მიერ განხორციელებული წარმოების პროცესი, ისეთ ქვეყნებში, სადაც არის შედარებით ჭარბი არაკვალიფიციური მუშახელი. ასეთი ინვესტირების გამსაზღვრელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს განსხვავება საწარმოო ფაქტორების განვითარების დონეებს შორის.

„ცოდნა-კაპიტალის" მოდელი. ჰორიზონტალური და ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი მოდელები გააერთიანეს მარკუსენმა და სხვებმა (1996) და შექმნეს ცოდნა-კაპიტალის მოდელი, რომელიც განიხილავდა რამდენიმე საწარმოსა და სათაო ოფისის ფუნქციონირებას სხვადასხვა ქვეყნებში. მათ შეიმუშავეს 2× 2 × 2 მოდელი, სადაც ერთ საქონელს ჰქონდა მასშტაბის მუდმივი ეფექტის წარმოების ფუნქცია, ხოლო მეორეს საწარმოსა და კორპორაციის დონეზე მასშტაბის ეკონომია. მოდელი განიხილავდა განსხვავებული სიდიდის სახელმწიფოებს, მაღალი და დაბალი ტრანსპორტირების ხარჯებით; დამატებით მოდელში დაწესებული იყო შეზღუდვები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. მოდელის თანახმად, შესაძლებელი იყო უცხოურ საწარმოთა არსებობა რომელიმე ქვეყანაში, მხოლოდ, აუცილებლობას წარმოადგენდა ადგილობრივ საწარმოთა ყოფნა ორივე ქვეყანაში (სადაც სავაჭრო ხარჯები იყო მაღალი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეზღუდული). ვაჭრობის ლიბერალიზაციის შემდეგ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვლავ აკრძალული იყო. მოდელი არ გვაძლევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ შედეგებს, რადგან: ადგილობრივი საწარმოები ისევ განაგრძობდნენ ფუნქციონირებას ორივე ეკონომიკაში; როდესაც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე შეზღუდვები მოიხსნა, უფრო მეტად ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელდა (მოდელში განხილული პარამეტრების გათვალისწინებით); ხოლო როდესაც ორივე შეზღუდვა (ვაჭრობისა

და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების), მოიხსნა მოხდა ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებაც (ქვეყნაში ჭარბი საწარმოო ფაქტორების არსებობიდან გამომდინარე). **(7)**

აღნიშნული მოდელის გაერთიანებით ტრანსნაციონალიზაციის თეორიასთან მარკუსენმა (2002) წარმოადგინა ახალი მოდელი, რომლის თანახმადაც მრავალეროვნულ კორპორაციებს ექსპორტირებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების გარდა შეეძლოთ საზღვარგარეთულ ბაზარზე მესამე გზითაც შეღწევა. კონკრეტულად, ეს ხდებოდა ლიცენზირებით, როდესაც საწარმო ადგილობრივ მწარმოებელთან აფორმებდა ხელშეკრულებას და მისი დახმარებით იკავებდა უცხოურ ბაზარს. ამ მოდელის თანახმად მრავალეროვნული კორპორაციები ამჯობინებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, მაშინ როდესაც უცხო ბაზარს აქვს დიდი ტევადობა და/ან როდესაც ბაზარზე დაბალი და მაღალი ხარისხის პროდუქტები ერთმანეთის ცუდი შემცვლელები არიან. ამავე დროს მრავალეროვნული კორპორაციები არჩევენ ლიცენზირებას, როდესაც უცხო ბაზრის ტევადობა არის მცირე და/ან როდესაც ბაზარზე მაღალი და დაბალი ხარისხის პროდუქტები ერთმანეთის კარგი შემცვლელები არიან. რაც შეეხება ეთიერისა და მარკუსენის (1996) და მარკუსენის (2001) მოდელებს, მათ გამოიკვლიეს არა პროდუქციის ბაზარი, არამედ წარმოების პროცესი, როდესაც სწავლობდნენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ლიცენზირებას შორის მრავალეროვნული კორპორაციების გადაწყვეტილებებს. ავტორთა აზრით, ლიცენზირების დროს ადგილობრივმა კონტრაქტორმა შეიძლება გაითავისოს წარმოების პროცესი და დამოუკიდებლად დაიწყოს წარმოება. ამგვარ შემთხვევებში და კონკრეტულად, როდესაც ეკონომიკური აგენტების კვალიფიკაციის დონე მაღალია, ინვესტორი საწარმოები ლიცენზირების ნაცვლად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებას ამჯობინებენ. ამგვარი ქცევის მიზანია საკუთარ უპირატესობათა დაცვა ადგილობრი მწარმოებლებთან მიმართებაში.(8)

ცოდნა-კაპიტალის მოდელზე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მკვლევართა აზრი იყოფა რამდენიმე მიმართულებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლისას, ზოგიერთი მეცნიერი უპირატესობას ანიჭებს ჰორიზონტალურ მოდელს, ზოგიერთი ვერტიკალურს და არიან ისეთებიც, რომლებიც ცოდნა-კაპიტალის მოდელს უჭერენ მხარს. ჰანსონი და სხვების (2001) აზრით ვერტიკალური პირაპირი უცხოური ინვესტიციები რეალურ პრაკქიტაკში უფრო ხშირი შემთხვევაა, ვიდრე ამას თეორია განმარტავს. მათი მტკიცებით, მრავალეროვნული კორპორაციების არჩევანი არ დგას მხლოლოდ ექსპორტსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიცებს შორის, ვინაიდან ეს ორი არჩევანი ყოველთვის არ არის ერთმანეთის შემცვლელი ცნებები. უფრო კონკრეტულად, ავტორებმა წამოაყენეს მოსაზრება, რომ მრავალეროვნული კორპორაციების არჩევანი ასევე დამოკიდებულია მათ კონკრეტულ მიზნებზე, ანუ რაზე არიან ისინი ორიენტირებულნი: 1) წარმოებაზე, თუ 2) გასაღებაზე. ასეთი განმარტებით, გასაღებაზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შეიძლება ჩაითვალოს, როგორც უცხოურ ბაზარზე შექმნილი „საექსპორტო პლატფორმა".(10)

რისკის დივერსიფიკაციის თეორია. გარდა ვერტიკალური და ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა, რომლებიც კარგად არის ახსნილი საოპერაციო ხარჯებისა და ცოდნა-კაპიტალის მოდელებით, მკვლევარები განიხილავენ, კიდევ ერთ თეორიას, რისკის დივერსიფიკაციის თეორიას, რაც გულისხმობს პირდაპირ უცხოური ინვესტიციებს იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას „საქმიანობის რისკის" დივერსიფიკაცია. სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილავენ რისკის „ორმაგ დივერსიფიკაციასაც", რაც გულისხმობს სხვადასხვა საქონელის სხვადასხვა ქყვეყნებში წარმოებას (როგორც (1) პროდუქტის დივერსიფიკაცია და (2) ადგილმდებარეობის დივერსიფიკაცია). მოდელის თანახმად, მრავალეროვნულ კორპორაციებს სურთ რისკისგან თავის არიდება და ქმნიან საწარმოებს იმ ქვეყნებში, რომლებიც სხვადასხვა ეკონომიკური შოკების (როგორიცაა

რეცესიები და/ან მაკროეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება) დროს ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში არ არიან. ინვესტორები ასევე თავს იზღვევენ საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის ცვლილებისგან. მეცნიერ ქეივის (1996) თანახმად რისკის დივერსიფიკაციის მოდელით შეიძლება აიხსნას, როგორც ჰორიზონტალური ასევე ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც საერთაშორისო ბაზარზე, ისე ადგილობრივ ბაზარზეც.**(11)**

საერთო ჯამში, რისკის დივერსიფიკაციის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს: ბაზრის რისკს, სავალუტო კურსის რისკსა და საპროცენტო განაკვეთის რისკს, კვლევების მიხედვით დგინდება, რომ შესაძლებელია იყოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი რიგ ქვეყნებში.

სამთავრობო პოლიტიკის თეორია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასევე შეიძლება განხილულ იქნას ისეთ ჭრილში, სადაც კონკრეტული სახელმწიფო კონკურენციაშია სხვა სახელმწიფოებთან, რომ მიიქციოს მრავალეროვნული კორპორაციების ყურადღება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მრავალეროვნული კორპორაციების გადაწყვეტილება ინვესტირების სხვადასხვა საფეხურზე შეიძლება გამომდინარეობდეს კონკრეტული სახელმწიფოს პოლიტიკიდან და სტიმულებიდან. სახელმწიფო ხელისუფლებას შეუძლია გავლენა იქონიოს ეკონომიკურ აგენტთა გადაწყვეტილებაზე. მან შეიძლება განახორციელოს ინვესტირება ან ერთობლივი საწარმო დააარსოს ადგილობრივ მწარმოებელთან. მათ გადაწყვეტილებებზე ასევე გავლენას ახდენს მნიშვნელოვანი საკითხი: თუ რომელ გეოგრაფიულ რეგიონში განახორციელონ ინვესტიციები, ახალი საწარმო ააშენონ, თუ არსებული შეისყიდონ. კონკრეტული ფაქტორები, რითიც შესაძლებელია ხელისუფლებამ წაახალისოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მოიცავს: გადასახადებს, სუბსიდიებს, ფინანსურ გარიგებათა მხარდაჭერას, აგრეთვე, საექსპორტო და მოგების რეპატრიაციის პირობებს. ზემოთხსენებული ფაქტორები (განხილულ ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად), დღესაც

მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებებზე თუ სად განახორციელონ მათ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად, განასხვავებენ სამი მთავარი ტიპის საინვეტიციო სტიმულებს. ესენია: (1) ფისკალური სტიმულები, როგორიცაა ხელსაყრელი მოგების, აქციზის, იმპორტ-ექსპორტის გადასახადები და მისთ., (2) ფინანსური სტიმულები, რაც გულისხმობს სამთავრობო გრანტებს, სამთვრობო კრედიტებს, სუბსიდიებს, მთავრობის მონაწილეობას სააქციო კაპიტალში, სამთავრობო დაზღვევას შეღავათიანი ტარიფით; და (3) სხვა სტიმულები, რაც ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საშეღავათო რეჟიმს გაცვლით კურსთან მიმართებაში, ასევე სხვადასხვა ხელშემწყობ სერვისებს უცხოელი ინვესტორების საკეთილდღეოდ.

დასკვნა

საერთო ჯამში, სამთავრობო პოლიტიკის თეორიით მოცმულ ფაქტორებს, როგორიცაა კორპორაციული გადასახადი, საგადასახადო შეღავათები, ტარიფები და სხვა ფისკალური თუ ფინანსური სტიმულები, კვლევების თანახმად, რიგ შემთხვევებში გააჩნიათ მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ძალა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთის მოზიდვისას. შესაბამისად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც უცხოური ინვესტორების თვალში ერთ-ერთ საყურადღებო განმსაზღვრელ ფაქტორად.

ზოგადად, არსებული სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, რომ საგადასახადო პოლიტიკა უფრო ნაკლებად ხსნის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ვიდრე დანარჩენი ფაქტორები, როგორიცაა ბაზრის მოცულობა, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, ძირითადი ინფრასტრუქტურა, პოლიტიკური სტაბილურობა თუ საწარმოო ხარჯები. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფისკალური სტიმულები სხვა ფაქტორებთან ერთად კვლევის პროცესში უფრო მეტად ავლენენ მოდელის არსს. ისინი უფრო აძლიერებენ და მატებენ მოდელს განმარტებით ძალას (ვიდრე ანაცვლებენ სხვა ფაქტორებს).

მხოლოდ საგადასახადო პოლიტიკას არ შესწევს ძალა დამოუკიდებლად გააბათილოს ან გაანეიტრალოს საინვესტიციო გარემოს არასახარბიელო (შემზღუდავი) ნეგატირული მახასიათებლები, თუმცა მას შეუძლია სხვა ხელსაყრელი ფაქტორების არსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Agarwal, J.P. (1980) Determinants of foreign direct investment: a survey. Weltwirtschaftliches Archiv 106: 739–773;

2. Caves, R.E. (1996) Multinational Enterprise and Economic Analysis. Cambridge: Cambridge University Press;

3. Dunning, J.H. (1979) Explaining changing pattern of international production: in defence of eclectic theory. Oxford Bulletin of Economics and Statistics 41: 269–296;

4. Ethier, W. and Markusen, J.R. (1996) Multinational firms, technology diffusion and trade. Journal of International Economics 41: 1–28;

5. Faeth I. (2009) Determinants Of Foreign Direct Investment – A Tale Of Nine Theoretical Models. Journal of Economic Surveys (2009) Vol. 23, No. 1, pp. 165–196;

6. Hanson, G.H., Mataloni, R.J. and Slaughter, M.J. (2001) Expansion strategies of U.S. multinational firms. NBER Working Paper 8433. Cambridge, MA: National Bureau of Economic Research;

7. Hymer, S.H. (1976) The International Operations of National Firms: A Study of Direct Investment. Cambridge, MA: MIT Press;

8. Kindleberger, C.P. (1969) American Business Abroad: Six Lectures on Foreign Direct Investment. New Haven, CT: Yale University Press;

9. Markusen, J.R. (2001) Contracts, intellectual property rights, and multinational investment in developing countries. Journal of International Economics 53: 189–204;

10. Markusen, J.R. (2002) Multinational Firms and the Theory of International Trade. Cambridge, MA: MIT Press. Markusen, J.R. and

Venables, A.J. (1998) Multinational firms and the new trade theory. Journal of International Economics 46: 183–203;

11. Markusen, J.R., Venables, A.J., Konan, D.E. and Zhang, K.H. (1996) A unified treatment of horizontal direct investment, vertical direct investment, and the pattern of trade in goods and services. NBER Working Paper 5696. Cambridge, MA: National Bureau of Economic Research.

THE THEORETICAL ASPECTS OF FOREIGN DIRECT INVESTMENT

Aleqsandre Vacharadze
Phd Student, TSU

RESUME

The study presents an analysis of the known theories of foreign direct investment. The well-known studies of foreign scholars on the motivations of foreign direct investment and their assessments are discussed and characterized. The discussed and well-known foreign researchers are concerned about the motivation of foreign direct investment and their evaluation.

The following theories are considered: the neoclassical theory of trade belonging to Heckscher-Ollen (theory of the ratio of factors); Theory of the advantage of property; The theory of the advantage of location and transnationalization, as an eclectic paradigm, the "knowledge-capital" model and the theory of diversifying the risk of foreign direct investment.

The article examines the opinions of researchers who explain the vertical and horizontal foreign direct investment by operating costs and models of "knowledge and capital." The paper considers the views of researchers on the theory of risk diversification, which involves direct investment in order to achieve diversification of the "activity risk".

Key words: foreign direct investment, theories: the ratio of factors, the advantage of location and transnationalization, "knowledge-capital", diversifying the risk of foreign direct investment.

ქვეყნის სატრანზიტო თავისებურებანი - პრობლემები და პერსპექტივები

ეკატერინა ზაქარაძე
სტუ დოქტორანტი
თამარ რევაზიშვილი
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სატრანზიტო პოლიტიკა, ზოგადად, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქვეყნის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და საერთაშირო ბაზრებთან ინტეგრაციის პროცესზე. საქართველოს სატრანზიტო პოტენციალზე საუბრის დროს აუცილებლად უნდა განვიხილოთ ის გეოპოლიტიკური ვითარება, რომელიც ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორია.

სატრანზიტო დერეფნის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მისი ძირითადი კომპონენტების იდენტიფიკაცია, სატრანსპორტო დერეფნის ინფრასტრუქტურის შემზღუდავი ფაქტორების გამოვლენა და დერეფნის სათანადოდ ფუნქციონირებისთვის ზემოთაღნიშნული ფაქტორების ურთიერთკავშირის კორდინირება.

საკვანძო სიტყვები: სატრანზიტო პოლიტიკა; სატრანზიტო დერეფანი; უცხოური ინვესტიციები; ლოგისტიკა; პოლიტიკური და ეკონოიკური სტაბილურობა; „ახალი აბრეშუმის გზა“.

ძირითადი ტექსტი

მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა ევროპულ სამეზობლო პოლიტიკას, ამ პროცესის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შემუშავება ერთგვარი პოლიტიკური საფუძველი გახდა თანამშრომლობის გაღრმავებისთვის პრაქტიკულად ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება თანამშრომლობის განვითარებამ და ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გააქტიურების აქტუალიზაციამ მიიქცია.

ჯერ კიდევ 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ევროპის სტრატეგიულ მიმართულებებში კასპიისპირეთის ენერგომატარებლები უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებდა. შესაბამისად, საქართველოს როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. თუმცა, სამხრეთ კავკასიაზე გამავალი „აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფანი“, რომელიც იმთავითვე ევროპაში კასპიისპირეთის ენერგორესურსების ექსპორტის ძრითად გამტარად მოიაზრებოდა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან პრაქტიკულად იგნორირებული იყო. აღნიშნული დერეფნის მშენებლობა მრავალმილიარდიან ინვესტიციებს და პოლიტიკურ მხარდაჭერას საჭიროებდა. პროექტი „ბაქო-სუფსის“, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენს, და „სამხრეთკავკასიურ გაზსადენს“ მოიცავდა. [1]

ნავთობზე მსოფლიო ფასების უპრეცედენტო ზრდამ, OPEC-ის ქვეყნებსა და რუსეთზე ევროპის ენერგეტიკული დამოკიდებულების ხარისხის შეუქცევადმა მატებამ, ევროპის ქვეყნების წინაშე მთელი სიცხადით დააყენა გრძელვადიანი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი.

ბოლო წლებში, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის საკითხის დღის წესრიგში დაყენებამ გამოიწვია ის, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრარეგია „საქართველო 2020“- ში მკაფიოდ გაწერილია ქვეყნის ძირითადი ინფრასტრუქტურული განვითარების სამოქმედო გეგმები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის სათანადო ინფრასტრუქტურა იმისათვის, რომ კონკურენცია გაუწიოს კერძო სექტორს, მაქსიმალურად ხორციელდება მრავალი კაპიტალური ხარჯის გაწევა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც მომავალში ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის და მდგრადი განვითრების წინაპირობას შექმნის.

ქვეყანას თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე რეგიონში მნიშვენლოვანი მოთამაშის როლის შესრულება შეუძლია ვაჭრობისა და საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვის თვალსაზრისით აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართუ-

ლებით. ეს უკანასკნელი, კი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშ-ვნელოვანი წყარო გახდება. [2]

ასევე, ქვეყნის ბაზრის სიმცირიდან გამომდინარე და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის თავლსაზრისით, რეგი-ონულ და საერთაშრისო ბიზნესში ჩრთულობის ზრდა კარგად განვითარებული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრა-სტურუქტურული პროექტების განხორციელების ერთ-ერთი გზაა. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი და მისი სამომავლო პერსპექტივე-ბი უფრო და უფრო დიდი იმედებს იძლეოდა, დღისთვის, ქვე-ყნის პოტენცილის დიდი ნაწილი კვლავ აუთვისებელია. სხვა დანარჩენ ალტერნატიულ გზებთან შედარებით, გზა აზიიდან ევროპამდე და უკუმიმართულებით გაცილებით მოკლეა, თუ-მცა ტვირთების გადაზიდვა მაინც მცირე რაოდენობით ხდება. მიუხედავად საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურებში გა-ნხორცილებული ინვესტივიებისა, დღესდღეობით, არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არაკონკურენტულია, რა-დგან მისი გამტარუნარიანობა ვერ უზრუნველყოფს გაზრდილი ტვირთების მომსახურებას. [3]

ასევე, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ლოგისტიკური მომ-სახურების და გადაზიდვების ფასი არაკონკურენტუნარიანია. ქვეყანაში არ არის თამანედროვე მოთხოევნების შესაბამისი ლოგისტიკური ცენტრები, რომლებიც შესაძლებლობას მისცე-მდა ქვეყანას მაქსიმალურად გამოეყენებინა თავისი სატრანზი-ტო და სავაჭრო პოტენციალი. LPI (Logistics Performance Index) მიხედვით, 2012 წელს საქართველო 155 ქვეყანას შორის 77-ე ადგილზე იყო. ხოლო გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2016 წლის ინდექსის მიხედვით, საერთაშორისო დისტრუ-ბუციის კონტროლის კომპონენტში საქართველო 103 ადგილ-ზეა.

სატრანზიტო გადაზიდვების მაგისტრალის ტრანსკავკასი-ური არეალის მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართვე-ლოზე გამავალი ტვირთების უდიდესი ნაწილი მის სამხრეთელ მეზობლებს ეკუთვნის. საქართველოზე მოდის დაახლოებით -

13% გადაზიდული ტვირთებისა; აზერბაიჯანზე - 74%; სომხეთზე - 9 %-ზე მეტი; თურქმენეთსა და უზბეკეთზე - 1.5 – 1.5 %. [4]

მოგეხსენებათ, ავროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანი ახალი დერეფანია სხვა ალტერნატივებთან შედარებით და ამიტომაც, ტვირთების გატარების უფრო ნაკლები ისტორია და გამოცდილება აქვს. აქედან გამომდინარე, კონკურენციაც საკმაოდ მაღალია და ძირითადი დამაკავშირებელი მაგისტრალები, ისეთი როგორიცაა რუსეთზე და ყაზახეთზე გამავალი სატრანზიტო დერეფნები, ასევე თურქეთისა და ცენტრალური აზიის მაგისტალი, სრულ მზადყოფნაშია და ტვირთნაკადების მოზიდვა ქართულ მხარეს, რთულ და ხშირ შემთხვევაში უკოკნურენტო პირობებში უხდება.

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო მაგისტრალის ხარიხს რამოდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. ესენია:

- სატრანზიტო ინფრასტრუქტურის ხარისხი:
  - ➢ მოძველებული სატრანზიტო ინფრასტრუქტურა;
  - ➢ გამტარუნარიანობის დაბალი მაჩვენებელი;
  - ➢ ამორტიზირებული ინფრასტრუქტურა;
  - ➢ უსაფრთხოების დაბალი დონე;
  - ➢ სატარიფო პოლიტიკის არამდგრადი სახე.
- სატრანზიტო ბაზრის მზარდი განვითარების დონე;
- ქვეყნის სატრანზიტო პოლიტიკის სტაბილურობა.

დღეისათვის, რთული სათქმელია, თუ რა ფაქტორებია ხელშემწყობი საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის ასამაღლებლად, რადგან, მოგეხსენებათ, აღნიშნული მხოლოდ ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებზე არ არის დამოკიდებული. თუმცა, საერთაშორისო, უკვე აპრობირებული პრაქტიკის გამოყენებით შიძლება ითქვას, რომ:

- ქვეყნის სატრანზიტო ფინქციის გაძლიერება სატრანზიტო ინფრასტრუქტის სრულყოფით მიიღწევა;
- კონკურენტუნარიანობის ამაღლების მექანიზმების დანერგვა;
- მოქმედი და მშენებარე სარკინიგზო მაგისტრალების დრო-

ული რეაბილიტაცია. მაგ: „ყარსი-ახალქალაქის“ სარკინიგზო ხაზი, რომელიც ქვეყანაზე ჩინური, ყაზახური და აზერბაიჯანული ტვირთების გატარებას უზრუნველყოფს;

• ერთიანი სატრანზიტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

• ევროპის საერთო სატრასპორტო სტრატეგიის იმპლემენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორცილების გარეშე, რთული წარმოსადგენია სატრანსზიტო კორიდორის სრული დატვირთვით ამუშვება და კონკურენტუნარიანი ბაზრის შემნა. ეჭვგარეშეა, რომ ამ ყველაფერს მხოლოდ ქართული მხარე ვერ უზრუნველყოფს და ამისათვის ევროკავშირისა და იმ დონორი ორგანიზაციების მობილიზებაა საჭირო, რომლებიც ურთიერთშეთანხმებით, კოორდინირებულად შეძლებენ ინფრასტრუქტურული, ტექნიკური და საინვესტიციო პროექტების განხორციელებას. [5]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გეგეშიძე, ა., საქართველოს სატრანზიტო როლის განვითარების ხელშეწყობა რეგიონალური ინტეგრაციის გათვალისწინებით. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.

2. “ენერგოტრანზიტისა და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში - გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის“. Heinrich Boll Stiftung. South Caucasus.

3. Majer, M., Centre for European and North Atlantic Affairs. “Security Sector Reform in Countries of Visegrad and Southern Caucasus: Challenges and Opportunities”. 2013. Rratislava

4. გოჩავა, დ., ლოგისტიკური სისტემების ეფექტიანობა და საქართველო. 2015 წ.თბილისი.

5. აფხაზავა, თ., ევროპა-აზიის სატრასნპორტო სივრცე და მულტიმოდალური გადაზიდვები. გამომცემლობა „უნივერსალი“. 2013 წ. თბილისი.

REFERENCES:

1.Gegeshidze A. Promoting development of Georgia's transit role in the field of regional integration. National Library of Georgia. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.

2. "The asymmetry and energy asymmetry in the South Caucasus - the way between Russia and the EU". Heinrich Boll Stiftung. South Caucasus.

3. Majer M. Center for European and North Atlantic Affairs. "Security Sector Reform in Countries of Visegrad and Southern Caucasus: Challenges and Opportunities". Rratislava: 2013.

4. Gochava D. Logistic Systems Effectiveness and Georgia. Tbilisi: 2015.

5. Abkhazava T. Europe-Asian transport space and multi-modal transportation. Tbilisi: "Universal", 2013

THE TRANSIT PECULIARITIES OF A COUNTRY - PROBLEMS AND PERSPECTIVES

Ekaterina Zakaradze - PhD Student of GTU
Tamar Revazishvili - Associate Professor of GTU

RESUME

The transit policy generally affects the country's foreign and domestic policy, economic development and integration with the international markets. When discussing Georgia's transit potential, it is necessary to consider the geopolitical situation that is one of the most important factors in the development of transit function of the country.

For the functioning of the traffic corridor it is necessary to identify the two main components of the transport corridor: the limiting factors of the transport corridor infrastructure and the transit function for the proper functioning of the corridor. On the basis of interconnecting and coordination of these two factors, additional cargoes are sought and attracted.

Keywords: Transit policy; Transit corridor; Foreign investments; Logistics; Political and economic stability; "New Silk Road"; International economic markets; Directives for the EU membership.

ადამიანური კაპიტალის მართვის ორგანიზაცია და კადრების დენადობის განსაზღვრა

ლელა ბიჭიაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სეუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

დღევანდელი ბიზნესის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ადამიანური კაპიტალი. კადრების მართვა თანამედროვე კომპანიების საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი და ამასთან, უაღრესად საინტერესო სფეროა. ამიტომ თანამედროვე კომპანიები წარმოების ამ უმნიშვნელოვანეს სფეროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. კადრების ცვლილება ერთი შეხედვით ბუნებრივი პროცესია, თუმცა თუ მას ინტენსიური ხასიათი მიეცა, კადრების დენადობა შეიძლება დიდ პრობლეად იქცეს ორგანიზაციისთვის. დღევანდელ სამუშაო ბაზარზე, სადაც უამრავი სამუშაოს მაძიებელია, კომპანიებს უჭირთ სათანადო კადრების მოძიება, რაზეც მათ დიდი დროითი თუ ფულადი რესურსი სჭირდებათ. თუმცა, დანახარჯები გაცილებით დიდია, როდესაც დაქირავებული თანამშრომლები მხოლოდ დროის მცირედი პერიოდით რჩებიან ორგანიზაციაში და მალევე ტოვებენ მას. შესაბამისად, ყველაზე მეტად წარმატებულნი არიან ორგანიზაციები, რომლებიც გრძნობენ საკუთარ მისიას, პატივს სცემენ საკუთარ თანამშრომლებს და დებენ საკუთარ დროს, ენერგიასა და ფულს სასიამოვნო და მაღალპროფესიონალური გარემო-პირობების შექმნაში.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, ადამიანური კაპიტალი, კადრების დენადობა, ფულადი რესურსები, დანახარჯები, ბაზარი, კადრების მართვა, კომპანია, წარმატება.

ძირითადი ტექსტი

როდესაც განვიხილავთ სამუშაო ძალის დენადობას, მიზანშეწონილია „კადრების მოძრაობის" განსაზღვრებით დავიწყოთ.

კადრების დენადობის ქვეშ, როგორც ყოველთვის, ნაგულისხმევი იყო მოვლენა, რომელიც უშუალო დანაკარგის მიზეზად ითვლებოდა, კერძოდ კი, სამუშაო ძალის სტიქიური დ არაორგანიზებული გადაადგილება.

დღესდღეობით კადრების დენადობის საკითხი-ერთ-ერთი იმ მნიშვნელოვანი პრობლემათაგანია, რომელსაც აწყდებიან თანამედროვე კომპანიები. თუმცა უნდა განვსაზღვროთ კადრების დენადობის ბუნებრივი დონეც, რომელიც გულისხმობს 3-5 %-ს, და საწარმოო კოლექტივების განახლების პროცესს ესადაგება.ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს და არ საჭიროებს კადრების პერსონალისა და ხელმძღვანელობის მხრიდან განსაკუთრებული ზომების მიღებას. მომუშავეთა გარკვეული ნაწილი გადის პენსიაზე, ზოგი ტოვებს სამუშაოს სხვადასხვა მიზეზით, მათ ადგილს იკავებენ ახალი თანამშრომლები -- და ასეთ რეჟიმში ცხოვრობს ყოველი კომპანია.

სხვა ამბავია, როდესაც კადრების დენადობა მნიშვნელოვნად აღემატება 3-5%-ს. ამ შემთხვევაში დანაკარგი მნიშვნელოვანი ხდება და სულ უფრო მატულობს კადრების გადინების ზრდასთან ერთად. როგორც წესი, კადრების გადინება დაკავშირებულია მომუშავეთა განთავისუფლებასთან. ბოლო პერიოდის განმავლობაში, ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, სულ უფრო მწვავედ დგას მომუშავეთა მასობრივი განთავისუფლების პრობლემა. ასეთი გაუთვალისწინებელი შემცირებებისა და შემდგომში , ახალი კადრებით არაორგანიზებული დაკომპლექტების შედეგად, ხდება ჩამოყალიბებული კოლექტივების ნგრევა.

ფირმებში და კომპანიებში არც თუ იშვიათად ყოფილა შემთხვევა, როდესაც მომუშავეთა მთელი განყოფილებები დაცლილა და ამის შედეგად ცალკეული უბნები და ზოგჯერ მთლიანი წარმოებებიც კი პრაქტიკულად პარალიზებული ყოფილა. ხოლო ახალი თანამშრომლების თავმოყრას, მათ ურთიერთ შეთვისებას და კოლექტივად ჩამოყალიბებას გარკვეული დრო სჭირდება, რასაც, ბუნებრივია, ახლავს დანაკარგები, რომლებიც არა მარტო ახალი თანამშრომლების საქმიანი ადაპტირე-

ბის დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

კადრების მაღალი დენადობა , თითქმის ყოველთვის პერსონალის მართვისა და მთლიანად საწარმოს მართვის სერიოზულ ნაკლოვანებაზე მიუთითებს. ეს თავისთავად წარუმატებლობის ინდიკატორადაც შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში მაღალი დენადობა შესაძლოა წარმოების სპეციფიკაზეც იყოს დამოკიდებული (მაგალითად, სეზონური სამუშაოების გაზრდილი მოცილობა).

ქვემოთ წაემოდგენილი მეთოდიკა გვთავაზობს, მოწესრიგებულ, ეტაპობრივ მოქმედებას, რომელთა შესრულებაც უნდა განახორციელოს უშუალოდ საწარმოს კადრების განყოფილებამ და ხელმძღვანელობამ. პერსონალის მართვის საერთო ჩარჩოებიდან გამომდინარე, მათ შორის კადრების დენადობის საკითხიც, შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი თანმიმდევრული სტადიების განხორციელებით:

ეტაპი 1. კადრების დენადონის დონის განსაზღვრა;

ეტაპი 2. კადრების დენადობით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის განსაზღვრა

ეტაპი 3. კადრების დენადობის მიზეზის განსაზღვრა;

ეტაპი4. ღონისძიებათა სისტემის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება განთავისუფლებული სამუშაო ძალისა და შესაბამისი პროცესების ნორმალიზებისაკენ;

ეტაპი 5. შემუშავებული ღონისძიებების ეფექტურობის განსაზღვრა, განთავისუფლების პროცედურის სრულყოფა, კადრების დენადობის შემცირება.

დეტალურად განვიხილოთ თვითოეული ეტაპის შედგენილობა:

ეტაპი 1 .კადრების დენადონის დონის განსაზღვრა.ამ ეტაპზე საჭიროა მთავარ კითხვას გავცეთ პასუხი: არის თუ არა დენადობის დონე იმდენად მაღალი, რომ დაუსაბუთებელ ეკონომიკურ დანაკარგებამდე და საწარმოს მოგების მიუღებლობამდე მივყავართ? ზემოთ წარმოდგენილი 3-5 % იანი ზღვარი არ უნდა ჩაითვალოს სტანდარტულ ინდიკატორად, რადგან პროფესიული მობილობა კონკრეტულ საწარმოებში, გარკვეუ-

ლი ფაქტორების თავმოყრის ზემოქმედების საფუძველზე ფორმირდება-- დარგობრივი კუთვნილება, წარმოების ტექნოლოგია, სამუშაოთა მოცულობა, საწარმოო პროცესებში სეზონური ფაქტორების არსებობა(ან არარსებობა), ხელმძღვანელობის სტილი, კორპორაციული კულტურის დონე და პრინციპები. ამიტომ ინდიკატორული დონის განსაზღვრამდე, საჭიროა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (ბოლო ერთი წლის) საწარმოთა საქმიანი მაჩვენებლების დინამიკის ანალიზის ჩატარება და დენადობის სეზონური ცვლილებების სიდიდისა და არსებობის გამოვლენა.

ეტაპი 2. კადრების დენადობით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების დონის განსაზღვრა: ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავდროულად ძალზედ შრომატევადი ეტაპია, რადგან მისი განხორციელებისთვის საჭიროა სპეციალური მონაცემები. საჭიროა განისაზღვროს იმ დანაკარგების სიდიდე, რომლებიც ძირითადად შემდეგი მაჩვენებლების საფუძველზე ყალიბდება:

სამუშაო დროის დანაკარგი:

--- განთავისუფლებულ თანამშრომელსა და ახალი მომუშავის მიღებას შორის ინტერვალი, რომლის პერიოდშიც არ იქმნება პროდუქცია, თავისთავად სამუშაო დროის დანაკარგს წარმოადგენს;

განთავისუფლების შედეგად გამოწვეული დანაკარგები

--- განთავისუფლებულ მომუშავეებზე გაცემული თანხები. ეს თანხები იქნება განსხვავებული იძულებითა და საკუთარი სურვილით განთავისუფლებულ მუშაკებს შორის.

დანაკარგები, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო დავებთან, უკანონოდ განთავისუფლებული თანამშრომლების გამო. სამუშაო საათების იძულებითი გაცდენისა და მათი აღდგენის საკითხებთან დაკავშირებული თანხები.

ვაკანტურ თანამდებობებზე მომუშავეთა დაქირავების საკითხთან დაკავშირებული დანაკარგები

--- კანდიდატების მოძიებაზე გაწეული დანახარჯები(განცხადებები, რეკლამები მასობრივ საინფორმაციო საშუალე-

ბებში და სხვა);

--- კანდიდატთა შერჩევაზე გაწეული დანახარჯები (კადრების სამსახურის მიერ სამუშაო დროის დანაკარგი, რომელიც ახორციელებს კანდიდატთა შერჩევას--- ტესტირებას, გასაუბრებას, საბუთების განხილვას და სხვა, ასევე ფინანსური დანახარჯები იგივე პროცედურებზე);

ახალი მომუშავეების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები

გაწეული დანახარჯები, სტაბილური სამუშაო კოლექტივების ჩამოყალიბებაზე, ნორმალური სოციალურ- ფსიქოლოგიური კლიმატით. თანამედროვე პირობებში უკვე მრავალი კომპანია, კორპორატიული კულტურის, გუნდური მუშაობის პრინციპის ჩამოყალიბებისა და კოლექტივის გაერთიანების მიზნით, თავის თანამშრომლებს სთავაზობს სპოტრული დარბაზების მომსახურებას, ერთობლივი დღესასწაულების ჩატარებას და ა.შ. სახსრები, რომლების ასეთ ღონისძიებებზეა გამოყოფილი, მოიაზრება ამ დანახარჯებში.

ეტაპი 3. კადრების დენადობის მიზეზთა დადგენა.კადრების დენადობის მაღალი დონე შეიძლაბა გამოწვეული იყოს უშუალოდ საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე არასრულყოფილი მმართველობითი ფუნქციების განხორციელებით. პირველი შემთხვევა შეიძლება არ განვიხილოთ როგორც პრობლემა. მეორე შემთხვევა კი ქმნის სერიოზულ წინააღმდეგობას, რადგან მმართველობითი ფუნქციების განხორციელების დაბალი დონე ქმნის სერიოზულ პრობლემებს და საჭიროებს მიზეზთა დროულ გამოვლენას. საწარმოებიდან მომუშავეთა განთავისუფლება შეიძლება ორ ასპექტში განვსაზღვროთ. პირველ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ კანონმდებლოლობაზე დაფუძნებული (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა) შეკვეცები. საწარმოთა საკადრო სტატისტიკა, განთავისუფლებებთან დაკავშირებით, შემდეგის საფუძველზე ყალიბდება: საკუთარი სურვილით, სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით, დროებითი მომუშავეები, საპატიო მიზეზის გარეშე სამუშაოს გაცდენა და ზოგიერთი სხვა. ამიტომ გამოკვლევის ჩარატების

ერთ-ერთ საშუალებას წაერმოადგენს საწარმოთა საკადრო სტატისტიკის ანალიზის ჩატარება. მეორე ასპექტი დაფუძნებულია რეალურ მიზეზებზე, რომლებიც უბიძგებენ მომუშავეებს მიიღონ განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში სტატისტიკური კვლევის განხორციელაბა ნაწილობრივ გაგვცემს პასუხს კითხვაზე: ტარომ დატოვა მომუშავემ დაკავებული სამუშაო ადგილი. საკუთარი სურვილით განთავისუფლებას შეიძლება ჰქონდეს უამრავი მიზეზი:

-- შრომის ანაზღაურების დონით დაუკმაყოფილებლობა,

--- პირადი ხასიათის მიზეზები,

--- მძიმე და საშიში სამუშაო პირობები,

--- მიუღებელი სამუშაო რეჟიმი და სხვა.

არსებობს სტატისტიკური გამოკვლევები, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია დავადგინოთ „რა მიზეზით იცვლიდით სამუშაო ადგილს" (www.job-todey.ge)



ნახ. მარტივი გამოკვლევის მაგალითი მომუშავეთა განთავისუფლებასთან დაკავშირებით

ზემოთ მოყვანილი გრაფიკიდან გამომდინარე კატეგორია „ სხვა” -ზე მოდის 11 %, რაც შეადგენს („მოუხერხებელი სამუშაო გრაფიკის”-6% და „მოუხერხებელი ადგილმდებარეობის”- 5%) ჯამს. შესაძლოა სწორედ კატეგორია „სხვა”- ში იმალება დასმულ კითხვაზე პასუხი, ე.ი. საჭიროა მოტივების დამატებითი დეტალიზაცია.

თუ უფრო დეტალურად განვიხილავთ ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა: „პირადი ხასიათის მიზეზები” ან „მიუღებელი სამუშაო რეჟიმი”, და შემდეგ მიღებული შედეგების ანალიზს მოვახდენთ, შესაძლოა შევიმუშაოთ რეალური და საფუძვლიანი რეკომენდაციები, საწარმოთა საქმიანობის სრულყოფის მიზნით. მაგალითად, პირადი ხასიათის განთავისუფლებები შესაძლოა იყოს კონფლიქტების მიზეზი--„ ხელმძღვანელი-ხელქვეითი”, ამის შედეგად კი შეიძლება გამოვავლინოთ ხარვეზები საწარმოთა ორგანიზაციულ სტრუქტურაში, და მივიღოთ გადაწყვეტილება საინფორმაციო ნაკადებში ცვლილებების შეტანის შესახებ და ა.შ.

ეტაპი 4. იმ ღონისძიებათა სისტემის განსაზღვრა, რომელიც მიმართულია სამუშაო ძალის გამონთავისუფლების პროცესის ნორმალიზაციისაკენ, განთავისუფლების პროცედურათა სრულყოფისაკენ, მაღალი დონის დენადობის დაძლევისაკენ.

ამისათვის მიზანშეწონილია დავყოთ ღონისძიებები სამ ძირითად ნაწილად:

-- ტექნიკურ-ეკონომიკური (სამუშაო პირობების გაუმჯობესება, მატერიალური სტიმულირების სისტემის სრულყოფა, წარმოების ორგანიზაცია და მართვა და სხვა);

--- ორგანიზაციული (მომუშავეთა აყვანისა და განთავისუფლების პროცედურათა სრულყოფა, მომუშავეთა პროფესიული ზრდის უზრუმველყოფა და სხვა) ;

--- სოციალურ- ფსიქოლოგიური (ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა, ურთიერთდამოკიდებულებები კოლექტივში, მორალური წახალისების სისტემები და სხვა).

ასე, მაგალითად, თანამშრომელი, რომელიც განთავისუფლებას ექვემდებარება, შესაძლებელია უზრუნველვყოთ საინფორმაციო პაკეტებით, დოკუმენტებით, სათანადო კონსულტაციე-

ბით. შესაძლებელია წარუდგინოთ სარეკომენდაციო წერილები, შევასწავლოთ სამუშაო ადგილების ძიება, შევასწავლოთ საკადრო აგენტებთან მუშაობის პროცესი; გავუწიოთ კონსულტაცია შრომის ბირჟასთან დასაკავშირებლად, ინტერნეტში განაცხადის განთავსება კვალიფიკაციის მითითებით; ფირმათა ნუსხა, სადაც მოთხოვნაა შესაბამის პერსონალზე. ეს ყოველივე საშუალებას მოგვცემს:

- შევამციროთ განთავისუფლებულთა პრეტენზიები, მათ შირის, სასამართლო დავების რაოდენობა;
- შევინარჩუნოთ კომპანიის დადებითი იმიჯი;
- დავრჩეთ კარგ ურთიერთობებში შეკვეცილ თანამშრომლებთან და ა. შ.

ეტაპი 5. შემუშავებული მეთოდების ეფექტიანობის განსაზღვრა, განთავისუფლებათა ღონისძიებების სრულყოფა, დენადობის მაღალი დონის დაძლევა.

საბოლოო ჯამში, როდესაც შემუშავებული იქნება ზედმეტი დენადობის დაძლევის პტოგრამა, ხელმძღვანელობამ უნდა გააანალიზოს რამდენად უღირდა ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებზე შესაბამისი დანახარჯების გაწევა. და რასაკვირველია, უნდა განიხილოს ეს საკითხიც ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ბიზნეს-იდეის დაფინანსების შემთხვევა--თუ აღნშნულ პრობლემაზე გაწეული დანახარჯები აღემატება ეკონომიკურ ეფექტს, შესაძლოა პერსონალთან მუშაობის სხვა, უფრო „ მცირებიუჯეტიანი" ვარიანტების განხილვაც.

ლიტერატურა:

1. „მენეჯმენტის საფუძვლები"- შალვა მაჭავარიანი, გამომც. „ მეგობრობა", თბ. 2014

2. „საერთაშორისო მენეჯმენტი"- გელა გრიგალაშვილი, სეუ გამომც. , თბ. 2017

3. „მენეჯმენტის საფუძვლები"- მ. ხარხელი, გ. ქეშელაშვილი, გამომც. „ საჩინო", თბ. 2013

4. „მენეჯმენტის საფუძვლები"-გ.შუბლაძე, ბ.მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური, თბ 2012

5. „თანამედროვე ორგანიზაციების მართვა”- სინერჯი ჯგ. გამომცემლობა, 2012

6. „ტრადიციული და თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვა”- ზინა შატიკიშვილი, სოფო იარაჯული, მარი ზარიძე, თბ. 2014

7. „მენეჯერის ბრძოლა წარმატებისთვის”- სინერჯი ჯგ. თბ.2012

8. Small Business Management, Launching & Growing Entrepreneurial Ventures, Justin G. Longenecker, J. William Petty, Leslie E. Palich, Carlos W. Moore, 15e, 2009

9.International pablik Relations Association . http://www.ipra.org.,

10. European Pablik Relation ConfedereiSen *CERP., http://www.praime-europe.org

11.Institute for Pablik Relations., http://www.instituteforpr.com

12. http://www.geomarketing.ge/ terminology.htnl

13. http://www.inews.internet.ge

14. www.businessweek.com

REFERENCES:

1.Management basics-Shalva Machavariani,publishing house,;megobroba;tb 2014

2.International management-Gela Grigalashvili,SEU,Pablishing house,tb 2017

3.Management basics-M.Kharkheli,G.Keshelashvili,publishing house,’Sachino’,tb.2013

4.Management basics-G.Shubladze,B.Mgebrishvili,F.Tsotskolauri, tb.2012

5.Management of modern organizations-Synergi group,publishing house-2012

6.Management of traditional and modern people resources-Zina Shatikishvili,Sophie Iarajuli,Mari Zaridze,tb.2014

7.Management of the struggle for success-Synerji group,tb.2012

8. Small Business Management, Launching & Growing Entrepreneurial Ventures, Justin G. Longenecker, J. William Petty, Leslie E. Pa-

lich, Carlos W. Moore, 15e, 2009

9.International pablik Relations Association . http://www.ipra.org.,

10. European Pablik Relation ConfedereiSen *CERP., http://www.praime-europe.org

11.Institute for Pablik Relations., http://www.instituteforpr.com

12. http://www.geomarketing.ge/ terminology.htnl

13. http://www.inews.internet.ge

14. www.businessweek.com

HUMAN CAPITAL MANAGEMENT AND DETERMINING THE STRENGTH OF THE STAFF

Iela Bichiashvili,

Ac. Doctor of Economics, Associate Professor of SEU

RESUME

The most important part of the nowadays business is human capital. Also the notable and the really interesting subject, in these companies activities, is how to manage the staff.

Therefore the modern companies devote the big part of their time and attention to that factor of production.

At the first sight personnel alterations is a natural process; however, if it is of the intensive nature, personnel turnover may become a serious problem for an organization. At the present labor market where very many job seekers are proper staff employment constitutes a problem for companies as it takes much time and large monetary resources. However, expenditures are much larger when employed staff members work in a company for a short term and quit soon. Therefore, the most successful are the organizations which feel their mission, respect their employees, expend their time and energy and spend their money to create a pleasant and highly professional environment and conditions.

Key words: Business, human capital, manage the staff, companies, monetary resources, expenditures, staff members work, market, activities, personnel turnover.

მუნიციპალური საბიუჯეტო პოლიტიკის პრობლემები საქართველოში

ნატო ქათამაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

მიუხედავად ქვეყანაში გატარებული არაერთი რეფორმისა, ცენტრსა და რეგიონს შორის ჩამოყალიბებული საბიუჯეტო ურთიერთობების შესწავლა შემოსავლების მიღებისა და განაწილების კუთხით, კვლავ აქტუალურია მუნიციპალიტეტებისათვის. აუცილებელი გახდა, იმ პრობლემების გამოკვეთა და მეცნიერული შესწავლა, რომელიც მწვავედ დგას ადგილობრივი თვითმმართველობების რეალობაში, აფერხებს მუნიციპალიტეტების ფინანსურ დამოუკიდებლობას და ხელს უშლის მათი საფინანსო ბაზის, ბიუჯეტის, სტაბილურ განვითარებას. ეფექტური თვითმმართველობის განხორციელებისათვის აუცილებელია შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმალური დაბალანსება.

სტატიის მთავარი მიზანია, საბიუჯეტო ურთიერთობებში არსებული ხარვეზების გამოვლენა, მათი სრულყოფის აუცილებლობის დასაბუთება და შესაბამისი წინადადებებისა და რეკონემდაციების შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: საბიუჯეტო პოლიტიკა, შემოსავლები, საბიუჯეტო ფედერალიზმი, მუნიციპალური ბიუჯეტის პრობლემები, სახელმწიფო შესყიდვები.

შესავალი

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში, ეფექტური საჯარო მმართველობა წარმოუდგენელია სისტემურად ჩამოყალიბებული ადგილობრივი თვითმმართველობების გარეშე.

საქართველო, როგორც ქვეყანა, თავისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე ერთმანეთისაგან განსხვავებული პრობლემების წინაშე იდგა. ყველა ცდილობდა, შეეცვალა მიდგომები, ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული საბიუჯეტო ანგარიშვალდებულების კუთხით, გაეუმჯობესებინა მუნიციპალური საბიუჯეტო პოლიტიკა, მაგრამ მიუხედავად მცირე, ლოკალური წარმატებებისა, დიდად მაინც ვერ ახდენდა გავლენას დაებალანსებინა ორი დონის ბიუჯეტებს შორის არსებული ურთიერთობები. რის გამოც საჭირო ხდებოდა, ახალი რეფორმების განხორციელება და იმ დროისათვის არსებული საბიუჯეტო პოლიტიკის ახლებური ფორმირება.

საბაზრო ეკონომიკის ახალ პრინციპებზე გადასვლის პროცესი, ნებიესმიერი სახელმწიფოსათვის ძალზედ მგრძნობიარე და მტკივნეული პროცესია. ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული საბიუჯეტო ურთიერთობები, იქ არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზების ძიება, ბოლო ორი ათეული წელია უფრო და უფრო მეტ აქტუალობას იძენს. ხშირია კამათი და აზრთა სხვადასხვაობა, როგორც პრობლემების გამოკვეთის, ისე მისი მოგვარების ეფექტური გზების გამოვლენის მიზნით.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ფორმირების კონცეპტუალური ეკონომიკური და იურიდიული საფუძვლები 1997 წელს ჩამოყალიბდა, როცა მიღებულ იქნა ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ". ამის შემდეგ დამტკიცდა და ორგანულ კანონს დაემატა ადგილობრივ გადასახადებთან და მოსაკრებლებთან, საბიუჯეტო პროცესთან, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული კიდევ რამდენიმე კანონი. კერძოდ ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი იყო "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" კანონის მიღება, რომელიც მიუხედავად არაერთი ცვლილებისა კვლავ დახვეწას საჭიროებს.

ქვეყნის საბიუჯეტო მოწყობაში სერიოზულ პრობლემას

წარმოადგენს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილების წესი. არსებული სტატისტიკით საბიუჯეტო შემოსავლების უდიდესი ნაწილი მიიმართება ცენრალურ ბიუჯეტში, ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების დაახლოებით 50-70% ფორმირდება მხოლოდ გრანტებით, რაც სერიოზულად აფერხებს ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებას. ეს დისპროპორცია კიდევ უფრო იზრდება ისეთ რაიონებსა და რეგიონებში, სადაც საკუთარი შემოსავლების წილი მუნიციპალიტეტის საერთო ბიუჯეტში საგრძნობლად დაბალია.

გრანტების წილი წლიური ბიუჯეტის მოცულობაში, თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში.

ბიუჯეტის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ხშირი საბიუჯეტო ცვლილებები, რომელიც გამოწვეულია, როგორც არაკვალიფიციურად დაგეგმილი ბიუჯეტებით, ისე გათანაბრებითი ტრანსფერების უსისტემო გადაცემით მუნიციპალიტეტებზე.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა, არაჯეროვანი სატენდერო ვალდებულებების შესრულება, რომელიც გამოიხატება როგორც გამოცხადებული ტენდერების, ისე გაფორმებული ხელშეკრულებების, შესყიდვების სავარაუდო თანხებისა და სახელშეკრულებო თანხების შედეგად მიღწეულ ეკონომიებში,

რაც ხშირ შემთხვევაში შეუსრულებელი ან უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიზეზი ხდება. ასევე სერიოზული პრობლემაა გამოცხადებული ტენდერების ჩავარდნების სიმრავლე, რის გამოც ხშირად საჭირო ხდება ერთი და იგივე ტენდერის განმეორებითი გამოცხადება.

პრობლემას წრამოადგენს მუნიციპალიტეტების მიერ, ხარვეზებით განხორციელებული შესყიდვები (ელექტრონული, გამარტივებული). ხარვეზები ძირითადად იკვეთება მხარჯავი უწყებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციაში, ტენდერების შეწყვეტის ან/და საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვის დროში გაჭიანურებაში. რის შედეგადაც იზრდება საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური განკარგვის რისკი და ელექტრონული ტენდერის გამოცხადებით ისეთ საქონელზე, რომლის შესყიდვის საჭიროება, უწყების წინაშე არ დგას. შესყიდვების პროცესში არაკონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება და საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური განკარგვა. სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცებულ გეგმებში განხორციელებული ხშირი და მასშტაბური ცვლილებები.

სერიოზული პრობლემაა, საბიუჯეტო სახსრების განკარგვასთან დაკავშირებული პრობლემები, სახეზეა მხარჯავი დაწესებულებების მიერ ფისკალური წლის დასასრულს აუთვისებელი გადასახდელების დიდ მაშტაბურობა, მუნიციპალიტეტების მიერ დაარსებულ აიპებზე გაცემული სუბსიდიების დიდი მოცულობა და მერიის სარეზერვო ფონდის არამიზნობრივი განკარგვის ხშირი ფაქტები.

მუნიციპალური საბიუჯეტო პოლიტიკის გაუმჯობესებისათვის სასურველია გათვალისწინებლი იქნეს შემდეგი რეკომენდაციები:

– ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსები სასურველია იყოს მრავალფეროვანი, ხოლო პოლიტიკა მათ გამოყენებასთან მიმართებაში მოქნილი.

– საჭიროა, მუბიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული ქონებების სრული აღწერა და მისი ეფექტიანი გამოყენება.

– აუცილებელია, მუნიციპალური ბიუჯეტების შედგენა მოხ-

დეს მოსახლეობასთან შეხვედრების, მათი სურვილებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით, რაც ბიუჯეტების დამტკიცებაში მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით იქნება შესაძლებელი.

– მნიშვნელოვანია, ტრანსფერების განაწილების დროს, ოდენობის განსაზღვრა მოხდეს როგორც მუნიციპალიტეტების საჭიროებების გათვალისწინებით, ისე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მაქსიმალური ჩართულობით. რადგან ხშირ შემთხვევაში, ტრანსფერების გაანგარიშების დროს ცენტრის მიერ გამოყენებულ პარამეტრებს არაზუსტად მიჩნევენ.

– მუნიციპალიტეტების სატაბილური განვითარებისათვის, აუცილებელია შემოსავლების უდიდესი ნაწილი მიიღებოდეს ადგილობრივი გადასახადებიდან და მოსაკრებლებიდან და არა ცენტრალური ბიუჯეტიდან სხვადასხვა ტრანსფერების სახით.

– ადგილობრივი თვითმმართველობის განვითრებისათვის, უცხოურ საინვესტიციო გარემოს განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანია შიდა საინვესტიციო გარემოს განვითარებაც. კერძო დანაზოგების ადგილობრივი ბაზა შეამცირებს დამოკიდებულებას გარედან შემოსულ ფულად ნაკადებზე.

– ხელი უნდა შეეწყოს თვითმმართველობათა სხვადასხვა ტიპის ასოციაციების შექმნასა და მათ თავისუფალ ფუნქციონირებას, რითაც საფუძველი ჩაეყრება ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის მუდმივმოქმედ დიალოგს „ზემოდან“ მიღებული ბრძანებების ნაცვლად.

– აუცილებელია როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწების (სახნავი, საძოვარი, სათესი) ისე ურბანული მიწების და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები გადაეცეს მუნიციპალიტეტებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების საგადასახადო ტიპის შემოსავლების მკვეთრ ზრდას.

– მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების მიზნობრივი ფონდები (რეგიონული განვითარების ფონდი, სოფლის მხარდჭერის პროგრმა, სოფლის წყალმომარაგების ფონდი, მაღალმთიანი რეგიონების ფონდი) უნდა გახდეს მუნიციპალური

და ინტერმუნიციპალური პროექტების თანადაფინანების ინსტრუმენტი ამ ფონდების კაპიტალური და ინსტუტუციური გრანტებისათვის უნდა დაკანონდეს ყოველწლიურად მინიმალური მშპ-ის 1-2 %-ის გათვალისწინება.

– სასურველია, მიზნობრივი ფონდები მოექცნენ ერთიან ინსტიტუციურ ჩარჩოში, ერთი ფინანსური ინსტიტუტის ხელში. (მაგ, სსიპ მუნიციპალური და რეგიონული განვითერების ფონდი) ხოლო თანხების ხარჯვა ჩაჯდეს სტრატეგიული და პროგრამული დოკუმენტების სისტემაში. საკუთარი შემოსავლების ზრდის კვალობაზე მუნიციპალიტეტებს საშუალება ექნებათ რომ მცირე მაშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტები თავად დააფინანსონ. მსხვილი და ინტერმუნიციპალური პროექტებისათვის კი იქნება ამ ფონდიდან თანადაფინანსების კაპიტალური გრანტები.

– მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი პროექტების შერჩევა-დაფინანსების და მონიტორინგის სისტემა უნდა დაეფუძნოს ობიქტურ კრიტერიუმებს და შესაბამის პროცედურებს, რათა შეიქმნას სისტემა, რომელიც მზად იქნება მათ შორის ევროკავშირის საგრანტო ფინანსური დახმარების ასათვისებლად.

– მომავალში, ასევე მნიშვნელოვანია, ისეთი გადასახადების ნორმატივის განსაზღვრა, რომლებიც სრულად მიემართება ცენტრალურ ბიუჯეტში (დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზი, საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი და სხვა), რაც გაამყარებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზას.

დასკვნა

მიუხედავად უკანასკნელ წლებში განხორციელებული რეფორმებისა და მიღწეული პროგრესისა, თვითმმართველობების საჯარო ფინანსების მართვის სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რომელთა დაძლევა მოითხოვს საჯარო სექტორის ერთობლივ და კოორდინირებულ ძალისხმევას. შესაბამისად, საბიუჯეტო სისტემა საჭიროებს კარგად ჩამოყალიბებული, გამართული და ზემოაღნიშნული პრობლემის გადაწყვე-

ტაზე ორიენტირებული გეგმის შემუშავებასა და რელევანტური ღონისძიებების განხორციელებას, რათა სისტემამ უზრუნველყოს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და პროდუქტიული მართვა და გამოყენება.

ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს არა აბსტრაქტულ ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ რეალურ ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც გულისხმობს აქცენტს ეკონომიკის რეალურ ვექტორზე, მდგრად და დაბალანსებულ განვითარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, თითოეულ ქალაქსა და სოფელში, რომელიც აისახება თითოეული ადამიანისა და ოჯახის კეთილდღეობის ამაღლებასა და საშუალო ფენის ფორმირებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" ;

2. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი" ;

3. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;

4. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 2;

5. ნიკოლოზ ჩიხლაძე; ნანა რუსაძე "ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საქმიანობის ასპექტები" ;

6. ღავთაძე გ. „მმართველობის დეცენტრალიზაცია ევროპაში და თანამედროვე რეგიონალური პოლიტიკა. რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „გამჭვირვალე ადგილობრივი ბიუჯეტი" შრომათა კრებული ქუთაისი, 2008 წ. გვ. 84;

7. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური მონაცემები;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat,ge.

REFERENCES:

1. The Law of Georgia on the Budget of Local Self-Governing Units

2. Georgian Tax Code

3. Organic Law of Georgia on Local Self-Government

4. Constitution of Georgia

5. N. Chikhladze, N. Rusadze, Aspects of economic activity of local self-governance

6. Gavtadze G., Decentralization of governance in Europe and modern regional policy. Republican Scientific-Practical Conference "Transparent Local Budget", Collection of Articles, Kutaisi, 2008.

7. Report on the fulfillment of budgets for Kutaisi City Hall 2011-2016

8. Ministry of Finance of Georgia . www. mof. Ge

9. National Statistics Office www. geostat.ge

THE PROBLEMS OF MUNICIPAL BUDGET POLICY IN GEORGIA

Nato katamadze,
PhD student of GTU

RESUME

The study of budgetary relationship between the reforms, the center and the region in the country, is still relevant for the municipality in the aspect of distribution and distribution of budgetary revenue. It is important to analyze the challenges and shortcomings which characterize the existing rule of adoption and distribution of budget revenues and hinder the formation of a stable financial base of municipalities and further strengthening of financial independence. Optimal balancing of revenues and expenditures is necessary, which is often in a chaotic manner. That is why the main goal of the article is to identify the deficiencies in budgetary relationships, to justify the need for their improvement and to develop appropriate proposals and reconciliation.

Key words: Budgetary Policy, Income, Budget Federalism, Municipal Budget Problems, state procurement.

სოფლად განვითარებული უარყოფითი მოვლენების გამომწვევი მიზეზები შიდა ქართლის რეგიონში

ზაზა ბარბაქაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

იმ პროცესებმა, რომელიც 90 -იანი წლებიდან დღემდე განვითარდა ,და წარუშლელი კვალი დაატყო საქართველოს ეკონომიკას, რამდენიმე ათეული წელია ტრანსფორმაციის პერიოდში იმყოფება. საბჭოთა კავშირის დაშლისა და სოციალისტური ეკონომიკის რღვევის შემდგომ ქვეყნის დღის წესრიგში დადგა საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიზაციის ფორმირების პროცესი. ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმები მთელი ამ ხნის განმავლობაში წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებდა. პოსტსაბჭოთა ქართული ეკონომიკის კატასტროფულმა დაცემამ და შემდგომში ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებმა ასახვა ჰპოვა ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებზე. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად აისახა ეკონომიკის სექტორულ ტენდენციებზეც.

საკვანძო სიტყვები: კვების პროდუქტები, ექსპორტ-იმპორტი, სოფლის იმფრასტრუქტურა, აგრარული რეფორმა, ხვედრითი წილი, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ემბარგო.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეკონომიკის ნგრევა პირდაპირ აისახა მის სავაჭრო ურთიერთობებზე. 1990იანი წლების დასაწყისში ვაჭრობის ძირითადი ობიექტი სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტები იყო. 1992 წელს მათი წილი როგორც ექსპორტში, ისე იმპორტში 90%ს აღემატებოდა.

1990იანი წლების მეორე ნახევარში ეკონომიკის სხვა დარგების გამოცოცხლებასთან ერთად სასოფლოსამეურნეო და კვებითი პროდუქტების წილი თანდათანობით კლებულობდა, თუმცა სოფლის მეურნეობის წილი მაინც საკმაოდ მაღალი რჩებოდა. 2003 წ. მთლიან ექსპორტში მისი წილი შეადგენდა 36.3%-ს; ხოლო მთლიან იმპორტში – 23%; მთლიანად 19922003 წწ. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 12.2-ჯერ, ხოლო იმპორტი – 1.2ჯერ. ექსპორტის უპირატესი ზრდის ტენდენცია გაგრძელდა 2000 წლის დასაწყისშიც. სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე სხვა ქართული პროდუქციის ექსპორტი. ამასთან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის იმპორტთან სხვაობა უფრო სწრაფად მცირდებოდა, ვიდრე მთლიანად ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა.

90იანი წლების დასაწყისში, მიწის რეფორმების პარალელურად, დაიწყო სოფლის ინფრასტრუქტურის გარდაქმნაც. დაიშალა აგროსერვისცენტრები, რომლებიც მანქანა-მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებით იყვნენ დაკავებულნი და "საქსოფქიმია", რომელიც შხამქიმიკატებითა და სასუქებით ამარაგებდა კოლმეურნეობებს. ისინი გარდაიქმნა კომერციულ, სტრუქტურებად, მაგრამ არ იყო ორიენტირებული მოგებაზე და ინარჩუნებდა მონოპოლიზებულ მდგომარეობას.

სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საირიგაციო არხებით წყალი მოსახლეობას, ფაქტობრივად, წინანდებურად უფასოდ მიეყიდებოდა, ხოლო წყლის რესურსების გამოყენებისა და მართვის ორგანიზაციები ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფოს ხელში არსებული წყლის მეურნეობები ვერ ინარჩუნებდნენ თავიანთ მდგომარეობას – წყლის ტუმბოები, რეზერვუარები, არხები და სხვა ტექნოლოგიები ამორტიზებული იყო, ხოლო წყლის მიწოდება შეფერხებებით ხორციელდებოდა ელექტროენერგიის დეფიციტისა და სათადარიგო ნაწილების ნაკლებობის, ძრავების მწყობრიდან გამოსვლისა და დანადგარების ძარცვის

გამო. ინფრასტრუქტურას უტარდებოდა მხოლოდ მცირე ზომის სარემონტო სამუშაოები და წყალსაქაჩი სისტემები პრაქტიკულად წყვეტდნენ ფუნქციონირებას. 90იანი წლების პირველ ნახევარში ენერგიის ნაკლებობის გამო მხოლოდ რამდენიმე წყალსაქაჩი სადგური ფუნქციონირებდა, უმრავლესობა კი გაჩერებული იყო. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 19922003 წლებში მიწების 11% ირწყვებოდა, ხოლო 20032009 წლებში კი ეს მაჩვენებელი უფრო შემცირდა და შეადგინა 67%, მაშინ, როდესაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი 2629%ია.

მინერალური სასუქების არასათანადო მიწოდება დაბალი მოსავლიანობის ერთერთი მიზეზი გახდა. საქართველოში სასოფლოსამეურნეო მიწების 60%ზე მეტი საშუალო და დაბალნაყოფიერია და ყოველწლიურად ესაჭიროებოდა 300 ტ. მინერალური სასუქი. ამ მაჩვენებლით საქართველო არასოდეს ყოფილა უზრუნველყოფილი. 1989 წელს საქართველო დაახლოებით 150 ტ. სასუქს იყენებდა, ხოლო 90იან წლებში კი მისი მოხმარება მკვეთრად შემცირდა და 1994 წელს 4,2 ტ. შეადგინა, ამასთან, ამ პერიოდისთვის საქართველო გამოიყენებდა საჭირო პესტიციდების 1%ზე ნაკლებს, რამდენადაც სასუქების ფასის ზრდამ წარმოების ფასებთან შედარებით შეუძლებელი გახადა, გლეხებს გამოეყენებინათ იგი მოსავლიანობის ნაყოფიერების გასაზრდელად.

უმრავლეს შემთხვევაში შინამეურნეობებს ჰქონდათ არასწორი ან არასრული ცოდნა აგროტექნიკურ და ზოოვეტერინარულ საკითხებზე, ახალ სათესლე მასალებზე, პირუტყვის ჯიშებზე, აგროტექნოლოგიებზე, არ ჰქონდათ მიწის ანალიზის გაკეთების მატერიალური საშუალება, ვერ ერკვეოდნენ სანიტარულ, სალიცენზიო, საგადასახადო, საიჯარო საკითხებში, მათ ცალცალკე არ შესწევდათ უნარი ამგვარი კვალიფიციური კონსულტაციების მიღებისა. გარდა ამისა, შინამეურნეობებს უჭირდათ მცირე სასაქონლო პარტიების ბაზარზე გატანა, რაც დაკავშირებული იყო სატრანსპორტო ხარჯებთან და დროის დანაკარგებთან.

საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურ-

ნეო ტექნიკის გამოყენება. 1992 წლამდე საქართველო ცენტრალიზებულად მარაგდებოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, მაგრამ, პრაქტიკულად, 90იან წლებში ტექნიკური პარკის განახლება არ მომხდარა და მკვეთრად შემცირდა მუშა მდგომარეობაში მყოფი მანქანების რაოდენობაც. ამის შედეგად მექანიზაციის დონე კრიტიკული გახდა და 1994 წელს 1990 წელთან შედარებით საქართველოს სოფლის მეურნეობაში მანქანების რაოდენობა სხვადასხვა კატეგორების მიხედვით შემცირდა 12-დან 60%მდე. შემდგომ პერიოდში ეს მდგომარეობა კიდევ უფრო კრიტიკული გახდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1992 წელს საქართველოში 23500 ტრაქტორი იყო, 1995 წელს – 16600, 2000 წელს – 17199, ხოლო 2003 წელს – 18500. შემდგომ წლებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა. მხოლოდ 19901998 წლების განმავლობაში სასოფლოსამეურნეო საწარმოებში არსებული ტრაქტორების რაოდენობა შემცირდა 2ჯერ, სატვირთო ავტომანქანების რაოდენობა – 2,2ჯერ, ხოლო კომბაინების რაოდენობა – 1,6ჯერ. ამ პერიოდში განადგურდა (თუ ჯართად გაიყიდა) ფერმებისა და კომპლექსების მექანიზებული და ავტომატიზებული ხაზები, ტექნიკური თუ ტექნოლოგიური წარმოების საშუალებანი.

სოფლის მეურნეობა ამ პერიოდში განიცდიდა ფინანსების ნაკლებობას. სოფლის მეურნეობის სესხებს გასცემდა მხოლოდ "აგრობანკი", რომლის სასესხო პორტფელიც 1995 წელს არსებული ყველა ბანკის დაახლოებით 6%ს შეადგენდა. ამასთან, ამავე პერიოდში საბანკო სისტემის რეორგანიზაციასთან ერთად ბანკების ინტერესი ნაკლებად რისკიანი სექტორებისკენ იყო მიმართული. მკვეთრად შემცირდა გრძელვადიანი სესხები და ორიენტაცია აღებული იქნა მოკლევადიან სესხებზე, რის შედეგად სოფლის მეურნეობა აღმოჩნდა საბანკო დაკრედიტების მიღმა. დაფინანსების სხვა ინსტიტუტები კი, როგორებიცაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვ. არ იყო ფორმირებული. არც ბანკებს და არც ხელისუფლებას ამ პერიოდში არ გაუტარებია ეფექტური ღონისძიებები სოფლის მეურნეობის ფინანსური საჭიროებების უზრუნველსაყოფად.

რუსეთის მიერ ემბარგოს გამოცხადებამ 2005 წლის ბოლოს ხილსა და ბოსტნეულზე და შემდგომ, 2006 წლის დასაწყისში, ღვინოსა და მინერალურ წყალზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სეგმენტებზე გამანადგურებლად იმოქმედა, რადგან რუსეთის ბაზარი ისტორიულად საქართველოს სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი საექსპორტო ბაზარი იყო. 2006 წელს ექსპორტი 115 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა, რაც 2005 წლის შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულების შემცირების 2/3-ს წარმოადგენს. მართალია, 2007 წელს ექსპორტი ნაწილობრივ აღდგა ახალი ბაზრების ათვისების შედეგად, მაგრამ ეს მიღწევაც დაიკარგა 2008 წელს. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო რუსეთის შემოჭრა საქართველოში, რამაც ქვეყნის რამდენიმე რაიონში გარკვეულწილად ხელი შეუშალა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, ხოლო შიდა ქართლს, რომელიც საქართველოს ხილის წარმოების ერთ-ერთი ყველაზე უფრო პროდუქტიული რეგიონია, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ამასთან, შეწყდა ოსეთის გავლით ოსების მიერ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის „არაოფიციალური“ ექსპორტი, რომელიც რუსეთის შემოჭრამდე ხორციელდებოდა ემბარგოს მიუხედავად. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის საქართველოში რუსეთის შემოჭრის შედეგები მომავალშიც იჩენს თავს. ეს შეფერხება განუსაზღვრელი ვადით შეზღუდავს საქართველოსთვის აღნიშნული ისტორიული ბუნებრივი ბაზრის ხელმისაწვდომობას, ისევე, როგორც პოლიტიკური მიზეზების გამო უკვე დიდი ხანია აშშ-ის ბაზარი დახურულია კუბისთვის.

ამ პრობლემებს ემატება ისიც, რომ სახელმწიფო პოლიტიკა არ იძლევა სტიმულს ფერმების გამსხვილებისათვის. საგადასახადო კოდექსის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებული 5 ჰაზე ნაკლები მიწა გათავისუფლებულია მიწის გადასახადისგან, რაც აფერხებს მცირე მიწების გაერთიანებას კოოპერატივში, რადგან ამ შემთხვევაში მიწა დაიბეგრება. ამავდროულად, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, სასოფლოსამეურნეო პროდუქტების პირველადი მიწოდება თავისუფლდება საშემოსა-

ვლო და მოგების გადასახადებისაგან, თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი/ მოგება არ აღემატება 200 000 ლარს. ეს ნორმაც არარენტაბელურს ხდის გაერთიანებას, ვინაიდან 200 000ზე მეტი ბრუნვის შემთხვევაში გაერთიანება დაიბეგრება. ასევე თავისუფლდება პირველადი წარმოება დამატებული ღირებულების გადასახადისგან, მაგრამ თუ ორგანიზაცია ფერმერებისგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს შეიძენს მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მაშინ ის ავტომატურად ხდება დღგს გადამხდელი. ასეთი პრაქტიკა აფერხებს დილერი ორგანიზაციებისა და სადისტრიბუციო კომპანიების მონაწილეობას. მეტიც, დაბალი საბაჟო გადასახადები ან სულაც ნულოვანი დაბეგვრა იაფ იმპორტირებულ სასოფლოსამეურნეო პროდუქტებზე საფრთხეს უქმნის ადგილობრივი პროდუქციის სიცოცხლისუნარიანობას და ზღუდავს ინვესტიციებს ამ სექტორში.

ლიტერატურა:

1.„საქართველოს აგროსასურსათო სექტორი თქვენი ინვესტიციებისათვის“ /www.moa.gov.ge

2. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია, დამოუკიდებლობის 20 წელი“ ,ფონდი ლიბერალური აკადემია , თბილისი,2011.

3. „ მწვანე მინდვრები-საქართველოს სოფლის მეურნეობის რეალობა და პოტენციალი“ დეივიდ ლენდი / www.nplg.gov.ge

REFERENCES:

1. “Georgian Agro Sustainable Sector for Your Investments” / www.moa.gov.ge

2. “Transformation of Georgian Agriculture, 20 Years of Independence” Foundation Liberal Academy Tbilisi, .2011

3. “Green Fields-Georgia’s Role and Potential of Agriculture” by David Land / www.nplg.gov.ge

THE CAUSES OF THE NEGATIVE EFFECTS OF RURAL DEVELOPMENT IN SHIDA KARTLI REGION

Zaza Barbakadze
Phd student of GTU

RESUME

The present article contains an overview of the processes that have evolved since the 90's and has made an indelible mark on Georgian economy that has been in transition for several decades. After the collapse of the Soviet Union and the socialist economy, the process of formation of market economy and democratization was put on the agenda of the country. The economic policies and reforms have been controversial throughout this time. The catastrophic fall of the Post-soviet Georgian economy and subsequent processes in the economy reflect the structural changes in the economy. The latter was also reflected in the sectoral trends in the economy.

KEY WORDS: Food products, export-import, rural infrastructures, agrarian reform, gross share, gross domestic product (GDP), embargo (Prohibition of import).

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების შეფასება კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით

ევგენი ბარათაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს პროფესორი,
თამარ მაჭარაშვილი
სტუ-ს ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი,

რეზიუმე

„კორუფციის აღქმის ინდექსი" ქვეყნდება 1995 წლიდან. იგი ცნობილი ინდექსია და კარგი ინდიკატორია ქვეყნის განვითარების დონის განსაზღვრისათვის. ამ ინდექსის საშუალებით ანიჭებენ ქვეყანას ქულას და ახდენენ მის რანჟირებას სარეიტინგო პოზიციის მიხედვით. ჯკორუფცია, ზოგადი განმარტებით, არის მინიჭებული უფლებამოსილებების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება. Eეს დეფინიცია ეხება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორსაც. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე აღნიშნული ინდექსის კვლევის პროცესში საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა. საქართველო ლიდერობს არამხოლოდ ამ რეგიონში, არამედ უსწრებს ქვეყნებს ევროკავშირის მასშტაბითაც. აღნიშნული გატარებული რეფორმების დამსახურებაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ საქართველოს პოზიციები ბოლო წლების მანძილზე უმნიშვნელოდ იცვლებოდა. აღნიშნული ქვეყანაში ანტიკორუფციული პოლიტიკის მხრივ მნიშვნელოვანი პროგრესის არარსებობის ინდიკატორია. სომხეთს უკეთესი პოზიციები აქვს, ვიდრე აზერბაიჯანს. ამასთან, ამ ორივე ქვეყნას ჯერ კიდევ აქვს გასატარებელი მთელი რიგი ინსტიტუციური რეფორმები, რათა შეძლონ ქვეყანაში კორუფციის აღმოფხვრა და შექმნან მაქსიმალურად ღია გარემო. საქართველოსაც სჭირდება მუშაობის ეფექტურად წარმართვა მიღწეულის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის განვითარება, კორუფციის აღქმის ინდექსი, სამხრეთ კავკასია, რეფორმები.

ძირითადი ტექსტი

"კორუფციის აღქმის ინდექსი" ცნობილი და აპრობირებული ინდექსია. ამ ინდექსის საშუალებით ქვეყანას ანიჭებენ ქულას (100 ქულა ნიშნავს, რომ ქვეყანაში კორუფცია ფაქტობრივად არ არის, 0 ქულა კი გულისხმობს, რომ გარემო ძალიან კორუფციულია) და ახდენენ მის რანჟირებას სარეიტინგო პოზიციის მიხედვით. კერძოდ, საზღვრავენ საჯარო სექტორი რამდენად კორუმპირებულად აღიქმება ამა თუ იმ ქვეყანაში. აღნიშნული ინდექსი სხვადასხვა კომპლექსური კვლევების საფუძველზე მუშავდება.

ჩვენი კვლევის მიზანია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პირობების შეფასება. ანალიზისათვის ავიღეთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში "კორუფციის აღქმის ინდექსის" ბოლო ოთხი (2014-დან 2017-ის ჩათვლით) წლის მონაცემები.

საქართველო 2014 წელს 51-ე ადგილზე იმყოფებოდა, მაშინ როცა სომხეთი იკავებდა 94-ე, ხოლო აზერბაიჯანი 126-ე პოზიციას 174 ქვეყანას შორის. საქართველოს შედეგი (52 ქულა და 51-ე ადგილი) საუკეთესოა არამარტო სამხრეთ კავკასიის რეგიონში, არამედ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 19 ქვეყანას შორის.

გრაფიკ 1-ზე ჩანს 2014 წელს ამ სამი ქვეყნის რეიტინგული პოზიცია.



ისევე, როგორც გასულ წელს საქართველოს მაჩვენებელი 2015 წელსაც საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური

აზიის 19 ქვეყანას შორის.

საქართველო 2015 წელს 48-ე ადგილზე იმყოფებოდა, მაშინ როცა სომხეთი იკავებდა 95-ე, ხოლო აზერბაიჯანი 119-ე პოზიციას 167 ქვეყანას შორის.

გრაფიკ 2-ზე ჩანს 2015 წელს ამ სამი ქვეყნის რეიტინგული პოზიცია.



2016 წელსაც საქართველოს მაჩვენებელი საუკეთესო იყო სამხრეთ კავკასის რეგიონში და არამარტო. იგი იმყოფებოდა – 44-ე ადგილზე, სომხეთი – 113-ე, ხოლო აზერბაიჯანი – 123-ე ადგილზე 176 ქვეყანას შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ საქართველოს პოზიციები ბოლო წლების მანძილზე უმნიშვნელოდ იცვლებოდა, რაც ანტიკორუფციული პოლიტიკის მხრივ ქვეყანაში მნიშვნელოვანი პროგრესის არარსებობის ინდიკატორია.

გრაფიკ 3-ზე ჩანს 2016 წელს ამ სამი ქვეყნის რეიტინგული პოზიცია.

2017 წელსაც საქართველოს მაჩვენებელი საუკეთესო იყო სამხრეთ კავკასის რეგიონში და არამარტო. იგი იმყოფებოდა – 46-ე ადგილზე, სომხეთი – 107-ე, ხოლო აზერბაიჯანი – 122-ე ადგილზე 180 ქვეყანას შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს პოზიციები შეუქცევადად უმჯობესდებოდა, ხოლო 2017 წელს ოდნავი გაუარესება შეინიშნა (2016 წელს 44-ე პოზიციაზე ვიყავით). მიზეზი შეიძლება რეგიონ-



ში მიმდინარე პროცესებითაც იყოს ნაკარნახევი.

გრაფიკ 4-ზე ჩანს 2017 წელს ამ სამი ქვეყნის რეიტინგული პოზიცია.



აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული ინდექსი არა მარტო განსაზღვრავს ქვეყნის რეიტინგულ პოზიციას, არამედ შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით ქულებსაც ანიჭებს. პირველ პოზიციაზე ყოფნა ბუნებრივია გულისხმობს კორუფციისგან თავისუფალ გარემოს. თუმცა, თუ ამ საკითხს შევხედავთ ქულების მიხედვით, რომელიც 0-დან 100-მდე დიაპაზონში მერყეობს, უვნახავთ რომ: 0-დან 50 ქულამდე ქვეყნები ითვლებიან მეტად კორუმპირებულ ზონებად, ხოლო 50-დან 100 ქულამდე კი კორუმპირებულობის დონე უფრო და უფრო მცირდება. აღნიშნული წარმოდგენილია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1: კორუმპირებულობის დონე ქულების მიხედვით

ქულები	ნაკლებად კორუმპირებული					მეტად კორუმპირებული				
	100–090	089–080	079–070	069–060	059–050	049–040	039-030	029–020	019–010	009–000

ამდენად, თუ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას გავანაალიზებთ ქულების მიხედვით ვნახავთ, რომ საქართველოს ქულები ბოლო 4 წლის განმავლობაში მერყეობდა 52-57 ფარგლებში. აქედან დგინდება, რომ მიუხედავად 2017 წელს 2016 წელთან შედარებით პოზიციის გაუარესებისა (57 ქულიდან 56-ზე ჩამოსვლა), მთლიანობაში ქვეყანა ოთხივე წელს მაინც იმყოფებოდა ნაკლებად კორუმპირებულ ზონაში. რაც შეეხება სომხეთსა და აზერბაიჯანს, სომხეთის ქულები მერყეობდა 33-დან 37-მდე და ამ 4 წლის მანძილზე ყველაზე უკეთესი პოზიციები ჰქონდა 2014 წელს. აზერბაიჯანის შემთხვევაში ქულები მერყეობდა 29-დან 31-მდე, ხოლო ყველაზე უკეთესი რეიტინგული პოზიცია 2015 წელს ეკავა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ ქვეყანას გააჩნია პრობლემები კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით, რადგან ორივე მათგანს ბოლო 4 წლის მანძილზე 49 ქულაზე მეტი არ მიუღია. შესაბამისად, ისინი, საქართველოსაგან განსხვავებით, იმყოფებიან მეტად კორუპირებულ ზონაში.

რეკომენდაციების სახით ამ ქვეყნების მიმართ აუცილებელია ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა, მათ შორის:

- დამოუკიდებელი ანტიკორუფციული უწყების შექმა
- ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის პრევენციისთვის გამიზნული საკანონმდებლო ნორმების პრაქტიკაში დანერგვა
- დამოუკიდებელი, გავლენიანი და თავისუფალი საჯარო სამახურის ჩამოყალიბება

• საზედამხედველო მარეგულირებელი ინსტიტუტების ფორმირება

ამდენად, „კორუფციის აღქმის ინდექსის" მაჩვენებლების გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ ბიზნესის განვითარებისათვის სომხეთთან და მითუმეტეს აზერბაიჯანთან შედარებით საქართველოში უკეთესი პირობებია, ვინაიდან გარემო ნაკლებად კორუმპირებულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამთავრობო პროგრამა 2016-2020: "თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა", ნოემბერი, 2016 წელი, თბილისი;

2. https://www.transparency.org/

3. http://www.transparency.ge/ge/post/corruption-perception-index-cpi/koruptsiis-aghkmis-indeksi-2010-khshirad-dasmuli-kit-khv ebi

4. http://www.transparency.ge/ge/corruption/cpi

5. http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/CPI_2016_GEO.pdf

6. http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/CPI_2015_GEO_5.12.pdf

REFERENCES:

1. Government Action Plan 2016-2020- "Freedom, Rapid Development and Welfare", November, 2016, Tbilisi;

2. https://www.transparency.org/

3. http://www.transparency.ge/ge/post/corruption-perception-index-cpi/koruptsiis-aghkmis-indeksi-2010-khshirad-dasmuli-kit-khvebi

4. http://www.transparency.ge/ge/corruption/cpi

5. http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/CPI_2016_GEO.pdf

6.http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/CPI_2015_GEO_5.12.pdf

THE ESTIMATION OF BUSINESS DEVELOPMENT OPPORTUNITIES IN THE SOUTH CAUCASUS REGION COUNTRIES ACCORDING TO THE CORRUPTION PERCEPTION INDEX (CPI)

Evgeni Baratashvili,
Doctor of Economics, Professor of GTU
Tamar Matcharashvili,
PhD student of GTU

Resume

Since 1995, annually ranking countries "by their perceived levels of corruptions", are determined by expert assessments and opinion surveys. According to this index most of the countries in the world are ranked. The CPI currently ranks countries on the scale from 100 (very clean) to 0 (very corrupt). We have recognized a very interesting tendency while analyzing this index in the South Caucasus Region. According To CPI Georgia is a leader, not only in the region, but it also has better results, than several EU countries. This is a result of the reforms that have been conducted, but also should be mentioned, that rank of Georgia wasn't significantly changed during last years, what is a indicator that we don't have optimal effective anticorruption policy. Armenia has a better ranking position, than Azerbaijan. There is no doubt, that both countries still should conduct institutional reforms to eliminate the corruption and make corruption free zone. Georgia should go on working hard to maintain its position and also make progress in the ranking.

Key Words: Business development, Corruption Perception Index(CPI), the South Caucasus, Reforms.

სასურსათო უსაფრთხოება და შრომითი რესურსების დასაქმება აგრარულ სექტორში.

დავით გოგიაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

უმუშევრობის მაღალი დონე საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, შესაბამისად უმუშევრობის დონის შემცირება მომდევნო წლებში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამასთან, კერძო სექტორის შემდგომი განვითარება და ზრდა წარმოადგენს უმუშევრობის შემცირების ყველაზე ეფექტიან მექანიზმს. იმისათვის, რომ უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელდეს, მნიშვნელოვანია განხორციელდეს უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების ანალიზი, როგორც მიწოდების მიმართულებით, რაც გულისხმობს შრომის ბაზრის ასიმეტრიულობას, მობილობის დაბალ ხარისხს, დაბალი პროდუქტიულობისა და არაადექვატური კვალიფიკაციის არსებობას, ასევე მოთხოვნის მიმართულებით, რაც მოიცავს კერძო სექტორის არასაკმარის დივერსიფიცირებულობას, სექტორებს შორის არათანაბარ განვითარებას და ბიზნეს და სამეწარმეო საქმიანობის ერთიანი აგრომეურნეობის რეგულირების კონცენტრაციის შექმნის საკითხებს. სოფლის მეურნეობაში არსებული კრიზისი რომ დავძლიოთ, საჭიროა შევუწყოთ ხელი მეწარმეობის განვითარებას, ავაღორძინოთ მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი. ეროვნული მეწარმეობის ფორმირება-განვითარება მხოლოდ მომგებიანი საქმიანობისათვის ხელსაყრელ საბაზრო და სოციალურ გარემოშია შესაძლებელი. ამგვარი გარემო კი სახელმწიფომ და კერძო მეურნეობებმა ურთიერთთანამშრომლობით უნდა შექმნას.

საკვანძო სიტყვები: სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია, დასაქმების პრობლემა, თვითდასაქმება, აგროსამრეწველო სექტორის განვითარება.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა. ამავე დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხი, რაც საქართველოს მთავრობის, კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ძირითადი ვალდებულებაა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგნოზით, მოსალოდნელია მსოფლიოს მოსახლეობის მკვეთრი ზრდა, რომელიც დღეს არსებული 7 მილიარდიდან 9 მილიარდს მიაღწევს. ამასთანავე, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, კლიმატის გლობალურ ცვლილებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს ქმნის მოსახლეობის ადეკვატური რაოდენობისა და ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ეს პრობლემები ამჟამად მიმდინარე გლობალური საფინანსო და ეკონომიკური კრიზისის ფონზე მწვავდება. ცხადია, საქართველო, როგორც გლობალური ეკონომიკის ნაწილი, არსებული პროცესების მიღმა ვერ დარჩება. ეკონომიკის ტრანსფორმაციის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მწვავედ დგას სიღარიბის, მათ შორის, მოსახელობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა. აქედან გამომდინარე, უახლოესი წლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარების იმგვარი მოდელის შემუშავება, რომელიც მოსახლეობას ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სურსათით დააკმაყოფილებს. ასევე, ხელს შეუწყობს კონკურენტული უპირატესობის მქონე პროდუქტების საექს-

პორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს საქართველოში აგრარული სფეროს განვითარებისკენ, რადგან სასურსათო დამოუკიდებლობის და სურსათით თვითუზრუნველყოფის გარეშე უსაფუძვლოა სასურსათო უსაფრთხოების მიღწევის მოლოდინი. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცლებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება: სოფლის მეურნეობაში ბიზნესისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; აგრარული სფეროს განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვა სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის, ირიგაციის და მელიორაციის სისტემის, სასოფლიო სამეურნეო ტექნიკის განახლების, სასაწყობო და სარეალიზაციო ფართების და მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით და ფერმერებისათვის მათი წვდომის უზრუნველყოფა; საწვავით და სასუქით უზრუნველყოფა; აუცილებელია აგროსამრეწველო სექტორის განვითარება; კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდა და მეცნიერული კვლევების განხორციელება; მემცენარეობის და მეცხოველეობის სფეროში ეპიდემიების გავრცელების პრევენცია; კრედიტების ხელმისაწვდომობა; სოფლის მეურნეობაში დაზღვევის სისტემის შექმნა; სასოფლო—სამეურნეო მიწის ფონდის სრულყოფილი დამუშავება; მაღალი ხარისხის თესლით უზრუნველყოფა; საგადასახადო შეღავათების დაწესება; ფერმერთათვის კონსულტაციების გაწევა სოფლის მეურნეობის თანამედროვე მიღწევების შესახებ; სურსათის ხარისხის ეფექტიანი კონტროლი, რაც კონკურენტუნარიანს გახდის ქართულ პროდუქციას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე და სტიმულს მისცემს სასურსათო წარმოების განვითარებას, შესაბამისად, დასაქმების და შემოსავლების ზრდას; ინვესტირება ლაბორატორიების სანდო, პროფესიულ და გამჭირვალე სისტემაში, რომელიც სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სისტემის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სასურსათო ბაზრის განვითარებისაკენ მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების, ტექნიკური, სამართლებრივი,

საკადრო, კვლევითი და შიდა ბაზრის რისკ-მენეჯმენტის სისტემის სრულყოფის გზით.

სურსათზე ხელმისაწვდომობა ძირითადად ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების კანონს ემორჩილება და დაიყვანება მაღაზიებში და ბაზრებზე სურსათის ფიზიკურ არსებობაზე თავისუფალ საბაზრო პირობებში. თუმცა საქართველოში დიდი სხვაობაა პროდუქტის ფასებსა და ოჯახების შემოსავლებს შორის, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს არ მიუწვდება ხელი ხარისხიან სურსათზე და შესაბამისად მოიხმარენ იაფ, იმპორტულ, დაბალხარისხიან ან/და ფალსიფიცირებულ პროდუქტებს. ადგილობრივი წარმოება კონკურენციას ვერ უწევს იაფ და სუბსიდირებულ იმპორტულ პროდუქციას, რაც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას კიდვე უფრო აუარესებს.

მსოფლიოს მასშტაბით ადგილობრივ და იმპორტირებულ სურსათს შორის თანაფარდობა (იმპორტირებული პროდუქციის მაქსიმუმი) 20%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, საქართველოში სურსათის 70% იმპორტულია, ხოლო 30% იწარმოება ადგილობრივად. თუმცა თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ზოგიერთ პროდუქტზე კიდევ უფრო ნაკლებია. საქსტატის მონაცემების თანახმად, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2017წლისათვის შემდეგი იყო: ბოსტნეული — 75%, ძროხის ხორცი — 39%, ღორის ხორცი — 41%, ფრინველის ხორცი — 18%. ამას ემატება ისიც, რომ იმპორტული საქონლის წარმომავლობა ხშირად არ არის დივერსიფიცირებული, რაც ქართულ ბაზარს კომერციულად უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის საერთაშორისო ბაზრებზე და იწვევს საბაზრო ფასების რყევას. საერთაშორისო ბაზარზე ფასების რყევები კი პირდაპირ გავლენას ახდენს პროდუქტის ფასებზე და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, მით უფრო იმ რეალობაში, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს საბაზისო სურსათის სახელმწიფო მარაგები.

მიუხედავად იმისა ქვეყანაში არის თუ არა სურსათზე საკმარისი რაოდენობა, ზოგიერთ ოჯახს ხელი არ მიუწვდება მასზე. სურსათზე ფასების ზრდა კიდევ უფრო მეტ პრობლემას უქმნის ასეთ ოჯახებს საკვებზე ხელმისაწვდომობის მხრივ. უკანაკსნელი

კვლევების თანახმად, აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის 50% საკვებზე თავიანთი შემოსავლების ნახევარზე მეტს (54%) ხარჯავს და იკვებება ძირითადად პურითა და პურპროდუქტებით, რაც ორჯერ აღემატება დადგენილ ფიზიოლოგიურ ზღვარს. სწორედ ხელმისაწვდომობის პრობლემის გამო, საქართველოს მოსახლეობის ეს დიდი ნაწილი პურით ცდილობს შეივსოს დღიური რაციონი. შესაბამისად, საქართველოში პურპროდუქტების ნაწარმი შეადგენს ენერგეტიკული ღირებულების საკვების 62%-ს მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ეს ციფრი 15%-ს არ აღემატება.

საკვებზე ხელმისაწვდომობა ასევე მჭიდროდ უკავშირდება დასაქმების პრობლემას და განუვითარებელ ინფრასტრუქტურას. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწები ძირითადად დანაწევრებულია და შესაბამისად არ გამოირჩევა ნაყოფიერებით, რაც აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას და ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უმრავლესობას მცირე ფერმერები შეადგენენ, რომლებსაც ამ პირობებში ძალიან მცირე წვლილი შეაქვთ ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფაში.

1990 და 2000 წლებს შორის საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობა 37%-ით (2 763 300-დან 1 732 700-მდე) შემცირდა . შედეგად, ბევრმა დიდმა და მცირე ზომის ქალაქმა თავისი მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი დაკარგა. ეს ტენდენცია, მხოლოდ, ნაწილობრივ შეიცვალა 2005 წლის შემდეგ, როდესაც დაიწყო ინდუსტრიული საქმიანობის ნაწილობრივი გამოცოცხლება. საქართველოში შრომითი ბაზრის მდგომარეობა ბოლო წლებშიც აგრძელებს გაუარესებას, რაზეც დასაქმების დონის ვარდნა მიუთითებს. დასაქმების დონის ასეთ ვარდნას თან ახლავს უფრო მეტად არააქტიურობის, ვიდრე უმუშევრობის გაზრდა. საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მქონე ადამიანების ორ მესამედზე ნაკლებია ეკონომიკურად აქტიური, რაც ევროკავშირის მაჩვენებელს (70%) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. სამუშაო ძალის ძალიან დაბალი მონაწილეობა განსაკუთრებით თვალშისაცემია ურბანულ რაიონებში, სადაც შრომისუნარიანი ასაკის

მქონე მოსახლეობის, მხოლოდ, 58% არის ეკონომიკურად აქტიური. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლადაა კონცენტრირებული, სადაც მუშახელის უმეტესობა სოფლის მეურნეობის დარგშია დასაქმებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოთვლის არსებული მეთოდის ნაკლოვანებები არ იძლევა სოფლის მეურნეობაში მუშახელის ნაკლებობის სრულფასოვნად შეფასების საშუალებას. არსებული მონაცემებით, მთლიანი დასაქმების 40%-ზე ნაკლები ქალაქებზე მოდის, ხოლო სოფლის მეურნეობის გარეთ დასაქმებულები დასაქმებულთა მთლიანი მაჩვენებლის 50%-ზე ნაკლებს შეადგენენ. მხოლოდ, 10%-ზე ნაკლები რჩება მრეწველობასა და მშენებლობაში დასაქმებული. არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მთავარი კომპონენტია მომსახურება, რომლის წილი მთლიან დასაქმებაში 35%-ზე მეტია (საქსტატის მონაცემებით, 2002-2017 წლებში 35.5%-დან (2008 წელი) 38.5%-მდე (2017) მერყეობდა). აღსანიშნავია, რომ საქართველოში თვითდასაქმებულთა დონე მაღალია. საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ქვემო ქართლში მრეწველობაზე მდღ-ის ორჯერ უფრო დიდი წილი მოდის, ვიდრე სოფლის მეურნეობაზე. რეგიონის ინდუსტრიულ ხერხემალს ოთხი ძირითადი საწარმო ქმნის. ესენია: რუსთავის ფოლადის ქარხანა, რუსთავის ქიმიური საწარმო, ჰაიდელბერგ ცემენტი და რუსთავისა და კაზრეთის ოქროს მაღარო. სოფლად, სადაც 1990-იანი წლების მიწის რეფორმის დროს ყველა მცხოვრებს გადაეცა მცირე ზომის მიწის ნაკვეთები ამ სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების მფლობელი მოსახლეობა განიხილება, როგორც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები. ამ მახასიათებლის მნიშვნელობას ის ფაქტიც უჩვენებს, რომ 2012-2013 წლებში სახელმწიფო ვაუჩერის პროგრამით დაახლოებით 700 000-მა ოჯახმა ისარგებლა.

მეწარმეობის, აგრობიზნესის აღორძინების აუცილებლობა განპირობებულია არა მარტო სამამულო საქონლის წარმოების ზრდით, არამედ შიდა ბაზრის უმთავრესი სუბიექტის, მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის ჩამოყალიბებითაც. ჩვენ ვერც ერთს ვერ მივაღწიეთ, ვერ შევქმენით გაჯერებული ბაზარი და

დაბალი შემოსავლის გამო, ამ საქონლის მომხმარებელიც ვერ გავხდით. ეს რომ დავძლიოთ საჭიროა შევუწყოთ ხელი მეწარმეობის განვითარებას, ავაღორძინოთ მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი. ეროვნული მეწარმეობის ფორმირება-განვითარება მხოლოდ მომგებიანი საქმიანობისათვის ხელსაყრელ საბაზრო და სოციალურ გარემოშია შესაძლებელი. ამგვარი გარემოს შექმნა კი სახელმწიფოს პრეროგატივაა. მეწარმე, მეწარმეობის კანონის შესაბამისად, შეიძლება იყოს ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც დამოუკიდებლად წარმართავს თავის საფინანსო საქმიანობას კანონით გათვალისწინებული წესით. სამეწარმეო საქმიანობას შეიძლება ეწეოდეს უშუალოდ მესაკუთრე ან სხვა სუბიექტი, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად, მესაკუთრის მიერ გადაცემული აქვს ქონება სარგებლობის უფლებით.

უმუშევრობის პრობლემათა კვლევის საფუძვლად უმუშევართა აღრიცხვა უნდა იქცეს, რადგანაც ამ ინფორმაციულ ბაზას უნდა ეყრდნობოდეს სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში. სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა შრომითი რესურსების აღრიცხვის მეთოდიკის და მაჩვენებელთა სისტემის შემუშავების საქმეში, მაგრამ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციების მეთოდური მითითებების საქართველოსთვის მორგება არასწორად მიგვაჩნია. სტატისტიკური მონაცემები დასაქმებისა და უმუშევრობის რეალურ სურათს არ ასახავს. ჩვენთან დასაქმებულად ითვლება მომუშავეთა დიდი რაოდენობა, რომლებიც ღებულობენ საარსებო მინიმუმის დაახლოებით 20 პროცენტს, რაც საერთაშორისო სტანდარტებით მიუღებელია. დაზუსტებას მოითხოვს დასაქმებისა და უმუშევრობის დონის გაანგარიშების მეთოდიკა – არასრული დასაქმებისა და შემოსავლების გათვალისწინების თავლსაზრისით. შრომის ბაზრის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს სამუშაო ძალისა და ქვეყნის შრომითი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, რაც უნდა განხორციელდეს მათი ოპტიმალური განაწილების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა, როგორც ქვეყნის სოციალ-

ურ-ეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, საზოგადოების შრომითი პოტენციალის რაციონალურად გამოყენებისკენ უნდა იყოს მიმართული. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა მთლიანად ცვლის შრომისადმი დამოკიდებულებას. სახელმწიფოს მიერ იძულების ნაცვლად მკვიდრდება თავისუფალი არჩევანი. თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები საშუალებას იძლევა, იქ დასაქმდეს ადამიანი სადაც პრესტიჟულად მიიჩნევს. მხოლოდ ასეთ მიდგომას შეუძლია უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების ამაღლება. ეს კი დასაქმებისა და ეკონომიკის ამაღლების უმთავრესი პირობაა. დასაქმებისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკა არის ღონისძიებათა სისტემა შრომითი რესურსებისა და შრომისუნარიანთა მაქსიმალურად გამოყენებისათვის, რაც შრომის სამართლიანი განაწილებისა და მოქალაქეების კეთილდღეობის ამაღლების პირობებს ქმნის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზარი, როგორც ყოველგვარი სასაქონლო ბაზარი, ვითარდება მოთხოვნა-მიწოდების კანონების შესაბამისად. ამის გათვალისწინებით წარმოიქმნება შრომის ბაზრის კვლევის ძირითადი კომპონენტები: მოთხოვნა, მიწოდება და ფასი. ბაზრის ძირითადი სუბიექტები კი მრავალფეროვანი მეწარმეები და შრომისუნარიანი ადამიანები არიან. უმუშევრობის დონეს ისიც ამცირებს, რომ შინამეურნეობის თითქმის ყველა წევრი ითვლება დასაქმებულად „თვითდასაქმებულთა" კატეგორიის ხელოვნური ზრდა კი „ამცირებს" უმუშევართა საერთო რაოდენობას. ეს განსაკუთრებით სოფლადაა საგრძნობი. 1990 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 895 ათასი კაცი. საერთო დასაქმებულთა 25,5 პროცენტი, რომელიც აწარმოებდა მთლიანი შიდა პროდუქტის 29,8 პროცენტს, რაც შეადგენდა 4454 მლნ. მანეთს. 2009 წელს მთლიანად მომუშავე 1991,8 ათასი კაციდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 1046,1 ათასი კაცი ანუ 52,5 პროცენტი, რომელიც აწარმოებდა მთლიანი შიდა პროდუქტის 8,3 პროცენტს. მართალია, 1990 წელთან შედარებით 2009 წლისთვის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 16,8%-ით, მაგრამ შიდა პროდუქციის მოცულობაში სოფლის ხვედრითი წილი 21,5 %-ით შემცირდა. შრომითი

რესურსების გამოყენებას სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან მას სხვა რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში დიდი როლი ენიჭება. საწარმოო პოტენციალის გამოყენება წარმოუდგენელია ადამიანის შრომის გარეშე უილიამ პეტის სიტყვებით "შრომა სიმდიდრის მამაა და მიწა მისი დედა". სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის ერთადერთი განუხრელი პირობაა, შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენება, მითუმეტეს, რომ იგი ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით მეტად დაბალი დონით ხასიათდება და შრომითი რესურსების ეფექტიანობის პრობლემაც მეტად რთული გადასაჭრელია.

ეკონომიკის სექტორული ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი პროდუქტიულობის ზრდის მიუხედავად, მნიშვნელოვნად დაბალია პროდუქტიულობის დონე სოფლის მეურნეობის სექტორში. აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზს სექტორში მაღალი თვითდასაქმების მაჩვენებელი წარმოადგენს. მთლიანი დასაქმების თითქმის ნახევარი სოფლის მეურნეობის სექტორზე მოდის. ამასთან, სოფლის მეურნეობის სექტორი ქმნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9%-ს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ აღნიშნული პრობლემის დაძლევისათვის და სექტორის ეფექტიანობის ზრდისთვის გაუმჯობესდეს სექტორებს შორის შრომის მობილობის მაჩვენებელი. სოფლის მეურნეობის სექტორისგან განსხვავებით, ბიზნეს სექტორის აქტივობის ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაზე ნათლად იკვეთება ეკონომიკის სხვა სექტორების მიხედვით. 2010-2016 წლების საშუალო ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვაჭრობის (0.9 პროცენტული პუნქტი (პპ)), დამამუშავებელი მრეწველობის (0.8 პპ) და მშენებლობის (0.5 პპ) სექტორებმა. შესაბამისად, ამ სექტორებში დაფიქსირდა დასაქმების ზრდა. კერძოდ, 2016 წლის მონაცემების მიხედვით, ბიზნეს სექტორის დასაქმების 50%-ზე მეტი ვაჭრობის, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებზე მოდის. რაც შეეხება დასაქმების სექტორულ დინამიკას, 2010-2016 წლებში, საშუალოდ ბიზნეს სექტორის დასაქმების ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი ვაჭრობის, უძრავი ქონების, მშენე-

ბლობის და მრეწველობის სექტორებმა შეიტანეს.

სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა თითქმის ნახევარია დასაქმებული, თუმცა, მხოლოდ 2%-ია მისი წილი ბიზნეს სექტორის დასაქმებაში, რაც აღნიშნულ სექტორში თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წილით აიხსნება. სხვა სექტორებთან შედარებით სოფლის მეურნეობის სექტორში ყველაზე დაბალია პროდუქტიულობის მაჩვენებელი. შესაბამისად, აღნიშნული სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ტექნოლოგიებისა და კაპიტალის ფორმირების ზრდა და სამუშაო ძალის გადადინება სხვა სექტორებში. სოფლის მეურნეობის სექტორში დაგეგმილია ინვესტირება სასათბურე მეურნეობების და ფერმების განვითარებისთვის, რაც ძირითადად დარგში მაღალკვალიფიციური დეფიციტური ცოდნის მქონე სპეციალისტებზე გაზრდის მოთხოვნას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „ერთიანი აგროპროექტი“ 2017წ.

2) ტურაბელიძე ნ. საადგილმამულო ურთიერთობათა საფუძვლები, თბ. 2009.

3) პოლ კრუგმანი, მაურიუს ოფსვილდი „საერთაშორისო ეკონომიკა თეორია და პოლიტიკა“ გამომცემლობა „ცისარტყელა“,2000წ.

4) მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები , თბ.“ დიოგენე“ 2008წ.

5) ე.ბარათაშვილი, გ.ჯოლია; ნ.გრძელიშვილი; ი.მამალძე; დ.სეხნიაშვილი; დ.ჩახვაშვილი „ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება“.თბ., 2011წ.

6) საქსტატის მონაცემები, 2017წ.

REFERENCES:

1) Agricultural Project Management Agency “United AgroProject” 2017

2) Turabelidze N. Fundamentals of Tidy Relationships,TB2009.

3) Paul Krugman, Maurice Offside “International Economics Theory and Politics” Publishing House “Rainbow” 2000

4) Menku G. Economics Principles. “Diogene” , 2008
5) E. Baratashvili, G.Jolia; N. Sondeliashvili; I.Mamaladze; D. Shenniashvili; D. Chakhvashvili State Regulation of Economy. TB.,2011.
6) Geostat data in 2017.

FOOD SECURITY AND EMPLOYMENT OF LABOR RESOURCES IN THE AGRICULTURAL SECTOR

David Gogiashvili
Phd student of GTU

RESUME

The high level of unemployment is one of the main challenges of the economy of Georgia; therefore the unemployment rate is one of the priorities of the country’s economic policy over the years. Furthermore, further development and growth of the private sector is the most effective mechanism for unemployment reduction. To make an effective economic policy in the direction of increasing unemployment and employment growth, it is important to analyze the unemployment and employment components as in the direction of delivery, which implies the asymmetry of the labor market, low quality of mobility, low productivity and inadequate qualifications, as well as demand, which includes insufficient diversification of private sector, unequal development between sectors and issues of creation of concentration of agribusiness regulation of business and entrepreneurial activity. To overcome the crisis in agriculture, we need to support the development of entrepreneurship, to revive small, medium and large businesses. Formation and development of national entrepreneurship is possible only in favorable market and social environments. Such environment must be created by the state and private farmers in collaboration.

Keywords: Food security strategy, employment problem, self-employment, development of agro-industrial sector.

ინტენსიურ მებაღეობაზე გადასვლის მოტივაციები

(შიდა ქართლის მაგალითზე)

პაატა კოღუაშვილი
ემდ, სტუ პროფესორი
ზაზა ბარბაქაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

მიწათმოქმედების საწყის ეტაპზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს, კერძოდ შუა აზიაში ხუთი ათასი წლით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ამიერკავკასიაში სამი ათასი წლის წინ, საბერძნეთში, მესოპოტამიაში, აღმოსავლეთ ევროპაში ორი ათასი წლის წინ, ადამიანები წარმატებით იყენებდნენ თავიანთ საარსებო საშუალებათა სხვადასხვა ხერხს, რომელიც საკვების მოპოვებასთან იყო დაკავშირებული. ამ დროიდან მოყოლებული ბუნების სხვა მზა პროდუქტებთან ერთად, ხილს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ადამიანის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის შემდეგ საფუძველი ჩაეყარა სადგომ ადგილებში მათთვის საჭირო ხეხილის გაშენებას და ხილის ჯიშების გაუმჯობესების ცდებს. ამის საფუძველზე შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ მეხილეობის საწყისი ფორმები სწორედ მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარების მომენტიდანაა დაწყებული.

სტატიაში განხილულია ჩვენი ქვეყნის მეხილეობის მოკლე ისტორია და სამომავლო პერსპექტივები შიდა ქართლის რეგიონის მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ტექნოლოგიები, ინვესტიცია, კლიმატგონივრული, სტიქიური მოვლენა, ზარალი, ინტენსიური ბაღი.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

მეცნიერული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ საქართველო ხეხილის წარმოშობისა და მოშინაურების (დომესტიკაციის) მნიშვნელოვან ბუნებრივ ცენტრს წარმოადგენს. ჩვენი ქვეყანა მიჩნეულია ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ტყემლის, თხილის, ზღმარტლის და სხვა კულტურების წარმოშობის კერად.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის მეხილეობის დარგის აღორძინებისათვის გამოკვეთილია ძირითადი პრიორიტეტები: მაღალხარისხოვანი, უვირუსო და ჯიშურად გარანტირებული, ინტენსიური ტიპის სარგავი მასალის წარმოების ორგანიზაცია; ქართული ხილის საწარმოო ასორტიმენტის ძირეული შეცვლა-განახლება, რომლის გარეშეც შეუძლებელია საექსპორტო ხილის წარმოება და რეალიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე; ახალი ჯიშების ინტროდუქცია და მათი საწარმოო მასშტაბებით გავრცელების მიზანშეწონილობის დადგენა მეხილეობის ზონებში წინასწარი გამოცდა-შესწავლის საფუძველზე; ხილის სპეციალური მიკროზონების გამოყოფა; ახალი ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც უკვე აპრობირებულია და წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, რაც ითვალისწინებს საშუალო და სუსტი ზრდის საძირეებზე შპალერული ტიპის მაღალპროდუქტიული ადრემსხმოიარე ბაღების გაშენებას; ეფექტური სხვლა- ფორმირების სისტემების დახვეწა, მოსავლის აღებისა და სასაქონლო დამუშავების, შენახვის ტექნოლოგიების შემუშავება.

უკანასკნელ პერიოდში კლიმატის ცვლილებების შედეგად გამოწვეულმა სტიქიურმა მოვლენებმა მეხილეობის დარგში მოღვაწე ფერმერები ძალიან დიდი ზარალის წინაშე დააყენა, სეტყვა, გვალვა, გაზაფხულის საგვიანო და შემოდგომის ნაადრევი წაყინვები, ძლიერი ქარი და სხვა სტიქიური მოვლენები თითქმის ყოველწლიურად მეორდება შიდა ქართლის რეგიონში ბოლო ხუთი წლის მანძილზე. ზარალის შესწავლამ დაგვანახა ციფრები, რომელიც დაკარგულ რამოდენიმე ასეულობით მილიონ ლარს შეადგენდა. ფერმერთა უმრავლესობამ ვეღარ შეძლო კვლავწარმოებისათვის სახსრების მოძიება და შეწყვი-

ტა საქმიანობა, ხოლო მათ ვისაც გარკვეულწილად კიდევ გააჩნდათ რესურსები წარმოების გასაგრძელებლად, თანხის ჩადება თანამედროვე ტექნოლოგიებში დაიწყეს, რადგან ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დღეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობას ხედავენ.

ლოკალური მეტეოსადგურები, სეტყვის საწინააღმდეგო ბადეები, წვეთოვანი მორწყვის სისტემები, მოყინვის საწინააღმდეგო სანამი სისტემები, ეს ის თანამედროვე ტექნოლოგიებია, რომელიც გვეხმარება წინ აღუდგეთ გარკვეული დოზით სტიქიურ მოვლენას. თუმცა უნდა ავღნიშნოთ, რომ მათი გამოყენება საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, საქართველოს ხელისუფლების პირობებში მოქმედებს სამთავრობო პროგრამები, რომელიც ეხმარება ფერმერს თანამონაწილეობის პრინციპით საკმაოდ შეღავათიანი პირობით შეიძინოს საჭირო საშუალებები, მაგრამ კავშირი კვლევას, პრაქტიკულ სოფლის მეურნეობას, აგრო-ბიზნესსა და ადმინისტრირებას შორის ჯერ კიდევ ძალიან სუსტია, რაც ინოვაციების არარსებობაში ვლინდება. როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო კვლევები არ ეყრდნობა ეროვნულ სტრატეგიას, რის გამოც არ ხდება მათი შედეგების პრაქტიკაში გამოყენება. კლიმატური პირობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, კვლევებში უფრო მეტად უნდა იყოს გამოყენებული რეგიონული მიდგომა და ჰქონდეს უფრო მეტი კავშირი პრაქტიკასთან. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია მდგრადი სასოფლო-სამეურნეო სისტემების გამოყენებითი ხასიათის კვლევების წარმოება. იმისათვის, რომ კვლევების შედეგები ფერმერებამდე მივიდეს, აუცილებელია რეგიონულ თუ ფერმების დონეზე ჩატარებული კვლევების შედეგებისა და ცოდნის გაზიარება ექსტენციის სამსახურებისათვის, აღნიშნული კვლევების შედეგების ფერმერებს შორის გავრცელების მიზნით. საქართველოში ასევე საჭიროა კვლევების ჩატარება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და შედეგების შერბილების ღონისძიებების იმ დამატებითი კომბინაციების გამოსავლენად, რომლებიც უნდა გატარდეს წარმოების კონკრეტულ სისტემებსა თუ გარემოში. ნიადაგის, წყლისა და

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მართვის კომბინირებული ღონისძიებები აღნიშნული ღონისძიებების მაგალითს წარმოადგენს. სოფლის მეურნეობის წარმოების ტრადიციული სისტემების ჩანაცვლება ისეთი ინოვაციური და მდგრადი სისტემებით, რომლებსაც ადვილად ითვისებენ და იყენებენ ფერმერები, დადებით შედეგს იქონიებს მეხილეობის და სხვა წამყვანი დარგების განვითარებაში, ხელს შეუწყობს ეროვნულ/ადგილობრივ დონეზე ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას.

დღეს არსებული გარემო პირობების გათვალისწინებით უნდა გვესმოდეს თუ რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ, მეურნე კაცმა კარგად უნდა გაითავისოს ის ტენდენციები, რომელიც თანამედროვე სამყაროში ვითარდება, რესურსების რაციონალური გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია წარმატების მისაღწევად, ტრადიციული მეთოდები დღეს სამეურნეო საქმიანობაში ეკონომიკურად გაუმართლებელი აღმოჩნდა წყლის მენეჯმენტის კუთხით და ხშირად ფატალურ შედეგამდე მივდივართ. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ სახეზე გვქონდა უჩვეულოდ ხანგრძლივი გვალვები, რომლის შედეგად ბევრი ხეხილის ბაღი საერთოდ გახმა და რიგ მეურნეობებში სერიოზული ზარალი გამოიწვია. შიდა ქართლის პირობებში გვალვები ნაყოფის ფორმირების პერიოდს ემთხვევა, მაშინ როცა სარწყავი სეზონი პიკს აღწევს და სოფლის მეურნეობის ყველა სფეროსათვის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს. ამ დროს ვხედავთ, რომ ის ფერმერები რომელთა მეურნეობა საირიგაციო სისტემის სათავესთან ახლოს მდებარეობს წყლის ეკონომიას არ აკეთებს და კარგავს იმ რესურსს, რაც მეორე ფერმერისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო კომპანიის მიერ სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის და უამრავი ახალი მაგისტრალის მოწყობის მიუხედავად, მიწების უდიდესი ნაწილი მაინც გაუსარწყავებელია. ამავე კომპანიის პოლიტიკა მიმართულია წყლის ეკონომიკური ხარჯვის მეთოდების პოპულარიზაციისაკენ, რადგან ერთადერთ გამოსავალს ამაში ხედავენ. მართლაც, სხვანაირად არ შეიძლება, როცა დედამიწაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის

წყალი დეფიციტური გახდა, ჩვენ არ გვაქვს უფლება არ გაუფრთხილდეთ ამ სიცოცხლისათვის აუცილებელ რესურსს. დღეს ჩვენში აღარავის უკვირს თანამედროვე სარწყავი სისტემების გამოყენების ფაქტი, მაგრამ ეს მაინც ცოტაა და ამ პროცესს კიდევ უფრო მეტად ჭირდება პოპულარიზაცია, რათა ყველა წყალმომხმარებელმა დანერგოს ეკონომიკური რწყვის მეთოდი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ნაკლები რაოდენობის წყლით მივაღწიოთ სასურველ შედეგს.

შიდა ქართლის მოსახლეობისათვის კარგად ცნობილია ისეთი სტიქიური მოვლენის მიერ გამოწვეული ზარალის მაშტაბები, როგორიც სეტყვაა. ამ მოვლენამ მასშტაბური ხასიათი მიიღო უკანასკნელ პერიოდში. თანამედროვე მეხილეობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მორგებული უნდა იყოს ყველა რისკფაქტორზე, რასაც შეუძლია ზიანის მოტანა ჩვენი მეურნეობისათვის. თანამედროვე ტექნოლოგიები ამის საშუალებას იძლევა. განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხანია წარმატებულად იყენებენ სეტყვისგან თავდასაცავ ბადეებს , საქართველოს ბაზარზე უკვე გამოჩნდა ეს ტექნოლოგია და ნელ-ნელა ინერგება ხილის ინტენსიურ ბაღებში.

ჩვენ გვაქვს მაგალითი ერთ-ერთ ბაღზე, რომელიც მდებარეობს სოფელ ქსოვრისთან, სეტყვისგან დასაცავი სისტემა გამართულად მოქმედებს უკვე მეოთხე წელია და მეურნეობას უკვა ნათლად დაანახა მისი უპირატესობა, როცა მოსულმა სეტყვამ გარშემო ტერიტორიაზე მდებარე ბაღები თითქმის ასი პროცენტით გაანადგურა 2016 წლის ივნისში, ხოლო 2017 წლის 26 აპრილს დამდგარმა გაზაფხულის ნაგვიანებმა ყინვამ შიდა ქართლის მეხილეობა უმოსავლოდ დატოვა, აღნიშნულ ბაღში კი ყვავილის დიდი რაოდენობა გადარჩა. საქმე იმაშია, რომ 26 აპრილს ღამით ჰაერის ტემპერატურამ-6 გრადუსს მიაღწია, ხოლო ბადეთი გადახურულ ბაღში ყინვამ 1,5-2 გრადუსით დაბალი მაჩვენებლით შეაღწია, ამას დაემატა ისიც, რომ დილით ამოსული მზის სხივი ბადეში გავლისას გადატეხილი სინათლის სახით მოხვდა გაყინულ ყვავილებს, რამაც გამოიწვია ფატალური შედეგის თავიდან არიდება.

სეტყვისგან დასაცავი ბადის ღირებულება ქართულ ბაზარზე საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, 1 ჰა ბაღის მოსაწყობი რაოდენობა დაახლოებით 40-50 ათასი ლარის ფარგლებში მერყეობს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სტიქიისგან მიყენებული ზარალის ოდენობას, მაშინ უნდა ითქვას, რომ ეს გამართლებული ინვესტიციაა.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა/ მსოფლიო ეკონომიკა.
2. საქართველოში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014.
4. ზ. ბობოქაშვილი კ. ძერია _მებაღეობა/ თბილისი, 2010.

REFERENCES:

1. National Parliamentary Library of Georgia / World Economy
2. Strategic Action Plan for Climatic Agriculture Support in Georgia
3. National Statistics Office of Georgia / Georgia's Agricultural Description of 2014
4. Z. Bobokashvili K. Is beautiful - Tbilisi / 2010.

TRANSITION MOTIVATIONS FOR INTENSIVE GARDENING (ON THE EXAMPLE OF SHIDA KARTLI)

Paata Koghuashvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Zaza Barbakadze
Phd student of GTU

RESUME

Nearly two thousand years ago in Central Asia, in Mesopotamia and East Europe, thousands of years ago in different parts of the world, namely, in Central Asia five thousand years ago, three thousand years ago in the Caucasus, people successfully used their means of subsistence, in the meeting it was enunciated. From this time another natural product of fruit, Khale holds an important place. After moving to the habitat of the human habitat, the foundation was laid on the places where they were needed to grow fruit trees and to improve the fruit varieties. On this basis, we can conclude that the early forms of breeding started from the beginning of development and development of agriculture.

The article discusses a brief history of our country and future prospects on the example of Shida Kartli region.

Key words: Modern technologies, investment, climatic, natural phenomenon, loss, intensive gardening.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირება ქართულ ჯანდაცვაში

ზვიად ვეკუა,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი მიმართულებები მსოფლიო და ქართული ჯანდაცვის სისტემაში. ავტორის მიერ ჩატარებული ანკეტური კვლევის საფუძველზე გაანალიზებულია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენა ქართულ ჯანდაცვაზე.

ბოლო წლებში ჯანდაცვის სექტორი საერთაშორისო მასშტაბით ავლენს გარდაქმნების მზარდ ტენდენციას, რაც გამოწვეულია აღნიშნულ სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების უსწრაფესი გავრცელებით. ახალი ციფრული სისტემები და ქსელური ეკონომიკის განვითარება ჯანდაცვის სექტორის მოდერნიზების აუცილებლობას განაპირობებს, რაც მთლიანად ცვლის ჯადაცვის მომსახურების მიწოდების ხარისხს, დროს, ეფექტურობას და ხელმისაწვდომობას.

ჯანდაცვის კუთხით სპეციალიზებულ ორგანიზაციებში, სამეცნიერო წრეებში და ჯანდაცვის პრობლემებით დაინტერესებულ სუბიექტებში განხილვის საგანს წარმოადგენს ციფრული ჯანდაცვის მზარდი პოტენციალის ფონზე ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირების პროცესში წარმოქმნილი ტექნიკური, ეთიკური, ფინანსური და სხვა საკითხები. ჯანდაცვის სფეროში დაგროვილი ინფორმაციის მართვა, ინფორმაციული ტექნოლოგიების და სერვისების კონტროლი და ინფორმირებული პაციენტი, რომელიც ამჟამად უფრო მეტად აკონტროლებს საკუთარ ჯანმრთელობასა და ცხოვრების წესს, ჯანდაცვის მიმწოდებლებს სტრატეგიებისა და მიდგომების ცვლილებებისკენ უბიძგებს.

საკვანძო სიტყვები: ჯადაცვა, დაზღვევა, ტექნოლოგიები,

სამედიცინო მომსახურეობა, ინფორმაციული სერვისები, ჯანდაცვის რეფორმა.

ძირითადი ტექსტი

ჯანდაცვის ბაზრის რიგ პრობლემას უპირატესად სერვისის მიმწოდებელსა და მომხარებელს შორის არსებული **ინფორმაციული ვაკუუმი** განაპირობებს, სადაც მიმწოდებლის უპირატეს როლს მისი მეტი ინფორმირებულობა და, პირიქით, მომხმარებლის ნაკლებინფორმირებულობა განსაზღვრავს.[1] ინფორმირებულობის ხარისხის ზრდა საერთოდ ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. ეს ამაღლებს მომხმარებელთა არჩევანის შესაძლებლობას და, შესაბამისად, კონკურენციას საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში.

სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო პროდუქტის მომხმარებელთა ინფორმირებულობის ზრდა, მათ მიერ ფართო არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა იძლევა სამედიცინო მომსახურების, როგორც კონკურენციულ ბრძოლაში ჩართული მწარმოებლის, შედეგის განხილვის საფუძველს კონკურენტული პროდუქტის სახით და ამით, შესაბამისად, ზრდის ამგვარი მომსახურების წარმოების რისკებს, ასტიმულირებს მის პროგრესს და ხელს უწყობს ხარისხის გაუმჯობესებას.

ტექნოლოგიური მიღწევები მედიცინაში აფართოებს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შესაძლებლობებს, რის შედეგადაც პაციენტებში ჩნდება სხვადასხვა დაავადებისგან განკურნების ან კიდევ მდგომარეობის შემსუბუქების იმედი, თუმცა, ამასთანავე, რიგ შემთხვევაში მაღალტექნოლოგიური სერვისების საბაზრო ფასი შეიძლება უფრო მაღალი აღმოჩნდეს როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფოს გადახდისუნარიანობის დონეზე, რაც უარყოფითად მოქმედებს მომსახურების ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე. ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სიძვირე და მომსახურების ხარისხისადმი გაზრდილი მოთხოვნილება განაპირობებს ჯანდაცვაში ხარჯების მნიშვნელოვან ზრდას. ხარჯები ჯანდაცვაში განსაკუთრებით გაზ-

რდილია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია და სხვ. ერთ-ერთი მსგავსება, რაც აერთიანებთ აღნიშნულ ქვეყნებს, არის ტექნოლოგიებისა და ინოვაციებისადმი მზარდი მოთხოვნილება.[2] თვალსაჩინოებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ევროკავშირის ქვეყნის - კვიპროსის მაგალითი, სადაც ჯანდაცვის სფერო მნიშვნელოვან კრიზისს განიცდის. მდგომარეობიდან გამოსვლის უმთავრეს ბარიერად ექსპერტები ჯანდაცვაში ელექტრონული სისტემების დანერგვის დაბალ დონეს და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კუთხით გაწეულ, არასაკმარის ხარჯებს მიიჩნევენ.

თანამედროვე პირობებში ინფორმაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიები ჯანდაცვის ბაზარზე გახდა ერთ-ერთი გადამწყვეტი რესურსი ყველა აქტორისათვის. ექიმი, მომსახურეობის პროცესში, ფლობს პაციენტზე მეტ ინფორმაციას, რაც მას უპირატეს როლს ანიჭებს სამედიცინო ბაზარზე. 70-იანი წლების ევროპული ჯანდაცვის კრიზისი გამოიწვია სადაზღვეო კომპანიების მიერ პოტენციურ ბენეფიციარებზე დაგროვილი დიდი ინფორმაციის ფლობამ. ამ კუთხით სპეციალიზებული დამზღვევები, მათ ხელთ არსებული ინფორმაციული რესურსით, ადვილად ახერხებდნენ დაავადების მაღალი რისკის მქონე მოსარგებლეთა ამოცნობას და თავის არიდებას მათი დაზღვევისაგან. აღნიშნულმა პროცესმა დააგროვა დიდი რაოდენობის მაღალრისკიანი მოსახლეობა, რომელიც დაზღვევის გარეშე დარჩა, რამაც ევროპულ სახელმწიფოებს უბიძგა დაზღვევის სფეროში **რისკების გათანაბრების სქემის** დანერგვისკენ.

მართვის პროცესების განვითარებას კონკურენციულ პრინციპზე აგებული სისტემით ქართულ ჯანდაცვაში ხელს უშლის მისი შეზღუდული ინფორმაციული უზრუნველყოფა შესაბამისი ინფორმაციული სისტემების, ასიმეტრიული ინფორმირებულობის და ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო.

როცა ვსაუბრობთ ინფორმაციაზე ჯანდაცვაში, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ჯანდაცვაში არსებული ინფორმაციის მენეჯმენტი და ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები. ჯანდაცვის ინფორმაციული მენეჯმენტი, ჯანდაცვაში არსე-

ბული ფინანსური, სამედიცინო და ადმინისტრაციული ტიპის ინფორმაციების გაცვლის, გავრცელების და სისტემატიზების პროცესია, ხოლო ჯანდაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიები გულისხმობს კომპიუტერულ, ინოვაციურ, ციფრულ ტექნოლოგიურ განვითარებას ჯანდაცვის სექტორში.[3]

ევროპის ქვეყნებში სამედიცინო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეკუთვნება სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს და სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს, მაშინ როდესაც საქართველოში არსებული სამედიცინო ჰოსპიტლების 97% რეფორმის ფარგლებში დაექვემდებარა პრივატიზებას. კერძო სექტორი საბაზრო პრინციპების გათვალისწინებით მოქმედებს, იყენებს ინფორმაციულ რესურსებს და პოტენციალს. კომერციალიზაციის პირობებში კი ინფორმაციული ტექნოლოგიები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ბაზრის წარმატებით ფუნქციონირებაში.

ინფორმაციასთან და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკების მართვა სისტემურ მიდგომებს საჭიროებს. ქართულ ჯანდაცვაში შეინიშნება მართვის ცენტრალიზებული მოდელის შექმნის მცდელობა.[4] სამედიცინო ბაზარზე მოქნილი და თანამედროვე ინფორმაციული უზრუნველყოფა ძნელად მისაღწევია, თუნდაც რეგიონებსა და თბილისს შორის ჯანდაცვის მუშაკთა შორის არსებული კომპეტენციის სხვაობის, ინფორმაციაზე და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის, სისტემის მუშაობაში გაუკვევლობის გამო. [5]

პირველად ჯანდაცვაში პაციენტების ჩართულობისა და მათი ინფორმირებულობის დონის განსასაზღვრავად ჩვენს მიერ ჩატარდა გარკვეული ანკეტური კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პაციენტების დამოკიდებულების განსაზღვრა თანამედროვე ტექნოლოგიებისადმი და ჰოსპიტალებთან ურთიერთობისას მათი ინფორმირებულობის დონე. საკვლევად შერჩეულ იქნა თბილისი და სამეგრელოს რეგიონი - ცენტრსა და რეგიონს შორის კავშირის შედარებითი დახასიათებისთვის და დასკვნების გამოსატანად.

კითხვარი ატარებდა შემდეგ შინაარსს:





პაციენტთა გამოკითხვამ გამოავლინა მათ მიერ სამედიცინო ინფორმაციის მიღების წყაროთა შემდეგი სურათი:



კვლევის შედეგად გამოკვეთა შემდეგი დასკვნები:

❖ პაციენტები ინფორმირებულნი არ არიან სადაზღვევო პაკეტების შესახებ;

❖ ქართულ სამედიცინო ბაზარზე შეინიშნება მომსახურეობის გამწევის (სამედიცინო დაწესებულების) ინფორმაციული უპირატესობა მკურნალობის პროცესის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხში;

❖ პაციენტებს აქვთ ინფორმაცია ფარმაციულ ბაზარზე არსებული გარიგებების და შეთანხმებული ფასების შესახებ, მაგრამ არ აქვთ ქმედითი ინსტრუმენტი წინააღმდეგობა გაუწიონ პრობლემას;

❖ პაციენტებს (განსაკუთრებით რეგიონებში) უმეტესწილად არა აქვთ სამედიცინო ინფორმაციის online რესურსებთან ხელმისაწვდომობა და სხვ.

სამედიცინო ინფორმაციის დაცვა, თანამედროვე ეტაპზე უკვე არ არის ლოკალური საკითხი, იგი თანდათანობით გადადის მაკრო დონეზე და იქცევა ერთ-ერთ გლობალურ საკითხად. ამას ადასტურებს ელექტრონული მედიცინის ბარათები, რომელიც ამჟამად ფრთოდ გამოიყენება განვითარებული ჯანდაცვის მქონე ქვეყნებში. ისინი შეიცავენ ინფორმაციას მოქალაქის პირადი, საკრედიტო ბარათის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური უზრუნველყოფის ნომრისა და სხვათა შესახებ. მიუხედავად ამისა 2015 წელს, ჯანდაცვის 100 მლნ ჩანაწერი მაინც იქნა დაკარგული მსოფლიო მაშტაბით. [6] რაც საშიშროების ქვეშ აყენებს მოქალაქის პირად უსაფრთხოებას არა მხოლოდ ჯანდაცვის კუთხით.

საქართველოში ინფორმაციის დაცვისა და უსაფრთხოების რისკების მართვის შესახებ არ მოიპოვება სტატისტიკური მონაცემები, მაგრამ არსებობს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ დამტკიცებული ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის საერთაშორისო სტანდარტი.

პაციენტების ნაკლებგაცნობიერება ციფრულ ტექნოლოგიებში პირდაპირ მიბმულია მათი ჯანდაცვის სისტემის მოდერნიზაციის პრობლემებზე, ვინაიდან სამედიცინო შეცდომების პრევენციისათვის ინფორმაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს. ამიტომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის რისკები ინტერნეტ ინფორმაციების მოწესრიგების, მათი ხარისხის ამაღლებისა და კომპეტენტურობის გაზრდის შედეგად თანდათანობით მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს. შესაბამისად, სავარაუდოდ საინფორმაციო კომუნიკაციების არხების თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებზე აწყობის შემთხვევაში ხელშესახებად უნდა

გაიზრდოს სამედიცინო ორგანიზაციებს, ფარმაციულ კომპანიებსა და პაციენტებს შორის ურთიერთკავშირის ეფექტიანობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში სახელმწიფო, როგორც ჩანს, გრძელვადიან პერიოდში ვერ შეძლებს ისეთი ინტენსივობით დააფინანსოს ჯანდაცვის სექტორი, როგორც თანამედროვე ეტაპზე. ამიტომ აუცილებელია აღნიშნულ სფეროში კერძო სექტორის შესაძლებლობათა მაქსიმალური განვითარება.

ჩვენი ქვეყნისათვის თანამედროვე ჯანდაცვის სტანდარტები ჯერჯერობით მიუღწეველია და ასეთად დარჩება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, თუკი არ მოხდება ეკონომიკის სხვა სფეროების კვალდაკვალ მისი თანაბარზომიერი განვითარება. მეცნიერულ-ტექნოლოგიური ცოდნის მოძველება თანამედროვეობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ახალი მეცნიერულ-ტექნოლოგიური ცოდნის შექმნის სწრაფმავალი ტემპი პრინციპულად ცვლის სტრატეგიებსა და მიდგომებს ეკონომიკის პროცესის განვითარებისადმი, შესბამისად ჯანდაცვის ეკონომიკაც ვერ შეძლებს გასცდეს იმ რეალობას, რაშიც იმყოფება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკა. ამიტომაც ციფრული ტექნოლოგიების გადმოპორტირება ჩვენს ქვეყანაში დიდი სიფრთხილით უნდა განხორციელდეს.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. თენგიზ ვერულავა - სამედიცინო დახმარების ანაზღაურების მეთოდების კომპლექსური შეფასება, თბილისი, 1999.

2. ჰარვი როზენი. პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩეველი ჯანდაცვის საკითხებში - კომენტარი ეკონომიკის ეროვნული ასოციაციის კონფერენციაზე ჯანდაცვის თემაზე. 2005.

3. დავით ჩლაიძე - ინფორმაციული სისტემების თაობა და მისი გავლენა თანამედროვე მედიცინაზე. თბილისი. 2015.

4. ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება საქართველოში. 2013 წ.

5. ვერულავა, თ., ბეჭვაია, ჯ. 2015. პირველადი ჯანდაცვის პერსონალის სამეცნიერო – ინფორმაციული უზრუნველყოფის

პრობლემები საქართველოში. სამართალი და ეკონომიკა. (6): 74-86

6. დელიოტის ჯანდაცვის ცენტრი - როგორ ცვლის ციფრული ტექნოლოგიები ჯანმრთელობის და სოციალურ დაცვას. 2014.

REFERENCES:

1. Verulava Tengiz – complex Evaluation of Medical Aids Compesation Method. Tbilisi 1999.

2. Rosen, Harvey S. Chairman, Council of Economic Advisers, Comments on Health Care at the Conference of the National Association of Business Economics, March 21, 2005.

3. David Chlaidze – Generation of Information System and its Influance on Modern Medicine, Tbilisi, 2015.

4. Evaluation of Health Care Effectiveness in Georgia. 2013.

5. Verulava T. bechvaia J. - Scientific and Information Provision Problems of Primary Health Care in Georgia. Justice and Economy

6. Deliotte centre for health solution – How digital technology is transforming health and social care. 2014

INTEGRATION OF INFORMATION TECHNOLOGY IN GEORGIAN HEALTH CARE SYSTEM

Zviad Vekua
Ph. student of GTU

RESUME

In the article there are reviewed the main directions of the development of modern information technologies in the world and in Georgian healthcare system. The impact of the modern information technologies on Georgian Healthcare is analyzed according to the questionary research conducted by the Author. In recent years, the healthcare sector has shown internationally an increasing trend

of transformation, which is due to the rapid spread of information technology in this field.

The new digital system and development of the network economy due to modernization of the health sector, which completely changes quality, timing, efficiency and availability of the healthcare services.

Healthcare organisations, scientists and the other coordinated bodies are discussing technical, financial, ethical and other questions that derives from integration of information technology within digital healthcare system.

The accumulated information in healthcare system, control of services and information technology that means more informed patients who control their health and lifestyle, give impulses to healthcare providers to make changes in methods and strategy in healthcare delivery.

Key words: Health care, Insurance, Technology, Medical Care, Information Services, Reform of Health System.

ინოვაციები საექსკურსიო საქმიანობაში და მათი დანერგვა საქართველოში

თეონა ზოიძე
სტუ დოქტორანტი
მარინა მეტრეველი,
სტუ პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში საექსკურსიო ტურიზმი დახაიათებული როგორც ტურიზმის ძირითად სახეობა. განსაკუთრებულად არის ხაზგასმული, რომ დღეისათვის საექსკურსიო ტურიზმი არ კარგავს აქტუალობას და მოთხოვნადია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ვინაიდან ექსკურსია ტურისტული მომსახურეობის ერთერთი პოპულარული სახეა.

სტატიის მიზანია საექსკურსიო საქმიანობაში მიღებული ყველაზე მოთხოვნადი ინოვაციების შესწავლა და განზოგადება. სტატიაში განხილულია, ჯერ ერთი, საექსკურსიო საქმიანობის ინოვაციური ფორმები; მეორე, სისტემატიზებულია საექსკურსიო პროდუქტები, მესამე, გაანალიზებულია ინოვაციური საექსკურსიო პროდუქტები; მეოთხე, - დასახულია ინოვაციური საექსკურსიო პროდუქტების საქართველოსთვის მისაღები ვარიანტები და მათი განხორციელების გზები და საშუალებები.

გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ ყველაზე პერსპექტიულ ინოვაციურ პროდუქტებად დღეს შეიძლება დასახელდეს რადიო-გიდი, QR-კოდი და კვესტ-ექსკურსიები, რომელთა მიმართ ინტერესი ტურისტების მხრიდან დღეს დიდია.

საკვანძო სიტყვები: საექსკურსიო საქმიანობა, ინოვაცია, საექსკურსიო ტურისტული პროდუქტი, QR-კოდი,[1] კვესტი, კონკურენტუნარიანობა.

1 QR-კოდი (Quick Response Code — სწრაფი რეაგირების კოდი) — ორგანზომილებიანი მეტრიკული შტრიხ-კოდი, რომელიც თავდაპირველად იყო შექმნილი იაპონიის საავტომობილო წარმოებისთვის. შტრიხ-კოდი იკითხება მოწყობილობის მიერ და შეიცავს ობიექტის შესახებ ინფორმაციას. ინფორმაციის ეფექტიანი შენახვისათვის QR-კოდი იყენებს კოდირების ოთხ სტანდარტულ რეჟიმს: ციფრულს, ასოით-ციფრულს, ორმაგს და „კან-ძის“.

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

იმისათვის, რომ კონკურენტულ პირობებში შენარჩუნებულ იქნას მოთხოვნადობა, ტურისტული ინდუსტრიის საწარმოები მუდმივად უნდა ვითარდებოდნენ. ინოვაციების როლი ტურიზმში საქართველოში ჯერჯერობით სათანადოდ არ არის აღქმული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კონკურენციის ერთერთ მეთოდს წარმოადგენს. ინოვაციურ პროცესს ახასიათებს სპეციფიკური თავისებურებანი, მაგრამ ისინი ეკონომიკური განვითარების საერთო კანონებს ემორჩილება. ეს ეხება ტურისტულ ბიზნესსაც და საექსკურსიო საქმიანობასაც, როგორც მის შემადგენელ ნაწილს. საექსკურსიო საქმიანობაში დანერგილი ინოვაცია ხელს უწყობს საექსკურსიო მომსახურეობის ტურისტულ ბაზარზე პრომოუშენს (წინ წაწევას), რადგანაც ისინი ქმნიან ერთი საექსკურსიო მომსახურების უპირატესობას სხვასთან შედარებით. ამ დროს მნიშვნელობა ენიჭება როგორც ექსკურსიამძღოლების, ისე თვით ექსკურსიის ხარისხიან მომზადებას, მისი ჩატარების ტექნიკისა და მეთოდიკის დაუფლებას.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

საქართველოს დიდი ისტორიულ-კულტურული პოტენციალი უსაზღვრო შესაძლებლობას ქმნის ტურისტულ-საექსკურსიო საქმიანობისათვის. საწარმოები, ქმნიან რა საექსკურსიო პროდუქტს, უნდა ავითარებდნენ საკუთარ ორიგინალურ სავაჭრო ნიშანს, მხედველობაში ღებულობდნენ სამომხმარებლო მოთხოვნილებას და მომსახურების დიფერენციაციის მნიშვნელობას. ახალი მარშრუტების შექმნას თან სდევს ახალი საექსკურსიო ობიექტების გაჩენა, პროდუქტისა და მისი მიწოდების ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება.

ექსკურსიებმა ევოლუციის ხანგრძლივი გზა განვლეს - ექსკურსიამძღოლების უბრალო მონათხრობიდან თანამედროვე 3D-რეჟიმში მიწოდებულ თეატრალიზებულ წარმოდგენებამდე. ინოვაციური საექსკურსიო საქმიანობის ინოვაციური პროცესები შეიძლება იქნას წარმოდგენილი მრავალი განსხვავებული ფორმის სახით, მათ საკუთარი ინდივიდუალური თავისებურე-

ბები ახასიათებთ, რომლებიც გავლენას ახდენს მის განვითარებაზე და, საბოლოო ჯამში, კონკურენტუნარიანობაზე.

საექსკურსიო საქმის ინოვაციურობა განიხილება, როგორც თემატიკისა და მარშრუტების ხარისხობრივად ახალი სახის მქონე საექსკურსიო პროდუქტები. ინოვაციურები შეიძლება გახდნენ ტრადიციული კლასიკური ექსკურსიებიც, მაგრამ მხოლოდ მათი სრულყოფის, ანუ მათში რაიმე სიახლის შეტანის შემდეგ. ინოვაციური პროდუქტის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობენ მარკეტოლოგები, რეკლამის სპეციალისტები, მეთოდისტები, პროფესიონალი ექსკურსიამძღოლები, მეცნიერებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები.

საექსკურსიო საქმიანობის ინოვაციებად შეიძლება იქცეს:

• საექსკურსიო პროდუქტის ინოვაცია,

• ექსკურსიის ჩატარებისთვის შემუშავებული ინოვაციური ტექნოლოგია,

• ექსკურსიის ტექნიკური ინოვაცია,

• მარკეტინგისა და მართვის ინოვაცია,

• პერსონალური ინოვაცია (მაგალითად, ექსკურსიამძღოლის გარეგნული იერსახე, ანდა ექსკურსიის ჩატარების სტილი და სხვა).

მომხმარებლებისათვის შეთავაზებული ექსკურსიების მრავალფეროვნება დღეს მართლაც გასაოცარია. ოცი-ოცდაათი წლის წინ ამას შოკიც კი შეიძლება გამოეწვია ტურისტებს შორის. მაგრამ თანამედროვე ტურისტები უკვე ვეღარ კმატოფილდებიან მხოლოდ ტრადიციული და თემატური ექსკურსიებით. საექსკურსიო პროდუქტის ინოვაციები მოიცავენ მისტიკური ადგილების დათვალიერებას, დიდი ომების, მკვლელობებისა თუ სიკვდილით დასჯის ადგილების მონახულებას, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების ადგილების ნახვას, ანუ გაზრდილია ინტერესი მიწისქვეშეთების, ლაბირინთების, ციხეების, ძველი სატუსაღოების, ძველი ტექნიკისა და იარაღის საცავი არსენალების და მსგავსი ობიექტების მიმართ; გარდა ამისა, დიდი მოთხოვნილებაა რომანტიკული მარშრუტების, ღია ცის ქვეშ მოწყობილი მუზეუმების (ე.წ. სკანსენების), ისტორიული

და საომარი რეკონსტრუქციების მიმართაც.

ძალზე პოპულერულია დღეს ექსკურსიის ჩატარების ინტერაქტიური და ანიმაციური მეთოდები, როცა ექსკურსანტები არა მარტო უსმენენ ექსკურსიამძღოლს, არამედ აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მის ჩატარებაში.

ინოვაციების დიდი ნაწილი ეხება ექსკურსიის ჩატარების ფორმებსა და მეთოდებს - მასტერ-კლასების ანდა თამაშის ელემენტების შემცველ, კოსტუმირებულ, თეატრალიზებულ ანდა ანიმაციურ ექსკურსიებს, ექსკურსია-გარბენებს, ველო და სიგვეი-ექსკურსიებს, ვირტუალურსა და 3D რეჟიმში წარმოდგენილ სანახაობებს.

ექსკურსიის ტექნიკური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფის ნაწილში უნდა აღვნიშნოთ ერთ ან რამდენიმე ენოვანი რადიო-გიდი, ავტომატური GPS-ექსკურსიამძღოლი. გარდა ამისა, ცალკე უნდა გამოვყოთ ინოვაციები, რომელიც შესაძლებელს ხდის საექსკურსიო ობიექტების დამოუკიდებლად დათვალიერებასა და შესწავლას, ესენია: QR-კოდი, მობილური გზამკვლევები, ცნობარები და ონლაინ-სერვისები.

ამდენად, დღეს არსებობს ინოვაციების საკმარისი რაოდენობა, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია საექსკურსიო საქმიანობაში. წარმოადგენს რა ტურისტული პროდუქტის ერთერთ ძირითად მომსახურეობას, ექსკურსია ასრულებს შემეცნებით და აღმზრდელობით ფუნქციებს, ხოლო საექსკურსიო მომსახურება კი უდიდეს როლს თამაშობს მოსახლეობის განათლების საქმეში. გარდა ამისა, ექსკურსია წარმოადგენს როგოეც ტურის შემადგენელ ნაწილს, ასევე დამოუკიდებელ სერვისს, რის შედეგადაც მასზე მოთხივნა მუდმივად იზრდება.

დღეს მსოფლიოში მოქმედებს მრავალპროფილიანი ტურისტული კომპანიების მთელი რიგი, რომლებიც სთავაზობენ მომხმარებლებს ტურისტული და საექსკურსიო მომსახურების ფართო სპექტრს. დასვენებისა და მკურნელობის გარდა, პოპულარობით სარგებლობენ საექსკურსიო პროგრამები.

გაეროსთან არსებულმა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ 2017 წელს ჩაატარა ექსკურსიების ჩატარების არსებუ-

ლი ინოვაციური ფორმებისა და მეთოდების კვლევა, რომლის ფარგლებში გამოკითხულ იქნა წარმატებული ტურისტული საწარმოების დირექტორებისა და მენეჯერების გამოკითხვა, რომლის შეჯამებულმა შედეგებმა უჩვენა, რომ ექსკურსიების ჩატარების ინოვაციური ფორმებისა და ტექნოლოგიების გამოუყენებლობის მიზეზად მიიჩნევენ:

• სიახლეთა უმრავლესობის შემუავებისა და დანერგვის სიძვირეს, რაც შესაბამისად მოქმედებს წარმოებული ტურისტული პროდუქტის თვითღირებულებაზე და ზრდის მას;

• ინოვაციური ელემენტების შემცველ ტურისტულ მომსახურებაზე მოთხოვნილების ზრდის ნელ ტემპს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს დაბალი ტურისტული მოთხოვნილების მქონე ქვეყნებზე და უმცირებს მათ ტურისტულ ნაკადებს.

ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ ინოვაციების დანერგვის რამდენიმე გზა:

1. რადიო-გიდის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი თემატური ანდა დასათვალიერებელი ექსკურსიის პროცესში, რომლებიც, როგორც წესი, არის კომბინირებული. მოწყობილობა შეიძლება იქნას გამოყენებული ავტობუსის მოძრაობის, ავტობუსიდან ჩამოსვლის, საექსკურსიო ობიექტის დათვალიერების პროცესში. მისი გამოყენება რეკომენდებულია ტურისტების დიდი ნაკადების შემთხვევაში;

2. QR-კოდის გამოყენება შესაძლებელია კვესტ-ექსკურსიის მსვლელობაში ანდა მისი შემუშავების ეტაპზე, ვინაიდან მსგავსი ექსკურსია გულისხმობს შეჯიბრებითობას და ინფორმაციის დამოუკიდებლად მონახვას, ხოლო QR-კოდი კი ინფორმაციის მიღების ყველაზე სწრაფი საშუალებაა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ QR-კოდების შემუშავება და დანერგვა ქალაქის სივრცეში ქალაქის ხელისუფალთა კომპეტენციების სფეროში შედის, ხოლო ტურისტული საწარმოების, ექსკურსიამძღოლებისა და დაინტერესებული საზოგადოების კონსოლიდირებული სწრაფვა ამ შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ დამხმარე მამოძრავებელ ძალას და არა ინიციატორს. ჩვენი აზრით, დღეს საქართველოში განთავსებული, ტურისტული ინტერესის თვა-

ლსაზრისით ყველაზე პოპულარულ ობიექტებზე უნდა დაინერგოს რამდენიმე ენოვანი (ინგლისური,ჩინური, თურქული, რუსული) QR-კოდის გამოყენება. ეს ინტერესს გამოიწვევს არა მხოლოდ ქვეყნის სტუმრებსა და ტურისტებში, არამედ თვით მოსახლეობაშიც. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს საიმიჯო ფაქტორიცაა;

3. თეატრალიზირებული და ანიმაციური ექსკურსიებისგან განსხვავებთ, კვესტ-ექსკურსიის შემუშავება და დანერგვა მინიმალურ დანახარჯებს მოითხოვს, ვინაიდან მისი ჩატარების პირობას არ წარმოადგენს კოსტუმებისა და დამატებითი ადამიანური რესურსების მოზიდვა. კვესტ-ექსკურსია არის ტურისტული საექსკურსიო საქმიანობის ახალი მიმართულება, რომელიც იძლევა ექსკურსიისა და თამაშის შერწყმის შესაძლებლობას. ეს არის ექსკურსია ტრადიციული გიდების გარეშე, რომელშიც ხდება კვესტისა და ექსკურსიის შეხამება. მისი ჩატარების პროცესში ისტორიული რეალობა ერწყმის ისტორიული პიროვნებების ბიოგრაფიებს, ისტორიულ მოვლენების, მონაცვლეობს საინტერესო თავსატეხებთან და საინტერესო გამოცანებთან.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ამდენად, უკანასკნელ წლებში დაფიქსირებულია საექსკურსიო საქმიანობის ორგანიზებაში ინოვაციების დანერგვის მყარი ტენდენცია. ამასთან დაკავშირებით, საქართველოში მიზანშეწონილია ისეთი ინოვაციების გამოყენება, როგორებიცაა: რადიო-გიდი, QR-კოდი და კვესტ-ექსკურსიები, რომელთა დანერგვა გაზრდის საექსკურსიო მომსახურების ხარისხსა და კონკურენტუნარიანობას, უზრუნველყოფს ქალაქების, მხარეებისა და ქვეყნის დონეზე მიღებული შემოსავლების ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უილ კოლდუელი. ევროპის საქალაქო ტურების 10 საუკეთესო ალტერნატივა“// „გარდიანი“, 2016, დეკემბერი.

2. დ. ბაუერსოქსი, დ. კლოსსი, ო. ჰელფერიკი, ლოჯისტიკის მენეჯმენტი, მე-3 გამოცემა, ნიუ იორკი: მაკმილლანის გამომცემლობა, 2009

3. ა. ბულლი, „მოგზაურობისა და ტურიზმის ეკონომიკა“, ლონდონი, პიტმანის გამომცემლობა, 2001

4. ა. ბურკარტი, ტურიზმი: წარსული, აწმყო, მომავალი, ლონდონი, 2017

5. ჯ. ს. ჩ. ჰოლოვეი, ჩ. რობინსონი, ტურიზმის მარკეტინგი, ჰარლოუ, ლონგმანის გამომცემლობა, 2015

6. ბ. რაპპორტი, ტურიზმის სახელმწიფო სამდივნო, საფრაგეთი, 2017

7. ევროპის მოგზაურობის კომისია, ევროპული ტურიზმი 2017 - ტრენდები და პერსპექტივები (Q1/2017): http://www.etc-corporate.org/research-intelligence

REFERENCES:

1. Coldwell Will. “10 of the best alternative city tours in Europe” // The Guardian, 2016, December.

2. Bowersox D. J., Closs D., Helferich O.K. Logidtical Management. 3ed.-N.Y.: McMillan Publishing, 2009

3. Bull A. The economics of travel and tourism. London: Pitman, 2001.

4. Burkart A., Tourism: Past, Present, Future, London, 2017.

5. Holloway J.C.Ch., Robinson Ch. Marketing for tourism. Harlow: Longman, 2015.

6. Rapport Bertry, Secretariat d’Etat au tourisme, France, 2009.

7. European Travel Commission, EUROPEAN TOURISM 2017 - TRENDS & PROSPECTS (Q1/2017): http://www.etc-corporate.org/research-intelligence

INNOVATIONS IN EXCURSION ACTIVITIES AND THEIR IMPLEMENTATION IN GEORGIA

Teona Zoidze
PhD Student of GTU
Marina Metreveli
Professor of GTU

RESUME

The article discusses excursion tourism, which represents the main types of tourism. The article notes, that at present it does not lose its actuality and is in demand in almost every country, because excursion is one of the popular tourist services.

The goal of the article is to generalize the most demanding innovations in excursion activities. The article reviews the first, the innovative forms of excursion activities; the second, the article systematizes the excursion products; the third, article analyzes innovative excursion products; the forth, there are some options available for Georgia to use innovative excursion products.

The article concludes that the most promising products are a radio guide, QR code and quest excursions.

Key words: excursion activity, innovation, excursion tourist product, radio guide, QR code, quest, competitiveness.

მიწის როლი აგრობიზნესში

დავით გოგიაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სოფლის მეურნეობის განვითარება, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია მიწის არსებობასთან. ქვეყნის განვითარება უშუალოდ სასურსათო პროდუქციის არსებობაზეა დამოკიდებული. არ შეიძლება ერის არსებობა მიწის გარეშე, რაც უფრო ნაყოფიერია მიწა, მით ნაკლები ძალისხმევაა საჭირო მივიღოთ იმდენი პროდუქტი, რომელიც საკმარისი იქნება, როგორც ქვეყნის მოსახლეობის გამოკვებისთვის, ასევე ექსპორტისთვის. საქართველოს მიწის რესურსი იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყნის მოსახლეობას ჰქონდეს საკმარისი კვების პროდუქტი, რაც ასე საჭიროა ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ყოველდღიურად შრომობს მხოლოდ ოჯახის საკვებით უზრუნველყოფისთვის. მიწის განსახელმწიფოებრიობის შემდეგ, მაშინ როდესაც არ არსებობდა წარმოების სხვა რაიმე საშუალება, მიწამ უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ფუნქციის შესრულება. დღესდღეისობით მიწის პოტენციალი სრულად არ არის გამოყენებული, ამის საშუალებას არ გვაძლევდა ძირითადად კაპიტალის უკმარისობა. ამჟამად მოსახლეობის რჩენის საშუალება თანდათან გახდა მრეწველობის სხვადასხვა დარგი, ამიტომ მიწის კოოპერაციას და მის ეფექტს უახლოეს პერიოდში უნდა ველოდოთ, რაც თავისთავადი პროცესი იქნება, თუმცა არ უნდა შეწყვიტოს სახელმწიფომ ეკონომიკური თუ პოლიტიკური ბერკეტების გამოყენება ამ პროცესის დაჩქარებისთვის.მიწის ბანკინგი, ნებაყოფლობითი და სავალდებულო კონსოლიდაციის ინსტრუმენტების ამოქმედება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით ამ პროცესს, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს.

საკვანძო სიტყვები: მიწა, მასშტაბის ეკონომია, ნებაყოფლობითი და სავალდებულო კონსოლიდაცია, მიწის ბანკინგი.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

საქართველოში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სოფლის მეურნეობა ასრულებდა ქვეყნის თვითმყოფადობის, თვითუზრუნველყოფისა და თავისთავადობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ფუნქციას. ასე მოხდა 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც, როდესაც უკიდურესად შეჭირვებულმა მოსახლეობამ მასობრივი შიმშილისაგან თავის დასაცავად ხსნა სოფლის მეურნეობაში იპოვა, რომელიც იყო და რჩება დასაქმების უმთავრეს სფეროდ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი – 85%-მდე მოდის თვითდასაქმებულ მოსახლეობაზე. მოქმედი სტატისტიკა სოფლის ეკონომიკურად აქტიურ ზრდასრულ მოსახლეობას, რომელიც ფლობს მიწის ნაკვეთს, სრულად დასაქმებულად მიიჩნევს. ამიტომ უმუშევრობის მაჩვენებელი ქალაქში 4-5-ჯერ აღემატება უმუშევრობის მაჩვენებელს სოფლად, თუმცა იმ თითქმის 900 ათასი სოფლად, მცხოვრები ადამიანიდან, რომელთაც სტატისტიკა დასაქმებულად მიიჩნევს, მხოლოდ ძალზე ცოტას თუ შეუძლია ოჯახის რჩენა მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთიდან მიღებული შემოსავლით. სოფლად არსებული ფარული უმუშევრობა წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის ქალაქებში მასობრივი მიგრაციის, აგრეთვე საზღვარგარეთ ემიგრაციის ძირითად მიზეზს.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ საქართველოში საზღვარგარეთიდან მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობის პროდუქცია შემოედინება, ვიდრე პირიქით. რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში შემოსული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა საზღვარგარეთ გაედინება, რაც არა მარტო ეკონომიკას ასუსტებს, არამედ ადგილობრივ წარმოებასაც მნიშვნელოვნად აფერხებს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში ისეთი სახის სასურსათო პროდუქციის იმპორტი ხდება, რომლის წარმოების გაზრდის დიდი საშუალება ჩვენვე გაგვაჩნია და ქვეყნის გარეთაც შეგვიძლია გავიტანოთ, თუკი ამისათვის მთავრობისა და ხელისუფლების პოლიტიკური ნება და მათი მხრიდან ხელ-

საყრელი ეკონომიკური პირობები შეიქმნება. ამისათვის საჭიროა აღნიშნული სახის პროდუქციის იმპორტზე საბაჟო გადასახადები ეტაპობრივად გაიზარდოს, ხოლო ექსპორტზე კი შემცირდეს. რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკუთარი კვების პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის გაზრდას. სამწუხაროდ ამჟამად ადგილობრივი წარმოების პროდუქცია ძნელად საღდება და კონკურენციას ვერ უწევს საზღვარგარეთიდან შემოსულ შედარებთ იაფ პროდუქციას.

სოფლის მეურნეობის სექტორში მწარმოებლურობის ზრდა შესაძლებელია ორი ძირითადი მიმართულებით: ათვისებული მიწის ფართობების ზრდითა და რესურსების (სასუქები, პესტიციდები, ტექნიკა და ა.შ.) უფრო ეფექტიანი გამოყენებით. ასევე, თითო დასაქმებულის მიერ შექმნლი დამატებული ღირებულების ზრდას ხელს შეუწყობს მიწის გადანაწილება ნაკლებ-მწარმოებლური მფლობელიდან შედარებით მაღალი უნარის მქონე მფლობელამდე.

სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია უდავოდ პროგრესული მოვლენაა, რომლის შედეგადაც ქვეყანაში ჩამოყალიბდა მიწის მესაკუთრეთა გლეხთა და ფერმერთა ფენა, რაც აუცილებელი პირობაა აგრარულ სექტორში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარებისათვის. ფერმერული მეურნეობა წარმოადგენს რა შედარებით მცირე სიდიდის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ხასიათდება სამეურნეო სისტემის მაღალი ელასტიურობით და გამძლეობით. იგი ადვილად ეგუება საბაზრო ურთიერთობებს. სწრაფად რეაგირებს ბაზრის ნებისმიერ ტენდენციაზე, ნაკლებად არის დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკაზე. ამ და სხვა მთელი რიგი უპირტესობებისა და დროის მოთხოვნებზე მორგებულობის გამო, საქართველოში ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და განვითარების მაგისტრალური და სტრატეგიული მიმართულებაა. მითუმეტეს, რომ ასეთი მეურნეობა მიწის რაციონალურად გამოყენების საკმაოდ ეფექტური ფორმაა, რასაც მცირემიწიანი საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მიუხედავად მცდელობისა მიწის ნახევარზე მეტი ჯერ კიდევ აუთვისებელი და გამოუყენებელია, ანუ მას ეკონომიკაში წვლილი არ შეაქვს. დაუმუშავებელი და დაქუცმაცებული მიწების, შესაბამისად, გამოუყენებელი ან არაეფექტიანად გამოყენებული რესურსების საკითხს, სამწუხაროდ, საკმარისი ყურადღება არ ეთმობა. პრობლემა კი უკვე წლებია არსებობს და ფუნდამენტურ ბარიერს უქმნის სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას. ამას ემატება დაურეგისტრერებელი მიწების საკითხი. კერძო მესაკუთრეების ხელში არსებული მიწების უმრავლესობაზე საკუთრების უფლება გარკვეული არ არის, რაც აფერხებს მიწის ბაზრის განვითარებას და ნაკვეთების კონსოლიდაციას.

აღნიშნული ვითარება მხოლოდ საქართველოს რეალობა არ არის. თითქმის ყველა სახელმწიფო პოსტ-სოციალისტური ბლოკიდან, სადაც მიწები ათწლეულების განმავლობაში სახელმწიფოს საკუთრება იყო, აღმოჩნდა სასოფლო-სამეურნეო მიწების სამართლიანად და ეფექტიანად განაწილების გამოწვევის წინაშე. ზოგიერთმა მათგანმა ეს საკითხი ეფექტურად გადაჭრა, ბევრი კი დღესაც ამ პროცესშია. ალბათ მიზანშეწონილი არ იქნება რომელიმე სხვა ქვეყნის გამოცდილების ზუსტი კოპირება საქართველოში, თუმცა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს საქართველოს ოპტიმალური გზის მონახვაში. სასოფლო-სამეურნეო მიწების გამსხვილება ფორსირებას და წახალისებას მოითხოვს, რაშიც დიდი როლი შეუძლია ითამაშოს სახელმწიფომ. ჩარევა უნდა იყოს მინიმალური, რათა არ დაირღვეს ბაზრის პრინციპები და ის, ძირითადად, მიწის ბაზარზე არსებული ინფორმაციული ასიმეტრიულობის აღმოფხვრას უნდა ემსახურებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პროცესი ათწლეულები შეიძლება გაგრძელდეს და დარგის განვითარება დიდი ხნით შეაფერხოს.

მეურნეობათა სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ 10 წლის განმავლობაში სათიბებისა და საძოვრების ფართობი სახნავი მიწის 20%-ით შემცირების ხარჯზე გაიზარდა. ე.ი. 2004 წლის შემდეგ უფრო მეტი მიწაა დაუმუშავებელი. ეს ნათლად ჩანს მოხნული მიწის სტატისტიკიდანაც, რომ ნათესი ფართობები წლიდან წლამდე მცირდებოდა. მხოლოდ

2013-2015 წლებში შეინიშნებოდა მცირედი გაუმჯობესება, კერძოდ, მოხნული მიწი ფართობი გაიზარდა 20 პროცენტით წინა სამ წელთან შედარებით. ეს ზრდა მცირემიწიანთა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ვაუჩერული სისტემის შედეგი შეიძლება იყოს, თუმცა მხოლოდ მოხნული მიწის ფართობით ვერ განვსაზღვრავთ გამოყენებული მიწის ეფექტიანობას. უნდა აღინიშნოს, რომ 2013-2015 წლებში სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდა დაფიქსირდა. მაგრამ ცალსახად თქმა, რომ ზრდა ვაუჩერის გაცემემ გამოიწვია-რთულია, თუმცა გასათვალისწინებელია.

სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში არაერთი ფაქტორი უშლის ხელს. ნაკვეთების მცირე ზომა ერთ-ერთი მათგანია და აბრკოლებს დარგში ეფექტიანობის ამაღლებას. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, საქართველოში სულ 642 209 მეურნეობაა, რომელთაგან 68 132 (10.6%) საერთოდ არ ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწას, ხოლო დანარჩენი 574 077 მეურნეობიდან 442 540 (77.1%) ფლობს 1 ჰა ფართობზე ნაკლებ მიწას. მეურნეობების ზუსტი განაწილება სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მიხედვით იხილეთ ქვემოთმოყვანილ ცხრილში.

ფართობი	მეურნეობების რაოდენობა	წილი
<0.1 ჰა	86,988	15.2%
0.1-0.19 ჰა	61,332	10.7%
0.2-0.49 ჰა	139,914	24.4%
0.5-0.99 ჰა	154,306	26.9%
1-1.99 ჰა	95,399	16.6%
2-2.99 ჰა	17,915	3.1%
3-3.99 ჰა	6,349	1.1%
4-4.99 ჰა	3,297	0.57%
5-9.99 ჰა	4,505	0.78%
10-19.99 ჰა	1,630	0.28%
20-49.99 ჰა	965	0.17%
50-99.99 ჰა	538	0.09%
100-199.99 ჰა	428	0.07%
200-499.99 ჰა	387	0.07%
500 ჰა<	124	0.02%
სულ	574,077	100%



მიწების განაწილების ასეთი სტრუქტურით რთულია მასშტაბის ეკონომიის მიღწევა და დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, იმ ფონზე, როცა, მაგალითად, ევროკავშირში ერთ მეურნეობაზე საშუალოდ 16 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა მოდის.



ამას ემატება ისიც, რომ ერთი მეურნეობის მფლობელობაში არსებული ნაკვეთები ხშირად ერთმანეთისგან დაშორებულია. სახელმწიფო მიწების განკერძოების პროცესში ნაკვეთების მოსახლეობისთვის გადაცემის პროცესში, ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, რის გამოც ფერმერების ნაწილს მიწის დამუშავების მაღალი ხარჯი აქვთ.

ანალიზის საფუძველზე, შედარების და „თანაბარი პირობების დაშვების" მეთოდების გამოყენებით იკვეთება საქართველოს ფერმერულ მეურნეობების სტრუქტურული სრულყოფის მიმართულებები: ფერმერული მეურნეობების ოპტიმალურ რიცხოვნობად საქართველოში საორიენტაციოდ მიჩნეული იქნეს 115 ათასი ერთეული – ნაცვლად 691577-ისა (ფერმერულ -გლეხურ მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც ფლობენ მიწებს – პირველი ეროვნული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით). ე.ი. ფერმერული მეურნეობების რიცხოვნობა, მათი შემდგომ განვითარებასთან და გამსხვილებასთან ერთად, საშულოდ 6-ჯერ მაინც უნდა შემცირდეს.

ამ ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს ისიც, რომ მაღალია გამოუყენებელი მიწების ჯამური მაჩვენებელი. თუ კი 2012 წლის კვლევას დავეყრდნობით, ჯამში დაახლოებით 800 ათასი ჰა სახნავ-სათესი სავარგულების მხოლოდ მესამედი მუშავდება ყოველწლიურად, ხოლო დანარჩენი, დაახლოებით ნახევარი მილიონი ჰა მიწა აუთვისებელი რჩება. ჯერ კიდევ დიდია სახელმწიფო მიწების წილი სასოფლო-სამეურნეო მიწების მთლიან რაოდენობაში. ზუსტი სტატისტიკა ამ კუთხით არ მოიპოვება, ვინაიდან მიწების ინვენტარიზაცია ჯერ კიდევ პროცესშია. თუმცა, ზემოთ ხსენებული კვლევის მიხედვით, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწების მხოლოდ 25%-ია პრივატიზებული. შესაბამისად, 801,8 ათასი ჰა სახნავ-სათესი მიწის 55% პრივატიზებულია და 363,3 ათასი ჰა კვლავ სახელმწიფოს საკუთრებაა. სახელმწიფო მიწების იდენტიფიკაციის სირთულე, რა თქმა უნდა, ხელს უშლის მათი შეძენით დაინტერესებულ პირებს და შესაბამისად, მიწების გამსხვილების პროცესს. საბოლოო შედეგი მიწის ბაზრის განვითარების დაბალი დონეა. არ არსებობს ერთიანი სისტემა, რომლის საშუალებითაც

მარტივად და ეფექტურად დაუკავშირდება ერთმანეთს მიწის გაყიდვის და შეძენის მსურველები. ასევე, რთულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შეძენა. საბოლოო ჯამში, აღურიცხაობა და ინფორმაციული ასიმეტრიულობა ხელს უშლის გამხვილების პროცესს.

საერთაშორისო გამოცდილება.ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიწის კონსოლიდაციის მოდელები ეფუძნება დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას. დასავლეთ ევროპაში კი გავრცელებულია სამი ქვეყნის: გერმანიის, ჰოლანდიისა და დანიის მოდელები. თითოეული ქვეყნის გამოცდილება დაფუძნებულია საერთო პრინციპზე და შემდეგ მცირედი სახესხვაობებით მორგებულია ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობასა და გარემო პირობებს. არსებობს მიწის კონსოლიდაციის სავალდებულო და ნებაყოფლობითი მიდგომები.

ნებაყოფლობითი მიდგომის დროს მიწის ყველა შესაძლო მფლობელს შორის გამოკითხვას ატარებენ და აქედან ადგენენ, თუ ვის რა ინტერესი აქვს და უნდათ თუ არა პროექტში ჩართვა. შემდეგ შემუშავდება მიწების გადანაწილების გეგმა. ნებაყოფლობითი კონსოლიდაციის დროს მიწის გაცვლა ნებაყოფლობითია. თუმცა ხშირად მესაკუთრეს უბიძგებენ, რათა საჯარო პროექტების ან გარემოს დაცვითი პროექტების ინტერესებიდან გამომდინარე მიწა დათმოს. ნებაყოფლობითი მიდგომა გამოიყენება დანიაში. გერმანიასა და ჰოლანდიაში კი ორივე მოდელს შეხვდებით.სავალდებულო კონსოლიდაციის დროს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი ჯგუფები მიწის მფლობელებისა და ფერმერების ინტერესების გათვალისწინებით ადგენენ მიწის გადანაწილების პროექტს. მაგალითად, თუ ერთი ფერმერი ფლობს 3 ან 4 მიწის ნაკვეთს სხვადასხვა ადგილას, იგი თავის მიწას გაუცვლის მეზობელ ფერმერს, რომელსაც ასევე აწყობს ეს გაცვლა, რადგან მისი ნაკვეთებიც გაფანტულია. ამგვარად ჯამში ყველა ფლობს ერთი და იგივე ღირებულების მიწას, მაგრამ ერთად კონსოლიდირებულს. სხვადასხვა მხარის ინტერესების გათვალისწინების შემდეგ, შედგენილ პროექტს აცნობენ პროექტში მონაწილე მხარეებს და იგი დამტკიცდება ერთიანი გეგმის

სახით საერთო კონსენსუსის საფუძველზე, თუ ფერმერთა და მიწის მფლობელთა უმეტესობა მხარს უჭერს მის განხორციელებას.

2000 წლის დასაწყისში ჭAსომხეთში სოფელ ერზნკაში საპილოტე პროგრამის მომზადებისას მიწის მფლობელებთან და ფერმერებთან მოლაპარაკების წარმოების შედეგად სოფელში 162 მიწის ნაკვეთ შემცირდა 67-მდე. მიწის ნაკვეთების საშუალო ფართობი გაიზარდა 0,47 ჰა-დან 1,25 ჰა.-მდე და თითო მეურნეობის მფლობელობაში არსებული მიწის ფართობი გაორმაგდა (1,25 ჰა.-დან 2,5 ჰა,-მდე). ასევე, მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული მიწა გაიყიდა კერძო პირებზე პროექტის ფარგლებში. ჭAჭ-ს პროექტის ფარგლებში შემუშავდა მიწის კონსოლიდაციის სტრატეგია, რომელზე დაყრდნობითაც და საპილოტე პროგრამის გამოცდილების გათვალისწინებით 2011 წელს შეიმუშავეს მეურნეობების განვითარების კონცეფცია. თუმცა ფინანსების ნაკლებობის გამო ჯერჯერობით მიწის კონსოლიდაციის პროექტები არ შემუშავებულა. 1990 წელს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული მიწა თავისუფალი განკარგვის უფლებით გადაეცა მუნიციპალიტეტებს. საპილოტე პროგრამის ფარგლებში კი მუნიციპალური მიწის გასხვისებამ ხელი შეუწყო მიწის კონსოლიდაციის პროექტის წარმატებით განხორციელებას.

2001 წელს სომხეთის მსგავსად საქართველოშიც ჩაატარა წინასწარი კვლევა, რათა დაედგინათ კონსოლიდაციის პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა. კვლევის მიზანი იყო მოემზადებინათ შესაბამისი პროექტი საქართველოსათვის, თუმცა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მოთხოვნა პროექტის განხორციელებაზე არ დაფიქსირებულა. მიმდინარე პერიოდამდე, მიწის კონსოლიდაციაზე პოლიტიკური ინტერესი არ გამოთქმულა.

ფერმების გამსხვილების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დასავლეთ ევროპაში არის მიწის ბანკი. მიწის ბანკი ფლობს და განაგებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწებს, ასევე ის ჩართულია მიწების ყიდვა გაყიდვის პროცესში. მიწის ბანკი კერძო პირებისაგან შეიძენს პატარ-პატარა მიწებს მოკლე ვადით და ყიდის მათ ჩვეულებრივ საბაზრო პირობებში.

მსგავსი ტრანსაქციები ხელს უწყობს მიწების გამსხვილებას და სახელწიფო მიწების განკერძოებას, ასევე მიწის მობილურობას. მაგალითად, დანიაში მიწის ბანკი შეიქმნა 1919 წელს, რომელიც მიწის კონსოლიდაციის პროექტში აქტიურად იყო ჩაბმული.

მიწის ბანკინგი. FAO-ს მიხედვით, მიწის ბანკი არის უფლებამოსილი ინსტიტუტი, რომელიც შეისყიდის სასოფლო დანიშნულების მიწას კერძო მესაკუთრეებისაგან და ფლობს მას დროებით, სანამ არ მოხდება მისი უფრო ეფექტიანი გამოყენება, მაგალითად, მიწის კონსოლიდაციის მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, მიწის ბანკინგი განიხილება, როგორც მიწის მობილობისა და კონსოლიდირების ზრდის საშუალება (ინსტრუმენტი).

ზემოხსენებული გეგმის განხორციელების შედეგად, მოსალოდნელია მიწების ეტაპობრივი გამსხვილება და ნაკვეთების საშუალო ზომის ზრდა. გამსხვილებული ნაკვეთები საშუალებას მისცემს მათ მესაკუთრეებს გაზარდონ მეურნეობების მასშტაბი და შესაბამისად, ეფექტიანობა. ეს მნიშვნელოვან როლს ითამაშებს დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში და დააჩქარებს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას.

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მიწის ბანკინგის დანერგვით, მოსალოდნელია სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ზრდაც. ხშირად, სოფლის მეურნეობაში ინვესტირებით დაინტერესებულ პირს უჭირს დიდი ზომის მიწის ნაკვეთის მოძიება, ხოლო მცირე ნაკვეთების მფლობელებთან მოლაპარაკება რთული და ზოგჯერ უშედეგო პროცესია. მიწის ბანკინგი, ერთის მხრივ, მცირე ზომის, გამოუყენებელი მიწების მფლობელებს მათი მარტივად გასხვისების საშუალებას მისცემს. მათი კონსოლიდაციის შედეგად კი, დაკმაყოფილდება მიწის ბაზარზე დიდი ზომის მიწის ნაკვეთებზე არსებული მოთხოვნა. გაიზრდება დამუშავებული მიწების ფართობიც, რაც თავის წვლილს შეიტანს ეკონომიკურ ზრდაშიც.

ჩამოთვლილი ღონისძიებები, ბუნებრივია, დაკავშირებულია სოლიდურ თანხებთან, თუმცა სახელმწიფოს აღნიშნული ხარჯების ნაწილობრივ კომპენსირება მიწის პრივატიზაციისგან მიღებული შემოსავლებით შეუძლია, რაც, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის სავარაუდო ფართობის გათვალისწინებით, არცთუ მცირე

იქნება. ასევე, გასათვალისწინებელია ფისკალური ეფექტი, რაც ამ გეგმის განხორციელებას უნდა მოჰყვეს. კერძოდ, ცნობილია, რომ 5 ჰა-მდე ფართობის სასოფლო-სამურნეო მიწის მფლობელების უდიდესი ნაწილი არ იხდის ქონების გადასახადს. მათი დიდი ნაწილი საერთოდ არ იყენებს ოდესღაც სახელმწიფოსგან საჩუქრად მიღებულ მიწას და დიდი ალბათობით, მზად არის მის გასაყიდად. ასეთი მიწების იდენტიფიკაცია და კონსოლიდაცია, ხოლო შემდგომ მათი გასხვისება, დამატებით დასაბეგრ ბაზას გააჩენს სახელმწიფოსთვის და გრძელვადიან პერსექტივაში გაზრდის მიწის გადასახადიდან მიღებულ შემოსავალს სახელმწიფო ბიუჯეტში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „ერთიანი აგროპროექტი“ 2017წ.

2) ტურაბელიძე ნ. საადგილმამულო ურთიერთობათა საფუძვლები თბ. 2009.

3) პოლ კრუგმანი, მაურიუს ოფსვილდი „საერთაშორისო ეკონომიკა, თეორია და პოლიტიკა“ გამომცემლობა „ცისარტყელა“ 2000წ.

4) მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები, თბ.,“ დიოგენე“2008წ.

5)ე.ბარათაშვილი,გ.ჯოლია;ნ.გრძელიშვილი;ი.მამალძე;დ. სეხნიაშვილი;დ.ჩახვაშვილი „ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება“.თბილისი, 2011წ.

6) საქსტატის მონაცემები, 2017 წ.

REFERENCES:

1)Agricultural Project Management Agency “United AgroProject” 2017 2)Turabelidze N. Fundamentals of Tidy Relationships TB2009

3)Paul Krugman, Maurice Offside “International Economics Theory and Politics” Publishing House “Rainbow” 2000 .

4)Menku G. Economics Principles. “Diogene” 2008.

5) E. Baratashvili, G.Jolia; N. Sondeliashvili; I.Mamaladze; D. Shenniashvili; D. Chakhvashvili State Regulation of Economy. 2011.

6) Geostat data. 2017.

THE ROLE OF LAND IN AGRIBUSINESS

David Gogiashvili
Phd student, GTU

RESUME

The development of agriculture certainly depends on the existence of land. The development of the country depends on the existence of food products directly. No nation can exist without land, the more productive the land is, the less effort it is necessary to get as many products as it will be enough to export the population of the country as well as export. Georgia's land resources allow the country's population to have sufficient food products, which is why we need a small country where most part of the day works only to provide the family with food. After land ownership, while there was no other means of production, the land provided the function of economic independence of the country. Today the potential of land is not fully utilized, mostly capital failure did not allow this. At present, the opportunity to reside the population has gradually become a part of the industry, therefore, the land cooperative and its effect should be in the nearest future, which will be a separate process, but the State should not stop using the economic or political leverage to accelerate this process. Activation of Land Banking, Voluntary and Compulsory Consolidation Instrument by sharing international experience, we think, will facilitate this process.

Key words: land, saving scale, voluntary and mandatory consolidation, banking land.

სოფლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მცდელობები

ზაზა ბარბაქაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ამჟამად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულად ითვლება ქვეყნის დასაქმებული სამუშაო ძალის 52%, საიდანაც 98% თვითდასაქმებულია. აქედან გამომდინარე, უახლოეს წლებში მნიშვნელოვანია სოფლად არასასოფლოსამეურნეო პროფილის ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება, საოჯახო ფერმერული მეურნეობების განვითარებისა და ეკონომიკური დივერსიფიკაციის, მათ შორის, აგროტურიზმის ხელშეწყობა. სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი ვითარება მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელზე. საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2013 წელს სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულის საშუალო ხელფასი დასაქმებულთა საშუალო ხელფასის მხოლოდ 64%-ს შეადგენს. ამავე დროს, ქალაქად და სოფლად მცხოვრებთა შემოსავლებს შორის სხვაობა საგრძნობლად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობები დაბალია. სტატიაში წარმოდგენილია ბოლო ხუთი წლის მანძილზე განვითარებული ტენდენციების ანალიზი, სახელმწიფო პროგრამების განხორციელების შედეგად სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროგრესის ირგვლივ.

საკვანძო სიტყვები: ხელშეწყობა, მიზნობრიობა, პრიორიტეტული დარგი, ინიცირებული, დაფინანსება, განვითარება, ტენდენცია, კერძო სექტორი.

ძირითადი ტექსტი

2012 წლამდე სოფლის მეურნეობის სექტორი არ განიხილებოდა პრიორიტეტულად (თუმცა დეკლარირება ხდებოდა) და შესაბამისად, ამ სექტორისთვის გაწეული საბიუჯეტო ხარჯები

ცვალებადი იყო. 2010 წელს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობაზე გაწეული ხარჯების აბსოლუტური მინიმუმი დაფიქსირდა. მათი წილი ბიუჯეტის საერთო ხარჯებში მხოლოდ 0,44%-ს შეადგენდა. 2007-2010 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტიდან ძირითადად სოციალურად დაუცველ ფენებზე ორიენტირებული პროგრამებისთვის გამოიყოფოდა თანხა, რაც მოსახლეობის ფქვილით, სურსათითა და საწვავით ნაწილობრივ უზრუნველყოფას ხმარდებოდა. 2000-2007 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში თანამშრომლების რაოდენობა 87%-ით შემცირდა, რითაც შეიზღუდა ამ უწყების უფლებამოსილება განეხორციელებინა კანონით დადგენილი ძირითადი მოვალეობები. გაუქმდა 19 მარეგულირებელი და საინსპექციო უწყება და სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული მუნიციპალური სამსახურები. 2012 წლიდან საქართველოში სოფლის მეურნეობა გამოცხადდა პრიორიტეტულ დარგად, რამდენიმეჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამელიორაციო სამუშაოებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენასა და მის გამოყენებას, მცირემიწიანი ფერმერების დახმარების პროგრამის განხორციელებას, პირუტყვის დაავადებებთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების ჩატარებას, თანხების გამოყოფას ისეთი ლაბორატორიების შესაძენად, რომელთა ტექნიკური აღჭურვილობაც საერთაშორისო აკრედიტაციის გავლის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიკაციას. 2013-2014 წლების განმავლობაში მთავრობის ძალისხმევისა და კერძო სექტორის, ასევე, დონორი ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობის შედეგად შეინიშნება გარკვეული პოზიტიური ტენდენციები წარმოების ზრდის, საექსპორტო ბაზრების გაფართოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, მიმდინარეობს მთელი რიგი ინსტიტუციური რეფორმები, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში, პოზიტიურ გავლენას მოახდენენ სექტორის მდგრად განვითარებაზე.

ამ პერიოდში ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები ყველა მუნიციპალიტეტში და რეგიონული სამმართველოები, რომელთა ფუნქციაშიც შედის: მონაცემთა ბაზის შექმნა; სახელმწიფო პროგრამების კორდინირება; კონსულტაციების გაცემა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ახალი ინფორმაციის მიწოდება თანამედროვე ტექნოლოგიებზე და ტენდენციებზე; სიახლეების დანერგვა; სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების კორდინაცია ადგილობრივ დონეზე; მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებებზე განვითარების სტრატეგიის შექმნა და სხვა. აღნიშნული სამსახურების შექმნამ მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით, ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი გახდა ყველა დაინტერესებული პირისათვის, რომელიც სოფლის მეურნეობაში მოღვაწეობს, ბოლო ოთხწლეულის მანძილზე რეკორდული მაჩვენებლით გაიზარდა თანამედროვე სარწყავი სისტემებით და სხვადასხვა ტექნოლოგიებით აღჭურვილი მეურნეობების რიცხვი, გაიზარდა მოსავლიანობის მაჩვენებელი და ხარისხი ფართობის ერთეულზე, გაუმჯობესდა ჯიშობრივი სორტიმენტი და მეხილეობის კუთხით არსებული კლებადი ტენდენცია შეიცვალა და ყოველ წლიურად მატულობს თანამედროვე ინტენსიური ბაღების ფართობი.

2016 წლის მონაცემებით, აგროსასურსათო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება 4.6 მლრდ ლარს აჭარბებს. 2015 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 4.4 მლრდ ლარს შეადგენდა. აგროსასურსათო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდის მაჩვენებელი 2016 წლისათვის, 2015 წელთან შედარებით, 6.2%-ს შეადგენს, ხოლო 2012 წელთან შედარებით - 40.9%-ს. აგროსასურსათო სექტორის წილი ქვეყანაში შექმნილ მთლიან შიდა პროდუქტში, 2016 წლის წინასწარი მონაცემებით, 15.8%-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი 2012 წელს 14.6%-ს შეადგენდა.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 2013 წლიდან აგრარული დარგის განვითრების ხელშეწყობის მიზ-

ნით ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ მასშტაბურ პროექტებს, მათ შორის:

1. **შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი** - პროექტის განხორციელება 2013 წელს დაიწყო. პროექტის მიზანია ფერმერებისა და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გადამამუშავებელი და შენახვა რეალიზაციის საწარმოო პროცესები გაუმჯობესების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში სააგენტოს საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსება კომპონენტების მიხედვით შეადგენს: საბრუნავი საშუალებების კომპონენტი 8%, ძირითადი საშულებების კომპონენტი 11%, შეღავათიანი აგროლიზინგი 12% და აწარმოე საქართველოში 10%. შეღავათიანი აგრიკრედიტის პროექტის ფარგლებში 2013-2015 წლებში სულ გაცემულია 24 258 სესხი, 686 158 305 ლარის ოდენობის და 1 417 სესხი და ლიზინგი 182 639 202 აშშ დოლარის ოდენობის. ჯამში გაცემული სესხების და ლიზინგის რაოდენობა შეადგენს 25 675. მათ შორის 2015 წელს გაცემულია 186 731 375 ლარის და 58 607 572 აშშ დოლარის სესხი. პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია 128 ახალი საწარმო.

2. **სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი** - პროექტის განხორციელება 2014 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო. პროექტი მოიცავს 2 კომპონენტს: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი. როგორც გადამამუშავებელ, ასევე შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება შესაძლებელია 3 წყაროს გამოყენებით: სააგენტოს თანადაფინანსება პროექტის ჯამური ღირებულების 40%, მაგრამ არაუმეტეს 250 000 აშშ დოლარის ექვივალენტისა. შეღავათიანი კრედიტი პროექტის ღირებულების არაუმეტეს 50% და ბენეფიციარის საკუთარი მონაწილეობა ჯამური ღირებულების არანაკლებ 10% -ისა.

3. **აგროდაზღვევის პროგრამა** - აგროდაზღვევის საპილოტე

პროგრამა 2014 წ. 1 სექტემბერს დაიწყო. პროექტის მიზანია აგროსექტორიში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, შემოსვლების შენარჩუნება და რისკების შემცირება. სახელმწიფო სადაზღვევო პრემიის მნიშვნელოვან ნაწილს აფინანსებს. აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს გაიცა 7 634 პოლისი და დაზღვეულ იქნა 40 218 778 ლარის ღირებულების მოსავალი და 4 944 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. პროგრამის ფარგლებში სულ 2014-2015 წლებში გაცემულია 28 690 პოლისი. სააგენტოს სუბსიდიის თანხამ 13 808 674 ლარი შეადგინა. დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ კი 193 343 048 ლარი. დაზღვეულია 23 667 ჰექტარი ფართობი. სულ 2014-2015 წლის პროგრამის ფარგლებში ზარალმა შეადგინა 14 845 857 ლარი, საიდანაც სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალის ოდენობა შეადგენს 12 433 711 ლარს.

4. **დანერგე მომავალი** - პროექტი 2015 წლის მარტში დაიწყო. პროექტის მიზანია საქართველოში არსებული სასოფლო-სამურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი. პროექტი მოიცავს 2 კომპონენტს:

ა) მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი პოტენციური ბენეფიციარებისათვის ითვალისწინებს მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღების გასაშენებლად ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას; კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების 70% და წვეთოვანი სარწყავი სისტემის შეძენა-მონტაჟის ღირებულების 50%. არაუმეტეს 100 000 ლარისა 1 ბენეფიციარზე.

ბ) სანერგე მეურნეობის თანადაფინანსების კომპონენტი ითვალისწინებს სანერგე მეურნეობის შექმნის მსურველი პოტენციური ბენეფიციარებისათვის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას. სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება სანერგე მე-

ურნეობის მოწყობისათვის განსახორციელებელი პროექტის ჯამური ღირებულების 50%. არაუმეტეს 150 000 ლარისა 1 ბენეფიციარზე. პროექტის ფარგლებში ქვეყნის მაშტაბით 3000 ჰექტრამდე ხილის ინტენსიური ბაღები გაშენდა.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიური ანგარიში 2014“.

2. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიური ანგარიში 2015“.

3. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიური ანგარიში 2016“.

4. „საქართველოს აგროსასურსათო სექტორი თქვენი ინვესტიციებისათვის“ /www.moa.gov.ge

5. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია, დამოუკიდებლობის 20 წელი“ ფონდი ლიბერალური აკადემია,თბილისი.

6. „ მწვანე მინდვრები-საქართველოს სოფლის მეურნეობის რეალობა და პოტენციალი“ დეივიდ ლენდი / www.nplg.gov.ge

REFERENCES:

1. “Annual Report 2014 of the Ministry of Agriculture of Georgia”.

2. “Annual Report of the Ministry of Agriculture of Georgia” 2015.

3. “Annual Report of the Ministry of Agriculture of Georgia 2016”.

4. “Georgian Agro Sustainable Sector for Your Investments” / www.moa.gov.ge

5. “Transformation of Georgian Agriculture, 20 Years of Independence” Foundation Liberal Academy Tbilisi.

6. “Green Fields-Georgia’s Role and Potential of Agriculture” by David Land / www.nplg.gov.ge

ATTEMPTS TO INTRODUCE THE NEW TECHNOLOGIES IN RURAL AREAS

Zaza Barbakadze
Phd student of GTU

RESUME

At present, 52% of the country's workforce is considered to be employed in agriculture, from which 98% are self-employed. Therefore, in the nearest years it is important to stimulate the creation of new jobs in rural agriculture, development of family farming and economic diversification, including agro-tourism. The situation in the agriculture sector significantly affects the poverty rate in the country. According to Geostat data, average salary for employee in agriculture in 2013 is only 64% of the average wage for employed. At the same time, the difference between the income of urban and rural population has significantly increased. It is noteworthy that alternative employment opportunities for rural residents are low. The article describes trends developed during the last five years, as a result of implementation of state programs around agriculture progress.

Key words: promotion, purpose, priority sector, initiated, financing, development, trend, private sector.

ეკონომიკური სარგებელი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესში

ია ფირანიშვილი-გიგიბერია
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

2017 წლიდან სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფარგლებში ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 იანვრის N119 ბრძანებით დამტკიცებულმა „პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ “მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის” ქვეპროგრამამ [1,2].

იმისათვის, რომ საქართველოში, გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელი გახდეს მსოფლიოში საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით დუალური მოდელის ყველა პრინციპის სრულყოფილად ამოქმედება, მიზანშეწონილია დაიწყოს საგანმანათლებლო სისტემისა და შრომით-სამართლებრივი სივრცის მომზადება, რაც გარკვეულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს გულისხმობს. ამ მიზნით, პროფესიული განათლება საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის (სამთავრობო პროგრამა 2016-2020) ერთ-ერთ მთავარ პუნქტს წარმოადგენს, ხოლო პროფესიული განათლებისათვის - დუალური სწავლება მნიშვნელოვან სიახლეს, რომლის განხორციელებაშიც მთავარი როლი კერძო სექტორის ჩართულობას უკავია [2.33].

საკვანძო სიტყვები: პროფესიული განათლება, დუალური სწავლება, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა, საზოგადოებრივი კოლეჯი.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს „პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ “მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის” ქვეპროგრამის ზოგად მიზანს წარმოადგენს მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესების ხელშეწყობა, მათ შორის დუალური სწავლების პრინციპით. ხოლო სწავლების მიდგომის დანერგვა საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით. ამ მიდგომის საშუალებით, დამსაქმებლები სრულფასოვნად ჩაერთვებიან პროფესიული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების, ასევე სტუდენტების შერჩევისა და შეფასების პროცესებში. ამავდროულად გაგრძელდება მოქნილი, მოდულური სწავლების მიდგომის დანერგვა, რაც მსურველებს საჭიროების შესაბამისად სრული მოდულური პროგრამის, ან ცალკეული მოდულების გავლის შესაძლებლობას სთავაზობს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, ზრდასრული მოქალაქეებისათვის უნარების სწრაფად განახლების შესაქმნელად [3,41].

საქართველოს კანონ-პროექტში პროფესიული განათლების შესახებ წერია შემდეგი: მუხლი 30. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობა.

„სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია/ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, ასევე მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც არ არის სახიფათო ადამიანის ჯანმრთელობისათვის და უარყოფითად არ მოქმედებს სწავლების ხარისხზე“ [4,12].

2015 წლის მონაცემებით, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება ავტორიზაციის გზით მოიპოვა 26 საგანმანათლებლო დაწესებულებამ. 54 დამტკიცე-

ბული პროგრამიდან ამოქმედდა 45 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა. 2016 წელს მათ რიცხვს დაემატა 17 საგანმანათლებლო დაწესებულება და 14 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 3 დუალური. 2017 წელს დაემატა 18 საგანმანათლებლო დაწესებულება, სწავლებაში ჩაეშვა 14 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 4 დუალური (იხილეთ დიაგრამა 1) .

დღეისათვის ფიქსირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 105 დაწესებულება, რომელთაგან 61 აქვს ავტორიზებული მოდულური/დუალური პროფესიული პროგრამები. 44 საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია 2018 წლის განმავლობაში გადავიდეს მოდულურ/დუალური პროგრამებზე [1,22]. ამ მიდგომით, კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად სასწავლებელი და დამსაქმებელი გაინაწილებენ პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებს. შესაბამისად, სტუდენტი თეორიულ ცოდნას სასწავლებელში, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს კი პარალელურად, რეალურ სამუშაო გარემოში დამსაქმებლისგან მიიღებს.

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები
დიაგრამა 1



დღეს არსებული მაღალი უმუშევრობის პირობებშიც კი, დამსაქმებლებს უჭირთ საჭირო კადრის მოძიება, ისინი დიდ რესურსს

ხარჯავენ პერსონალის მომზადება - გადამზადებაში, რადგან საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა, კვლავ თეორიული მასალის მიწოდებაზეა ორიენტირებული. ახალგაზრდა სპეციალისტებს არ აქვთ წარმოებებში სავალდებულო პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობა.

განათლების დუალური მოდელი გზას უხსნის დამსაქმებლის ჩართულობას პროფესიული განათლების მიწოდების პროცესში; პასუხისმგებლობათა გადანაწილების გზით ცალსახად და არსებითად ამცირებს სახელმწიფოს ხარჯებს სტუდენტის პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად; ეხმარება და ზრდის სერვისის მიწოდების ეფექტიანობის მაჩვენებელს, რაც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს შესაბამისობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. შედეგად ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის დონე მცირდება, რაც ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს. დამაიმედებელია ის გარემოებაც, რომ ქვეყნებში, რომლებმაც თავის დროზე განათლების ეს მოდელი გერმანიისგან გადაიღეს და დანერგეს, უფრო ადვილად დაძლიეს ეკონომიკური კრიზისი.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა სამეწარმეო საქმიანობის მიმართ სასწავლებლების დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევა ჩატარდა 2017 წელს. გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომლის მიზანია პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლის/ების აზრისა და შეხედულებების სიღრმისეული შესწავლა.

მიზნობრივი შერჩევა მოხდა იმ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, რომელსაც ჰყავს სწავლის მსურველთა დიდი რაოდენობა და ქმნის საბაზრო მოხმარების საქონელს [5].

კვლევაში მონაწილეობდა სამი სამიზნე ჯგუფი:

1. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ადმინისტრაციის წარმომადგენელი [6];

2. გურჯაანის რაიონი, სოფ. კაჭრეთში ფუნქციონირებადი სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ”აისის” ადმინისტრაციის წარმომადგენელი [7];

3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ”მერმისის” ადმინისტრა-

ციის წარმომადგენელი [8].

ინტერვიუ განხორციელდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით. ამასთან, ჩაღრმავებული ინტერვიუ არის ნახევრად სტრუქტურირებული. იმ შემთხვევაში, თუ რეპონდენტის პასუხი ბუნდოვანი ან ზედაპირულია და ვერ ხერხდება საყურადღებო ინფორმაციის მიღება, შესაძლებელია რესპონდენტისათვის ჩაღრმავებული კითხვების დასმა.

საგანმანათლებლო პროგრამები, რომელსაც ახორციელებს სამივე სასწავლო დაწესებულება, ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

პროფესიულ კოლეჯ „იკაროსში“ სწავლება ხორციელდება 7 ძირითად პროგრამაზე: კულინარიული ხელოვნება, სარესტორნო საქმის/კვებისა და სასმელების სერვისი, სასტუმრო საქმის პროგრამები, ტუროპერატორი, გიდი, სომელიე. სპეციალობებია: მზარეული, კონდიტერი, სარესტორნო საქმის მწარმოებელი, ბართენდერი (ბარმენი), სასტუმრო საქმის მწარმოებელი, მიმღებ რეცეფციონისტი, ტუროპერატორი, გიდი, სომელიე, კონსულტანტ-გამყიდველი.

კოლეჯში ყოველწლიურად იზრდება აღნიშნულ სპეციალობებზე სწავლის მსურველთა რაოდენობა. მისაღები გამოცდების პერიოდში რეგისტრანტთა რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება კოლეჯის მიერ გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას. პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი პროფესიული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. პიროვნება, რომელიც წარმატებით გაივლის ზემოაღნიშნულ ტესტირებას და მოხვდება რანჟირების სიაში, კოლეჯში უნდა წარმოადგინოს 9 კლასის დამთავრების დამადასტურებელი, საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი და სხვა დამატებითი დოკუმენტები, რის შემდეგაც ის ჩაირიცხება პროფესიულ სასწავლებელში, შეყვანილ იქნება სტუდენტების მონაცემთა ბაზაში და მასთან გაფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება.

კოლეჯის პედაგოგები არიან თბილისში არსებული სასტუმრო-რესტორნების, ტურსააგენტოებისა და კაფე-ბარების წამყვანი შეფმზარეულები, შეფკონდიტრები, გიდები, მენეჯერები. კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების საშუალო მაჩვენებელი არის 85%. პროგრამის განხორციელებისთვის სახელმწიფო ფარავს ყველა ხარჯს. მაგალითად, მასალა, მცირეფასიანი ინვენტარი, კომუნალური ხარჯები, ადმინისტრირების ხარჯი.

კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდა ერთ-ერთ პროგრამაზე - კონდიტერი. ამ პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გადანაწილება არის 40%-60%. თეორიული და პრაქტიკული საგნები ისწავლება პარალელურ რეჟიმში. პრაქტიკული კომპონენტი იყოფა ორ ნაწილად-სასწავლო პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკა.

კონდიტერის პროგრამის ფარგლებში, სასწავლო საწარმოში, სტუდენტებს შეუძლიათ შემდეგი სახის ასორტიმენტის მომზადება: ნამცხვარი, ტორტი, შაქრის ყვავილი, შოკოლადის ნაწარმი, კარამელი. იმ შემთხვევაში თუ კოლეჯი გადაწყვეტს სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტის გაყიდვას, შესაბამისად სტუდენტი გამოიმუშავებს საწარმოში მუშაობის ყველა უნარ-ჩვევებს და ასევე მიიღებს შესრულებული სამუშაოს შესაბამის შრომის ანაზღაურებას. კოლეჯი გაიანგარიშებს სხვადასხვა სახის პროდუქტზე ფასს ყველა სახის დანახარჯების გათვალისწინებით და ბაზარზე გაყიდვის შემთხვევაში განსაზრვრავს გასაყიდ ფასს. აღსანიშნავია, რომ სასწავლო საწარმოს შეუძლია რეალური საწარმოს კონკურენტი გახდეს, რომელიც ორიენტირებული იქნება ხარისხზე. კოლეჯს შესაძლებლობა ექნება შემოსული თანხებით გააუმჯობესოს კოლეჯის ინფრასტრუქტურა და გარკვეულწილად შეამციროს სახელმწიფოს მიერ პროგრამული დაფინანსების მოთხოვნა. კოლეჯი ასევე შეძლებს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გადაიხადოს არსებული კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დამსაქმებელს საშუალება ექნება წარმოებაში დააკვირდეს და თვალყური ადევნოს მომუშავე სტუდენტის საქმიანობას, მის შრომისადმი დამოკიდებულებას, მის მიერ შე-

ქმნილ პროდუქტს და ადგილზევე შეარჩიოს მისთვის სასურველი კადრი.

საზოგადოებრივი კოლეჯი „კაჭრეთი“ საჯარო სამართლის იურიდიული პირია. კოლეჯში ფუნქციონირებს 37 პროგრამა შემდეგი სპეციალობებით: მევენახე-მეღვინე, მზარეული, მეფუტკრე, ფერმერი, ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელი. ბოლო სამი წლის მანძილზე გამოიკვეთა უფრო მეტი დაინტერესება აღნიშნული პროფესიების მიმართ, ამაღლდა მოტივაციაც. გაჩნდა დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები. აღნიშნულ კოლეჯში აპლიკანტი რეგისტრირდება, აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდას პროფესიული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. რანჟირების დოკუმენტის გამოცემის შემდგომ ხდება ჩასარიცხი აპლიკანტებისათვის ხეშეკრულებების, ბრძანებების გამოცემა და ბაზაში ასახვა.

კოლეჯს ყველა პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომელ-საც ის ახორციელებს, აქვს პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო მატერია-ლურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

სასწავლებელს აქვს ორი ტიპის დაფინანსება: სუბსიდია და ვაუჩერული. სუბსიდიით ხდება ადმინისტრაციული და სამეურნეო ხარჯების დაფარვა, ხოლო ვაუჩერით - სასწავლო მასალების შეძენა და ხდება მასწავლებელთა ხელფასების გაცემა.

დაწესებულებას აქვს სასწავლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო საწარმო, მაგ.: მეცხოველეობის ფერმა, ვენახი, ბაღი, საფუტკრე მეურნეობა, სკები, ხილისა და ბოსტნეულის გადასამუშავებელი მინი საკონსერვო ქარხანა, თანამედროვე და ტრადიციული ღვინის მარნები, რომელიც ინტენსიურად გამოიყენება პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესში. რაც შეეხება ასორტიმენტს, შემდეგია: მწვანე და წითელი ტყემალი, წვენი-უეკლო მაყვლის, ალუბლის, ატმის, ტყემლის, ყურძნის, ღვინო, არაყი, კიტრის მწნილი, მურაბა, თაფლი. ყურადღება გამახვილდა ერთ—ერთ პროგრამაზე — ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელი.

ამ პროგრამის სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ სწავლების თეორიულ ნაწილს (დაახლოებით 40%) სტუდენტი ეუფლება სასწავლებელში, ხოლო პრაქტიკულ ნაწილს, რომელიც სასწავლო პროგრამის 60%-ია, ხილისა და ბოსტნეულის გადასამუშავებელ კოლეჯის სასწავლო საწარმოში.

კოლეჯს საკუთარი სახსრებით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის უფლება აქვს, ხოლო სასწავლო პროცესის შედეგად შექმნილი პროდუქციის - არა. მოსამზადებლად საჭირო პროდუქტი მოყავთ თავიანთ ბაღში. მოქმედებენ პრინციპით ,,ბოსტნიდან სუფრამდე". კოლეჯს აქვს ხეხილის ბაღები, უეკლო მაყვალი, ვენახი, ბოსტანი და საფუტკრე მეურნეობა. შესაბამისი პროფესიის სტუდენტების მიერ ხდება პროდუქტის მოყვანა, გადამუშავება და საბოლოო სახის მიცემა. სწავლების პროცესში შექმნილი პროდუქციის თვითღირებულება შედარებით დაბალია და შესაბამისად აღნიშნული გარემოება აისახება საბოლოო ფასზე. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კიტრს საკუთარი ბოსტნიდან იღებენ, რომელიც პროფესიული პროგრამა „მებაღეობის" ფარგლებში აქვთ მოყვანილი.

იმ შემთხვევაში თუ კოლეჯი გადაწყვეტს სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტის გაყიდვას, რეალიზაციის შედეგად გაიზრდება კოლეჯის შემოსავლები, რაც მოხმარდება ისევ კოლეჯის ინფრატრუქტურის განვითარებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას წარმოებაში. აღნიშნული შემოსავლებიდან კოლეჯს მიეცემა საშუალება გაზარდოს მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება. სტუდენტებს გამოუმუშავდებათ უფრო მაღალი პროფესიული კომპეტენციები, მიეცემათ დამატებითი ანაზღაურება და წარმატებული სტუდენტები დასაქმდებიან.

საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისიც" საჯარო სამართლის იურიდიული პირია. კოლეჯში ხორციელდება 34 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (საგნობრივი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 18 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური). მათ შორის შემდეგი სპეციალობები: სამკერვალო ნაწარ-

მის სპეციალისტი, ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი, დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი, თექის ოსტატი, მემინანქრე. აღნიშნული სპეციალობებისადმი დაინტერესება დიდია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი პროფესიული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. პირმა, რომელმაც წარმატებით გაიარა ზემოთაღნიშნული ტესტირება და მოხვდა რანჟირების სიაში, პირადი განცხადებისა და კოლეჯის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აპლიკანტი ირიცხება კოლეჯში პროფესიულ სტუდენტად და ხდება მათი სტუდენტების მონაცემთა ბაზაში შეყვანა.

ერთ—ერთი შერჩეულ პროგრამაში — „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“, სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელსაც ადგენს დაწესებულება პროგრამის შემუშავებისას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“ პრაქტიკული ნაწილი შეადგენს პროგრამის მოცულობის 60%-ს, ხოლო თეორიული ნაწილი - პროგრამის მოცულობის 40%-ს.

რაც შეეხება დაფინანსებას, ვაუჩერული დაფინანსებიდან გადაიხდება პედაგოგთა ხელფასები და მასალის დანახარჯი, ხოლო პროგრამული დაფინანსებით იფარება კოლეჯის სხვა დანარჩენი ხარჯი. კოლეჯში იკერება ქალის, ბავშვისა და მამაკაცის ტანსაცმელი. ფასის გაანგარიშება ხდება შექმნილი პროდუქციის მასალის ღირებულების, გაწეული კომუნალური ხარჯის, ადმინისტრირების ხარჯის და კანონით გათვალისწინებული გადასახადის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი გადაწყვეტს სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტის გაყიდვას, მიღებული თანხა მოხმარდება კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას,

თანამშრომელთა და სტუდენტთა წახალისებას.

მოქმედი კანონმდებლობით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს ეკონომიკური საქმიანობის უფლება, თუმცა არ არის განსაზღვრული რამდენად აქვს სასწავლო პროცესში სახელმწიფო დაფინანსებით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის უფლება. აღნიშნული საკითხის დარეგულირება უნდა მოხდეს კანონმდებლობით. ამასთანავე კანონით ან ნორმატიული აქტით მკაცრად უნდა განისაზღვროს სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების წესი და რეალიზებული პროდუქციიდან მიღებული შემოსავლის განაწილებისა და განკარგვის წესი.

ზემოთაღნიშნული კოლეჯების მონაცემების განზოგადების საფუძვლზე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები:

1. საგანმანათლებლო დაწესებულება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას ახდენს თავისივე კოლეჯის სასწავლო საწარმოში. ზოგიერთ მათგანს აქვს პატარა სასტუმროები, მეცხოველეობის ფერმები ან მეფუტკრეობის ფერმები, მეურენეობები, ხილისა და ბოსტნეულის ან/და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი მინი ქარხნები, კაფეები. სასწავლო პრაქტიკის დროს ხდება რეალური საქონლის და/ან მომსახურების წარმოება. მოქმედი კანონმდებლობით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს ეკონომიკური საქმიანობის უფლება, თუმცა არ არის განსაზღვრული რამდენად აქვს სასწავლო პროცესში სახელმწიფო დაფინანსებით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის უფლება. თუმცა, ახალი კანონ-პროექტით მათ უკვე შეეძლებათ სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის რეალიზებაც;

2. მონაცემების შედარებითი ანალიზმა აჩვენა, რომ კოლეჯების მიერ წარმოებული პროდუქცია მაღალი ხარისხისაა და ფასი ნაკლებია ბაზარზე არსებულ ფასთან შედარებით;

3. სიმულაციური გარემო/სასწავლო საწარმოს მოდელი, რომლის მფლობელი არის საგანმანათლებლო დაწესებულება, თუ სწორად იქნება გამოყენებული, ნამდვილ საწარმოს (ბიზნესს) აყენებს არაკონკურენტულ მდგომარეობაში. იმიტომ, რომ კოლეჯს ძირითად მატერიალურ რესურს (დანადგარები /ხელსაწყოე-

ბი/აღჭურვილობა) სახელმწიფო აფინანსებს;

4. მნიშვნელოვანია რისკის ფაქტორის გათვალისწინებაც იმისათვის, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ არ გაზარდოს საწარმოს წარმადობა. პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებით კოლეჯი შეძლებს გაზარდოს წარმოების მოცულობა და სწავლას მიექცევა ნაკლები ყურადღება. სწორედ აქ არის საჭირო რეგულაცია - ერთი მხრივ რა ზღვრამდე შეიძლება მისი წარმოების მასშტაბების გაზრდა და მეორე მხრივ, რადგან სასწავლებელს პროდუქტის წარმოებაზე აქვს გარკვეული შეღავათები (სახელმწიფოს მხრიდან მასალებზე, აწარმოებს სწავლის პროცესშიც), პროდუქტის თვითღირებულება ჩვეულებრივი ქარხნისაგან განსხვავებით ბევრად დაბალი იქნება. როგორც კი სასწავლებლის მიერ შექმნილი პროდუქტის მასშტაბები გაიზრდება და გაყიდვის უფლება მიეცემა, ის ძლიერი კონკურენტი გახდება კერძო ბიზნესის. სწორედ აქ არის საჭირო სახელმწიფოს მხრიდან რეგულაცია წარმოების პროცესის ზომასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება დარეგულირდეს თვითღირებულების გაანგარიშების სქემის საშუალებით.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ - ეკონომიკა რომ არ დაზარალდეს, უნდა მოხდეს რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან:

1. თუ კოლეჯი დაბალ ფასად გაყიდის პროდუქტს (მხოლოდ დანახარჯები რომ ამოიღოს), მაშინ მსშტაბები უნდა შეზღუდოს;

2. სასწავლების მიერ შექმნილი პროდუქტის ფასი ისე უნდა დარეგულირდეს, რომ იგი არ იყოს თვითღირებულებაზე ნაკლები.

ვიდრე ქვეყანაში პროფესიული განათლების დუალური სწავლების ფორმა დაინერგება, შეიძლება აღნიშნული ალტერნატივა სახელმწიფოსთვის ამ ეტაპზე უფრო მისაღები იყოს. თუმცა, ამ ყოველივეს გათვალისწინებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკული კომპონენტის — სასწავლო საწარმოს მოდელის წახალისებით, ბიძგი მიეცეს კომპანიებს თვითონ ჩაერთონ სწავლის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ანგარიში (თბილისი. 2017); სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. National center for educational quality enhancement; quality assurance of vocational education.

2. სამთავრობო პროგრამა-თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთიდღეობა (2016-2020), ნოემბერი 2016, 3. სოციალური განვითარება; 3.2 განათლება; 3.2.3 პროფესიული განათლება

3. სამთავრობო პროგრამა-თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთიდღეობა (2018-2020), დეკემბერი 2017, 3. სოციალური განვითარება; 3.2 განათლება, მეცნიერება და ახალგაზრდობა; 3.2.3 პროფესიული განათლება

4. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ – პროექტი (მუხლი 30. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობა) http://mes.gov.ge/uploads/

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პორტალი/გახდი პროფესიონალი და დასაქმდი http://vet.ge/

6. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“ http://www.icarus.ge/index.php/en/

7. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,აისი'' http://www.collegeaisi.ge/

8. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ”მერმისის” http://www.mermisicollege.edu.ge/

REFERENCES:

1. Report of Professional Education Development Program (Tbilisi, 2017); NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT; QVALITY ASSURANCE OF VOCATIONAL EDUCATION

2. Government program (2016-2020), November 2016; 3. Social development; 3.2 Education; 3.2.3 Professional education.

3. Government program (2018-2020), December 2017; 3. Social development; 3.2 Education, science and youth; 3.2.3 Professional education.

4. Law of Georgia - Professional education; Project (Article 30. Vocational Education Program Implementing Educational Economic activity of the institution) - http://mes.gov.ge/uploads/.pdf

5. Became a proffesional –Portal of Professional Educational Institution - http://vet.ge/

6. Vocational College Icarus - http://www.icarus.ge/index.php/en/

7. LBPL Community College "Aisi" - http://www.collegeaisi.ge/

8. LBPL Community College " Mermisi" - http://www.mermisi-college.edu.ge/

THE ECONOMIC BENEFIT DURING THE IMPLEMENTATION PROCESS OF THE WORK-BASED EDUCATIONAL MODEL IN PROFESSIONAL EDUCATIONAL INSTITUTES

Ia Piranishvili-Gigiberia,
PHD Student of
the St. Andrew the First Called
Georgian University Of the
Patriarchate of Georgia

RESUME

The Vocational education is discussed in this article as one of the prerequisites of eradication of the problem of unemployment, overcoming the poverty and a rise of socio-economic in the country. On the comparative basis, the successful practice and experience of the western countries is studied on the competencies/work based on the teaching sphere. The factors which can be impacted upon the direct transfer and introduction of the foreign country's model are discussed.

Georgian Professional Education Strategy (years 2013-2020) consists of several stages of cycle – from research on labour market

and evaluation of competencies achieved by students to arrangement of assisting employability.

At this stage, the work-based learning (WBL) model is being implemented in professional education system, so-called approach of considering the dual teaching. From this approach, the institute and the employer will split the competencies foreseen by the programme for the preparation of qualified personnel.

A main advantage of the work-based learning (WBL) model is to reduce expenses. The involvement and dividing up the responsibility of employers in preparation of professional personnel significantly reduces the money spent by the government on preparing one student; increases an indicator of effectiveness; ensures the demand for a work force and adjusts the supply; decreases the rate of unemployment, which is a guarantee of development of a stable economy in the country.

Key words: Vocational education; Dual education; Modular educational program; Community College.

პერსონალის მართვის ეფექტიანობის კრიტერიუმები მცირე ბიზნესში

თამარ როსტიაშვილი
სტუ პროფესორი
ფიქრია კირკიტაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია პერსონალის მართვის პროცესის ეკონომიკურ-მათემატიკური ინტერპრეტაცია მცირე ბიზნესში და მოცემულია პერსონალის მიღწეული შედეგებისა და ღონისძიებების აღწერა, რომელიც პერსონალის მართვის ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

გაანალიზებულია პერსონალის ეფექტური მართვის სამი მიდგომა და ჩამოთვლილია ის პრაქტიკული შედეგები, რასაც იწვევს ამ მიდგომების გამოყენება მცირე ბიზნესში. სამეცნიერო ანალიზის კონცეფციაზე დაყრდნობით გამოყოფილია მართვის ეფექტურობის შეფასების 3 მეთოდოლოგიური მიდგომა.

წარმოებისა და პერსონალის მართვის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: შრომის მწარმოებლურობა; შრომის და ხელფასის პროდუქტიულობის ზრდის ტემპი; სახელფასო განაკვეთის საერთო ფონდი; გამომუშავების შესრულების ნორმის პროცენტი და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი, პერსონალი, მართვა, ორგანიზაცია, ფირმა, შრომის ანაზღაურება, რესურსები, ეფექტური მუშაობა, გაწეული ხარჯი.

ძირითადი ტექსტი

პერსონალის მართვის პროცესის ეფექტურობა მართებულია განხილულ იქნას როგორც საზოგადოებრივი წარმოების საერთო ეფექტიანობის ნაწილი. ცნობილი მეცნიერებისა და სპეციალისტების ნაშრომებში ეკონომიკური ეფექტიანობის თეორია განისაზღვრება დასახული გეგმებიდან გამომდინარე,

როგორც მიღწეული შედეგებისა და მასზედ დახარჯული რესურსების ფუნქცია. დღესდღეობით არ არსებობს ერთნაირი მიდგომა პერსონალის მართვის ეფექტური პროცესის დადგენის საკითხში. სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ პერსონალის მართვის პროცესი მჭიდრო კავშირშია წარმოების პროცესთან და მის საბოლოო შედეგთან, საზოგადოების სოციალურ ქმედებებთან, წარმოების ეკონომიკურ განვითარებასთან და ა.შ. აუცილებელია აღინიშნოს, რომ პერსონალის მართვის პროცესის ეფექტურობა განისაზღვრება ეფექტური მუშაობის საფუძველზე, სამეცნიერო ანალიზის კონცეფცია საშუალებას იძლევა გამოვყოთ 3 მეთოდოლოგიური მიდგომა მართვის ეფექტურობის შესაფასებლად:

პირველი მიდგომის მომხრეები თვლიან რომ საწარმოს პერსონალი წარმოადგენს საზოგადოებრივი თანამშრომლების ერთობლიობას, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს წარმოებაზე, ამიტომაც წარმოების საბოლოო შედეგები უნდა ემსახურებოდეს პერსონალის ეფექტურობის მაჩვენებლების კრიტერიუმებს. როგორებიცაა: საწარმოს შემოსავალი (საბალანსო, სრული და წმინდა); პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე გაწეული ხარჯი (თვითღირებულება); რენტაბელურობის დონე (შემოსავლის დამოკიდებულება თვითღირებულებასთან); სასაქონლო პროდუქციის მოცულობა; რეალიზებული პროდუქციის მოცულობა (შემოსავალი); საწარმოს შემოსავალი (მთლიანი და წმინდა); წარმოების კულტურა;

– პროდუქციის ხარისხი; დივიდენდი ერთ აქციაზე (ჩვეულებრივი და პრივილეგირებული); ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტი; კაპიტალის ხარჯების ანაზღაურების ვადა;

– შრომის საშუალება (ძირითადი საწარმოო ფონდების სტრუქტურა, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე, დანადგარების მუშაობის ცვლილების კოეფიციენტი, ძირითადი საწარმოო ფონდების კაპიტალ-დაბრუნება,დანადგარების ამორტიზაციის ნორმა და სხვა.)

– შრომის საგანი(შესაძენი მასალების ღირებულება,მაკომპლექტებელი დეტალების რაოდენობა, მასალების მარაგი სა-

წყობებში, სამოძრაო საშუალებების ბრუნვა და ა. შ);

– წარმოების ტექნოლოგია (აღჭურვილობის დონე, თანამშრომლობისა და სპეციალიზაციის დონე, წარმოების ცოკლის ხანგრძლივობა, წარმოების რიტმულობა, წარმოების სანდოობა და ა.შ).

მეორე მიდგომის მომხრეები თვლიან, რომ მაჩვენებლები უნდა ასახავდეს შედეგს, ხარისხს და მუშაობის სირთულეს.

წარმოების შეფასებისა და პერსონალის მართვის შეფასებებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი მაჩვენებლები: შრომის წარმოება (გამომუშავება ერთ თანამშრომელზე); შრომის და ხელფასის პროდუქტიულობის ზრდის ტემპი; სახელფასო განაკვეთის საერთო ფონდი, გამომუშავების შესრულების ნორმის პროცენტი; სამუშაო დროის დაკარგვა(მთელი დღისა და შიდა ცვლის);

თანამშრომლების შრომის ხარისხი(დეფექტურობის პროცენტი); შრომის ტექნიკური ბაზით აღჭურვილობა; შრომის ფონდებით აღჭურვა; შრომისა და მუშაობის სირთულოს კოეფიციენტები; წარმოების ტრამვატიზმის დონე; პერსონალის საერთო რაოდენობა.

მესამე მიდგომის მომხრეები თვლიან, რომ პერსონალის მართვის პროცესის ეფექტურობა დიდ წილად განისაზღვრება მისი მუშაობის ორგანიზებით, შრომის მოტივაციით, კოლექტივში სოციალურ-ეკონომიკური კლიმატით, ანუ უფრო მეტად ეს დამოკიდებულია თანამშრომლებთან მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე. პერსონალის მართვის პროცესის ეფექტურობის საჩვენებლად წარმოდგენილია ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: კადრების დენადობა; პერსონალის კვალიფიკაციის დონე; შრომისა და შესრულების დისციპლინის დონე; პროფესიონალურ-კვალიფიკაციური სტრუქტურა; თანაფარდობა მუშებსა და თანამშრომლებს შორის; სამუშაო დროის ფონდის გამოყენება; პერსონალის სოციალური სტრუქტურა; პერსონალის თანაბარი დატვირთვა, პერსონალის მუშაობის საიმედოობა; ხარჯები ერთ თანამშრომელზე; ხარჯები მართვაზე; სოციალური განვითარების გეგმის შესრულება; სოციალურ-ფსიქოლოგიუ-

რი კლიმატი კოლექტივში; პერსონალის მიერ გაწეული სამუშაოს ხარისხი[1].

ეკონომიკური ეფექტურობის მართვის კრიტერიუმები შეიძლება დაიყოს შემდეგ კრიტერიუმებად:

კრიტერიუმები, რომლებიც მართვის ობიექტს ეხება:

1.ზოგადი კრიტერიუმები-ეკონომიკური შედეგების საქმიანობის მართვის სისტემები მთლიანობაში, ანუ ორგანიზაციებისა და საწარმოების უფრო მაღალი შედეგების მიღწევა, შედარებით ნაკლები დანახარჯებით.

2. ცალკეული კრიტერიუმების ჯგუფი:

– საწარმოში ცოცხალი ძალით შესრულებული სამუშაოს ნაკლები ხარჯი ან ამ ფორმით რეალიზებული საქონელი;

– ყველაზე მცირე მატერიალური რესურსების დანახარჯი;

– ყველაზე მცირე ფინანსური რესურსების დანახარჯი;

– ძირითადი ფონდებით საუკეთესო მაჩვენებლების გამოყენება;

– ყველაზე მცირე თვით ღირებულება;

– ყველაზე მცირე რენტაბელურობა;

კრიტერიუმები, რომლებიც ეხება საკუთრივ მართვის სისტემას:

– საჭირო ინფორმაციის ოპერატიული შეგროვება მართვის გადაწყვეტილების მისაღებად;

– შესაძლებლობა მიიღო ოპტიმალური გადაწყვეტილებები მინიმალურ დროში;

– გადაწყვეტილებების ოპერატიული მიწოდება პერსონალისთვის ;

– გადაწყვეტილებების ზუსტად შესრულების უზრუნველყოფა;

– კომპლექსური კონტროლის განხორციელება გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ორგანიზაციის სოციალური მიზნები მოიცავს:

1. მიზნები დამოკიდებული ორგანიზაციის გარემო ფაქტორების კავშირით;

2. მიზნები, რომელთა რეალიზაცია მიმართულია ორგანიზა-

ციის შიდა გარემოს გაუმჯობესებისათვის[2];

თუ ეკონომიკური მიზნები საერთო ჯამში გულისხმობს შემოსავლების გაზრდასა და ხარჯების შემცირებას, ასეთ შემთხვევაში სოციალური მიზნები გამოიხატება სამუშაოს შესრულებით, რაც განპირობებულია შრომის მატერიალური და არა მატერიალური პრინციპული გაუმჯობესებით ორგანიზაციაში. ასე რომ, სოციალურ მიზნებში შეიძლება ნაგულისხმევი იყოს პერსონალის მოლოდინი, მოთხოვნილებები, ინტერესები ორგანიზაციასთან მიმართებაში.

მართვის ეფექტურობის ზოგად სოციალურ კრიტერიუმად შეიძლება მიჩნეულ იქნეს სოციალური მიზნების მიღწევა, რომელიც განვითარების გარკვეულ ეტაპზე ორგანიზაციის წინაშე დგას.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

წარმოებისა და პერსონალის მართვის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: შრომის მწარმოებლურობა; შრომის და ხელფასის პროდუქტიულობის ზრდის ტემპი; სახელფასო განაკვეთის საერთო ფონდი; გამომუშავების შესრულების ნორმის პროცენტი. დღესდღეობით არ არსებობს ერთნაირი მიდგომა პერსონალის მართვის ეფექტური პროცესის დადგენის საკითხში. სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ პერსონალის მართვის პროცესი მჭიდრო კავშირშია წარმოების პროცესთან და მის საბოლოო შედეგთან, საზოგადოების სოციალურ ქმედებებთან, წარმოების ეკონომიკურ განვითარებასთან და ა.შ

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. ე. ბარათაშვილი, ნ.ბაკაშვილი, ნ.ფარესაშვილი, ბ. გეჩბაია, დ.მესხიშვილი „თანამედროვე ბიზნეს-სრატეგიები“.

2. გ. შუბლაძე, მ.ნანიტაშვილი „ბიზნესის საფუძვლები“.

3. გიორგი გოროშიძე “ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი მოდელის ფორმირება”.

REFERENCES:

1. E. Baratashvili, N.Bakashvili, N. Faresashvili, G. Gechbaia, D. Meskhishvili "Tanamedrove biznes strategiebi".
2. G. Shubladze, M.Nanitashvili "Business Basics".
3. Giorgi Goroshidze "Formation of Effective Model of Human Resource Management"

THE PERFORMANCE CRITERIA FOR PERSONNEL MANAGEMENT IN SMALL BUSINESS

Tamar Rostiashvili
Professor of GTU
Fiqria Kirkitadze,
Ph.D Student of GTU

RESUME

There is discussed in the article the economic-mathematical interpretation of the personnel management process in a small business and the description of the achievements and it is proved by the personnel needed to increase the efficiency of staff management.

The three approaches to the effective management of personnel are discussed and the practical consequences of these approaches are applied to a small business. Manufacturing and personnel management estimates include indicators: Labor Production; The growth rate of labor and wage productivity; a common fund of payroll rate, percentage of performance execution, etc.

Key words: small business, staff, management, organization, firm, labor remuneration, resources, effective work, cost incurred.

SUPPLIER SELECTION METHODS IN PURCHASING MANAGEMENT

Nato Samnidze
PhD Student of GTU
Nana Nadareishvili
Associate Professor of GTU

RESUME

A company's relationships with its suppliers have become increasingly important in the total context of the organization in the early 21st century. Strategic supplier relationship management is a critical step in improving performance across the supply chain, generating greater cost efficiency and enabling the business to grow and develop. Long term supplier relationships lead companies to reduced costs, increased efficiency and continual improvements.

Suppliers touch on every part of a business and to ensure a company can run as it should, it needs to ensure the seamless flow of goods and products. Suppliers can be found everywhere: thought exhibitions, recommendations, business advisors, trade press and etc.

Suppliers are important sources to gain competitive advantage to operate in global markets in terms of their expertise, knowledge and ability of sharing risks. Supplier selection process is hard and time consuming process and it's much more than reviewing a series of price list. Selection process is mainly based on four criteria's: quality, price, service and delivery. Although factors as: reliability, financial security and partnership approach has to be considered as well.

Keywords: Supplier, Buyer, Purchasing Structure, Selection of Suppliers, Organized processes, purchasing strategies.

Choosing the proper supplier involves much more than reviewing a series of price lists. Choice has to be made based on variety of factors, such as: value for the money, quality, reliability, and service. How the weight up of each category is preceded depends on the company's business priorities and strategy.

Properly selected suppliers are invaluable resource for the company, they make direct contribution to company's success, in most of the cases good suppliers help companies to develop product, do value analysis and guarantee timely delivery of desired level of quality (Dobler and Burt, 1996).

Different authors present different approaches for evaluating suppliers. The evaluation of suppliers is prerequisite step for selection of suppliers. The data for selection of suppliers includes both qualitative and quantitative data (Ho, Xu and Dey, 2010). The simple evaluation according to Bloomberg, Lemay and Hanna (2002) is normally based on quality, price, delivery and service. Although on more advanced level more factors are considered as evaluation criteria's for supplier selection process.

Overviewing the simple approach on supplier selection would gave us the idea of what are the basic factors that need to be considered when going through supplier selection process:

Quality: Quality from the purchasing point of view is discussed as an agreement upon requirements of certain product or service between buyer and seller (Weele, 2000). The quality needs to be defined for every product to be purchased, depending on the type of product the company produces. The quality defining factors might vary and they can be from marketing, purchasing or production department. Heinritz, Farrell, and Smith (1986) state that quality should be expressed in the way that supplier knows buyers quality requirements based on the purchasing contract. Quality requirements also can be set by government regulations, some country regulations require that all imported products must be ISO certified.

Price: Lysons and Farrington, (2006, p.434) defined price as "the value of a commodity or service measured in terms of the standard

monetary unit", other definition of price would be A value that will purchase a finite quantity, weight, or other measure of a good or service. (Business dictionary, 2018) importance of price varies depending on the purchasing strategies each organization has. It has been discussed during decades that quality and price are interrelated and quality is measured by cost. Price for the certain purchased product is arguable; there are negotiations about the price paid for supplier. The price of product or service should be fair; Heinritz, Farrell, and Smith (1986) discuss three general criteria for fair price:

1. Price should have objective relation with cost;
2. Price is result of economic conditions and demand;
3. Price is determined by competition.

Lysons and Farrington (2006) state that variations in prices are due to several aspects, such as quantity discounts, cash discounts, time, quality or transportation considerations. In today's business, price is determined by three factors. (Business Dictionary, 2018)

1. What is buyer willing to pay? The amount business offers in exchange for a certain type of product or service.
2. What is seller willing to accept? The amount seller accepts as compensation for a certain service or product.
3. The competition is allowing to be charged. Due to the fact that marketing strategies are involved in every purchasing process and promotions are essential component of today's seller-buyer market. The competition is one of the variables where organizations experience some degree of control over each process.

Delivery: Transfer of a cash commodity from the seller of a futures contract to its buyer, in accordance with the rules of a particular futures exchange. (Business Dictionary, 2018). Ability of supplier to deliver the products on time is one of the important aspects to consider when evaluating or choosing supplier.

Lysons and Farrington (2006) discuss Just-in-Time (JIT) philosophy for purchasing and emphasizes that in JIT purchasing all products must be delivered where they are needed, when they are needed and exact quantity, also the purchased products must be us-

able. Just-in-time (JIT) in supply chain management is considered as inventory strategy organizations employ to increase efficiency and decrease waste by receiving goods only as they are needed in the production process, which gives ability for reducing inventory costs. Although JIT purchasing strategy is hard to plan and requires procedures to forecast demand of products accurately. The need for using JIT purchasing strategy depends on the company's way of working.

Service: Service is performance-based encounter, intangible activities that is offered from one to another (Bloomberg, Lemay and Hanna, 2002). Companies often require some sort of service from their suppliers, the importance of the service on purchased product varies according to the type of industry.

Figure 1 illustrates variables above and area of supplier acceptance. Area of supplier acceptance demonstrates the degree to which company's requirements are met (Bloomberg, Lemay and Hanna, 2002).



1. Supplier Evaluation Variables

The selection of supplier is a hard decision and it requires time, the selection itself is last step of the process. Weele (2000) states that in practice the step "selection", contains number of separate stages, as shown in Figure 2. The author identifies four stages in order to select suppliers.



2. Seperate steps in supplier selection

The steps in the supplier selection require careful evaluation of suppliers. In order to get all necessary information and have first-hand data about performance of supplier, different sources can be used; Dobler and Burt (1996) discuss number of them: social media, internet, trade journals, the yellow pages, trade exhibits, company personnel etc.

Purchasing literature discusses that previously companies tend to have many suppliers for the same product, but the tendency has changed and nowadays a single supplier strategy is used in order to achieve particular advantages. Dobler and Burt (1996) discuss the advantages associated with a single supplier:

- Economies of scale due to the higher volume purchase;
- Quality considerations;
- The buyer has more influence on supplier;
- Lower costs are incurred to source, process, expedite and inspect;

- The quality, control and coordination required with just-in-time manufacturing require a single source.

Obviously, according to statement above, having limited number of suppliers is an advantage. However, Bloomberg, Lemay and Hanna (2002) argue that having a single supplier might be risky. The risk might be from:

- Exposure in time of shortage, fire or strike;
- Supplier price increase;
- Supplier complacency about quality and quality service.

The company has to choose between what strategy to have, considered all risks and advantages with single strategy (Bloomberg, Lemay and Hanna, 2002).

REFERENCES:

1.Bloomberg, D. J., Lemay, S. and Hanna, J. B., 2002. Logistics. Upper Saddle River, NJ: Pearson Education.

2.Chamber of Commerce of Metropolitan Montreal formerly known as Board of Trade of Metropolitan Montreal. 2018. Available through https://www.investopedia.com/

3.Definition of Business Terminology, 2018. Available on http://www.businessdictionary.com

4.Dobler, D. W. and Burt, D. N., 1996. Purchasing and supply chain management – Text and cases. 6th ed. Singapore: McGraw-Hill.

5.Heinritz, S. F., Farrell P. V., and Smith C. L., 1986. Purchasing: principles and applications. New Jersey: Prentice-Hall.

6.Ho, W., Xu, X., and Dey P., K., 2010. Multi-criteria decision making approaches for supplier evaluation and selection: A literature review. European Journal of Operational Research, [e-journal] 202(1), pp. 16-24

7.Lysons, K. and Farrington, B., 2006. Purchasing and supply chain management. 7th ed. England: Pearson Education Limited.

8.Weele, A., V., 2000. Purchasing and supply chain management-analysis, planning and practice. 2nd ed. Padstow, CON: Thomson Learning.

მომწოდებლების შერჩევის პროცესები შესყიდვების მენეჯმენტში

ნატო სამნიძე,
სტუ დოქტორანტი
ნანა ნადარეიშვილი,
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

21-ე საუკუნეში კომპანიის ოპერირების კონტექსტში მნიშვნელოვანი გახდა კომპანიების მომწოდებლებთან სწორი ურთიერთობა. სტრატეგიულ მომწოდებლებთან ურთიერთობის მართვა კრიტიკული ნაბიჯია მიწოდებათა ჯაჭვში პროცესების გასაუმჯობესებლად. მომწოდებლების შერჩევისას სწორი გადაწყვეტილების მიღება პირდაპირ პროპოციულია ბიზნესის სწორ განვითარებასა და ზრდაზე. მომწოდებლებთან გრძელვადიან ურთიერთობას მივყავართ შემცირებულ დანახარჯებთან, მზარდ ეფექტურობასთან და პროცესების მუდმივ გაუმჯობესებასთან.

მომწოდებელი ბიზნესის ყველა ნაწილს ეხება, ვინაიდან უზრუნველყოფს ორგანიზაციისთვის საქონლის და მომსახურების უწყვეტი ნაკადის მიწოდებას. ორგანიზაციებისთვის მომწოდებლების შერჩევა შესაძლებელია სხვადასვა საშუალებით, როგორიცაა: გამოფენები, რეკომენდაციები სხვა ორგანიზაციებიდან, ბიზნეს მრჩეველები, სავაჭრო პრესა და ა.შ.

მომწოდებლები მნიშვნელოვანი წყაროები არიან კონკურენტუნარიანი უპირატესობის მოსაპოვებლად გლობალურ ბაზრებზე მუშაობისთვის, მათი გამოცდილების, ცოდნისა და რისკის გაზიარების უნარით. მომწოდებელთა შერჩევა შრომატევადია და ბევრად უფრო მეტ პროცესებს ითვალისწინებს, ვიდრე მოწოდებულ ფასთა მიმოხილვა. შერჩევის პროცესი ძირითადად ეფუძნება ოთხ კრიტერიუმს: ხარისხი, ფასი, მომსახურება და მიწოდება. აღსანიშნავია რომ ფაქტორები, როგორიცაა: საიმედოობა, ფინანსური უსაფრთხოება და პარტნიორობის მიდგომაც უნდა ჩაითვალოს შერჩევის კრიტერიუმად.

საკვანძო სიტყვები: შესყიდვები, შესყიდვების სტრუქტურა, მომწოდებლები, მომწოდებლების შერჩევა, შესყიდვების სტრუქტურების კომპონენტები, მომწოდებლების შერჩევის პრინციპები.

მარკეტინგული კონტროლის როლი საბაჟო მართვის სისტემაში

გიორგი ხაბურზანია
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ხელმძღვანელი: პროფესორი
კახაბერ ჯაყელი

რეზიუმე

საბაჟოს როლი და ზოგადად საბაჟო საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან. აუცილებელია საბაჟო ორგანოების მართვაში მარკეტინგული მეთოდების განვითარება. საჭიროა მუდმივად გაუმჯობესდეს მარკეტინგის ეფექტურობის ხარისხი საბაჟო პროცედურებთან მიმართებაში. საბაჟო ორგანოების საქმიანობა მიზნად ისახავს მარკეტინგული მიზნების განვითარებას და შემუშავებას, რომლის შედეგი აისახება საზოგადოებაში, ბევრ სხვა სფეროში ეფექტიანობის ამაღლებით.ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა:

– განხორციელდეს საბაჟო კონტროლის სისტემის საქმიანობის მარკეტინგული მართვის ზოგადი სტრუქტურის სისტემური ანალიზის ფუნქციური დახასიათება;

– საბაჟო აუდიტის მარკეტინგული გზით სასაქონლო ღირებულებების და ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო საზღვარზე მოძრაობისას ეკონომიკური დანაშაულის აღკვეთა;

– სამეცნიერო მარკეტინგის გამოყენების ეფექტურობის სქემები, საავტორო მარკეტინგის მართვის წესების დარღვევის ანალიზი და განბაჟების თანამედროვე ფორმების საერთაშორისო კომერციული კონტაქტები;

– სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე დაკვირვება, სამომხმარებლო კმაყოფილების ინდექსების ეფექტური გამოყენება მარკეტინგული კონტროლის მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები: საბაჟო, მარკეტინგი, საბაჟო მომსახურება, კონტროლი, იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი, მარკეტინგული დაგეგმვა.

ძირითადი ტექსტი

კომპანიის წარმატება განისაზღვრება იმით, თუ რა მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელებას აპირებს ფირმა (ადაპტაცია ან სტანდარტიზაცია). პროდუქტის სტანდარტიზაცია არის მიდგომა, სადაც ფირმას შეუძლია თავისი პროდუქციის ექსპორტი საერთაშორისო ბაზრებზე. იგი უფრო მეტად გამოიყენება სამრეწველო საქონელზე. ამ სტრატეგიის არჩევის გზით, კომპანიები გაითვალისწინებენ ადგილობრივ მოთხოვნებს. ზოგიერთ საერთაშორისო ბაზარზე კომპანიამ უნდა მოახდინოს მოდიფიკაცია მარკეტინგში, ფირმამ უნდა გადაწყვიტოს პროდუქტის ადაპტაციის ხარისხი. თუ ისინი ვერ შეცვლიან თავიანთ პროდუქტს კონკრეტულ ბაზრებზე, ეს შეიძლება იყოს დიდი პრობლემა და გამოიწვიოს კატასტროფა.[1]

ზოგიერთ სახელმწიფოში, ადმინისტრაციული სტრუქტურის მიხედვით, საბაჟო ადმინისტრაციები აკონტროლებენ კონტროლის მექანიზმებს. კონტროლის მექანიზმის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საბაჟო ორგანომ უნდა მიიღოს ინფორმაცია ოპერატიულად, სხვა დამატებით დაზვერვასთან ერთად, რათა გაიგოს რისკების სერიოზული დონე. ეს საშუალებას მისცემს მას შექმნას აუცილებელი უსაფრთხოების და შესაბამისობის კონტროლის სტრატეგია რისკის ანალიზის საფუძველზე.

ყველაზე ეფექტიანი გზა, რათა აწარმოოს ადეკვატური შემოწმებები იმ პროდუქტებზე, რომლებიც თავისუფალ მიმოქცევაშია, მოითხოვს საბაჟოს ჩართვას. გარდა ამისა, საჭიროა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ევროკავშირის დებულებების ერთგვაროვანი აღსრულების შესაბამისობის კონტროლი. ეს შეიძლება მიღწეული იყოს სისტემატური თანამშრომლობის გზით საბაზრო ზედამხედველობის ორგანოებსა (Market Surveillance Authorities (MSA)) და საბაჟოს შორის. ევროკავშირის ამ

1 **Standardizing or adapting the marketing mix across. Page 12**

მაგალითის გამოყენება ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფს ჩვენი მოქალაქეების თანაბარ დაცვას, რადგან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს შეუძლია ერთიან ბაზარზე თავისუფლად გავრცელება.

MSA-ს ასევე შეუძლია პასუხისმგებელი საქონლის გარკვეული კონტროლი, რისთვისაც ოპერატორები გამოიყენებენ გამარტივებულ საბაჟო პროცედურას. გამარტივებული საბაჟო პროცედურები ხშირად გამოიყენება ეკონომიკური ოპერატორების მიერ. გამარტივებული პროცედურის ავტორიზაციის მინიჭება ითვალისწინებს ოპერატორის ცოდნას იმ პოტენციური რისკების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ამ პროცედურებით. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მიიღონ გადაწყვეტილება გარკვეული საქონლისთვის გამარტივებული პროცედურების გამოყენების აკრძალვის ან საბაჟო და საბაზრო ზედამხედველობის ორგანოებს (MSA) შორის კონსულტაციების გზით.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ გამარტივებული საბაჟო პროცედურების განხორციელების ნებართვის მფლობელი ასევე უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი დოკუმენტაციის მფლობელობაში (მაგალითად, შესაბამისობის დეკლარაცია, ტექნიკური დოკუმენტაცია და ტესტირება) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დაწყებამდე.

მოთხოვნა კმაყოფილდება საქონლით ან მომსახურებით, ისინი თავის მხრივ, ერთიანდება მარკეტინგულ შეთავაზებებში მომხმარებლისთვის მიწოდებულ ინფორმაციასთან ერთად.

მარკეტინგულ შეთავაზებაში იგულისხმება საქონლის, მომსახურების და მათ შესახებ ინფორმაციის შეთავაზება ბაზრისთვის მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

მაშასადამე, მარკეტინგული შეთავაზება მოიცავს, როგორც ფიზიკური სახით არსებულ, ისე არამატერიალურ საქონელს. ფართო გაგებით მარკეტინგულ შეთავაზებაში შედის, აგრეთვე იდეა.

1 Guidelines for import controls in the area of product safety and compliance. Page 10-11

მარკეტინგის კონტროლი ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით. თავდაპირველად, ორგანიზაციის მართვის ორგანიზება, შეხვედრა აუდიტორიის წინაშე შეთანხმების მიღწევის მიზნით, ინფორმაციული წყაროები, საბოლოო ანგარიშის ფორმა და მიმდინარე პროცესების გადამოწმება.

როდესაც ორგანიზაცია ფუნქციონირებს ეფექტურად, კონტროლის მარკეტინგი შეიძლება იყოს მომგებიანი და წარმატებული ორგანიზაციის სირთულეების მიუხედავად.

იმისთვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს დრო და ფულადი ხარჯები, საჭიროა კარგად მომზადებული მარკეტინგული კონტროლის გეგმა, რომლის შემსრულებელ პირებთან შედგეს შეხვედრა და საკითხის ღრმად განხილვა. შესაბამისად, მარკეტინგული კონტროლის მართვა არ შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ მონაცემებს და ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მოსაზრებებს. საჭიროა გასაუბრება მომხმარებლებთან, დილერებთან და სხვა უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ბევრმა ორგანიზაციამ არ იცის, როგორ გამოიყურება მომხმარებლის და დილერების წინაშე, არ ესმით როგორ დააკმაყოფილონ მომხმარებლები. შეხვედრების დასრულების შემდეგ ინფორმაციის შეკრებით აუდიტორი აყალიბებს შედეგების ანალიზს და რეკომენდაციებს. მარკეტინგული კონტროლის ასპექტების შეფასების შემდეგ, ხელმძღვანელები არიან ჩართულები ახალი მარკეტინგული ცნებების ჩამოყალიბების დებატებში.[1]

მარკეტინგული დაგეგმვა ხორციელდება ყველა დონეზე ქვეგანყოფილების, საქონლისა და ბაზრების მიხედვით. ეს აიოლებს სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბებას.

მარკეტინგული კონტროლის საბოლოო ანგარიშის შედეგში შეიძლება იყოს წარმოდგენილი შემაჯამებელი ფორმა, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან: ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეებისგან და ორგანიზაციის შესაძლებელი საფრთხისგან, რომელზეც ხორციელდება SWOT ანალიზი.[2]

1 Гуляев В.Г. Организация маркетинговой деятельности. - М.: Нолидж, 1996.-196С

2 Дитер И.Г. Технологический маркетинг. - М.: ЯНУС-К, 2003. - 138-145с.

SWOT-ანალიზი გვაძლევს საშუალებას სტრატეგიული აუდიტის ჩატარებისას გამოვავლინოთ კომპანიის შესაძლებლობები და საფრთხეები, ძლიერი და სუსტი მხარეები. აუდიტის ჩატარების შემდეგ გროვდება უამრავი ინფორმაცია, საჭიროების მხრივ, სხვადასხვა ხარისხის, სხვადასხვა საიმედოობის შესახებ. SWOT - ანალიზი ახდენს მათ დახარისხებას, გაწმენდას იმის მიხედვით, რომელი სად არის აუცილებელი შიდა თუ გარე აუდიტისთვის. ყველა საფრთხე არ მოითხოვს ერთნაირ მიდგომას. მენეჯერმა უნდა შეაფასოს თითოეული საფრთხის პოტენციური მოხდენის ალბათობა. ამის შემდეგ ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არსებითზე და წინასწარ მოამზადოს მათი ნეიტრალიზებისათვის შესაბამისი გეგმა.

მარკეტინგის მართვის დაცვით საუბრის ჩართვა საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოში ძირითადი აქცენტი კეთდება საქონლის შემოტანა გატანაზე. გარდა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისა, საზღვრებზე გადაადგილდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც შეიძლება დაჰქონდეთ საქონელი. მარკეტინგული კუთხით მომგებიანი იქნება თუ მოხდება განსაზღვრულ რაოდენობაზე პროცედურების გამარტივება, საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლება და გარკვეული პრივილეგიების მინიჭება კანონის ფარგლებში. საქონელი, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო დეკლარირებას, გაკეთდეს შესაბამისი განცხადება, რათა დადგინდეს საქონლის გატანისას საჭიროებს თუ არა პროდუქტი სავალდებულო დეკლარირებას და გავიდეს ყოველგვარი ზედმეტი პროცედურების გარეშე, რაც მარკეტინგულად მომგებიანია ქვეყნისთვის და ხელს შეუწყობს ექსპორტის განვითარებას. საქონლის გადაადგილებას საბაჟოზე ექსპორტის შემთხვევაში დეკლარაციის გარეშე, განიხილავს საბაჟო დეპარტამენტი, ასევე შეიძლება განიხილოს საქონლის დროებითი შემოტანა გადასახადების გარეშე, მაგ. რომელსაც იყენებენ ტექნიკის თუ რაიმე სხვა დანადგარის სახით, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის განვითარებას და კეთილდღეობის ამაღლებას. სავალდებულო წერილობითი განცხადების საფუძველზე უნდა მიმართოს სა-

ბაჟო დეპარტამენტს იმ პირმა თუ ორგანიზაციამ, ვინც ეწევა დროებით შემოტანას, რათა განისაზღვროს დროები, შემოტანა-გატანის პროცედურები გამარტივდეს შეყოვნების გარეშე. შემოტანის და ქვეყანაში საქონლის ექსპლუატაციის ვადა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რა დანიშნულებით შემოაქვთ ესა თუ ის საქონელი და მიეცეს შესაბამისი გონივრული ვადა საქონლის გასატანად, რეექსპორტისთვის. დროებით შემოატანილი საქონლის გაყიდვა ან სხვისთვის გადაცემა, გასხვისება არ შეიძლება და უნდა მოხდეს დანიშნულ ვადებში ქვეყნიდან გატანა, ეს ყველაფერი მარკეტინგული კუთხით მიმზიდველია და ბევრ უცხოურ კომპანიას საშუალებას მისცემს ინვესტიციები ჩადონ ჩვენს ქვეყანაში. ასევე შესაძლებელი იყოს ქვეყანაში საქონლის დატოვების და გასხვისების შემთხვევაში შეღავათიანი პირობებით განბაჟება.

იგივე შეიძლება გავაკეთოთ დროებით გატანის შემთხვევაში, როდესაც ხდება რაიმე საქონლის ქვეყნიდან გატანა და შეიძლება უკან დაბრუნდეს, ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის განცხადების საფუძველზე. როდესაც შემოაქვთ უკან ქვეყანაში საქონელი, რომელიც გაიტანა, უნდა მოხდეს იდენტიფიკაცია შესაბამისი საქონლისა, არის თუ არა მართლა ის საქონელი, ან თუ გადამუშავებულია და დამატებითი ღირებულებები არ აქვს დამატებული ან შეფასების მიხედვით იგივე ფასია , რაც გატანის მომენტში იყო, ამ შემთხვევაში გათავისუფლდეს გადასახადებისგან. თუ მისი ღირებულება შეცვლილია, შეფასდეს და მოხდეს გადასახადის დაანგარიშება მხოლოდ იმ დეტალების გათვალისწინებით, რითაც მოხდა საქონლის გაუმჯობესება. ასევე უნდა გავითვალისწინოთ რისკები და მცდელობები შესაძლებელი კანონდარღვევებისა, რათა ეკონომიკური ზარალი არ მიიღოს ქვეყანამ. მარკეტინგულად ხელსაყრელია შესაბამისი ბაზის შექმნა და ამ ბაზაში აღრიცხვა გატანილი საქონლისა, რათა უკან დაბრუნებისას პრობლემა არ შეექმნეთ საბაჟო პროცედურების მომხმარებლებს და კმაყოფილების დონე დარჩეს მაღალი.

საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, საბაჟო მოხელეს უფლება აქვს

დამოუკიდებლად განსაზღვროს ფიზიკური პირების მიერ იმპორტირებული საქონლის დანიშნულება ეს საქონელი იქნება პირადი მოხმარებისა თუ ეკონომიკური დანიშნულებისა. პირადი მოხმარების შემთხვევაში, როდესაც საქონლის ღირებულება და რაოდენობა სცდება კანონით გათვალისწინებულ რაოდენობას, დამატებითი პუნქტის მიხედვით უნდა განისაზღვროს საქონლის მიზნობრიობა. ნამდვილად პირადი მოხმარებისთვისაა თუ არა, შეიძლება განისაზღვროს ფიზიკური პირის საზღვრის კვეთის რაოდენობით. თუ საქონელი არაერთგვაროვანია ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს პირადი მოხმარებისთვის და არ მოხდეს გადასახადების დარიცხვა.

ფიზიკური პირის/იურიდიული პირის მიერ ეკონომიკური დანიშნულებით იმპორტირებული საქონელი შეიძლება შეფასდეს სხვადსხვა კრიტერიუმებით, მაგ. რაოდენობის მიხედვით, მცირე რაოდენობით ეკონომიკური დანიშნულების საქონელზე უნდა განისაზღვროს დაბალი პროცენტი, ხოლო 30000 ლარამდე ღირებულების საქონლის განბაჟება მოხდეს ადგილზე, საბაჟო გამშვებ პუნქტზე, რათა დამატებითი მომსახურების გადასახადები არ დაერიცხოს. ეს ყველაფერი დადებითად იმოქმედებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაზე და მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე.

საბაჟო კონტროლისას შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებები:

ა) დოკუმენტური შემოწმება. საბაჟო სამსახურის მიერ დოკუმენტების შემოწმებისას საჭიროა განსაბაჟებლად წარმოდგენილ საქონელზე და შესაბამისად სატრანსპორტო საშუალებაზე ინფორმაცია, რათა დადგინდეს დოკუმენტების უტყუარობა.

როდესაც ტარდება მარკეტინგული კონტროლი, საბაჟო სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაციები, რომ დადასტურდეს საბაჟო დეკლარაციაში ინფორმაციის სიზუსტე, უზუსტობების შემთხვევაში დოკუმენტებში ინფორმაციის შესაყვანად ან შესაცვლელად წერილობით დგინდება ვადა სწორი ინფორმაციის დასამატებლად, რომელიც საკმარისი უნდა იყოს მათ წარსადგენად;

ბ) ზეპირი დეკლარირება. საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას

საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებს შეუძლიათ ზეპირი გამოკითხვა ჩაატარონ და გაიგონ რაიმე საქონელი ექვემდებარება განბაჟებას თუ შესაძლებელია ფიზიკურ პირებზე არსებული შეღავათის გამოყენება, თუ რა თქმა უნდა აქვს ამის გამოყენების უფლება იმ პიროვნებას, ვინც კვეთს საზღვარს;

გ) დამატებითი განმარტებების მოპოვება მარკეტინგული კონტროლის დროს საბაჟოზე. საბაჟო ორგანოს ოფიციალური პირისგან ინფორმაციის მიღება იმ გარემოებებზე, რაც შეესაბამება საბაჟო კონტროლს და გასავლელ პროცედურებს, სადაც პასუხისმგებელი პირებისგან მიიღებენ ინფორმაციას საქონლის საბაჟო ოპერაციებისგან გათავისუფლების შესახებ;

დ) საბაჟო ზედამხედველობა. საბაჟო ზედამხედველობა ამოწმებს გამჭვირვალეობას, მიზანმიმართულობას, სისტემატურ ან ერთჯერად, პირდაპირ ან არაპირდაპირ ვიზუალურ დაკვირვებას საბაჟო ორგანოებზე უფლებამოსილი პირების მიერ საბაჟო კონტროლის განხორციელებაზე, საქონელზე და სატრანსპორტო საშუალებებზე, ასევე სხვა ოპერაციებზე;

ე) აქციზური მარკების ეტიკეტირების შემოწმება და მათი საიდენტიფიკაციო ნიშნები. ამ შემთხვევაში საბაჟო სამსახური ამოწმებს, საქონლის მარკირებას აქციზური მარკებით, საიდენტიფიკაციო ნიშნებს მასზე დატანილი სპეციალური შტრიხკოდის წაკითხვით შესაბამისი ხელსაწყოს საშუალებით, ადასტურებს საქონლის კანონებთან შესაბამისად შემოტანას და ეძლევა უფლება იმპორტიორს გააგრძელოს შემდგომი პროცედურები.

დასკვნა

საქართველოს საბაჟო სფეროს მარკეტინგული კუთხით განვითარება ჩვენი ქვეყნისთვის იქნება უდიდესი ეფექტის მომტანი, რაც აისახება უცხოელი ინვესტორების მოზიდვასა და ქვეყნის საბაჟო პოტენციალის გაზრდაში, ასევე გაზრდილი ტურისტული ნაკადების შემოდინებაში სწორი მარკეტინგული პოლიტიკის მეშვეობით. ამასთან, საბაჟოს ფუნქციონალური გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ხელმძღვანელების და კადრების გადამზადება მარკეტინგის სფეროში, რომლებიც მა-

რკეტინგულ უნარ-ჩვევებს გამოიყენებენ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში.

ლიტერატურა:

1. მომსახურების მარკეტინგი. გ. ქათამაძე 2013წ.
2. ფინანსური მარკეტინგი. გ. ცაავა 2009წ.
3. საერთაშორისო მარკეტინგი. გ. შუბლაძე 2007წ.
4. საქართველოს საბაჟო კოდექსი;
5. Бурцева Т.Д. Маркетинговые исследования конкурентоспособности товара. - Киров, 2003
6. Guidelines for import controls in the area of product safety and compliance
7. Standardizing or Adapting the Marketing Mix across Culture. Halmstad University School of.Business and Engineering Business and Marketing
8. CUSTOMS MODERNIZATION Handbook.luc de wulf
9. www.nbg.gov.ge
10 .www.goverment.gov.ge

REFERENCES:

1. Service Marketing. C. Katamadze 2013
2. Financial marketing. C. Tsaava 2009
3. International Marketing. C. Shubladze 2007
4. The Customs Code of Georgia;
5. Burtseva TD Marketing research of product competitiveness. - Kirov, 2003
6.Guidelines for import controls in the area of product safety and compliance
7.Standardizing or Adapting the Marketing Mix across Culture. Halmstad University School of Business and Engineering Business and Marketing
8.CUSTOMS MODERNIZATION Handbook.luc de wulf
9.www.nbg.gov.ge
10.www.goverment.gov.ge

THE ROLE OF MARKETING CONTROL IN THE CUSTOMS MANAGEMENT SYSTEM

Giorgi Khaburzania
PhD Student of the Caucasus International University
Supervisor: Professor **Kakhaber Jakeli**

RESUME

The role of customs and general customs activity is closely related to domestic and foreign policy, it is necessary to develop marketing methods in the management of customs bodies. It is necessary to constantly improve the quality of marketing effectiveness in customs procedures. After the activities of the customs authorities aimed at developing and developing marketing goals, the result is reflected in the public, in the field of many other areas.

The following tasks for determining the targeted purpose are:

• Functional characterization of systematic analysis of the general structure of marketing management of the customs control system;

• To provide scientific evidence for the prevention of economic crimes through customs audit marketing in commodity prices and on the state border of intellectual property;

• Effective circulation of scientific marketing, analysis of violation of copyright marketing rules and international commercial contacts of modern forms of customs clearance;

• Statistically significant level monitoring is the effective use of consumer satisfaction indexes through marketing control.

Keywords: Customs, marketing, custom service, control, import, export, re-export, marketing planning.

გლობალიზაციის პირობებში სტრატეგიული მენეჯმენტის, ტექნოლოგიებისა და ცოდნის მენეჯმენტის ზეგავლენა ბიზნესზე

თამარი დევიძე
სტუ ასოცირებული პროფესორი
გიორგი შოშიტაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ახალ ეკონომიკას ახასიათებს გლობალური განვითარების სწრაფად ცვალებადი სცენარი, რომელშიც შემცირებულია პროდუქტის საციცოცხლო ციკლი; ბაზარს მყიდველები მართავენ; დაჩქარებულია ბიზნესის სამოქმედო გარემოს ცვალებადობა და ცოდნის დაძველება; წინა პლანზეა წამოწეული ახალი ცოდნითა და ინოვაციებით ნასაზრდოები მეწარმეობა. ყოველივე ამის გამო, დღეს წარმატების შანსი აქვს იმას, ვინც მეტ ძალისხმევას სამეწარმეო შემოქმედებას ახმარს.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ბიზნესი, სტრატეგიული მენეჯმენტი, ახალი ცოდნა და ტექნოლოგიები.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა უმთავრესად დამოკიდებულია სტრატეგიულ მენეჯმენტზე. სტრატეგია წარმოადგენს განსაზღვრული წესების ნაკრებს, რომლითაც ხელმძღვანელობს ორგანიზაცია მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას. ამასთან ერთად, სტრატეგია განიხილება როგორც საერთო კომპლექსური გეგმა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ორგანიზაციის მისია და მიღწეული ეკონომიკური მიზნები.[1]

იგორ ანსოფი და ედვარდ მაკონელი(1999) სტრატეგიულ მე-

1 გ.შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური, მენეჯმენტის საფუძვლები, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008, გვ. 148

ნეჯმენტს განსაზღვრავს, როგორც სტრატეგიული ცვლილების მენეჯმენტისადმი-მართვისადმი სისტემურ მიდგომას, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის მუშაობას მისი სტრატეგიისა და შესაძლებლობების მიხედვით დაგეგმვის საფუძველზე, დროულ სტრატეგიულ რეაგირებას საკითხების მართვის საშუალებით და შემაფერხებელი ფაქტორების სისტემურ მენეჯმენტს სტრატეგიული აქტივობების/ქმედებების განხორციელების დროს.

ჯონ პირსისა და რიჩარდ რობინსონის თანახმად, ორგანიზაციაში სტრატეგიული მენეჯმენტის განხორციელების ფუნდამენტურ როლს წარმოადგენს მიმართულებების უზრუნველყოფა. სტრატეგიული მენეჯმენტი აყალიბებს ეტაპებს, რომლებიც გამოიყენება, როგორც ორგანიზაციის მიზნები. თავის მხრივ, მიზნების მიღწევა ხორციელდება ორგანიზაციის ხედვისა და მისიის გაერთიანებით. სტრატეგიული მენეჯმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს ორგანიზაციის მისწრაფებასა და მისი მიღწევის მიზეზს. ორგანიზაციის სტრატეგიული მენეჯმენტი დამოკიდებულია ორგანიზაციის ზომასა, მენეჯმენტის სტილსა და გარემოს კომპლექსურობაზე.

სტრატეგიული მენეჯმენტი წარმოადგენს ორგანიზაციის მიზნების განსაზღვრის პროცესს და გულისხმობს მიზნების მიღწევისათვის პოლიტიკისა და გეგმების განვითარებისა და განხორციელებისათვის საჭირო რესურსების გამოყოფას. ორგანიზაციის სტრატეგია უნდა შესაბამისობაში იყოს მის რესურსებთან, გარემოებებთან და მიზნებთან.

გლობალიზაციის ერაში, ტექნოლოგიების სწრაფი ცვლილება აიძულებს მენეჯერებს არ ჩამორჩნენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, რათა შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა. დღეისათვის, დიდი რაოდენობით მომხმარებელი იყენებს ინტერნეტს, რათა იყიდოს სასურველი პროდუქტი და მომსახურება და პირიქით, ბევრი კომპანია იყენებს ინტერნეტს, რათა გაყიდოს წარმოებული პროდუქცია და მომსახურება.

ორგანიზაციები და მასში შემავალი დეპარტამენტები და განყოფილებები იყენებენ სხვადასხვა სახის ტექნოლოგიებს, მათ შორის პროდუქციის წარმოებისათვის, კომუნიკაციისათვის,

კონტროლისათვის და ინფორამციის მოძიებისათვის. ორგანიზაციის თითოეული დანაყოფი მუდმივად უნდა ზრუნავდეს დანადგარების მოდერნიზებაზე. ტექნოლოგიების დახმარებით შესაძლებელია ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესება, მაგალითად, უფრო სწორი გადაწყვეტილების მიღების, დროისა და დანახარჯების შემცირების და სხვა მიმართულებით.

ტექნოლოგიურ მიღწევებს მენეჯერებისათვის მოაქვს მრავალი შესაძლებლობა, მათ შორის გამოწვევებიც. დღეისათვის, ორგანიზაციები, რომლებიც ვერ მიჰყვებიან ტექნოლოგიურ განვითარებას, იმყოფებიან საფრთხის ქვეშ, გახდნენ არაკონკურენტუნარიანი. ტექნოლოგიები წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც დაკავშირებულია ეფექტიან მართვასთან. ტექნოლოგია ზრდის ბიზნესის უფრო ეფექტიანი და კონკურენტუნარიანი გზით განვითარების შესაძლებლობას.

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიებში ბოლო დროინდელმა მიღწევებმა საერთაშორისო კომუნიკაციები, ტრანსპორტი და მოგზაურობა გახადა უფრო იაფი და სწრაფი.

ინოვაციების ზრდის სწრაფმა ტემპმა, ხელი შეუწყო ტექნოლოგიების გლობალიზაციას. ქვეყნებს, სადაც წარმოდგენილია წამყვანი ტექნოლოგიები, აქვთ უფრო მეტი შესაძლებლობა, დანერგონ ახალი ინოვაციები. მეტიც, ადრე, როდესაც გამოგონებები და ინოვაციები განიხილებოდა, როგორც მიღწევად, ამჟამად, ისინი განიხილება, როგორც ჩვეულებრივ მოვლენად. გლობალური ფირმები ეყრდნობიან ტექნოლოგიურ ინოვაციებს, რათა გაზარდონ საკუთარი შესაძლებლობები.[1]

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევებმა, მეტწილად ხელი შეუწყო წარმოების, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების განვითარებას.

წარმოების ტექნოლოგიების გაუმჯობესებამ გადაახალისა მრეწველობა და მსხვილი წარმოება გახადა შესაძლებლად, რა-

1 Asian Development Bank, 'Drivers of Change: Globalization, Technology and Competition', Asian Development Outlook, Oxford University Press, Hong Kong, 2003, p. 208.

მაც წარმოშვა ინდუსტრიული რევოლუცია. წარმოების ეფექტიანობამ გამოიწვია დიდი რაოდენობის საქონლის წარმოებაზე დანახარჯების ეფექტიანობა. ტრანსპორტის ტექნოლოგიები: გზების, რკინიგზის, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის გაუმჯობესებამ გაზარდა გადაზიდვის სიჩქარე და შეამცირა მასთან დაკავშირებული დანახარჯები. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები: ბოლო პერიოდში, საგრძნობლად შემცირდა საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების ღირებულება, გამომდინარე იქიდან, რომ გაუმჯობესდა შესაბამისი ტექნოლოგიები და გაიზარდა კონკურენცია. აღნიშნულმა გარემოებამ, წარმოშვა ახალი ბიზნესმოდელები, როგორიცაა მომსახურების ოფშორული მიწოდება და ელექტრონული ბიზნესგარიგებები.

თანამედროვე ორგანიზაციებში ცოდნის შექმნა და გაფართოვება გახდა საკვანძო ფაქტორი კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად. არსებობს მრავალი, სხვადასხვა სახის განმარტება ცოდნის მენეჯმენტის განსასაზღვრად.

ინოვაციების წყაროა ახალი ცოდნა, რომელსაც ფირმა საქმიანობის განმავლობაში იძენს. მეცნიერული კვლევა-ძიებისას მოპოვებულ ცოდნას იგი გარდაქმნის სიახლეებად, ინოვაციებად და დანერგვად, არეგისტრირებს პატენტებს, გამოგობებსა და საავტორო მოწმობებს. ცოდნის დაუფლება ის საწყისი წერტილია, საიდანაც ფირმა იწყებს საინოვაციო საქმიანობას.[1]

კონკურენციის მამოძრავებელი ძალა სიახლეების დანერგვაა. საქონლის კონკურენტუნარიანობას ნოვატორული, მეწარმეობრივი მიდგომით აღწევენ, რომლის არსსაც ნოვაციების ძიება და რეალიზება შეადგენს.

ინოვაციები ბიზნესისა და მეწარმეობის მომავალ განვითარებას განსაზღვრავს და მნიშვნელოვან ცვლილებებს გულისხმობს წარმოებაში, მარკეტინგში ან ფირმის მართვაში.

კომპანიები ინოვაციებს ფართო მასშტაბით უდგებიან, იყენებენ როგორც ახალ ტექნოლოგიებს, ისე მუშაობის ახალ მეთოდებს, პოულობენ კონკურენტებთან მეტოქეობის უკეთეს

1 ა. აბრალავა, ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, „უნივერსალი“, 2014, გვ. 162-181

საშუალებებს. ინოვაციები შეიძლება ვლინდებოდეს პროდუქტის ახალ დიზაინში, მარკეტინგისადმი ახალ მიდგომაში, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ახალ მეთოდიკაში და ა.შ.

ლუკა ბერჩიჩი, ჯოი ტიდი და ენდრიუ ვან დე ვენი(1999) განიხილავენ ინოვაციურ მენეჯმენტს, როგორც გაურკვევლობის ცოდნად ტრანსფორმირებას.

ო.დელისა და გრაისონის თანახმად, ცოდნის მენეჯმენტი წარმოადგენს გათვითცნობიერებულ სტრატეგიას უზრუნველყოს სწორი ცოდნით ადამიანები სწორ დროს და დაეხმაროს ხალხს გაანაწილოს და გამოიყენოს ინფორმაცია, ორგანიზაციის მუშობის გასაუმჯობესებლად.[1]

დ. კინგის თანახმად, ცოდნის მენეჯმენტი წარმოადგენს სისტემურ პროცესს და სპეციფიკური მიზნისთვის მონაცემების, ინფორმაციისა და ცოდნის მოძიების, ორგანიზებისა და წარმოდგენის სტრატეგიას, შემდგომში ორგანიზაციისა თუ საზოგადოების ცოდნის მომსახურებისათვის.[2]

ვ. რ. კინგის თანახმად, ცოდნის მენეჯმენტი გულისხმობს დაგეგმვას, ორგანიზებას, ხალხის მოტივირებასა და კონტროლს, შემდგომში ცოდნასთან დაკავშირებული აქტივების გაუმჯობესებისა და ეფექტიანად დასაქმების უზრუნველსაყოფად.[3]

ჯოი ტიდის თანახმად, მთავარი რამ, რაც კომპანიებმა ინოვაციურ პროცესში უნდა გააკეთონ, არის ის, რომ გამოიკვლიონ გარემო, შესაძლო შესაძლებლობებისათვის. მოკვლევა მოიცავს აუთვისებელი ბაზრის აღმოჩენას, სადაც ინოვაციას შეუძლია ეფექტიანობის ხელშეწყობა და იმის გარკვევა, თუ სად არის სასურველი ცვლილებების შეტანა მიზანშეწონილი. მნიშვნელოვანია კვლევისთვის დადგენილი წესების არსებობა, გამომდინარე იქიდან, რომ იგი მიგვიყვანს უფრო ზუსტ და სასარგებლო ცოდნამდე გარემოს შესახებ.

კვლევის შემდგომი ნაბიჯია შერჩევა, კერძოდ იმის გადაწყვე-

1 Timo Kucza, KnowledgeManagementProcessModel, 2001, გვ. 24

2 Kimiz Dalkir, Knowledge Management in Theory and Practice, 2005, გვ. 17-18

3 William R. King, Knowledge Management and Organizational Learning, 2009, გვ. 4

ტა, თუ რომელი შესაძლებლობების გამოყენება და ამისათვის რესურსების გამოყოფა არის მიზანშეწონილი. მნიშვნელოვანია სარისკო პროექტების თავიდან აცილება და ისეთი მიზნების შერჩევა, რომლებიც იქნება ბიზნესთან შესაბამისობაში.

საბოლოო ფაზას წარმოადგენს ინოვაციის თეორიებისა და იდეების პრაქტიკაში განხორციელება. აღნიშნულ ფაზაში სხვადასხვა მოქმედება ხორციელდება, რომელიც დაკავშირებულია ინოვაციურობისათვის ცოდნის მოპოვებასთან და ინოცავიის შესრულებასთან.[1]

ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაზე გადასვლის თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური სისტემის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს უმაღლესი განათლება. ასეთად რჩება ის გრძელვადიან პერსპექტივაშიც. ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღება ქვეყანაში მდგრადობის და მიკრო და მაკრო დონეზე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების რეალური ძალაა, რამაც ათასობით ადმიანის დასაქმება უნდა შესძლოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური, მენეჯმენტის საფუძვლები, 2008.

2) Asian Development Bank, 'Drivers of Change: Globalization, Technology and Competition', Asian Development Outlook, Oxford University Press, Hong Kong, 2003.

3) ა. აბრალავა, ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, „უნივერსალი", 2014.

4) Timo Kucza, Knowledge Management ProcessModel, 2001.

5) Kimiz Dalkir, Knowledge Management in TheoryandPractice, 2005.

6) William R. King, Knowledge Management and Organizational Learning, 2009.

7) Innovation Management, University of Gothenburg school of business economics and law, 2012.

1 Innovation Management, University of Gothenburg school of business economics and law, 2012, გვ. 15-16

REFERENCES:

1) G. Shuladze, B. Mghebrishvili, P. Tsotskolauri, Management basics, 2008.

2) Asian Development Bank, 'Drivers of Change: Globalization, Technology and Competition', Asian Development Outlook, Oxford University Press, Hong Kong, 2003.

3) A. Abralava, Global-innovative problems of economy and business, 2014.

4) Timo Kucza, Knowledge Management Process Model, 2001.

5) Kimiz Dalkir, Knowledge Management in Theory and Practice, 2005.

6) William R. King, Knowledge Management and Organizational Learning, 2009.

7) Innovation Management, University of Gothenburgschool of businesseconomicsandlaw, 2012.

THE IMPACT OF STRATEGIC MANAGEMENT, TECHNOLOGIES AND KNOWLEDGE MANAGEMENT ON THE BUSINESS IN GLOBALIZATION

Tamar Devidze
Associate Professor of GTU
Giorgi Shoshitashvili
Ph.D Student of GTU

RESUME

Competition is one of the strongest leverage to gain superiority in business for maximizing profits. Therefore, the competent managers will have to spend a lot of effort in order to be able to sustain the sustainability of the business in the context of the global economy, the existence of the information economy, which will be based on the advancement of the sciences.

Key word: Globalization, Business, Strategic Management, New Knowledge and Technologies.

მუნიციპალური მართვის ხარისხის შეფასების მეთოდიკის შემუშავების საკითხები

ლევანი კერესელიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს მმართველობის ცენტრალიზებული სისტემიდან მმართველობის დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლის პროცესში უწევს მრავალი სისტემური ცვლილების განხორციელება რეფორმების გზით. ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების კვლევისას გააქტიურებულია სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ხარისხის ამაღლების საკითხი. მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის მიზანდასახულობისა და სტრატეგიული დაგეგმვის ქვესისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტია მუნიციპალური მართვის ხარისხის პოლიტიკა, რომელიც უნდა დაეფუძნოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი განვითარების სტრატეგიულ მიზნებს, ორიენტირებული იყოს მომხმარებელზე, ლოკალური საზოგადოებრივი სიკეთეების ხარისხზე, საყოველთაო წვდომის მქონე რესურსების მართვის შესასრულებელი ფუნქციების შედეგიანობასა და ეფექტიანობაზე.

საჯარო მმართველობის ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდიკები. ნაშრომში შემოთავაზებულია გაანგარიშებების წარმოება სტატისტიკური ანალიზის არაპარამეტრული მეთოდების საფუძველზე. ასევე მიზანშეწონილად მიჩნეულია „პატერნის“ მეთოდის გამოყენება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ინტეგრალური კვალიმეტრული შეფასების გაკეთება რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების ერთობლიობის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: მუნიციპალური მართვა, ინტეგრალურ მაჩვენებელთა სისტემა, ინდიკატორები, ორგანიზაციული სქემა, მენეჯმენტი, კვალიმეტრიული შეფასება, სტრატეგიული დაგეგმვა, ინდექსი, დიაპაზონი, ზღვარი, ალგორითმი, რანჟირება.

შესავალი

მუნიციპალური მართვის ხარისხის ასამაღლებლად საჭიროა მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ზუსტად და მასშტაბურად გავითვალისწინოთ მართვის ხარისხი, ასევე შევაფასოთ მისი მდგომარეობა და განვსაზღვროთ დონე. შეფასების მეთოდიკამ უნდა უზრუნველყოს განვითარების პერსპექტივების გამოვლენისა და საზოგადოებრივი განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნების არჩევა, ამასთანავე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ გასაანალიზებელი ინფორმაციის მიღება სწრაფად უნდა მოხდეს და მომხმარებლისთვის მისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს. იგი ობიექტურად უნდა ახასიათებდეს მართვის ხარისხის მიმდინარე მდგომარეობას.

ძირითადი ტექსტი

მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის მიზანდასახულობისა და სტრატეგიული დაგეგმვის ქვესისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტია მუნიციპალური მართვის ხარისხის პოლიტიკა, რომელიც უნდა დაეფუძნოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი განვითარების სტრატეგიულ მიზნებს; ორიენტირებული იყოს მომხმარებელზე, ლოკალური საზოგადოებრივი სიკეთეების ხარისხზე; საყოველთაო წვდომის მქონე რესურსების მართვის შესასრულებელი ფუნქციების შედეგიანობასა და ეფექტიანობაზე.

საჯარო მმართველობის ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდიკები. ვთავაზობთ გაანგარიშებების წარმოებას სტატისტიკური ანალიზის არაპარამეტრული მეთოდების საფუძველზე. ასევე მიზანშეწონილად მივიჩნევთ „პატერნის“ მეთოდის[1] გამოყენებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ინტეგრალური კვალიმეტრული შეფასების გაკეთება რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების ერთობლიობის საფუძველზე.

1 Башкатова Ю.И. Управленческие решения: учебное пособие по изучению дисциплины, руководство, практикум, тесты и учебная программа/Московский государственный университет экономики, статистики и информатики. – М.: МЭСИ, 2005. – 184 с.

მუნიციპალური მართვის ხარისხის კვალიმეტრული ინტეგრალური შეფასების მეთოდიკა მდგომარეობს არა მხოლოდ ტერიტორიული მართვის რეფორმირების პროცესებისა და მუნიციპალური წარმონაქმნის ცხოველქმედების სფეროების განვითარების დონის (ადმინისტრირების ხარისხი), არამედ მთლიანად ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მართვის ხარისხის შეფასების, ასევე მუნიციპალური წარმონაქმნების მიერ სათანადო პრიორიტეტული მაჩვენებლების არჩევის შესაძლებლობაში. შემოთავაზებული ინდიკატორები დაჯგუფებულია მუნიციპალური მართვის ხარისხის მენეჯმენტის პრინციპების ლოგიკით სამ მიმართულებად: მიზნები და შედეგები; პროცესების შიდა ორგანიზაცია; ადგილობრივ თანამეგობრობასთან ურთიერთქმედება.

ჩვენი მოსაზრებით, ამასთან დაკავშირებით საჭიროა რამდენიმე ჯგუფისგან (ბლოკისგან) შემდგარი კომპლექსურ მაჩვენებელთა სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს იმავდროულად შევაფასოთ მუნიციპალური მართვის ორიენტაციის დონე კონკრეტულ შედეგზე, მმართველობითი საქმიანობის შიდა ორგანიზაციაზე, ასევე ადგილობრივ საზოგადოებასთან ხელისუფლების ურთიერთქმედებაზე, მუნიციპალური მართვის საერთო დონეზე მათი გავლენის თვისებრივი მაჩვენებლების მიხედვით.

ყოველ ამ ბლოკში აღირიცხება რამდენიმე მაჩვენებელი, რომელთა რაოდენობა ინდივიდუალურია ყოველი ჯგუფისთვის. ამ ჯგუფებში ერთეულ მაჩვენებელს ენიჭება ქულობრივი შეფასება. ინდიკატორების დიაპაზონისა და ცალკეული მაჩვენებლების ზედა საზღვრები რომელიმე ცალკე აღებული ჯგუფისთვის განისაზღვრება მუნიციპალიტეტისთვის ყოველი მაჩვენებლის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ინსტიტუციონალური მნიშვნელობის შესაბამისად.

მუნიციპალური მართვის ხარისხის კვალიმეტრული შეფასების მეთოდიკა გულისხმობს მუნიციპალური მართვის ხარისხის მენეჯმენტის პრინციპების ლოგიკაში დაჯგუფებული ინდიკა-

ტორების გაანგარიშებას მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ორგანიზაციული სქემის შესაბამისად სამი მიმართულებით, თითოეული მათგანი გამოხატულებას ჰპოვებს კონკრეტულ ინდიკატორებში:

1) მიზნებსა და შედეგებში: მიზნების არჩევა ხარისხის სფეროში; სტრატეგიული დაგეგმვის მდგრადობა; ინსტიტუციონალური ეფექტიანობა როგორც საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან დადგენილი მიზნების შესაბამისობის ხარისხი; მართვის კონკრეტული სფეროების შედეგების მიხედვით (განათლება, კულტურა და ა.შ.) მართვის გამოყენების დონე; დღეგრძელობა და სხვ.;

2) შიდა ორგანიზაციასა და პროცესებში: ხარისხის უზრუნველყოფის მოდელების გამოყენების დონე; მუნიციპალური მოსამსახურეების პროფესიონალიზმის ხარისხი; პროცესების ხარისხისადმი მოთხოვნების დადგენა; ფუნქციების ოპტიმიზაცია; ადმინისტრაციული რეგლამენტების დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება; ადმინისტრაციულ-მმართველობითი პროცესებისა და ადმინისტრაციული რეგლამენტის შესრულების გარე აუდიტის ჩატარება; კონკრეტული ლოკალური საზოგადოებრივი სიკეთეების ხარისხით მოსახლეობისა და ბიზნეს-სტურქტურების დაკმაყოფილების ხარისხი; შეფასების ჩასატარებლად IT-ტექნოლოგიების გამოყენების დონე და სხვ.;

3) საზოგადოებასთან ურთიერთქმედებაში: ადგილობრივი ხელისუფლების საზოგადოებრივი შეფასება; ინფორმაციის თავისუფლების განვითარების დონე; ინსტიტუციონალური გარემოს ინდექსი, რომელიც მოიცავს გატარებული პოლიტიკისადმი ნდობის ხარისხის, რესურსული უზრუნველყოფის წესების, ადეკვატურობისა და პროგნოზირებადობისადმი ნდობის, მართვის პროცესში პოლიტიკური ჩარევების არსებობის და ა.შ. ინტეგრალურ შეფასებებს; ბიზნესსა და მოსახლოებასთან ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობის დონე და სხვ.

მუნიციპალური მართვის ხარისხის ინტეგრალური კვალიმეტრული შეფასების შემოთავაზებული მეთოდიკა K_{int}^{mun} ითვალისწინებს ნაკრები მონაცემების გაანგარიშებას სამ ჯგუფად:

მიზანდასახულობისა და სტრატეგიული დაგეგმვის ხარისხი (K_{plan}); მუნიციპალური მართვის შიდა ორგანიზაციის ხარისხი (ადმინისტრირება) (K_{adm}); საზოგადოებასთან ურთიერთქმედების ხარისხი (მართვის საჯაროობა) (K_{inter}). შეფასება ხორციელდება ქულობრივად, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ მიღწეულ დონეს დადგენილი დიაპაზონის ფარგლებში, არამედ მოცემული ფაქტორის მნიშვნელობას მთლიანად მისი ერთობლიობის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ვთავაზობთ მართვის ხარისხის შეფასებას 3 ეტაპად.

პირველ ეტაპზე იქმნება ექსპერტთა ჯგუფი. იგი აანალიზებს ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლებს. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ რომელიმე მაჩვენებლის პრიორიტეტულობა ყოველ ცალკე აღებულ ჯგუფში, უნდა ამოვირჩიოთ მაჩვენებლები გასაანალიზებელი მუნიციპალიტეტის განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე და გავანაწილოთ ისინი მნიშვნელობისა და ურთიერთგავლენის მიხედვით, ამასთანავე საჭიროა გავითვალისწინოთ გარე გარემოს ფაქტორების აქტიური ზემოქმედება, მათი გავლენის ხანგრძლივობა და ხასიათი.

მეორე ეტაპზე სრულდება გაანგარიშებები ხდება საკვანძო მაჩვენებლების ქულობრივი შეფასება - Yi_{plan}^{fact}, Yi_{plan}^{fact}, $Yi_{inter}^{fact} = \sum X_i$ ყოველ ჯგუფში ერთეული მაჩვენებლების დაჯამების გზით შემდეგი ფორმულების გამოყენებით:

$$Yi_{inter}^{fact} = \sum X_i \quad (1)$$

$$Yi_{plan}^{fact} = \sum X_i \quad (2)$$

$$Ki_{inter} = \frac{Yi_{inter}^{fact}}{Y_{inter}^{aim}} \quad (3)$$

სადაც X_i - ყოველი ჯგუფის ერთეული მაჩვენებელია.

შემდგომ ინტეგრალური მაჩვენებლის კვალიმეტრული შეფასების უზრუნველყოფა ხდება კონკრეტული რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების აბსოლუტური მნიშვნელობების გადაანგარიშებით ფარდობით მაჩვენებლებად, რაც ხო-

რციელდება მიზნობრივ მნიშვნელობასთან მათი ფაქტობრივი დონის შედარებით (ქულობრივი შეფასების დიაპაზონის ზედა ზღვარით).

$$Ki_{\text{inter}} = \frac{Yi_{\text{inter}}^{fact}}{Y_{\text{inter}}^{aim}} \quad (4)$$

$$Ki_{plan} = \frac{Yi_{plan}^{fact}}{Yi_{plan}^{aim}} \quad (5)$$

$$Ki_{adm} = \frac{Yi_{adm}^{fact}}{Yi_{adm}^{aim}} \quad (6)$$

ინტეგრალური მაჩვენებელი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$K_{\text{int}}^{mu} = \sqrt[3]{K_{plan} \times K_{adm}} \times K_{\text{inter}} \quad (7)$$

მესამე ეტაპზე კეთდება მუნიციპალური მართვის ხარისხის შეფასების ანალიზი ინტეგრალური მაჩვენებლის მონაცემთა და ზოგადი ინტეგრალური მაჩვენებლის ბაზაზე მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლო პერსპექტივების შეფასების საფუძველზე.

ამგვარი მიდგომა სრულად პასუხობს მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ჩამოყალიბების ძირითად პრინციპებს და შესაძლებლობას მოგვცემს ოპერატიულად შევაფასოთ შიდა და გარეშე ფაქტორების ხასიათი, ხარისხი, გავლენა და მათზე შესაძლო საპასუხო რეაქციები.

შემდგომ განმარტებულია შემოთავაზებული კონკრეტული ინდიკატორები და მუნიციპალური მართვის ხარისხის შეფასების მეთოდიკის მაჩვენებლები, ასევე მეთოდიკის გამოყენების დამუშავებული ალგორითმი. მართვის ხარისხის შეფასების შემოთავაზებული მეთოდიკის გამოყენება ხელს შეუწყობს მუნიციპალური მართვის ხარისხის ამაღლებას.

დასკვნა

მართვის ხარისხის შეფასების მეთოდიკების ანალიზის შედეგების განზოგადებით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა მრავალფეროვანი მეთოდური მიდგომების არსებობის შესახებ, რომლებიც მკვლევარების მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურია. ავტორთა უმრავლესობა ერთსულოვნად აღიარებს იმას, რომ მართვის ხარისხის შეფასების მაჩვენებელი კომპლექსური უნდა იყოს, რაც შესაძლებელს გახდის საჯარო მმართველობის ხარისხის მთლიანობაში შეფასებას, ამასთანავე, უმჯობესია ინტეგრალური მაჩვენებლის გამოყენება.

შეფასებულია მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლო პერსპექტივები საერთო ინტეგრალაური მაჩვენებლის საფუძველზე.

მთლიანობაში, მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის შემოთავაზებული მექანიზმი, რომელიც ეყრდნობა საზოგადოებასთან ურთიერთობის ორგანიზაციას ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნესისა და მოსახლეობის თანამშრომლობის საფუძველზე, ასევე შედეგზე ორიენტაციას და ადმინისტრაციული პროცესების შიდა ორგანიზაციის სრულყოფას, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი განვითარების მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.governement.gov.ge საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი.

2. www.geostat.ge- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი.

3. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

4. Гранберг, А. Г. Основы региональной экономики / А. Г. Гранберг. -М.: Высшая школа экономики, 2001. - 492 с.

5. Ефремов, Г. Г. Формы и направления организационной деятельности представительных органов местного самоуправле-

ния / Г. Г. Ефремов. -Новосибирск: Наука, 2015. -216 с.

6. Романчук И.Г., Проблемы муниципальных образований на современном этапе [Текст] / И.Г. Романчук // сборник научных трудов «Социально экономические преобразования в России»(4-й выпуск) Кемеровский государственный университет (экономический факультет) 2017. (0,25 п.л.)

7. http://www.rels.obninsk.com информационно-аналитический сайт по проблемам муниципальной экономики и управления муниципальным хозяйством.

REFERENCES:

1. www.governement.gov.ge Official web-site of the Government of Georgia

2. www.geostat.ge- web-site of National Statistics Office of Georgia

3. Organic Law of Georgia on “Local self-governance code“;
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

4. Granberg A. G. Basics of regional economics/ Granberg A. G. High School of Economics, 2001. - 492 pg.

5. Efremov G.G. Forms and directions of organizational activities of representative bodies of local self-governance / Efremov G.G. -Bovosinirsk: Science, 2015. -216 pg.

6. Romanchuk I.G. Problems of municipal education at the modern stage [text]/ Romanchuk I.G. // collection of scientific works “Social-Economic Transformations in Russia” (4th edition) Kemerovo State University (faculty of economics) 2017. (0,25

7. http://www.rels.obninsk.com - News and analysis website about problems of municipal economy and management of municipal industry

THE ISSUES OF DEVELOPMENT OF MUNICIPAL MANAGEMENT QUALITY ASSESSMENT METHODOLOGY

Levani Kereselidze
PhD Student of GTU

RESUME

Georgia has to carry out system changes via many reforms during transition from the centralized governmental system to the democratic governmental system. The issue of improving the quality of state and municipal management is activated in case of survey of local self-government issues. The municipal management quality policy is the most important element of purposefulness and strategic planning subsystem of management quality improvement mechanism, which shall be based on strategic aims of public development of municipalities; it shall be focused on consumers, quality of local community benefits; productivity and efficiency of functions of resource management that have overall access.

Different methods are used for assessment of public management quality. The thesis included calculations based on non-parametric methods of statistic analysis. Using of pattern method is considered as appropriate which allows making of integral qualimetric assessment based on unity of quantitative and qualitative indicators.

Key words: Municipal management, system of integral indicators, indicators, organizational chart, management, qualimetric assessment, strategic planning, index, range, threshold, algorithm, ranging.

ხელმძღვანელობისა და ლიდერობის კონცეპტუალური ასპექტები მართვაში

ლალი ხარბედია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ბადრი დავითაია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აწსუ-ს ასისტენტ პროფესორი
მზისადარ ბჟალავა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აწსუ-ს ასისტენტ პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მართვის სკოლის ცნობილ წარმომადგენელთა შეხედულებები ხელმძღვანელობის სტილისა და ლიდერობის შესახებ. გაანალიზებულია სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელთა დიამეტრალურად განსხვავებული ხედვები ლიდერობის თეორიასთან დაკავშირებით.

ხაზგასმულია, რომ ლიდერობის პიროვნული თეორიის მიხედვით, ხელმძღვანელთა შორის საუკეთესონი ფლობენ ისეთ პიროვნულ მახასიათებლებს, როგორიცაა ინტელექტის დონე, კომუნიკაციის უნარი, ინიციატივობა, სოციალური და ეკონომიკური განათლება, თავდაჯერებულობა. სხვა ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას ლიდერობის ქცევითი და სიტუაციური მიდგომები. პირველი კონცეფციის მიხედვით, ლიდერობის ეფექტურობა განპირობებულია ლიდერის ქცევითი მანერებით, რაც ხელმძღვანელობის სტილის შინაარსობრივ დატვირთვას იძენს. მეორე კონცეფციის თანახმად კი ლიდერობის ეფექტურობის დასადგენად აუცილებელია სიტუაციური ცვლადების ურთიერთქმედების გაანალიზება იმისათვის, რომ დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ლიდერობის ურთიერთობებში.

განხილული მიდგომების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ლიდერობა წარმოადგენს მართვის ხელოვნე-

ბას, რაც გამორიცხავს მკაცრი დოგმების გამოყენებას მართვის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ლიდერი, ლიდერობა, ხელმძღვანელი, ორგანიზაცია, მენეჯემენტი, ორგანიზაციის მისია, ხელმძღვანელობის სტილი.

შესავალი

ხელმძღვანელობის, როგორც საქმიანობის განსაკუთრებული მიმართულების პრობლემატიკას იკვლევდნენ მართვის კლასიკური სკოლისა და ადამიანურ ურთიერთობათა სკოლის წარმომადგენლები. მათ კონცეფციაში, ერთი მხრივ, ხელმძღვანელობა განიხილება როგორც უნივერსალური ფენომენი, რომელიც საქმიანობის ყველა სფეროში და ორგანიზაციის ყველა დონეზე ფიგურირებს, ხოლო, მეორე მხრივ, მართვის ყველა დონესა და სფეროში მიუთითებს მის კონტექსტუალურ განსხვავებაზე. კლასიკური სკოლის დებულებების მიხედვით ხელმძღვანელისა და ხელქვეითის ურთიერთობა იძენს საქმიან დატვირთვას და უნდა იყოს აგებული მკაცრი იერარქიისა და მაქსიმალური ფორმალიზაციის პრინციპებზე. დიამეტრალურად განსხვავებული ხედვა ხელმძღვანელის საქმიანობაზე ეკუთვნის ადამიანურ ურთიერთობათა სკოლის წარმომადგენლებს (ე. მეიო, დ. მაკგრეგორი და სხვ.). მათი თვალსაზრისით, მმართველობითი პერსონალის ძირითადი ფუნქცია უკავშირდება შრომითი რესურსების განვითარებისათვის სოციალური პირობების მოწესრიგებას. ხელმძღვანელისა და დაქვემდებარებულის ურთიერთობა ორიენტირებულია რეგულაციის არაფორმალური მექანიზმების გამოყენებაზე. რაც შეეხება ლიდერობის პროგრამას, ორგანიზაციაში ის იკავებს მნიშვნელოვან ადგილს ორგანიზაციული ქცევის წარმომადგენელთა გამოკვლევებში.

ძირითადი ტექსტი

ლიდერობის ფენომენის კვლევასთან დაკავშირებით გამოყოფენ სამ მიდგომას: პიროვნული მახასიათებლების თეორიას, ქცევით მიდგომას და ლიდერობის სიტუაციურ თეორიას.

ლიდერობის პიროვნული მახასიათებლობის თეორიის მიხედვით ხელმძღვანელთა შორის საუკეთესონი ფლობენ განსაკუთრებულ პიროვნულ მახასიათებლებს: ცოდნისა დინტელექტის დონე, შთამბეჭდავი ჰაბიტუსი, თავდაჯერებულობის მაღალი დონე, ინიციატიურობა, სოციოლოგიური და ეკონომიკური თეორიების ცოდნა. ეს თეორია დომინირებდა XX საუკუნის 40-იან წლებში. მისთვის ამოსავალი არის ის, რომ წარმატებული ხელმძღვანელები ფლობენ უნივერსალურ პიროვნულ მახასიათებლებს, რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა ადამიანებისაგან. ამ საკითხთან დაკავშირებით ანალოგიური თვალსაზრისი წარმოდგენილია კლასიკური და ადამიანურ ურთიერთობათა სკოლის წარმომადგენელთა მეცნიერულ კვლევებში.

ლიდერობის თეორიული გამოკვლევა წარმოდგენილია ცნობილი მეცნიერის ო. ტიდის კონცეფციაში, რომელიც ლიდერობას აკავშირებდა ისეთ უნარ-ჩვევებთან, როგორიცაა გავლენა ადამიანებზე ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. ეს კონცეფცია ეფუძნებოდა იმას, რომ მხოლოდ ზოგიერთები არიან მოწოდებული იყვნენ ლიდერები და ადამიანთა უმრავლესობა ისწრაფვის, რომ ხელმძღვანელობნენ მათ საქმიანობას. ამ კონცეფციის მიხედვით, ლიდერის მახასიათებლებს განეკუთვნება:

- ფიზიკური და ემოციონალური მდგომარეობა;
- ორგანიზაციის მისიის, მიზნებისა და ამოცანების გაცნობიერება;
- ენთუზიაზმი;
- მოწესრიგებულობა;
- სხვა ადამიანთა ნდობის დამსხურება.

ასეთი მიდგომის ფარგლებში ანალოგიური გამოკვლევები შესრულებული აქვთ ოჰაიოს უნივერსიტეტის სპეციალისტებს. რ. მ. სტოგდილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წარმატებული ლიდერისათვის დამახასითებელი ზოგიერთი თვისება წარმოგვიდგება როგორც მუდმივად ცვლადი მოქმედების შედეგი, კერძოდ: ა) მუდმივი ყურადღება ხელქვეითების მიმართ – ეს თვისება ორიენტირებულია ორგანიზაციაში მეგობრული ურთიერთობების შესანარჩუნებლად და საერთო მიზნების მი-

საღეწვად; ბ) სტრუქტურის გაძღოლა, რაც მიზნად ისახვს დასმული ამოცანების რეალიზებას, დაგეგმვას, კონტროლს, მიღწეული შედეგების შეფასებას და სხვ.

ლიდერის მახასიათებლების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ამერიკელ მეცნიერს ვ. გ. ბენისონს, რომელიც აღნიშნულ საკითხს განიხილავდა ორგანიზაციული კულტურისა და ორგანიზაციული ქცევის კონტექსტში. მან გამოყო ლიდერის მახასიათებლის ოთხი ძირითადი ჯგუფი:

- ყურადღების მართვა ანუ უნარი იმისა, თუ როგორ წარმოვადგინოთ მოქმედების მიმართულების, ბიზნესის ან შედეგის არსი, რომ მიმზიდველი გავხადოთ ორგანიზაციის წევრებისათვის;
- ცოდნის მართვა ანუ უნარი იმისა, თუ როგორ გადვცეთ შექმნილი იმიჯის, იდეის ან ხედვის ცოდნა, რომ გასაგები და მისაღები იყოს მიმდევრებისათვის;
- ნდობის მართვა ანუ უნარი იმისა, თუ როგორ განვახორციელოთ საქმიანობა თანმიმდევრულად, რომ მოვიპოვოთ ხელქვეითების სრული ნდობა;
- საკუთარი თავის მართვა, ანუ უნარი იმისა, რომ ვიცოდეთ და დროულად ვაღიაროთ ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები და მოვიზიდოთ რესურსები მათ დასაძლევად ან გასაძლიერებლად.

თუმცა რ. სტოგილდი აღნიშნავდა, რომ სხვადასხვა სიტუაციაში ეფექტური ხელმძღვანელები ავლენდნენ სხვადასხვა პიროვნულ მახასიათებლებს. ამდენად, შეიძლება გამოვყოთ ლიდერული მახასიათებლების თეორიის რამდენიმე ნაკლოვანება:

ა) ლიდერისათვის პოტენციურად საჭირო მახასიათებლების ნუსხა აღმოჩნდა პრაქტიკულად დაუსრულებელი, რის გამოც შეუძლებელი გახდა ლიდერის ერთიანი თეორიის შექმნა და მაშასადამე თეორიის საფუძვლების ფორმირება;

ბ) სხვადასხვა მიზეზტა გამო შეუძლებელია ლიდერული მახასიატებლების გაზომვა, ასევე შეუძლებელია ორგანიზაციებისა და სიტუაციების შესაძლო განხვავებათა დაფიქსირება. მჭიდრო კავშირის დადგენა ლიდერობასა და განხილულ მახა-

სიათებლებს შორის პრინციპული ხასიათის სირთულეს წარმოადგენს.

ლიდერის მახასიათებლების ყველა გამოკვლევა ხელმძღვანელის პიროვნული ნიშნის მიხედვით მიზნად ისახავდა ხელქვეითების და ხელმძრვანელთა პიროვნული თვისებების შედარებას, თუმცა თანმიმდევრული კონცეფცია თუ მოდელი ვერ შემუშავდა და კვლევის შედეგები ამ მიმართულებით საკამაოდ მწირია.

მას შემდეგ, რაც პიროვნების მახასიათებლების კვლევა აღმოჩნდა უპერსპექტივო, მეცნიერ-მკვლევარებმა ორგანიზაციისა და მართვის სფეროში კვლევის მიზნად დაისახეს ხელმძღვანელის არა პიროვნული ნიშან-თვისებების გამოკვლევა, არამედ იმ ქმედებების შესწავლა, რასაც მიმართავს ხელმძღვანელი. ამრიგად, ლიდერობის თეორიის ქცევითი მიდგომის მნიშვნელოვანი წვლილი მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელი გახდა ანალიზის ჩატარება ხელმძღვანელობის სტილის მიმართულებით (მისი ქცევის შესწავლა ხელქვეითებთან მიმართებაში).

ქცევითი მიდგომის ფორმირება დაკავშირებულია ადამიანურ ურთიერთობათა სკოლის წარმომადგენლებთან. ამ კონცეფციის ამოსავალი თეზისის მიხედვით, ლიდერობის ეფექტურობა განპირობებულია ლიდერის ქცევის მანერებით, რაც "სტილის" ცნების შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია. ქცევის მოდელების შესწავლა, რაც დამახასითებელია ლიდერობისათვის, დაიწყო XX საუკუნის 40-50-იან წლებში და აქტიურად გაგრძელდა ამავე საუკუნის 60-იან წლებამდე. აღნიშნული კონცეფცია ითვალისწინებდა ლიდერების მომზადებას სპეციალურად შემუშავებული პროგრამებით. კვლევის ფოკუსმა გდაინაცვლა იმაზე, თუ რას და როგორ აკეთებენ ლიდერები. ამ ტიპის ცნობილ კონცეფციათა რიცხვს მიეკუთვნება: ხელმძღვანელის სამი სტილის კონცეფცია (ლევინი), ოჰაიოს უნივერსიტეტის გამოკვლევები, მიჩიგანის უნივერსიტეტის გამოკვლევები, დაჯილდოვებისა და დასჯის კონცეფცია (სკინერი, ჰომანსი, საიმონი და სხვ).ყველა ეს ქცევითი მიდგომები დასაბამს ირებს

გამოკვლევებში, რომელიც ძირითადად ჩატარებულია მიჩიგანის და ოჰაიოს უნივერსიტეტებში, სადაც პირველად იქნა ფორმირებული განსხვავება ხელქვეითების ინტერესების გათვალისწინებაზე ორიენტირებულ ხელმძღვანელსა და ამოცანების რეალიზებაზე ორიენტირებულ ხელმძღვანელებს შორის. ამ გამოკვლევებში იყო იმის მცდელობა, რომ გაერკვიათ თუ რომელი სტილი უზრუნველყოფდა ჯგუფის ეფექტურ მუშაობას. მონაცემები მოწმობენ იმას, რომ მართვის სისტემა, რომელიც ორიენტირებულია ხელქვეითზე, რაც ეფუძნება პატივისცემას და საქმიანობის მიზნების ერთობლივად დასახვას, განაპირობებს უფრო ეფექტურ საქმიანობას. ამასთან, იმ პოზიციას, რომ არსებობს ყველაზე ეფექტური ხელმძღვანელობის სტილი, უნდა მოვეკიდოთ სიფრთხილით.

ადრეული მკვლევარების წარუმატებელი მცდელობა აღმოეჩინათ მუდმივი დამოკიდებულება ხელმძღვანელობის სტილსა და მწარმოებლურობას შორის, არის მკაფიო ინდიკატორი იმისა, რომ ყველა შემთხვევაში მოქმედებს რამდენიმე სხვადასხვა ფაქტორი. იმისათვის, რომ აღმოეჩინათ ეს ფაქტორები, მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს არა მხოლოდ ხელმძღვანელისა და ხელქვეითის დამოკიდებულებას, არამედ მთელ სიტუაციას. ამრიგად, ლიდერობის კვლევასთან მიმართებაში მესამე მიდგომა დაკავშირებულია სიტუაციური მეთოდოლოგიის გამოყენებასთან. სიტუაციური მიდგომის ფუძემდებლური პრინციპია ლიდერობის ერთადერთი მართებული სტილის უარYოფა. ეს მიდგომა განიხილება იმ პირობების ერთობლიობის კონტექსტში, სადაც ლიდერი ახორციელებს საქმიანობას. ამასთან, ლიდერის ქცევა სხვადასხვა სიტუაციაში უნდა იყოს განსხვავებული. ლიდერობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით სიტუაციური მიდგომა იკვლევს სხვადასხვა სიტუაციური ცვლადების ურთიერთქმედებას იმისათვს, რომ გამოევლინათ მზეზ-შედეგობრივი კავშირი ლიდერობის ურთიერთობებში. გასული საუკუნის 50-იანი წლების მკვლევარებმა წამოაყენეს თეზისები, რომელიც საფუძვლად დაედო ლიდერობის შესწავლის სიტუაციურ მიდგომას. კერძოდ: ა) ორგანიზაციულ სტუქტურებს შორის

მსგავსება მიუთითებს ლიდერის იმ საერთო მახასიათებლებზე, რომლებიც მოცემულ სიტუაციაში გვევლინებიან ლიდერის როლში; ბ) ცალკე აღებული ნებისმიერი ორგანიზაციული სტრუქტურის უნიკალურობა გვაიძულებს გავითვალისწინოთ ის სიტუაციური ფაქტორები, რომლების გავლენას ახდენენ ლიდერის ქცევაზე; გ) სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში შეუძლებელია განისაზღვროს ლიდერის რომელი თვისებებია ოპტიმალური.

სიტუაციური მიდგომის ფარგლებში სხვადასხვა მოდელი საშუალებას გვაძლევს გავაცნობიეროთ ლიდერობისადმი მოხერხებული მიდგომის აუცილებლობა. სიტუაციის სწორად შესაფასებლად ხელმძღვანელმა მართებულად უნდა წარმოადგინოს საკუთარი და ხელქვეითების უნარები, ამოცანის კონტექსტი, ინფორმაციის ხარისხი და უფებამოსილებები. ამიტომ ხელმძრვანელი ყოველთვის მზად უნდა იყოს ხედვების გადასაფასებლად და თუ აუცილებელია, უნდა შეძლოს ხელმძღვანელობის სტილის შეცვლა. აღნიშნული მიდგომის მოდელები, აქცევენ რა ყურადღებას გარეშე ფაქტორების ზემოქმედებას, ერთმანეთს ავსებენ ლიდერობის ფენომენის გაგების საკითხში. ამ მოდელში არის იმის მცდელობა, რომ განისაზღვროს ლიდერობის სხვადასხვა სტილი და სიტუაციური ცვლადების მეშვეობით დასაბუთდეს მათი გამოყენების ეფექტურობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოდელები გარკვეუწილად განსხვავდებიან სიტუაციური ფაქტორების, ლიდერობის სტილის მახასიათებლების და მათ შორის დაკავშირების გზების მიხედვით.

დასკვნა

ამრიგად, ლიდერობა, როგორც მართვის პროცესი, გარკვეული ხარისხით არის მართვის ხელოვნება. სწორედ ეს გარემოება არის იმის მიზეზი, რომ მკვლევარებმა ვერ შეძლეს ცალსახად დაესაბუთებინათ რომელიმე თეორიის უპირატესობა. გარკვეულ შემთხვევაში ხელმძრვანელებს შეუძლიათ ეფექტიანი მართვის მიღწევა ამოცანების დაგეგმვისა და სტუქტურირების, აგრეთვე სათანადო მოპყრობისა და მხარდაჭერის გზით. სხვა სიტუაციებში ხელმძღვანელმა შეიძლება მართებულად ჩათვა-

ლოს ხელქვეითებზე ზეგავლენა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის შეზღუდვა. თავის მხრივ, შესაძლებელია, ხელმძღვანელებმა გარკვეულ შემთხვევაში შეცვალონ მართვის სტილი ამოცანების ცვლილების ხასიათიდან გამომდინარე, რომლის ინიციატივა მოდის მართვის ზემდგომი რგოლებიდან.

ლიტერატურა:

1. ლოგანი დ., კინგი ჯ., ლიდერობის ხელოვნება, თარგმანი ინგლისურიდან, პალიტრა, თბილისი, 2017.

2. დუდაური თ.Lლიდერობა-ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის საფუძველი, ჟურნალი "ეკონომიკა" № 11-12, 2017წ. გვ 35-42.

3. *Карлоф* Б., *Седерберг* С. Вызов лидеров. — М.: Дело, 2013.

4. *Лафта Дж*.К., Менеджмент,. - М: ТК Велби, 2005.

5. *Лафта Дж*.К., Теория организации. М.: 2006.

6. Мокшанцев Р., Мокшанцева А. Социальная психология: учеб. пособие. М.: Сибирское соглашение; Инфра-М, 2007. 212 с.

7. *Шамхапов Ф. И Американский менеджмент,* Теорияи практик, *2009.*

REFERENCES::

1. Logani D. , King J. Art of Leadership, translation from English, Palitra L. Tbilisi, 2017.

2. Dudauri T., Leadership – Basis of Organization Competitiveness. Journal "Economics" #11- 12, 2017, p 35-42.

3. Karlof B. , Sederberg S. "A Call of Leaders" –M: Business, 2013.

4. Lafta J.K., Management:- M: TK Velbi 2005.

5. Lafta J.K.,Theory of Organization. M: 2006.

6. Mokshantsev R., Mokshantseva A., Social Psychology textbook M.: Agreement of Cyberia. Infra-M.: 2007. P 212.

7. Shakhapov F.I., American Management. Theory and Practice, 2009

GUIDANCE AND LEADERSHIP CONCEPTION ASPECTS IN MANAGEMENT

Lali Kharbedia - Academic Doctor of Economics.
ATSU Associate Professor
Badri Davitaia- Academic Doctor of Economics.
ATSU Assistant Professor
Mzisadar Bzhalava - Academic Doctor of Economics.
ATSU Assistant Professor

RESUME

In the article "**Guidance and Leadership Conception Aspects in Management**" is discussed the opinions of famous representatives of ruling school, analyzed different school representatives' views connected with leadership theories.

It is underlined, that according to personal theories of leadership, among the authorities only the bests have such personal characteristics as: intellectual level, ability of communication, initiative ability, social and Economic education, self-confidence and pays attention to another aspect, leadership behavior and situational positions.

In accordance with the first conception affectively of leadership is stipulated with the manners of leader's behavior, that expresses the guidance style.

According to the second conception, to ascertain affectivity of leadership, it is necessary to analyze situational changeability of interaction, in order to stipulate reason-result connections in the leadership mutual relations.

On the basis of discussed position it is concluded that leadership is the art of management which excludes using strict dogmas in the process of ruling.

Key words: leader, leadership, guidance, organization, management, mission of organization, style of guidance.

მეთოდური რეკომენდაციები მუნიციპალური მართვის ეფექტიანი მექანიზმების ფორმირებისათვის

ლევანი კერესელიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

მუნიციპალური წარმონაქმნების, რეგიონებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები ყოველთვის დამოკიდებული იყო ადმინისტრაციული აპარატის ეფექტიანობაზე: ძირითადი სახელმწიფო ფუნქციების მკაფიო მექანიზმებსა და პროცედურებზე, შეთანხმებულ ფუნქციონირებასა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ურთიერთქმედებაზე, საკადრო პოლიტიკაზე.

ადმინისტრაციული სისტემის ოპტიმიზაციის ამოცანა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია, რომლის მიღწევაც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების, სოციალური სფეროს განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ჩამოყალიბების საწინდარია, რაც, საბოლოოდ, უნდა უზრუნველყოფდეს არა მხოლოდ ქვეყნის პოზიციების განმტკიცებას მსოფლიო თანამეგობრობაში, არამედ რეალურად ამაღლებდეს ქვეყნის შიგნით მოსახლეობის ცხოვრების დონეს და, შესაბამისად, ხარისხს.

ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ჩამონათვალი ფართოა: საკუთარი მატერიალური რესურსებისა და ფინანსური საშუალებების არსებობისას (გარდა ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული სუბვენციებისა და დოტაციებისა). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილი არიან გადაწყვიტონ სხვა საკითხებიც, რომლებიც არ მიეკუთვნება სხვა მუნიციპალური წარმონაქმნების ადგილობრივი თვითმმართველობის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციას.

საკვანძო სიტყვები: მუნიციპალური წარმონაქმნები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ადმინისტრაციული აპარა-

ტი, ეფექტიანობა, სახელმწიფო მექანიზმები, ოპტიმიზაციის ამოცანა, შიდა და გარე გარემო, სტრატეგიული გეგმა, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები.

შესავალი

ხელისუფლების ოპტიმალური ორგანიზაციის პრობლემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ტერიტორიული თვითმმართველობის საკითხი. ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს დაკისრებული აქვს ესა თუ ის უფლებამოსილება, არ წარმოშობს იმის ვალდებულებას, რომ ყველა საკითხი ამ ორგანომ უნდა გადაჭრას. ადგილზე წამოჭრილი ყველა პრობლემის გადაწყვეტა ობიექტურად მართლაც ძალიან რთულია ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისათვის. ამის გათვალისწინებით, რეალურ გამოსავალს წარმოადგენს ის, რომ გარკვეული უფლებამოსილებები მიენიჭოს. თუ მოხდება უფლებამოსილებათა სწორი, ზუსტი განაწილება, ეს უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტურ და გამართულ ფუნქციონირებას.

ძირითადი ტექსტი

მუნიციპალური წარმონაქმნების, რეგიონებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები ყოველთვის დამოკიდებული იყო ადმინისტრაციული აპარატის ეფექტიანობაზე: ძირითადი სახელმწიფო ფუნქციების მკაფიო მექანიზმებსა და პროცედურებზე, შეთანხმებულ ფუნქციონირებასა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ურთიერთქმედებაზე, საკადრო პოლიტიკაზე.

ადმინისტრაციული სისტემის ოპტიმიზაციის ამოცანა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია, რომლის მიღწევაც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების, სოციალური სფეროს განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ჩამოყალიბების საწინდარს წარმოადგენს.

მუნიციპალური წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამების ჩამოყალიბები-

სას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხარჯვითი ვალდებულებები უფლებამოსილებათა აღსასრულებლად დაბალანსებული უნდა იყოს მუნიციპალური წარმონაქმნის საკუთარ შემოსავლებთან, მოზიდულ რესურსებთან, ყველა დონის საინვესტიციო და მიზნობრივ პროგრამებთან.

მუნიციპალური წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისადმი ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია:

1. თანამედროვე ეტაპზე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე კომპლექსური ტერიტორიული დაგეგმვის ძირითად ობიექტად მიჩნეულ იქნას მუნიციპალური რაიონი. დაგეგმვის მეორე დონე უნდა იყოს საქალაქო და სასოფლო დასახლებები. აღნიშნული წინადადება ეყრდნობა იმას, რომ:

ჯერ ერთი, მუნიციპალური რაიონები, მუნიციპალური მეურნეობის რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისა და მართვის ტრადიციული პრაქტიკის თვალსაზრისით, უნდა განვიხილოთ ტერიტორიული მართვის როგორც ობიექტად, ასევე სუბიექტად;

მეორე, მუნიციპალური რაიონის როგორც პირველი დონის მუნიციპალური წარმონაქმნის ქვესისტემებს წარმოადგენენ მასში შემავალი სასოფლო და საქალაქო დასახლებები;

მესამე, მუნიციპალური რაიონები წარმოადგენენ ქვესისტემებს და, აქედან გამომდინარე, დამაკავშირებელ რგოლს ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე დონესა (დასახლებებს) ,ქვეყნის ტერიტორიაზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მეორე დონეს შორის.

2. იმ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების აღმოფხვრამდე, რომლებიც აძნელებენ „გამჭოლ“ პერსპექტიულ დაგეგმვას მუნიციპალური წარმონაქმნების ორივე დონისათვის, შემოიფარგლონ მიმდინარე დაგეგმვით საქალაქო და სასოფლო დასახლებათა დონეებზე.

3. საწყის ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იქნას სასოფლო და საქალაქო დასახლებათა სტრატეგიული პრიორიტეტები მუნიციპალური რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითა-

რების სტრატეგიულ გეგმებში ცალკე განყოფილებების სახით.

მუნიციპალური წარმონაქმნების განვითარების კვალდაკვალ, როცა ჩამოყალიბდება მუნიციპალური სტატისტიკა, საჭიროა სასოფლო ან საქალაქო დასახლებების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის სრულყოფის მექანიზმების შემუშავებაზე გადასვლა.

საბაზრო ეკონომიკისა და მზარდი კონკურენციის პირობებში მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რას წარმოადგენს კონკრეტული ტერიტორია, როგორი უნდა იყოს იგი მომავალში და როგორი უნდა იყოს მოქმედებათა სტრატეგია ამ მომავლის მისაღწევად. მუნიციპალური წარმონაქმნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა თავისი არსითა და შინაარსით წარმოადგენს მუნიციპალური წარმონაქმნის განვითარების კონცეფციის რეალიზაციის მექანიზმს.

დაგეგმვა მუნიციპალურ რაიონში შემოთავაზებულია დაიწყოს მუნიციპალური რაიონის გაუმჯობესებული კონცეფციის შემუშავებით, შემდგომში კი საყოველთაოდ აღიარებული სტრუქტურით, სტრატეგიულ გეგმებამდე ჩაღრმავებით. ეს სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

– მუნიციპალური წარმონაქმნის პასპორტი;

– მუნიციპალური წარმონაქმნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნები (სტრატეგიული, ტაქტიკური, ოპერატიული);

– შიდა და გარე გარემოს ანალიზი;

– მუნიციპალური წარმონაქმნის ამოცანები სტრატეგიული გეგმის რეალიზაციისათვის;

– მუნიციპალური წარმონაქმნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საბაზო სცენარები (ინერციული, გარდამავალი, ინოვაციური, ვარიანტების ტექნიკურ-ეკონომიკური შედარება მათი რეალიზაციის ეფექტიანობის საბოლოო მაჩვენებლების და გეგმით დასახულ მიზნებთან შესაბამისობის მიხედვით);

– სცენარის არჩეული ვარიანტის დასაბუთება;

– მუნიციპალური წარმონაქმნის სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის არჩეული სცენარის რეალიზაციის ეტაპები;

– სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის მექანიზმები.

იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი მუნიციპალური წარმონაქმნი წარმოადგენს ღია ეკონომიკურ სისტემას, მას ვერ განვიხილავთ ქვეყნის, რეგიონის, მეზობელი ქალაქებისა და რაიონების განვითარების გარემოს გარეშე/მიღმა. ამასთან დაკავშირებით ინფორმაციული ბაზის აქტუალიზაციის ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გარე გარემოს მხრიდან მუნიციპალურ წარმონაქმნზე ზემოქმედების ახლად წარმოქმნილ ფაქტორებს.

ასეთ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ ძალაში ახლად შესული ან ახლად ძალადაკარგული სახელმწიფო და რეგიონული კანონები, სახელმწიფო და რეგიონული მიზნობრივი პროგრამები, ბრძანებულებები და მთავრობის დადგენილებები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის პოლიტიკას მრეწველობაში, აგროსამრეწველო კომპლექსში, საფინანსო, სოციალურ, საინვესტიციო სექტორებში და ა.შ., ასევე შიდა და გარე ბაზრის ცვალებადი კონიუნქტურა.

შიდა რესურსების ანალიზი წარმოადგენს დაგეგმვის მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობისათვის, სადაც ხშირად რესურსები არ არის ბოლომდე აღრიცხული და გამოყენებული. ეს ეხება მიწის რესურსებს, უმესაკუთრო ობიექტებს, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოების გამოუყენებელ სიმძლავრეებს.

შიდა გარემოს ანალიზი გულისხმობს მუნიციპალური წარმონაქმნის წარმოების, სოციალური სფეროს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ბიზნეს თანამეგობრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოსახლეობის და ა.შ. ურთიერთქმედების ანალიზს. ამრიგად, შიდა გარემოს დახასიათება შეიძლება მოიცავდეს: დასახლების მოკლე აღწერას (ისტორია, ადგილმდებარეობა და გეოგრაფიული დახასიათება, მდებარეობა რაიონში, სხვა ტერიტორიებთან კავშირი, გარემომცველი გარემო, ისტორიული ძეგლები); დემოგრაფიას (მოსახლეობის შემადგენლობა, დასაქმება, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა, უმუშევართა რაოდენობა, მიგრა-

ცია და ა.შ.); ინფრასტრუქტურას (ტრანსპორტი, მომსახურებები, საცხოვრებელი, ენერგეტიკა); ეკონომიკას (ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახეები და ცვლილებები ადგილობრივ ეკონომიკაში დარგები, საწარმოები, ბუნებრივი რესურსები; სასურველია უზრუნველყოფის მაჩვენებლების მოყვანა ცალკეული დარგებისა და სოციალური სფეროების მიხედვით ადგილობრივი უზრუნველყოფის შესადარებლად); ინტერესების სფეროებს (განსაკუთრებით მათ, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომავალი განვითარებისათვის); მართვასა და კანონმდებლობას (მუნიციპალური ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებსა და პროგრამებში მონაწილეობა); არასამთავრობო ორგანიზაციებს. შიდა და გარე გარემოს ანალიზი მიზანშეწონილია შეივსოს SWOT-ანალიზით. ხარისხიანად შესრულებული ანალიზი დაგვანახებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, რომლებიც ჯეროვნად ვერ სრულდება, ასევე იმასაც, რომელი კომპონენტების რეალიზებაა შესაძლებელი ავტორის მიერ შემოთავაზებული მიდგომებით და შესრულებადი საბაზრო მექანიზმებით.

არჩეული პროექტების რეალიზაციისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების უზრუნველსაყოფად შემოთავაზებულია მათი დაყოფა ორ ბლოკად:

პირველი ჯგუფი მოიცავს პროექტებს, რომელთა რეალიზაციის შესაძლებლობა დიდწილად არის დამოკიდებული მოსახლეობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივასა და გერგილიანობაზე.

მეორე ჯგუფი შედგება პროექტებისაგან, რომლებიც მოითხოვენ სახელმწიფო მხარდაჭერას სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან და ადგილობრივი პროგრამების ჩართვას რეგიონულ მიზნობრივ პროგრამებში.

გეგმის შემუშავების მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობით ბიზნეს თანამეგობრობის, მოქალაქეების შეგნებული მონაწილეობის უზრუნველყოფა ტერიტორიაზე ცხოვრების ღირსეული პირობების

შექმნაში, მათი მოსაზრებების გათვალისწინებით დასახლების განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და არსებული პრობლემების გადასაწყვეტად მოქმედებათა გეგმების შემუშავება.

შემოთავაზებული ფუნქციებისა და ღონისძიებების კომპონენტების სისტემატიზაცია იძლევა შეზღუდული რესურსების პირობებში მაქსიმალური ეფექტურობით ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრისა და მუნიციპალურ წარმონაქმნებს შორის მუნიციპალური რაიონის შიგნით რესურსების გადანაწილების შესაძლებლობას.

დასკვნა

მუნიციპალური მნიშვნელობის საკითხები არის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოველქმედების უშუალო უზრუნველყოფის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა უნდა განხორციელდეს მოსახლეობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონსტიტუციის შესაბამისად, დამოუკიდებლად.

ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გააჩნიათ უფლებამოსილებები, რომელთაც ადგენს ქვეყნის კანონები.

მუნიციპალური წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამების ჩამოყალიბებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხარჯვითი ვალდებულებები უფლებამოსილებათა აღსასრულებლად დაბალანსებული უნდა იყოს მუნიციპალური წარმონაქმნის საკუთარ შემოსავლებთან, მოზიდულ რესურსებთან, ყველა დონის საინვესტიციო და მიზნობრივ პროგრამებთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოცემულია მეთოდური რეკომენდაციები.

არჩეული პროექტების რეალიზაციისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების უზრუნველსაყოფად შემოთავაზებულია მათი დაყოფა ბლოკებად.

რეკომენდირებული ფუნქციებისა და ღონისძიებების კომპო-

ნენტების სისტემატიზაცია იძლევა შეზღუდული რესურსების პირობებში მაქსიმალური ეფექტურობით ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრისა და მუნიციპალურ წარმონაქმნებს შორის მუნიციპალური რაიონის შიგნით რესურსების გადანაწილების შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოლაშვილი პ, მუნიციპალური განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, თბ. 2000 წ, გვ.140-144.

2. ერქომაიშვილი გ. საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტები, წიგნში; „ქალაქის მართვა“, თბ, 2002 წ, გვ.45-48.

3. საქართველოს კანონი-„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“.

4. საქართველოს ორგანული კანონი-„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“

5. ჭავჭავაძე ი., ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაცია. „საინფორმაციო ბიულეტენი“. №11, 2013 წ.

6. www.mdf.org.ge-საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდი.

7. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

8. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

THE METHODIC RECOMMENDATIONS FOR FORMING OF EFFECTIVE MECHANISMS OF MUNICIPAL MANAGEMENT

Levan Kereselidze
PhD student of GTU

RESUME

The perspectives of development of the municipal units, regions and social-economical development of a state have always depended on efficiency of administrative structure: clear mechanisms and procedures of main state functions, agreed functioning and interaction of state authorities, staff policy.

The objective of optimization of administrative system is one of the priority aims, achievement of which is the basis for increasing of economic potential of the state, development of social field and establishment of civil society institutions. In the end it shall ensure strengthening of position of the state in global commonwealth but also it shall promote increasing of live level and quality of life for population in the state.

The list of issues of local importance is broad: in case of existence of own material and financial resources (except for subventions and subsidies received from central budget) local self-government authorities can make decisions about other issues that are not within competence of local self-governance of other municipal units and state authorities.

Key words: municipal units, social-economical development, administrative structure, efficiency, state mechanisms, optimization task, internal and external environment, strategic plan, legislative acts.

ვირტუალური კომუნიკაციის საქმიან ურთიერთობებზე ზეგავლენის დადებითი ფაქტორები

მარიამ ყიფშიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი საკითხია ვირტუალური კომუნიკაციის როლის მნიშვნელობა და საქმიან ურთიერთობებზე ზეგავლენის დადებითი მხარეები, რაც განსაზღვრავს განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს შორის სწორად ფორმირებულ კომუნიკაციას. სტატიაში გამოაშკარავებულია ის ხარვეზები, რომელიც თავს იჩენს განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთან ურთიერთთანამშრომლობის პროცესში და მოცემულია თანამედროვე ტექნოლოების გათვალისწინებული რეკომენდაციები, რომელიც გვაძლევს საშუალებას შევამციროთ კულტურული განსვავებებით გამოწვეული რისკი, კომუნიკაციის ნებისმიერ ეტაპზე და გამოვიყენოთ თანამედროვე მიდგომები კომპანიის ინტერესების გასატარებლად.

გაანალიზებულია ის ფაქტი, რომ მოცებული მომენტისათვის ადგილობრივი მმართველობითი სტილის განვითარების შესაძლებელ და ყველაზე მისაღებ გზად მიჩნეულია უცხოური მიდგომების გამოყენება ადგილობრივი ბაზრის სასიკეთოდ, ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: საქმიანი ურთიერთობები, კულტურული ღირებულებები, კულტურული თავისებურებანი, კომუნიკაცია, მმართველობითი სტილი, ვირტუალური კომუნიკაცია, ელექტრონული კომუნიკაცია, წერილობითი კომუნიკაცია, თანამედროვე ტექნოლოგიები.

ძირითადი ტექსტი

ბიზნეს ურთიერთობები და მასზე დადებითად და უარყოფითად მოქმედები კულტურული თავისებურებები, ამ საკითხის გარშემო გაერთიანებული თემები, რიგორებიცაა საქმიანი მოლაპარაკებები, გლობალიზაცია, მმართველობითი სტილი, კომუნიკაციია- იქცა ერთგვარ დისციპლინათაშორის პასუხად საზოგადოების ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა მიმართებაში. კულტურულ ღირებულებებზე მოქმედი თავისებურებანის კლასიფიკაცია საკმაოდ რთულ თემას წარმოადგენს და შესაძლებელია მისი განხილვა სხვადასხვა მიმართულებით წარვმართოთ.

ბიზნეს სექტორში კულტურულ განხვავებებს შესწევთ უნარი მოახდინონ როგორც დადებითი ასევე უარყოფითი სარგებელი საქმიან ურთიერთობებზე და ზოგადად, კონკრეტული ქვეყნის ბიზნეს სექტორის განვითარებაზე.

გლობალიზაციის ფონზე, კულტურული თავისებურებების დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ მისი სხვადასხვა ასპექტი პატარა სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას თავიანთი კულტურა და ეროვნული ტრადიციები სხვა ქვეყნებს გააცნონ, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკური პროდუქტიულობის ზრდის ხელშემწყობი პირობა შეიძლება აღმოჩნდეს.

საერთაშორისო ბიზნესის პროგრესმა, კულტურული თვალსაზრისით, განსაზღვრა ახალი მოთხოვნები განსხვავებული მუშახელის შეთანხმებული მოქმედებისათვის. ასევე კულტურულ ღირებულებებს, როგორიცაა: შრომის მნიშვნელობა და ყაირათიანობა, შეუძლიათ გავლენა იქონიონ ადამიანის შრომით მოტივაციაზე, რითაც შეიძლება აიხსნას სხვადასხვა ერების ეკონომიკური განვითარების დონე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ კულტურაზე დაყრდნობით სწორი ადმინისტრირება არ არის მარტივი და ყოველთვის ადეკვატური. პრობლემა მდგომარეობს ღირებულებათა კომპლექსურობაში, რომელიც შედარებით სტაბილურ, მოკლევადიან პერიოდში მუდმივად ვითარდება. მმართველი რგოლისთვის კულტურა არის ცოცხალი ორგანიზმნი და სამიზნე, იმის გათვა-

ლისწინებით, რომ ყველა ინდივიდი არ იზიარებს თავის კულტურულ თავისებურებებს და შეხედულებებს.

კულტურული ღირებულებები და ნორმები არ არის იდეალურად, სრულყოფილად ფორმირებული. ისინი წარმოადგენს იმ მრავალი ფაქტორის გადაგვარებულ ფორმებს, რომლებიც მოიცავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფილოსოფიას, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, რელიგიას, ენას, განათლებას.

საერთაშორისო მენეჯმენტში, განსხვავებული კულტურის წარმომადგენელ მხარეებს შორის სწორი კომუნიკაციის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ორგანიზაციაში საქმიანი ურთიერთობების დახვეწილ ჩვეულ ზომებთან ერთად შეიძლება გადაიდგას სხვა ნაბიჯებიც, რომლებიც მამართულია კულტურული განსხვავებების ბარიერების გადალახვისა და თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისაკენ

მულტინაციონალური კომპანიები ქმინან ინტერნეტ ქსელს, რომელიც შიდასაფირმოს წარმოადგენს და მოიცავს მის ლოკალურ დაწესებულებებსაც. ეს სისტემა ამარტივებს განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის პროცესს და დადებითად აისახება საქმიანი ურთიერთობების ეფექტურ წარმართვაზე. სისტემის უპირატესობას განვიხილავთ რამოდენიმე მიმართულებით:

პირველ რიგში ეს სისტემა უზრუნველყოფს შიდასაფირმო კომუნიკაციის სწრაფ ფორმირებას თანამედროვე ტექნოლოგიების, ამ შემთხვევაში ინტერნეტ სივრცის საშუალებით, რომელიც ერთ-ერთ მთავარ საკომუნიკაციო წყაროს წარმოადგენს ბიზნეს სფეროში. მისი საშუალებით შესაძლებელია საქმიან ურთიერთობებთან დაკავშირებული ისეთი საკითხების მოგვარება, რომელიც უკავშირდება კომპანიის შესახებ სიახლეების ოპერატიული მიწოდება, შიდა კომფლიქტური სიტუაციების მოგვარება, გადაწყვეტილებების მიღება, ანგარიშების მომზადება, საერთო მონაცემთა ბაზით სარგებლობა, შვილობის კომპანიებთან, ფილიალებთან უწყვეტი კავშირი და სხვა მრავალი საკითხი, რომელიც განსაზღვრავს საბოლოო ჯამში კო-

მაპნიის პროგრესულ განვითარებას, პრობლემებზე სწრაფ რეაგირებას, ინფორმაციის ინტენსიურ რეჟიმში მიწოდებას და გადამუშავებას, ანალიზს.

მეორე, ხელს უწყობს ენობრივი ბარიერის გადალახვას. ვირტუალური ურთიერთობის შემთხვევაში, წერილობითი კომუნიკაცია უზრუნველყოფს ენობრივ ბარიერათან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილებას. შედეგად ვიღებთ მიზნობრივად ფორმირებულ კომუნიკაციას, ყოველგვარი შეცდომების, არასწორი ინტონაციის, აქცენტის გარეშე, რომლებიც რიგ შემთხვევებში ხელს უშლის კონკრეტული საკითხის სწორად აღქმას, რეპუტაციის, კონკრეტულ პიროვნებასთან მიმართებაში წარმოდგენის, შეხედულების დაკნინებას. ეს ასევე წარმოადგენს კომუნიკაციის ეფექტიანობის თვალსაზრისით, თარჯიმნის მომსახურებისგან თავის არიდების საშუალებას, რომელიც რიგ შემთხვევაში არ არის მიზანშეწონილი, ინფომაციის კონდიფენციალურობიდან, ან თარჯიმნის მიერ არასწორი ემოციის გადაცემიდან გამომდინარე.

მესამე, ისინი ხსნიან კულტურათაშორის კომუნიკაციაში არსებული ხმაურის პრობლემას, ინტერპრეტაციის პროცესთან მიმართებაში, რომლის საშუალებითაც ერთი ინდივიდი მეორის ხილულ ქცევებსა და განცდებს მიზეზს უძებნის, სოციალუ ფსიქოლოგიაში ატრიბუციის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი არსებობა განსაკუთრებით შეიმჩნევა ინფორმაციის გადამუშავების პროცესში.

მეოთხე, არავერბალური ურთიერთობების საშალებები ელექტრონული კომუნიკაციის შემთხვევაში კარგავს თავის მნიშვნელობას და გვიმარტივებს ურთიერთობის გააზრებულ, ადეკვატურ ფორმირებას, ყოველგვარი სირთულეების და მიმიკების კონტროლის გარეშე. სასურველია გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ იგი ჩანაცვლებულია ემოციის გამომხატველი სპეციალური ნიშნებით, რომელსაც ფორალური მიმოწერის შემთხვევაში ვიყენებთ ნაკლებად, მაგრამ მათ ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ ნებისმიერი კულტურის წარმომადგენლისათვის, სწორად გამოყენების შემთხვევაში.

მეხუთე, ვირტუალური კომუნიკაცია არ მოითხოვს ფიზიკურად დასწრების საშუალებას, შესაბამისად არსებობის შემთხვევაში გვათავისუფლებს ისეთი პიროვნული კომპლექსებისგან, ბარიერებისგან, როგორებიცაა სქესი, ასაკი, რასობრივი და ეთნიკური კუთვნილება.

საერთაშორისო მენეჯმენტში შემქნილი ვირტუალური კომუნიკაციის სისტემა, ქსელი, განსაზღვრავს საქმიანი ურთიერთობების გამარტივების პროცესს განსხვავებული კულტურის წარმოამდგენელ მხარეებს შორის. თუმცა მასთან მიმართებაში, კულტურული თავისებურებების ზეგავლენით, შესაძლებელია გამოიხატოს ისეთი ურყაროთი ეფექტები, რომლებსაც შეუძლიათ კომუნიკაციის არასწორი განვითარება ელექტონულ სისტემაში.

რეკომენდაციები, რომელებიც უნდა გავითვალისწინოთ ელექტრონული სისტემის სარგებლობის შემთხვევაში:

1. ეფექტური ელექტრონული კომუნიკაცია მოითხოვს წინდახედულობას და საკითხის გააზრებული, საბოლოო ვარიანტის ფორმირებას. რთულია მისი დაკორექტირება ან უარყოფა, ვინაიდან გაგზავნილი შეტყობინება წარმოადგენს შენს მიერ გაკეთებულ დასკვნას და მეორე მხარისათვის არსებულ საბუთს, ნებისმიერ თემასთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში არ არსებობს რეაგირების, უკუკავშირის, რეგულირებისა და კონტროლის საშუალებები.

2. სწორად უნდა მოხდეს ვირტუალური კომუნიკაციის შერჩევა და ფორმირება, კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, სანამ მოახდენთ საბოლოო გადაწყვეტილების გაკეთებას ურთიერთობის ფორმასთან მიმართებაში, იქნება ეს პირდაპირი ვიდეო ზარი , ხმოვანი კომუნიკაცია, ელექტრონული ფოსტა თუ ფაქსი.

3. პირდაპირი ვირტუალური კომუნიკაცია, რაშიც იგულისხმება ვიდეო ზარები, პირდაპირი ტრანსლაციით, გულისხმობს საქმიან ურთიერთობებთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხითხთან მიმართებაში, წერილობით დაგეგმილ ფორმირებას, საუბრის სწორად, მიზნობრივად წარმართვისათ-

ვის. საკითხების თანმიმდევრულობა და წინასწარ მონიშვნა განსაზღვრავს საუბრის ფორმალურ ნაწილს და ხაზს უსვამს ჩვენს მზაობას საქმიან თანამშრომლობასთან მიმართებაში.

4. წერილობითი კომუნიკაციის შემთხვევაში აუცილებლად ვითვალისწინებთ განხვავებული კულტურის წარმომადგენლის ჰიპერტექსტური მინიშნებებს, რომელიც გაძლევს დამატებით ინფორმაციას, კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში.

5. ელექტრონული კომუნიკაცია უნდა ითვალისწინებდეს განსხვავებებს ენებში, კულტურაში, ადგილობრივ კანონმდებლობაში და ტელესაკომუნიკაციო სისტემის განვითარების დონეს.

ეფექტიანი კულტურული კომუნიკაცია არის უმნიშვნელოვანესი უნარი საერთაშორისო მენეჯერებისათვის და აგრეთვე მულტიკულტურული პერსონალის მქონე ფირმებისათვის. ამ საკითხის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დღევანდელ გლობალურ გარემოში ორგანიზაციული კულტურა წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის მძლავრ ისნტრუმენტს და მისი მიზანია კომპანიის მოგების მაქსიმიზაცია საქმიანი ურთიერთობების სწორად ფორმირების მეშვეობით, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარებას და პროგრესს.

მართვის სისტემაში თანამედროვე მიდგომების სწრაფ დანერგვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უცხოური სიახლეების ადეკვატურ, გაანალიზებულ აღქმას და კონკრეტული კომპანიის მმართვეობითი სისტემის სასიკეთოდ გამოყენებას. კონკრეტული მართვის სისტემის გამოყენება არ გულისხმობს ალტერნატიულის უგულებელყოფას, გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში. პირიქით, წარმყვანი მართვის სისტემების კომბინაციით შესაძლებელია სრულყოფილთან მიახლოებული მართვის სისტემის ფორმირება, მათი დადებითი და უარყოფითი მაჩვენებლების გაანალიზების საფუძველზე. საერთაშორისო პროგრესული ტექნოლოგიების ადგილობრივ სპეციფიკასთან გონივრული შეხამება განსაზღვარვს მართვის ეფექტიანობის ზრდას და მოგების მაქსიმიზაციას, შესაბამიდად ადგილობრივი კულტურული მახასიათებლების გათვალისწინებას.

ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., მარიდაშვილი მ., ჩეჩელაშვილი მ., მახარაშვილი ი., ღამბაშიძე., „შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია“ . თბ. 2015წ.

2. ამინოვი ი.,ერიაშვილი ნ., „საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგია“. თბ., 2009წ.

3. ბარათაშვილი ე., შედარებითი ანალიზის როლი გარდამავალი ეკონომიკის შესწავლაში ჟურნალი “მეცნიერება და ტექნოლოგიები” №№1-2, თბ. 2008 წ

4. დოღონაძე შ., ქოჩორაძე ო., „საქმიანი ურთიერთობების თანამედროვე ტექნოლოგიები, თბ.,2012წ.

5. *Hofstede G.* Culture's Consequences. International Differences in Work Related Values. — Beverly Hills: Sage, 1980.

6. *Hall E. T.,Hall M. R.* Understanding cultural differences. — Yarmouth, ME: Intercultural press, 1990.

7. *Ronen S.* Comparative and multinational management. — New York: John Wiley and Sons, 1986. P. 101-102; *Deresky H.* Global management: strategic and interpersonal. — Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2002. P. 103.

8. *Hall E.* Hidden Differences: Studies in International Communication. — Hamburg: Gruner & Jahr, 1985.

REFERENCES:

1. Baratashvili E., Zarandia J., Maridashvili M., Chechelashvili M., Makharashvili I., Gambashidze., «Comparative Management and Clusterization». Tbilisi, 2015; (In Georgian Language);

2. Aminov I., Eriashvili N. «Psychology of Business Relations». Tbilisi, 2009; (In Georgian Language);

3. Baratashvili E., The Role of Comparative Analysis in the Study of the Transition Economy Journal «Science and Technologies» №№1-2, Tbilisi, 2008; (In Georgian Language)

4. Dogonadze Sh., Kochoradze O., «Modern Technologies of Business Relations", Tbilisi, 2012; (In Georgian Language);

5. *Hofstede G.* Culture's Consequences. International Differences

in Work Related Values. — Beverly Hills: Sage, 1980.

6. *Hall E. T.,Hall M. R.* Understanding cultural differences. — Yarmouth, ME: Intercultural press, 1990.

7. *Ronen S.* Comparative and multinational management. — New York: John Wiley and Sons, 1986. P. 101-102; *Deresky H.* Global management: strategic and interpersonal. — Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2002. P. 103.

8. *Hall E.* Hidden Differences: Studies in International Communication. — Hamburg: Gruner & Jahr, 1985.

THE POSITIVE FACTORS OF VIRTUAL COMMUNICATIONS' IMPACT ON BUSINESS RELATIONSHIPS

Mariam Kipshidze
PhD Student of GTU

RESUME

One of the most discussed topics in the modern world is the importance of the virtual communication's role and the positive impact on business relationships that determine the correct communication between the representatives of different cultures. The article points out the shortcomings in the process of mutual cooperation with a different culture representative and provides recommendations for modern technologies that allow us to reduce the risk of cultural differences at any stage of communication and use modern approaches to the company's interest To spend.

Furthermore it is analyzed that the possibility of developing local governing style at this moment is considered the best way to use foreign approaches for the benefit of the local market, taking into account the national specificity.

Key words: Business relations, cultural values, cultural peculiarities, communication, management style, virtual communication, electronic communication, written communication, modern technologies.

სტრატეგიული გადაწყვეტილებების ფორმირების მექანიზმი

ლია ჯორჯიაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ორგანიზაციებში ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება შესაძლოა ძალზე რთული და პრობლემური იყოს იმ გაურკვევლობის გამო, რაც ორგანიზაციის ირგვლივ მიმდინარე ცვლილებებითაა გამოწვეული. მუშაობის პროცესში, მენეჯერები იღებენ მრავალ გადაწყვეტილებას, იქნება ეს დაგეგმვა, საორგანიზაციო თუ ადმინისტრაციული საქმიანობა, ან ორგანიზაციის საქმიანობის კონტროლი.

გადაწყვეტილების მიღება - ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც მენეჯერები რეაგირებას ახდენენ იმ შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე, რომელთა წინაშეც აღმოჩნდებიან კონკრეტული ორგანიზაციული ამოცანებისა და სამოქმედო კურსის შესახებ არჩევანის გაანალიზებისა და გადაწყვეტილებათა მიღების შედეგად. მართებული გადაწყვეტილების მიღების შედეგად ხდება სათანადო ამოცანებისა და სამოქმედო კურსის შერჩევა, რაც ზრდის ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობას; მცდარი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში ეფექტურობა მკვეთრად ეცემა.

საკვანძო სიტყვები: პროგრამირებადი გადაწყვეტილება, არაპროგრამირებადი გადაწყვეტილება, გრძელვადიანი გეგმა, საშუალოვადიანი გეგმა, მოკლევადიანი გეგმა, მცოცავი გეგმა.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ეტაპზე, სტრატეგიული გადაწყვეტილებების როლი და მნიშვნელობა ორგანიზაციის წარმატების ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა. მისი არსი არის ის, რომ ორგანიზაციაში, ერთი მხრივ, არსებობს ზუსტად ორგანიზებული კომპლექსური სტრატეგიული დაგეგმვა. მეორე მხრივ, მართვის ორგანიზა-

ციული სტრუქტურა „ფორმალური“ სტრატეგიული დაგეგმვის ადეკვატურია და აგებულია ისე, რომ უზრუნველყოს გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად და ამ სტრატეგიის რეალიზაციის მართვის მექანიზმების შექმნა გეგმების სისტემის მეშვეობით.

ხელმძღვანელთა ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა ორგანიზაციული გარემოს მართვა. ორგანიზაციის გარეთ მოქმედი ძალები უამრავ შესაძლებლობასა და საფრთხეს ქმნიან ხელმძღვანელებისა და მათი ორგანიზაციებისათვის. შესაბამისად მენეჯერებს ყოველდღიურად უწევთ რეაგირების მოხდენა იმ შეაძლებლობებსა და საფრთხეებზე, რომელსაც ისისნი ყოველდღიურად ხვდებიან საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესრულების დროს.

„შესაძლებლობების საპასუხოდ გადაწყვეტილებათა მიღება ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაციის მწარმოებლურობის ასამაღლებლად მენეჯერები ცდილობენ მოიძიონ სხვადასხვა გზები, რაც სარგებელს მოუტანს მომხმარებლებს, თანამშრომლებსა და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს.

საფრთხეების საპასუხოდ გადაწყვეტილებები მიიღება მაშინ, როდესაც მოვლენები, რომლებიც ხდება როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, უარყოფითად მოქმედებს ორგანიზაციის მწარმოებლურობაზე და მენეჯერები ცდილობენ იპოვონ სხვადასხვა საშუალებები ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობის ასამაღლებლად.“[1]

მენეჯერებისათვის უმთავრესია სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება და მათი ოთხი ძირითადი ფუნქციიდან ნებისმიერის შესრულებისას, იქნება ეს დაგეგმვა, ორგანიზება, გაძღოლა თუ კონტროლი, ისინი განუწყვეტლივ იღებენ გადაწყვეტილებებს. ორგანიზაციის მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით მენეჯერები მუდამ ცდილობენ მოიძიონ სხვადასხვა საშუალებები თავიანთი გადაწყვეტილებების მიღების გასაუმჯობესებლად. ამავე დროს ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის,

1 Gareth R. Jones, Essentials of Contemporary Management, McGraw Hill 2012, p.149

რომ თავიდან აიცილონ ძვირადღირებული შეცდომები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენენ ორგანიზაციის მწარმოებლურობაზე.

„ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მიზანია ორგანიზაციის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულება. ბუნებრივია, უფრო ეფექტიანად ჩაითვლება ის გადაწყვეტილება, რომელიც მეტ წვლილს შეიტანს მიზნის მიღწევაში და არ დააზარალებს ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანებს.

შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილება თავისი არსით მუშაობის პროცესში დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაა. ბუნებრივია, მართვის პროცესში მენეჯერებს უწევთ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გადაწყვეტილებების მიღება, მაგრამ მაინც არსებობს ტიპური გადაწყვეტილებები, რომელთა მიღებაც აუცილებელია მართვის პროცესში“[1]

გარდა იმ კონკრეტული გადაწყვეტილებისა, რომელზეც პასუხისმგებელია მენეჯერი, თვით “გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი შესაძლოა იყოს როგორც პროგრამირებადი, ასევე არაპროგრამირებადი.”[2]

პროგრამირებადი გადაწყვეტილებები - რუტინული, თითქმის ავტომატური პროცესია. ეს ის გადაწყვეტილებებია, რომელთა მიღებაც მენეჯერებს უკვე იმდენჯერ მოუხდათ წარსულში, რომ შეიმუშავეს ერთგვარი შაბლონები, წესები, ან ძირითადი პრინციპები, რომლებიც უნდა გამოიყენონ გარკვეულ ვითარებებში.

უმეტესობა გადაწყვეტილებებისა, რომელთა მიღებაც ხდება ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებით, ძირითადად პროგრამირებადი გადაწყვეტილებებია, თუმცა არანაკლები სიხშირით გვხვდება არაპროგრამირებადი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობა, რომლებიც ძირითადად სტრატეგიულ გათვლებზეა დამყარებული.

არაპროგრამირებადი გადაწყვეტილებები უმეტესად სტრა-

1 შუბლაძე გ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008, გვ. 64

2 Майкл Мескон, Майкл Альберт, Франклин Хедоури. «Основы Менеджмента». Москва, «Дело», 2004, ст.139

ტეგიული ხასიათისაა და ისინი მიიღება უჩვეულო, ან ახალ შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე საპასუხოდ. არაპროგრამული გადაწყვეტილებები მიიღება მაშინ, როდესაც არ არსებობს გამზადებული, შაბლონური გადაწყვეტილების მიღების წესები, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ მენეჯერებს არსებულ ვითარებაში. წესები არ არსებობს იმიტომ, რომ სიტუაცია მოულოდნელია და მენეჯერებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია, რაც საჭირო გახდებოდა სათანადო წესების შესაქმნელად. არაპროგრამირებადი გადაწყვეტილებების მიღების მაგალითებს განეკუთვნება ინვესტიციების ჩადების გადაწყვეტილება ისეთ საქმიანობებში, როგორიცაა: ახალი სახის ტექნოლოგიები, ახალი სახის საქონლის შექმნა, ახალი ტიპის სარეკლამო კამპანიის წამოწყება, ახალ ბაზარზე შესვლა ან საერთაშორისო მასშტაბით გაფართოება.

სტრატეგიული გადაწყვეტილებები ემყარება მენეჯერების მიერ ორგანიზაციის არსებული მდგომარეობის ანალიზს, ხოლო შემდეგ კი სტრატეგიების შემუშავებას მისი დანიშნულების განსახორციელებლად და მიზნების მისაღწევად. სტრატეგიების ჩამოყალიბება იწყება მენეჯერების მიერ ორგანიზაციის შიგნით და მის გარეთ არსებული ფაქტორების გაანალიზებით, დასმული ამოცანებისა და საერთო გარემოებების შესწავლით, რაც გავლენას ახდენს ან შეიძლება მოახდინოს ორგანიზაციის მიერ მისი მიზნების განხორციელების უნარზე აწმყოში და მომავალში.

ყოველი ორგანიზაციის სტრატეგია მოიცავს მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებს, რომლებშიც ჩამოყალიბებულია მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები და შესაბამისი მეთოდები. „გეგმებს განსხვავებული დროითი ჰორიზონტები, ანუ სავარაუდო ხანგრძლივობა გააჩნიათ. ძირითადად მენეჯერები განასხვავებენ გრძელვადიან გეგმებს, რომელთა ჰორიზონტი შეადგენს ხუთ ან მეტ წელს, საშუალოვადიან გეგმებს, რომელთა ჰორიზონტი ერთიდან ხუთ წლამდეა და მოკლევადიან გეგმებს, რომელთა ჰორიზონტი არ აღემატება ერთ წელიწადს. ჩვეულებრივ, კორპორაციული და ბიზნესის დონის მიზნები და

სტრატეგიები საჭიროებს გრძელ და საშუალოვადიან გეგმებს, ხოლო ფუნქციონალური დონის სტრატეგიებისათვის კი საჭიროა საშუალო და მოკლევადიანი გეგმები."[1]

გრძელვადიან გეგმებს აქვთ ორი მნიშვნელობა: ისინი გვიჩვენებენ, რა უნდა გავაკეთოთ დღეს, რათა მივაღწიოთ გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. ასეთი მიზნების შესრულება აიძულებს მენეჯერს მიიღოს დღევანდელი გადაწყვეტილებები გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით.

მოკლევადიანი გეგმები თანმიმდევრულად გვიჩვენებენ, რა სასწრაფო და უახლოეს შედეგებს უნდა მივაღწიოთ. ისინი გვიჩვენებენ როგორც დროის ინტერვალს, რომელშიც უნდა განხორციელდეს დასახული მიზანი, ასევე ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობას.

სტრატეგიული აზროვნებისთვის მნიშვნელოვანია მიზნების იერარქიის კომპლექსური მიდგომა მართვის ყველა დონეზე ზევიდან ქვევით. ეს გულისხმობს, რომ "დასახული ამოცანა გასაგები უნდა იყოს კონკრეტული დონის მენეჯერისათვის და, ამასთან ერთად, უნდა იყოს მიღწევადი (რისი უზრუნველყოფაც ხდება დაბალი დონის მენეჯერების საქმიანობის პროცესში)."[2]

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციების უმეტესობა მუშაობს ხუთი ან მეტი დროითი ჰორიზონტის მქონე გეგმებით, არ იქნება სწორი დასკვნის გამოტანა, თითქოსდა ისინი ძირითად გეგმებს მხოლოდ ხუთ წელიწადში ერთხელ აწყობენ, ხოლო შემდეგ კი მხოლოდ ამ კონკრეტული მიზნებისა და სტრატეგიების ქსელის განხორციელებით იფარგლებიან მოცემულ პერიოდში. ორგანიზაციის უმეტესობას შემუშავებული აქვს წლიური დაგეგმვის ციკლი, რომელიც, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია მათ წლიურ ფინანსურ ბიუჯეტთან (მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი დაგეგმვა შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ ხუთ წელიწადში ერთხელ).

თუმცა კორპორაციული და ბიზნესის დონის გეგმის ხან-

1 Gareth R. Jones, Essentials of Contemporary Management, McGraw Hill 2012, p.180

2 თევდორაძე მ., სტრატეგიული მენეჯმენტი (III ნაწილი), თბ., 2009, გვ. 22

გრძლივობა შეიძლება იყოს ხუთი ან მეტი წელი, იგი, როგორც წესი, განიხილება, როგორც მცოცავი გეგმა, ანუ გეგმა, რომელიც განიცდის განახლებას და ცვლილებებს ყოველ წელს, გარეშე პირობების ცვლილებების გათვალისწინებით.

მცოცავი გეგმების გამოყენება მნიშვნელოვანია სწრაფად ცვალებადი გარემო პირობების შემთხვევაში, როდესაც რთულია კონკურენციის პროგნოზირება ხუთი წლით ადრე. **მცოცავი გეგმები** მენეჯერებს საშუალებას აძლევს, გზადაგზა შეიტანონ შესწორებები გეგმებში, თუკი ამას მოითხოვს გარემოში მომხდარი ცვლილებები, ან საერთოდ შეაჩერონ ისინი, თუ მათი განხორციელება არ აღმოჩნდება ხელსაყრელი. მცოცავი გეგმები მენეჯერებს მოქნილი გეგმის შედგენის საშუალებას აძლევს ისე, რომ უარი არ თქვან საჭირო გრძელვადიან გეგმებზე.

ჰენრი ფეიოლმა, რომელიც მენეჯმენტის პრინციპების ერთ-ერთი მთავარი ფუძემდებელია, აღნიშნავს, რომ „ქმედითუნარიანი დაგეგმვა უნდა ხასიათდებოდეს ოთხი თვისებით, ესენია: მთლიანობა, უწყვეტობა, სიზუსტე და მოქნილობა.“[1]

მთლიანობა ნიშნავს, რომ ნებისმიერ მომენტში მხოლოდ ერთი ცენტრალური, სახელმძღვანელო გეგმაა ამოქმედებული ორგანიზაციის მიზნის მისაღწევად; ერთზე მეტი გეგმის ერთდროულად ამოქმედებამ შეიძლება არევ-დარევა და უწესრიგობა გამოიწვიოს.

უწყვეტობა გულისხმობს, რომ დაგეგმვა შეუჩერებელი პროცესია, რომლის დროსაც მენეჯერები ქმნიან ახალს, ამოწმებენ წინა გეგმებს და მუდმივად ასწორებენ მათ ყველა დონეზე: კორპორაციულზე, ბიზნესისა და ფუნქციონალურზე ისე, რომ ისინი არ გამოდიან ერთი დიდი სამოქმედო პროგრამის გარეთ.

სიზუსტე ნიშნავს იმას, რომ მენეჯერებმა ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ ყოველგვარი ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესაგროვებლად და გამოსაყენებლად, რაც კი მათ დაგეგმვის პროცესში წაადგებათ. რა თქმა უნდა, მენეჯერებს შეგნებული

1 Gareth R. Jones, Essentials of Contemporary Management, McGraw Hill 2012, p. 183

უნდა ჰქონდეთ, რომ არსებობს გარკვეული ორჭოფობა და ინ-ფორმაცია არასოდეს არის სრული.

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია უწყვეტობა და სი-ზუსტე, ფეიოლი ასევე ამახვილებს ყურადღებას დაგეგმვის პროცესში **მოქნილობის** აუცილებლობაზე, რათა შესაძლებელი გახდეს გეგმების გადაკეთება და შეცვლა, თუკი ამას შეცვლი-ლი სიტუაცია მოითხოვს; მენეჯერები არ უნდა იყვნენ შეზღუ-დული უცვლელი გეგმით.

დასკვნა

მაშასადამე, სტრატეგიული გადაწყვეტილება - ეს არის მენე-ჯერის მიერ გაკეთებული არჩევანი რამდენიმე ალტერნატივას შორის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მისი მოვალეობების შესრულება დაკავებული თანამდებობის შესაბამისად. მენე-ჯენრბმა შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე საპასუხოდ უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა შესაძლო ალტერნატივებიდან მათ უნდა შეარჩიონ ერთ-ერთი.

ამრიგად, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების დროს მენეჯერებმა უნდა გამოიყენონ ყველა ის შესაძლებლობა და თავი გაართვან ყველა იმ სირთულეს, რომლებმაც შესაძლოა თავი იჩინოს ორგანიზაციის შიგნით ორგანიზაციული რესურ-სების გამოყენების პროცესში.

პროგრამული გადაწყვეტილებები რუტინული გადაწყვეტი-ლებებია, რომელთა მიღებაც ისე ხშირად ხდება, რომ მენეჯე-რებს შემუშავებული აქვთ გარკვეული წესები და შაბლონები, რომლებსაც ავტომატურად იყენებენ. არაპროგრამირაბად გა-დაწყვეტილებებს უფრო უჩვეულო და ახალი ვითარებების სა-პასუხოდ იღებენ. ეს ძირითადად არასტანდარტული გადაწყვე-ტილებებია.

ამრიგად, ყველა მენეჯერი ჩართული უნდა იყოს გადაწყვე-ტილების მიღების პროცესში და ყველა მათგანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მასში, რადგან მათ უნდა განჭვრიტონ სამომა-ვლო სტრატეგიები და თავიდან აიცილონ მოსალოდნელი სა-ფრთხეები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შუბლაძე გ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008 წ.

2. თევდორაძე მ., სტრატეგიული მენეჯმენტი (III ნაწილი), თბ., 2009 წ.

3. ბარათაშვილი ე., მარიდაშვილი მ., მახარაშვილი ი., მენეჯმენტის სისტემაში გადაწყვეტილების მიღების პროცესის განსაკუთრებულობა, ჟურნ. „ბიზნესინჟინერინგი“, №2, თბ., 2015 წ.

4. Майкл Мескон, Майкл Альберт, Франклин Хедоури. «Основы Менеджмента». Москва, «Дело», 2004

5. Gareth R. Jones, Essentials of Contemporary Management, McGraw Hill 2012

REFERENCES:

1. Shubladze G., Management Basics, Tb., 2008 (in Georgian Language)

2. Tevdoradze M., Strategic Management (part III), Tb., 2009 (in Georgian Language)

3. Baratashvili E., Maridashvili M., Makharashvili I., Specializing in Decision Making in Management System, Journal. “Business Engineering”, No. 2, Tb., 2015 (in Georgian Language)

4. Michael Meskon, Michael Albert, Franklin Hedouri. «Fundamentals of Management». Moscow, “Delo”, 2004 (in Russian Language)

5. Gareth R. Jones, Essentials of Contemporary Management, McGraw Hill 2012 (in English Language)

MECHANISMS OF FORMATION OF STRATEGIC DECISIONS

Lia Jorjiashvili
PhD Student of GTU

RESUME

Effective decision making can be very challenging in organizations. Decision making is difficult and challenging because of the uncertainty arising from changes occurring in the environment. Every time managers act to plan, organize, direct, or control organizational activities, they make a stream of decisions.

Decision making is the process by which managers respond to the opportunities and threats that confront them by analyzing the options and making determinations, or decisions, about specific organizational goals and courses of action. A good decision results in the selection of appropriate goals and courses of action that increase organizational performance; bad decisions result in lower performance.

Keywords: Programmed decision making; Non-programmed decision making; Long-term plans; Intermediate-term plans; Short-term plans; Rolling plans.

მოლაპარაკების პროცესის სწორი ფორმირება კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით

მარიამ ყიფშიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატია წარმოადგენს საქმიანი მოლაპარაკების პროცესის სწორად ფორმირების სქემას, კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით და ატარებს პრაქტიკულ ხასიათს, ვინაიდან ყურადღება გამახვილებულია იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ მოლაპარაკების წარმოების სხვადასხვა ეტაპზე. ვიწრო ჭრილშია განხილული „ბუმენარგის" მოდელი, რომელიც ასახავს კულტურული მახასიათებლების ბიზნეს ურთიერთობებზე ზემოქმედების სამ ძირითად ეტაპს: საქმიანი ურთიერთობების საწყისი ეტაპი, გავითარების ეტაპი და დასასრული. მოცემულია რეკომენდაციები თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთან მოლაპარაკების პროცესში, როგორ უნდა მოვემზადოთ და წარვმართოთ მოლაპარაკება ეფექტური გზით, იმისათვის , რომ ავარიდოთ თავი არაპროგნოზირებად შედეგებს და მაქსიმალურად ვაკონტროლოთ მოლაპარაკების და შესაბამისად ურთიერთ თანამშორმლობის მუდმივი, ამავდროულად ცვლადი პროცესი, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის მოგების მაქსიმიზაციასა და თანამშრომლობის სტაბილური ბიზნეს გარემოს შენარჩუნებას.

საკვანძო სიტყვები: კულტურული თავისებურებები, კულტურული ღირებულებები, საქმიანი მოლაპარაკებები, საქმიანი ურთიერთობები, მოლაპარაკების ეტაპები, საქმიანი მოლაპარაკების საწყისი ეტაპი, საქიმიანი მოლაპარაკების განვითარების ეტაპი, საქმიანი მოლაპარაკების დასასრული, მოლაპარაკების პროცესის ფორმირება.

ძირითადი ტექსტი

კულტურული მახასიათებლები განისაზღვრება, როგორც საქმიან ურთიერთობებზე და მათი წარმართვის პროცესზე მოქმედ თავისებურებად. თითოეული ქვეყნის კულტურული მახასიათებლები გამოირჩევა საკუთარი სპეციფიკით, თვითმყოფადობით, ისტორიით, თვისებებითა და ტრადიციებით, ღირებულებებით, რომელიც გარკვეულ წილად აფერხებს ბიზნეს სფეროში კულტურული იმპერიალიზმის მზარდ პროცესს. ყველაზე მკაფიოდ კულტურული განსხვავებები ვლინდება საზოგადოების წევრ სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთქმედებაში, მოლაპარაკების, საქმიანი ურთიერთობის, დისკუსიის მიმდინარეობის პროცესში, რომელიც საბოლოო ჯამში მიღებულ შედეგზე აისახება.

კულტურა ეს არის კომპლექსური სისტემა, რომლის ფორმირებაც ხდება ცოდნის, რწმენის, ხელოვნების, მორალის, კანონების, წეს-ჩვეულებების და სხვა ფაქტორების ზეგავლენით, რომლებიც შეძენილია საზოგადოების მიერ პიროვნული განვითარების პროცესში. კულტურული თავისებურებების გავლენით საზოგადოების წევრებს უყალიბდებათ შეხედულებები ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში. ჩვენს შემთხვევაში კონკრეტულ საკითხს წარმოადგენს საქმიანი ურთიერობები, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის წარმოების პროცესის ეფექტიანობას, როგორც საწყის, ასევე განვითარების ან საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე.

ფორმირებული სქემა „ბუმერანგი“ ასახავს კულტურული მახასიათებლების ბიზნეს ურთიერთობებზე ზემოქმედების სამ ძირითად ეტაპს: საქმიანი ურთიერთობების საწყისი ეტაპი, განვითარების ეტაპი და დასასრული. მოცემულ სქემას განვიხილავთ, როგორც საქმიანი ურთიერთობების ეფექტურ წარმართვაზე მოქმედ ფაქტორად, რომელიც ზემოქმედებს მართვის ფორმებზე, ფუნქციონირებაზე და სტრუქტურაზე. სქემა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს, ფუნდამენტურ ფაქტორს, რომელიც მოქმედებს მენეჯმენტის სპეციფიკაზე, როდესაც ვსაუბრობთ კულტურულ თავისებურებებზე გლობალიზაციის

პირობებში. არცერთი ფაქტორი არ უზრუნველყოფს ისეთ დიდ სარგებელსა და შემოსავლის მიღებას ორგანიზაციისათვის, როგორიც შეაძლებელია მიღწეულ იქნეს მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკების სწორად წარმართვის შემთხვევაში.

ადამიანთა ქცევის კულტურული ღირებულებების გამოვლინება თავის კვალს ტოვებს ბიზნეს ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპეზე, რაც საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს მიღებულ შედეგზე. ყოველივე ამ არასასურველი შედეგის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ყველა ეტაპზე, როდესაც საქმე გვაქვს განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთან და გავითვალისწინოთ ის სტრუქტურა და რეკომენდაციები, რომელიც დადებითად აისახება ბიზნეს ურთიერთობების შედეგად მიღებულ საბოლოო შედეგზე.

საწყისი ეტაპი - პირველი, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადავდგათ განსხვავებული კულტურის წარმომადგენელ მეორე მხარესთან. მოლაპარაკების პროცესის დასაწყისი ყოველგვარი გამოცდილების გარეშე, რომელიც მოგვეთხოვება, რომ წარმატებით დასრულდეს, იმისათვის, რომ დასაბამი დაედოს ურთიერთობების დასაწყისს და შესაბამისად ბიზნესის განვითარებას, ეფექტური საბოლოო შედეგის მისაღებად.

ინფორმაციის მოძიება მოლაპარაკების პროცესის წევრი მეორე მხარის შესახებ. მიუხედავად საერთაშორისო ურთიერთობების აქტიური მონაწილეების დიდი მცდელობისა, ერთიანი ნორმების და წესების დაცვის, ეროვნულ და კულტურულ თავისებურებებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები ყოველთვის არსებობს, აქედან გამომდინარე, როდესაც სხვა ქვეყნის წარმომადგენელთან შეხვედრას ვგეგმავთ, მისი ქვეყნის ხალხს შორის პიროვნული ურთიერთობების ზოგადი პრინციპები უნდა შევისწავლოთ და ასევე, მათი ფუნდამენტალური ღირებულებები, იმისათვის, რომ გაგვიმარტივდეს მოლაპარაკების პროცესი და მივაღწიოთ ჩვენთვის სასურველ შედეგს, დავიდან ავირიდოთ არაპროგნოზირებადი შედეგები და მოულოდნელი წინაღობები, რომლებმაც შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს საქმიანი ურთიერთობების საწყის ეტაპზევე.

მოსმენის კულტურის სწორი ტექნიკის გამოყენება. კომუნიკაციას ხშირად ახლავს ორაზროვნება და გაურკვევლობა, რაც მნიშვნელოვნად იზრდება სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობისას; რაც უფრო დიდია კულტურებს შორის განსხვავება, მით უფრო იზრდება ორაზროვნება და საკითხის გაუგებრობის რისკი. მოლაპარაკების წარმოება წარმოადგენს უნარს, რომელიც გვეხმარება მოწინააღმდეგე მხარესგან სასურველი ისე მივიღოთ რომ , მასთან შევინარჩუნოთ კარგი ურთიერთობა. მოლაპარაკების საშუალებით განსხვავებული კულტური მქონე ადამიანები, რომლებსაც განსხვავებული, რიგ შემთხვევებშიკი საწინააღმდეგო საჭიროებები და ინტერესები აქვთ, შეთანხმებამდე მისვლას ახერხებენ. ყოველივე ამას განაპირობებს მოსმენის სხვადასხვა ტექნიკა. იმისათვის, რომ შეამციროთ ორაზროვნება, საჭიროა მივიღოთ ამომწურავი, დაზუსტებული ინფორმაცია მოლაპარაკების პროცესში ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშრებით. ყველაზე ეფექტურ მოსმენის მეთოდად ითვლება დისკუსია. ყოველთვის უნდა მოხდეს ისეთი საკითხის გადამოწმება, რაც გარკვეულ წილად ეჭვს ბადებს ჩვენს წარმოდგენაში. დისკუსიის პროცესში ჩვენ და ჩვენი მოწინააღმდეგე ვუზიარებთ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს. პარალელურ რეჟიმში კი ვცდილობთ დეტალურად განვიხილოთ ორივე მხარის ინტერესები და მოვიძიოთ ყველა სახის ინფორმაცია , რომელიც ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღებას შეუწყობს ხელს.

ვერბალურ და არავერბალურ ელემენტებზე აქცენტი. ერთიდაიგივე სიტყვა სხვადასხვა კულტურაში შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელი იყოს. რასაც ჩვენ კონკრეტულ სიტყვაში ვგულისმხობთ, სხვა კულტურის წარმომადგენელმა შეიძლება სხვა კონტექსტში გაიგოს. გარდა ვერბალური ნაწილისა, მთავარი დეტალი რაზეც აქცენტი უნდა გავაკეთოთ არის კონკრეტული ინდივიდის ქცევა, მარტივად აღსაქმელი ზედაპირული შრე, რომელიც დამკვირვებელისთვის მარტივად აღსაქმელია. შეუმჩნეველი არ უნდა დაგვრჩეს ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც ჩვენსა და მეორე მხარის

კულტურას განასხვავებს ერთმანეთისგან. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არავერბალურ კომინიკაციას თანამედროვე ეპოქაში, რაც გულისხმობს ერთი ადამიანის მიერ მეორისათვის შეტყობინების გადაცემას მოძრაობით, ჟესტიკულაციით, ინტონაციით. არავერბალური კომუნიკაცია უფრო ადრეულია, ვიდრე ვერბალური, ვინაიდან ადამიანები მეტყველების დაწყებამდე ურთიერთობისათვის არავერბალურ კომუნიკაციას იყენებდნენ, ამიტომ მას გაცილებით უფრო სიღრმისეული შესწავლა და გაანალიზება სჭირდება ვერბალურ ნაწილთან შედარებით. განსხვავებული კულტურის მქონე ადამიანის არავერბალური ენის მაქსიმალურად აღქმა გულისმობს შემდეგს, დავაკვირდეთ მოწინააღმდეგე მხარის არაცნობიერების გამოვლინებებს და ორგანიზება გავუკეთოთ მათ, ცნობიერად ვმართოთ. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს შესაძლებლობას ხელში ავიღოთ მოლაპარაკების პროცესი სადავეებით და ვუზრუნველყოთ ამ პროცესის ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე წარმართვა. წავიკითხოთ ჩვენი მოსაუბრის არავერბალური ინფორმაცია ანუ გვესმოდეს სხეულის ენა, იგივეა რაც გავიგოთ მოსაუბრის მდომარეობა და ვიმოქმედოთ ჩვენს სასიკეთოდ.

განვითარების ეტაპი: ნებისმიერი საქმიანი ურთიერთობა, მხარეებს შორის ურთიეთ შეთანხმებული, მრავალწლიანი, კეთილსინდისიერი თანამშრომლობის მიუხედავად, წარმოუდგენელია კომპლიქტური სიტუაციების არ არსებობის გარეშე. ისეთი საკითხები, როგორიცაა თანამშრომლობის პრცესში ორაზროვანი და რთული სიტუაციების მოგვარების უნარი, მნიშნველოვნად განსაზღვრავს საქმიანი ურთიერთობების განვითარების ეფექტურობას.

კულტურული თავისებურებების და ღირებულებების აღაიარება. კულტურათშორის კომუნიკაციის ძირითად ხელისშემშლელ პირობად საკუთარ და უცხო კულტურას შორის მსგავსების დაშვებას და განსხვავების უგულელყოფას წარმოადგენს, რაც უმეტესწილად წარმოშობს მონაწილეთა ერთმანეთის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას. უნდა გავითვალისწინოთ

ფაქტი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია მოლაპარაკების წარმოების პროცესში, გავმიჯნოთ ერთმანეთისგან პიროვნება, რომელიც წარმოადგენს განსხვავებულ კულტურას და პრობლემა. სხვა სიტყვებით, რომ ავხსნათ, შესაძლებელია ჩვენთვის მიუღებელი იყოს პრობლემატური საკითხი და არა ის ღირებულებები, რომელიც მოლაპარაკების პროცესში მონაწილე სხვა კულტურის წარმომადგენელს გააჩნია. ჩვენი მიზანია მოლაპარაკების პროცესის დასასრულს შეთანხმების მიღწევა, რასაც გაცილებით გაგვიმარტივებს მეორე მხარის ღირებულებების გაგება და მოქმედება ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, პრობლემურ საკითხთან მიმართებაში.

საკუთარი სტერეოტიპის იდენტიფიკაცია. სტერეოტიპი გარკვეული ჯგუფების შესახებ არსებული ფიქსირებული შეხედულებებია. ხშირ შემთხვევაში ერთხელ შექმნილი წარმოდგენა ადამიანთა კატეგორიის შესახებ ვრცელდება მის ყველა წევრზე მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა იგი კონკრეტულ პიროვნებას. შესაბამისად, არსებობს სტერეოტიპები სხვადასხვა ეროვნებისა და პროფესიის წარმომადგენლების, რელიგიური ჯგუფებისა და სხვათა მიმართ. სტერეოტიპები შეიძლება იყოს როგორც უარყოფიტი (შემთხვევა, როდესაც ჯგუფის წარმომადგენლები არიან კომფლიქტურები, არ არიან პაიოსნები), ასევე დადებითი (შემთხვევა, როდესაც ფგუფის წარმომადგენლები არიან შრომისმოყვარეები, ლამაზები), თუმცა უფრო ხრირად ისინი უარყოფითია. თუ ჩვენ გვაქვს სტერეოტიპი იმ ჯგუფის მიმართ, რომლის წარმომადგენელთანაც ვაკავშირებს ურთიერთობა, ვაწარმოებთ მოლაპარაებას, მან შეიძლება ხელი შეგვიშალოს ეფექტური კომუნიკაციის წარმართვაში: შეიძლება ამ პიროვნებას მივაწეროთ თვისებები, რა ამ სტერეოტიპშია გაერთიანებული და ვერ აღვიქვათ მისი რეალური თვისებები.ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახება საბოლოო შედეგზე, შესაბამისად მოლაპარაკების პროცესი არასწორი მიმართულებით წარიმართება. ამისათვის საჭიროა წინასწარ განვსაზღვროთ დეტალები, რომლებიც თავიდან აგვარიდებს გაურკვევლობას.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ეტაპი: საბოლოო გა-

დაწყვეტილების მიღების პროცესში აუცილებელია ნებისმიერი საკითხის ზუსტი ანალიზი. სწორად მიღებული გადაწყვეტილება განსაზღვრავს რისკებს, რომლის წინაშეც დგას ორგანიზაცია. იმისათვის, რომ რადიკალური გადაწყვეტილება არ გახდეს კომპანიაში ახალი პრობლემების ფორმირების დასაბამი, სწორად უნდა გავსაზღვროთ მეორე მხარის კულტურული მახასიათებლები, რომელიც მოლაპარაკების პროცესის სწორად წარმართვასა და უკიდურეს შემთხვევაში, მის დასრულებას შეუწყობს ხელს.

სიტუაციური ანალიზი. საბოლოო გადაწყვეტილება, იქნება ეს შეთანხმება თუ შეუთანხმებლობა, აუცილებელია ბიზნეს ურთიერთობების/მოლაპარაკების პროცესის წარმოების ხელმეორედ გადახედვა და საბოლოო ანალიზის გაკეთება. შეუთანხმებლობა მოლაპარაკებას დისკუსიის ეტაპზე აბრუნებს. ეს არის ბუნებრივი ეტაპი, რომელიც ორმხრივად მისაღები ვარიანტების ძიების განახლებას ნიშნავს. ეს არის გზა, რომელი მოითხოვნს განვლილი ეტაპებს გამეორებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ორმხრივად სასურველი შეთანხმების მიღება. „ბუმერანგი“ სახელწოდებაც სწორედ აქედან გამომდინარეობს. განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთან მოლაპარაკების წარმოების პროცესის დადებითი ეფექტის მისაღებად შესაძლებელია ამ პროცესის ეტაპების რამოდენიმეჯერ გავლა მოგვიწიოს შეთანხმების მიღწევამდე.

ბიზნეს ურთიერთობების სამივე ეტაპზე მნიშვნელოვანია კულტურულ მახასიათებლებზე მოქმედი დადებითი ფაქტორების, რეკომენდაციების გათვალისწინება, იმისათვის, რომ მაქსიმალურად ვაკონტროლოდ სიტუაცია, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი საქმიანობის ეფექტურ მიმდინარეობას მაქიმალურად გაუთვალისწინებელი, დაუგეგმავი პროცესების გარეშე. ამ კონრეტულ საკითხთან დაკავშირებული სქემის სახელწოდება „ბუმერანგი“, გარდა მისი შინაარსობრივი დატვირთვისა, ხაზს უსვავს თემის აქტუალურბოას, იქიდან გამომდინარე, რომ კულტურულ თავისებურებებთან დაკავშირებული პრობლემის წინაშე პიროვნება საკუთარი კარიერული მოღვაწეობის განმა-

ვლობაშ რამოდენიმეჯერ შეიძლება დადგეს. ყველაზე მკაფიოდ კულტურული თავისებურებები ვლინდება სხვა საზოგადოების წარმომადგენელან ურთიერთქმედებაში - იქნება ეს მოლაპარაკების წარმოება, ერთობლივი საწარმოს ორგანიზება თუ გამოცდილების გაზიარება.

ბიზნეს მოლაპარაკების ფორმირების კონსესური ტიპისათვის ხშირ შემთხვევაში უნდა დავაწესოთ მინიმალური შეზღუდები ნაციონალურ დონეზე, რომელიც ასახავს ნებისმიერი მხარის ინტერესს და მიმართულია ორგანიზაციის მთავარი მიზნის მისაღწევად. კულტურული მახასიათებლების შეფასებით შესაძლებელია მსჯელობა იმაზე, თუ რა კავშირშია კულტურა და ბიზნეს ურთიერთობები, პიროვნულ ღირებულებებთან , ფასეულობებთან, რაც თავის მხრივ გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა იმ ბიზნეს გარემოზე, რა პირობებშიც უწევს ორგანიზაცის ფუნქციონირება და კონკრეტულ ინდივიდს საკუთარი თავის დამკვიდრება.

ბინზეს ურთიერთობების სფეროში ფორმულირებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ბიზნესის განვითარების დარგობრივი მიღწევების შედეგად იკვეთება მომავლის ბიზნესის კონტურები, რომლებიც ბადებს ადგილობრივი ბაზრისათვის ახალ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებს საერთაშორისო სამეწარმეო ურთიერთობებში ჩართული კომპანიების ხელმძღვანელებსა და ბიზნესმენების მიმართ.

შედეგი განისაზღვრება ადგილობრივი ბაზრისათვის ფორმირებული მმართველობითი სისტემის კომპეტენტურობის დემონსტრირებით და განსხვავებული კულტურის წარმომადგენელ მხარეებს შორის ორმხრივი სარგებლიანი თანამშრომლობის დამყარებით. ამ საკითხში წარმატების მიღწევისათვის აუცილებელია კულტურულ თავისებურებებთან დაკავშირებული თანამედროვე ტექნოლოგიების თეორიული ცოდნა, თანამედროვე მიდგომების საკუთარი ქვეყნის კულტურული ინტერესების დასაცავად გამოყენება, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთთნამშრომლობის გამოცდილება და ყოველივე ზემოდხსენებულის პრაქტიკაში განხორციელება,

რაც განსაზღვრავს ჩვენი საბოლოო მიზნის მიღწევას, განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან ეფექტიანი თანამშრომლობით კომპანიის მოგების მაქსიმიზაციას, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას ქვეყნის ძირითადი ინტერესებიდან გამომდინარე.

ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., მარიდაშვილი მ., ჩეჩელაშვილი მ., მახარაშვილი ი., ღამბაშიძე., „შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია“ . თბ. 2015წ.

2. ბარათაშვილი ე.,ნადარეიშვილი ნ., ძიძიკაშვილი ნ., კლასტერიზაციის თეორიული საფუძვლები და მათი დანერგვის წინაპირობები ჟურნალი “საქართველოს ეკონომიკა”. 2007 №9

3. ბარათაშვილი ე., შედარებითი ანალიზის როლი გარდამავალი ეკონომიკის შესწავლაში ჟურნალი “მეცნიერება და ტექნოლოგიები” №1-2, თბ. 2008 წ.

4. ბარათაშვილი ე., ჯოლია გ., ბულია ლ., კომპარატივისტიკული მენეჯმენტი ჟ. “ეკონომიკა”№10 2008წ.

5. Hofstede, Geert., Culture’s Consequences: comparing values, behaviors, institutions, and organizations across nations (2nd ed.), 2001

6. Hofstede, Geert ., “The Poverty of Management Control Philosophy”. The Academy of Management Review (Academy of Management), 1978

7. Hofstede, Geert ., “Culture’s Consequences: International Differences in Work-Related Values”. Administrative Science Quarterly (Johnson Graduate School of Management, Cornell University), 1983

8. Hofstede, Geert., “Cultures and Organizations: Software of the Mind”. Administrative Science Quarterly (Johnson Graduate School of Management, Cornell University), 1993

REFERENCES:

1. Baratashvili E., Zarandia J., Maridashvili M., Chechelashvili M., Makharashvili I., Gambashidze., "Comparative Management and Clusterization". Tbilisi, 2015; (In Georgian Language);

2. Baratashvili E., Nadareishvili N., Dzidzikashvili N., Theoretical Glossary of Clasticization and Prerequisites for their introduction Journal "Georgian Economy". 2007 No. 9; (In Georgian Language);

3. Baratashvili E., The Role of Comparative Analysis in the Study of the Transition Economy Journal "Science and Technologies" №1-2, Tbilisi, 2008; (In Georgian language);

4. Baratashvili E., Jolia G., Bulia L., Comparative Advisory Management "Economics" №10 of 2008; (In Georgian Language)

5. Hofstede, Geert., Culture's Consequences: comparing values, behaviors, institutions, and organizations across nations (2nd ed.), 2001

6. Hofstede, Geert ., "The Poverty of Management Control Philosophy". The Academy of Management Review (Academy of Management), 1978

7. Hofstede, Geert ., "Culture's Consequences: International Differences in Work-Related Values". Administrative Science Quarterly (Johnson Graduate School of Management, Cornell University), 1983

8. Hofstede, Geert., "Cultures and Organizations: Software of the Mind". Administrative Science Quarterly (Johnson Graduate School of Management, Cornell University), 1993

THE RIGHT FORMATION OF NEGOTIATION PROCESS ACCORDING TO CULTURAL CHARACTERISTICS

Mariam Kipshidze
PhD Student of GTU

RESUME

The article presents the scheme of right formation of negotiating process, adjusted for cultural characteristics. It had practical meaning because, the focus is on the recommendations, which we can use in the production of various stages of negotiation. Narrow context of „Bumerang" model, which reflects the cultural characteristics of the business relationship between the influence of three main stages: the initial stage of the business relationship, development and final stage. There are recommendations on how to act with a different culture representatives during the negotiation process, and how to prepare to negotiate cost-effective manner, in order to avoid unpredictable consequences and control the cooperation and negotiation process constantly, while a variable process that identifies each company's profit maximization and makes the stable business environment for cooperation.

Key words: cultural peculiarities, cultural values, business negotiations, business relationships, negotiating stages, initial stage of business negotiations, development stage of business negotiation, final stage of business negotiations, formation of negotiation process.

პრობლემურ გადაწყვეტილებათა მიღებისას სიტუაციების განვითარების მოდელირება

პაატა კოღუაშვილი
სტუ პროფესორი
მარიამ ხიზანიშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია გადაწყვეტილების მიღებისას პრობლემური სიტუაციები, როგორიცაა განუსაზღვრელობა და რისკები, მოდელირების საკითხები. აღნიშნულია, რომ გადაწყვტილების მიღების შემუშავების მეთოდოლოგია მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა მართვის გარე და შიდა გარემოს მახასიათებელი ინფორმაციის არსებობა და სახეები; დრო, რომელიც განკუთვნილია მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების, მიღებისა და განხორციელბისთვის; მართვის მიზნის ანალიზი და პრობლემის გადაწყვეტის ალგორითმების მიღება. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ მოდელირების მეთოდთა შერჩევასა და გამოყენებას და პროგნოზირების მოდელების ტიპს. თავის მხრივ, მოდელი მეტწილად განაპირობებს გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობას. მოდელირება ხორციელდება იმიტაციური, საგნობრივი ინფორმაციისა და ლოგიკის, რაოდენობრივი და მათემატიკური მეთოდების ბაზაზე.

ნაშრომში ფართოდაა განხილული გადაწყვეტილების დასაბუთების სხვადასხვა მეთოდები. უნდა აღინიშნოს, რომ მეტად ეფექტურია სიმულაციურ-იმიტაციური მეთოდები. მენეჯერს წარმოების პროცესში გადაწვეტილების დასაბუთებაში დახმარება შეიძლება გაუწიოს სიმულაციური მოდელირების, გადაწყვეტილების შერჩევის კრიტერიუმის გამოყენებამ. გადაწყვეტილების შერჩევის დასაბუთებისათვის გამოყენებულ ცნობილ კლასიკურ კრიტერიუმებთან ერთად - ბალდის მაქსიმინი კრიტერიუმი, ბეისისა და ლაპლასის კრიტერიუმები, შეიძლება გა-

მოყენებულ იქნას წარმოებული კრიტერიუმები მაგ: გურვიცის, გერმეიერის და სხვა., რომლითაც ინსტრუმენტების გამოყენების გაფართოება მოხდეს. თამაშთა თეორიისა და სტატისტიკური გადაწყვტილების მათემატიკური აპარატი მენეჯერის უპირატესობათა შესაბამისობაში განუსაზღვრელობისა და რისკის პირობებში შერჩევის სხვადასხვა კრიტერიუმების გამოყენების საშალებას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთების მეთოდები, პრობლემური სიტუაციები: განუსაზღვრელობა და რისკი, მოდელირება, იმიტაციურ-სიმულაციური მეთოდები.

ძირითადი ტექსტი

გადაწყვეტილების შემუშავება და განხორციელება განუსაზღვრელობის და რისკის პირობებში მოითხოვს არა მარტო გარე გარემოს შემუშავებას, არამედ მათი ცვლილების პროგნოზირებას.

გადაწყვტილების მიღების შემუშავების მეთოდოლოგია მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა მართვის გარე და შიდა გარემოს მახასიათებელი ინფორმაციის არსებობითა და სახეებით; დროით, რომელიც განკუთვნილია მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების, მიღებისა და განხორციელბისთვის; მართვის მიზნის ანალიზითა და პრობლემის გადაწყვეტის ალგორითმების მიღებით.

სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ მოდელირების მეთოდთა შერჩევასა და გამოყენებას და პროგნოზირების მოდელების ტიპს. თავის მხრივ, მოდელი მეტწილად განაპირობებს გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობას. მოდელირება ხორციელდება ინტუიციური, საგნობრივი ინფორმაციისა და ლოგიკის, რაოდენობრივი და მათემატიკური მეთოდების ბაზაზე.

მმართველობითი გადაწყვეტილება ეფუძნება საწარმოო სისტემებისა და მათი გარემოს სამომავლო მდგომარეობის პროგნოზს, რაც წარმოქმნის თითოეული გადაწყვეტილების შედეგების შეფასებაში განუსაზღვრელობას. ეს განუსაზღვრე-

ლობა დაკავშირებულია იმასთან, რომ მართვის ობიექტის შესახებ ინფორმაციის მომენტიდან გადაწყვეტილების მიღებისას მათი გამოყენების მომენტამდე პერიოდის განმავლობაში შეიძლება ხდებოდეს: საჭირო ინფორმაციის მოძველება; პროგნოზირების ობიექტის ფუნქციების, სტრუქტურის, გარე გარემოს ფუნქციების, პარამეტრების ცვლილება.

პროგნოზირების მეთოდები პირობითად შეიძლება დავყოთ: რაოდენობრივ, ხარისხობრივ და არაფორმალურ მეთოდებად. რაოდენობრივი უმარტივესი მეთოდია ექსტრაპოლაცია, რომელიც იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა რომელიმე მოვლენის განვითარებაში არსებული ტენდენცია შეიძლება გავრცელდეს მომავალზე. არსებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სტატისტიკურად უტყუარი დამოკიდებულებები შესაძლო კორექტირების შეტანისათვის. ექსპტრაპოლაციის მეთოდებით გაიანგარიშება საქონლბრუნვის, პროდუქციის წარმოების, კადრებზე მოთხოვნის მოცულობისა და სტრუქტურის პროგნოზები.

პროგნოზების გაანგარიშების ცნობილი მეთოდებია დინამიკური მწკრივის ანალიტიკური და ზრდის ტემპის ან საშუალო აბსოლუტური მატების საფუძვლზე მოსწორების მეთოდები.

მიზეზ-შედეგობრივი მოდელირება მიმართულია საკმარისად რთული მოვლენის ანალიზისაკენ ორი ან უფრო მეტი ცვლედების შემთხვევაში. პროგნოზირების თვისებებრივი მეთოდები გამოიყენება რაოდენობრივი შეფასებისათვის აუცილებელი არასაკმარისი ინფორმაციის შემთხვევაში. ექსპერტებად იწვევენ ავტორიტეტულ სპეციალისტებს, მომხმარებლებს. რეკომენდირებულია თვისებრივი მეთოდები, მ.შ. ევრისტიკული მეთოდები, განუსაზღვრელობასთან დაკავშრებული პრობლემის გადაწყვეტისას გონივრული კომბინაციით იქნას გამოყენებული.

პროგნოზირების არაფორმალური მეთოდები დაფუძნებულია სხვადასხვა მეთოდებით მიღებულ ინფორმაციაზე. ვერბალური ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (რადიო, ტელევიზია), მომხმარებელი,

მომწოდებლები, კონკურენტები, თათბირი, კონფერენცია, კონტრაქტორები. ასეთი ინფორმაცია ნაკლები მატერიალური დანახარჯებითა და მოკლევადიანობით ხასიათდება.

გადაწყვეტილების მიღების დასაბუთებისას აუცილებელია საკმარისი მოცულობით უტყუარ ინფორმაციას ვფლობდეთ. გადაწყვეტილების მიმღებ და ინფორმაციის მომწოდებელ პირებს შორის კავშირი ეფექტური იქნება, თუ შეტყობინება, მოდელების მიხედვით გაანგარიშებები სინამდვილის ამსახველი და ადეკვატურია, თუ საკომუნიკაციო არხები ხელმისაწვდომია, თუ გადაწყვეტილების მიმღები პირი მზადაა ინფორმაციის მისაღებად მათი ინტერპრეტაციისათვის. ფართოდ გავრცელებულია შეხედულება იმის შესახებ, რომ უფრო მეტი ინფორმაციის შეგროვება უკეთესია. თუმცა არის შემთხვევები, როცა კარგი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი და ნაკლებად ხარჯიანი [5]. ინფორმაციის ღირებულებაში უნდა ჩავრთოთ მათ შეგროვებაზე მენეჯერების დახარჯული დროის ანაზღაურება, ფაქტიური დანახარჯები. ამიტომ მენეჯერებმა უნა გადაწყვიტონ არსებითია თუ არა დამატებითი ინფორმაციიდან მიღებული სარგებელი, რამდენად მნიშვნელოვანია თავად გადაწყვეტილება, დაკავშირებულია თუ არა იგი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყენებასთან ან უმნიშვნელო ფულად საშუალებებთან.

თუ ინფორმაციის მისაღებ ფასში მიღება მარტივი არაა, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა მალე გვექნება, ყველაზე სწორი იქნება თუ გადავდებთ გადაწყვეტილების მიღებას, იმ პირობით, რომ დრო არ წაარმოადგენს კრიტიკულ ფაქტორს და დროში გაწელვიდან წარმოშობილი დანაკარგები გადაიფარება დამატებითი ინფორმაციის ხარჯზე მიღებული უფრო ხარისხიანი გადაწყვეტილების სარგებლით.

ნახაზზე 1. მოცემულია სამი შემთხვევა, რომლიც შეიძლება წარმოიშვას დანახარჯებისა და დამატებითი ინფორმაციიდან მიღებული სარგებლის შეფასებისას (a - სარგებელი ინფორმაციიდან, b - ხარჯები ინფორმაციაზე).



ნახ. 1. დამატებითი ინფორმაციაზე გაწეული დანახარჯების სარგებლიანობის შეფასება

პირველ შემთხვევაში ინფორმაციის თითოეულ დამატებითი ერთეულის დანახარჯები სარგებლის ტოლია.

მეორე შემთხვევაში სარგებელი დანახარჯებზე მეტია - ასეთი ინფორმაციის მიღება სასურველია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში დროითი და ინტელექტუალური შეზღუდულობა საბოლოოდ მკვეთრად ამცირებს ინფორმაციის შეძენიდან მიღებულ სარგებელს.

მესამე შემთხვევაში დანახარჯები ფარავენ სარგებელს გარკვეულ წერტილამდე.

გადაწყვეტილების დასაბუთების მეთოდების შესწავლა, რომელიც რიგ ნაშრომებშია მოცემული [1, 5, 9], საშუალებას იძლევა უფრო ხშირად გამოვყოთ გამოყენებითი მეთოდები.რაოდენობრივი მეთოდები - ანალიტიკური მეთოდები, მათემატიკური (ოპერაციული) პროგრამირება (წრფივი, პარამეტრული), ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები (კორელაციური ანალიზი, კავშირების მოსწორება), პრობლემური მეთოდები (ქსელური დაგეგმვა, მასობრივი განხილვის თეორია, მარაგების მართვის თეორია, თამაშთა თეორია). ადამიან-მანქანური მეთოდები - ექსპერტული სისტემები, დიალოგის მეთოდები. კომპლექსური მეთოდბი - ფუნქციურ-ღირებულებითი ანალიზი, სისტემური ანალიზი. იმიტაციური მოდელირება - სტატისტიკური მოდელირება, თამაშების მოდელირება. საბოლოო შერჩევის მეთოდები - თამაშების პროგრამირება, გადაწყვეტილების ხე.

მმართველობითი გადაწყვეტილების სხვადასხვა ვარიანტების შეფასების ჩატარება შესაძლებელია მოდელირების

მეთოდების შესახებ ცოდნის გამოყენებით, ოპერაციულ მენეჯმენტში ორგანიზაციის დონეზე გადაწყვეტილების მიღების ანალიზისათვის მნიშვნელოვან მაჩვენებელთა გაანგარიშების წარმოებით, რაც ნებისმიერი საწარმოო პროცესის საქმიანობის წარმატების ფაქტორია. გადაწყვეტილების შესაძლო ვარიანტების ყოველმხრივი ანალიზისა და მათი არგუმენტირებული დასაბუთებისათვის აუცილებელი სრულყოფილი ინფორმაცია, მეთოდებთან ერთად გადაწყვეტილების დასაშვები მრავალი ვარიანტი და მათი სხვადასხვა კომბინაცია მათემატიკური პროგრამირების მოდელის გამოყენების წინაპირობაა. ოპერაციათა გამოკვლევის ეს მეთოდი საშუალებას იძლევა განისაზღვროს გადაწყვეტილების ყველაზე საუკეთესო ვარიანტი, რომლის ოპტიმალურობის კრიტერიუმს მიზნის მიღწევა წარმოადგენს. გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა დასაბუღებული შერჩევის ჩასატარებლად უნდა განსაზღვროს გადაწყვტილების მრავალი შესაძლო ვარიანტი, შეაფასოს თითოეულის შესაძლო შედეგის მიღების, განვითარების ცუდი, უფრო მისაღები და კარგი ვარიანტის შესაბამისი სიტუაციის წარმოშობის ალბათობა. ამისათვის უნდა შეფასდეს იმ ფაქტორების აუცილებელი რაოდენობა, რომელიც მოდელში იქნება გამოყენებული და რომელზეც დამოკიდებულია მიღებული გადაწყვეტილების განხორციელების წარმატება.

იმიტაციური მოდელირება მოდელის საკვანძო ცვლადებისათვის წინასწარ მიცემული ალბათობის მნიშვნელობის გამოყენებით გადაწყვეტილების სხვადასხვა ვარიანტების „გათამაშების“ საშუალებას იძლევა. გათვალისწინებულ მაჩვენებელთა ყველა შესაძლო მნიშვნელობის განაწილება მათი დადგომის ალბათობის განსაზღვრასთან ერთად საპროექტო გადაწყვეტილების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებაში გვეხმარება. მისაღები გადაწყვეტილების შედეგზე უფრო მეტი გავლენის მქონე ფაქტორების განსაზღვისათვის გამოიყენება მრავალგანზომილებიანი ანალიზის მეთოდები და მოდელის მგრძნობელობის ანალიზის ჩატარება. ასეთი ანალიზის ჩატარებისას ხორციელდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

ცვლადის სიდიდის ცვლილება და გადაწყვეტილების შედეგობრივი მაჩვენებლის მნიშვნელობის ხელახალი გაანგარიშება, მაგ., მიმდინარე წმინდა ღირებულების მნიშვნელობები. ანალიზის შედეგები გვიჩვენებს თითოეული ცვლადის გავლენის ხარიხს შედეგების ცვლილებაზე და საშუალებას იძლევა გამოყოფილ იქნას უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორები.

საწარმოო სიტუაციების განუსაზღვრელობა მეტწილად განისაზღვრება შემთხვევითი ფაქტორებით, რომელთა წინასწარ გათვალისწინება არ შეიძლება, თუმცა შემთხვევითობაზე დაკვირვებათა დიდი რიცხვის შემთხვევაში შესაძლებელია დავინახოთ, რომ შემთხვევითობის სამყაროში მოქმედებს გარკვეული კანონზომიერება. მათემატიკური აპარატი შეისწავლის ამ კანონზომიერებებს, კერძოდ, ალბათობის თეორიით. შემთხვევითი მოვლენა ალბათობის თეორიის შესწავლის საგანი ხდება მაშინ, როცა მასთან დაკავშირებულია მისი ალბათობის გარკვეულ რიცხობრვი მახასიათებლები. ალბათობა შემთხვევითი მოვლენის პროგნოზირების საშუალებას იძლევა და მათ რაოდენობრივ და თვისებრივ ხასიათს ანიჭებს. ამასთან, მცირდება განუსაზღვრელობისა და რისკის ხარისხი.

წარმოების ოპერაციის განუსაზღვრელობა დიდწილად ფაქტორთა ურთიერთქმედებით განისაზღვრება. საწარმოო სიტუაციაში ყოველთვის არსებობს მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგობრიობა. ეს შეიძლება იყოს შრომით კოლექტივში სხვადასხვა კონფლიქტების ან ბაზარზე კონკურენტების ბრძოლის, არაკეთილსინდისიერი პარტნიორების მიერ ხელშეკრულლების პირობების დარღვევის შედეგად განპირობებული შეგნებული წინააღმდეგობები. ისინი შეიძლება გამოწვეული იყოს გარე გარემოს ფაქტორებით - კატასტროფებით, ხანძრებით, ბუნებრივი მოვლემებით, ომებით, მოთხოვნის ცვლილებთ და ა.შ.

მენეჯერმა მმართველობითი გადაწყვტილების მომზადებისა და განხორციელების პროცესში უნდა შეირჩეს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც წინააღმდეგობრიობის ხარისხს შეამცირებს, რაც, თავის მხრივ, დაწევს რისკის დონეს.

მენეჯერი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთებისას მოდელირების მეთოდების შერჩევისას იყენებს სხვადასხვა კრიტერიუმებს. მართვის, ორგანიზების, პროექტირების და სხვა სახის გადაწყვეტილების ალტერნატიული ვარიანტების შერჩევა მოითხოვს გამომთვლელი ტექნიკისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებას შერჩეული ვარიანტის დასაბუთებისათვის. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია, სიმულაციური და სტატისტიკური გადაწყვეტილების თეორია [2, 5, 2].

მოცემული მეთოდის გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას სარგებელი, დანახარჯები, მოგება და ზარალი ან მიზნის მიღწევის ხარისხი იმ პირობით, რომ c ალბათობით წარმოიშობა სიტუაცია Π_j „ხასიათით“. ხასიათში იგულისხმება წარმოებაში გარე და შიდა ფაქტორების გავლენით შექმნილი მდგომარეობა. სიტუაციის განხილვისას ყველა შესაძლო ალბათობის ჯამი ერთის ტოლია: $\sum q_j$=1. ყველაზე უკეთესი გადაწყვეტილების განსაზღვრისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას მოსალოდნელი შედეგების საშუალო მნიშვნელობა Π_j გარემოში V_i ალტერნატივის შერჩევის პირობით სხვდასხვა სიტუაციის წარმოშობის ალბათობის გათვალისწინებასთან ერთად. მარკეტინგული კვლევა ასეთი სიტუაციების წარმოშობის შესაძლო ალბათობების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. მოთხოვნის თითოეული შესაძლებელი მნიშვნელობისათვის არსებობს შეთავაზების უკეთესი დონე შესაძლო დანახარჯებისა და მოგების თვალსაზრისით. ამ დონიდან გადახრა დაკავშირებულია რისკთან და შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი ხარჯები მოთხოვნის ან მოთხოვნის არასაკმარისად დაკმაყოფილების შემთხვევაში.

ფუნქციის შესრულების ხარისხის, გარე გარემოში სიტუაციის წარმოშობის შესახებ მონაცემები ვლინდება წარმოების ფუნქციონირების გასული პერიოდის მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის ან საექსპერტო გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე. ექსპერტების გადაწყვეტილებათა შერჩევის აქტივიზაციისათვის გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა გონებრივი შტურმი, დელფის მეთოდი, გადაწყვე-

ტილების ხის მსგავსი მეთოდები, მორფოლოგიური მეთოდები, სიმულაციური და იმიტაციური მოდელირება.

მენეჯერს წარმოების პროცესში გადაწვეტილების დასაბუთებაში დახმარება შეიძლება გაუწიოს სიმულაციური მოდელირების, გადაწყვეტილების შერჩევის კრიტერიუმის გამოყენებამ. გადაწყვეტილების შერჩევის დასაბუთებისათვის გამოყენებულ ცნობილ კლასიკურ კრიტერიუმებთან ერთად - ბალდის მაქსიმინი კრიტერიუმი, ბეისისა და ლაპლასის კრიტერიუმები, შეიძლება გამოყენებულ იქნას წარმოებული კრიტერიუმები (მაგ., გურვიცის, გერმეიერის და სხვ.) და ინსტრუმენტების გამოყენების გაფართოება მოხდეს. თამაშთა თეორიისა და სტატისტიკური გადაწყვტილების მათემატიკური აპარატი მენეჯერის უპირატესობათა შესაბამისობაში განუსაზღვრელობისა და რისკის პირობებში შერჩევის სხვადასხვა კრიტერიუმების გამოყენების საშალებას იძლევა. მოთხოვნის ყოველი შესაძლო მნიშვნელობისათვის არსებობს წინადადების საუკეთესო დონე, შესაძლო დანახარჯებისა და მოგების თვალსაზრისით, ამ დონეებიდან გადახრები დაკავშირებულია რისკთან და შეიძლება დამატებითი ხარჯების გაწევა დარჩეს საჭირო მათზე მოთხოვნის გადიდების ან მოთხოვნის არასრული დაკმაყოფილების გამო.

გადაწყვეტილების საუკეთესო ვარიანტის შერჩევისათვის არსებობს სხვადასხვა კრიტერიუმები. მაქსიმალური კრიტერიუმის გაფართოებას წარმოადგენს გარე გარემოს პირობების q_j ალბათური მდგომარეობისა და მენეჯერების მიერ განხორციელებული გადაწყვეტილების სხვადასხვა ვარიანტების p_j განხორცელების შეფასება ადრინდელი გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, გადაწყვეტილების განხორციელებისთვის მზადყოფნის ხარისხის შეფასება, შემსრულებელთა მიერ გადაწყვეტილების ვარიანტების, რესურსებით და ა.შ. მხარდაჭერის ხარისხი. მაშინ კრიტერიუმებს ექნება სემდეგი სახე: $C_i * (Wg) = maxmina_{ij}p_iq_j$ *(3.2.1.)*

სადაც, a_{ij} - გადაწყვეტილების i-ური ვარიანტის განხორციელების შედეგი გარე გარემოს j-ური სიტუაციისას. გერმეირის კრიტერიუმი აისახება შემდეგი გამოსახულებით:

$C_i * (Gm) = maxmin\, a_{ij} q_j$ (3.2.3.)

კრიტერიუმის გამოყენებისას დანაკარგების სიდიდისათვის ყველა a_{ij} მნიშვნელობები უაროფითი უნდა იყოს. თუ a_{ij} სიდიდეებს შორის დადებითი მნიშვნელობაა, მაშინ აუცილებელია a_{ij} -ის გარდაქმნა - უარყოფით მნიშვნელო-ბის მისაღებად. შერევის a>0 სიდიდე ისეთნაირად შეირჩევა, რომ ყველა a_{ij} მნიშვნელობა მკაცრად უარყოფთი უნდა იყოს

ბაიესისა და ლაპლასის კრიტერიუმებით გვექნება შემდეგი გამოსახულება:

$C_i * (Gm) = max \sum_i^n a_{ij} p_i q_j$ (4.)

ხოჯა-ლემანის კრიტერიუმი გამოიყენება სანდოობის ხარისხი d(0≤d≤1):

$C_i * (HL) = max\{d \sum_i^n a_{ij} * p_i + (1-d) min\, a_{ij}\}$ (5)

მოქნილი, შექმნილ სიტუაციისადმი მისადაგებული კრიტერიუმის მიღებისათვის, შეიძლება გამოყენებულ იქნას შემადგენლობითი კრიტერიუმი. საწყის კრიტერიუმად აიღება მაქსიმინი კრიტერიუმ $C_i * (HL) = max \min a_{ij}$

სიმბოლო (*) აღინიშნება ალტერნატივა, რომელიც შეესაბამება შერჩევის მაქსიმინი კრიტერიუმი. აუცილებელია მიეთითოს დასაშვები რისკის დონედ $\varepsilon_{დაშ} > 0$ და შედეგად განისაზღვრება ზოგიერთი თანხმობა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობას:

$\gamma_i = a_i * - min a_{ij} \leq \varepsilon_{დაშ}$

γ_i სიდიდე ახასიათებს დანაკარგების უდიდეს შესაძლებლობას $a_i *$ სიდიდესთან შედარებით. შესაძლებლობები მონაგების გადიდებისათვის განისაზღვრება შემდეგი თანაფარდობით: $\delta_i = max\, a_{ij} - \max a_{ij} * \geq \gamma_i$

აქ სიმბოლო (*) აღნიშნავს იმ სვეტების ელემენტებს, სადაც მდებარეობს სიდიდე $a_i *$. საბოლოო შეფასებისათვის აიღება ის ვარიანტი, რომელიც აკმაყოფილებს მოცემულ პირობას და გააჩნია მონაგების მათემეტიკურ ლოდინის უდიდესი მნიშვნელობა:

$C_i * (BW) = max \sum_{j=1}^n a_{ij} * q_i$ როცა $\gamma_i \leq \varepsilon_{დაშ}$ და $\delta_i \geq \gamma_i$

ამ კრიტერიუმის გამოყენება ითვალისწინებს სიტუაციას, როცა მენეჯერი იმთავითვე განაგებს ინფორმაციას რომელიმე განსაზღვრული ალბათური განაწილების გამოყენებაზე, თუ აუცილებელია სხვადასხვა სახის მდგომარეობის კომბინაციის გათვალისწინება გამართლებული რისკის შეზღუდვის დაშვებისას, გადაწყვეტილების მრავალჯერადად განხორციელების შესაძლებლობის შემთხვევისათვის.

მოქნილი შემადგენლობის კრიტერიუმის მიღების სხვა მაგალითი, სადაც საწყისად გამოიყენება მინიმაქსის კრიტერიუმი: შესაძლებელია ბეიესის კრიტერიუმის კომბინაცია სევიჯის (Adam Whitney Savage) კრიტერიუმთან (ეს უკანასკნელი წარმოადაგენს საწყის კრიტერიუმს): $C_i(S) = min \max n_{ij} = R_i *$

სადაც $r_{ij} = max\ a_{ij} - a_i *$ სიმბოლო (*) აღნიშნავს ალტერნატივას, მინიმაქსი კრიტერიუმის შერჩევის შესატყვისი. გადაწყვეტილების დასაშვები შერჩევისათვის აუცილებელია ზოგიერთი პირობის შესრულება. აუცილებელია მითითებულ იქნას რისკის დასაშვები დონე $\varepsilon_{დაშ} > 0$ და შედეგად განსაზღვრულ იქნას მრავალი თანხმობიდან ზოგიერთი მათგანი, რომელიც შემდეგ პირობებს დააკმაყოფილებს:

$\mu_i = max\ n_{ij} - R_i * \leq \varepsilon_{დაშ}\, \varepsilon_{დაშ} > 0$

μ_i სიდიდე ხასიათდება რისკის მაღალ შესაძლებლობის $R_i *$ სიდიდესთან შედარებით. რისკის შემცირების შესაძლებლობა განისაზღვრება შემდეგი თანაფარდობით $\eta_i = \max r_{ij} - \min r_{ij} \geq \mu_i *$

აქ (*) სიმბოლოთი აღნიშნება იმ სტრიქონის ელემენტებს, რომელშიც არის $p_i *$ სიდიდე. საბოლოო შერჩევისათვის აიღება ის ვარიანტი, რომელიც აკმაყოფი-ლებს მოცემულ პირობებს და გააჩნიათ რისკის უმცირესი მათემატიკური ლოდინი. გადაწყვეტილებისათვის, რომელიც აკმაყოფილებს ამ პირობებს გამოიყენება ბაიესის კრიტერიუმი რისკის სიდიდისათვის $C_i * (BS) = max \sum_{j=1}^{n} n_{ij} q_j$

რამდენადაც კრიტერიუმები გადაწყვეტილების ვარიანტის უპირატესობაზე მიუთითებს, ეს გასათვალისწინებელი უნდა იქნას მენეჯერების მიერ საბოლოო შერჩევისას.

დასკვნა

გადაწყვეტილების შემუშავება და განხორციელება განუსაზღვრელობის და რისკის პირობებში მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება გარე და შიდა გარემოს ფაქტორებით, რომელიც განსაზღვრავს კიდევაც მოდელირების მეთოდთა შერჩევასა და გამოყენებას და პროგნოზირების მოდელების ტიპს. გადაწყვეტილების მიღების დასაბუთებისათვის აუცილებელია საკმარისი მოცულობით უტყუარი ინფორმაცია. მენეჯერს წარმოების პროცესში გადაწვეტილების დასაბუთებაში დახმარება შეიძლება გაუწიოს სიმულაციური მოდელირების, გადაწყვეტილების შერჩევის კრიტერიუმის გამოყენებამ. კლასიკურ კრიტერიუმებთან ერთად - ბალდის მაქსიმინი კრიტერიუმი, ბეისისა და ლაპლასის კრიტერიუმები, შეიძლება გამოყენებულ იქნას წარმოებული კრიტერიუმები - გურვიცის, გერმეიერის და სხვ. რამდენადაც კრიტერიუმები გადაწყვეტილების ვარიანტის უპირატესობაზე მიუთითებს, ეს გასათვალისწინებელ უნდა იქნას მენეჯერების მიერ გადაწყვეტილების უფრო ეფექტური ვარიანტის საბოლოო შერჩევისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Мескон М.Х., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента / Пер. с англ. М.: Дело, 1998. 799 с.

2. Абчук В.А., Бункин В.А. Интенсификация: принятие решений. Л.: Лениздат, 1987.174 с.

3. Акофф Р., Рассел А. Искусство принятия решений: Нер. с англ. М.: Мир, 1981. 312 с.

4. Виханский О.С., Наумов А.И. Менеджмент: Человек, стратегия, организация, процесс: Учебник. М.: Фирма Гардарика, 1996. 416 с.

5. Эддоус М., Стэнфилд Р. Методы нринятия решений/Пер. с англ.; Под ред. И.И. Елисеевой. М.: ЮНИТИ, 1997. 590 с.

6. Юдин Д.Б. Вычислительные методы теории принятия решений. М.: Паука, 1989. 320 с.

7. Вентцель Е.С. Исследование операций: задачи, принципы, методология. М.: Наука, 1988.208 с.

8. Давыдов Э.Г. Исследование операций. М.: Высшая школа, 1990.383 с.

9. Дегтярев Ю.А. Исследование операций М.: Высш.школа, 1986.320 с.

10. Мушик Э., Мюллер П. Методы принятия технических решений: Пер. с нем. М.: Мир, 1990.208 с.

REFERENCES:

1. Meskon M. Kh., Albert M. Khedouri F. Basics of Management/ Translation from English M.; 1998. 799 p

2. Abchuk B.A; Bunkin B.a. Intensification: making decisions. L .: Lenizdat 1987.174 p..

3. Ackoff R, Russel A. The Art of Decision Making; Translation from English 1981.312

4. Vikhansky OS, Naumov AI Management: Person, strategy, organization, process: Textbook. M .: Firm Gardarika, 1996. 416 p.

5. Eddous M., Stanfield R. Methods of making decisions / Trans. from the English; Ed. I.I. Eliseevoy. M .: UNITI, 1997. 590 p.

6. Yudin D.B. Computational methods of decision theory. M .: Pauka, 1989. 320 p.

7. Ventzel E.S. Research of operations: tasks, principles, methodology. M .: Nauka, 1988.208 p.

8. Davydov E.G. Operations research. M .: Higher School, 1990.383 p.

9. Degtyarev Yu.A. Investigation of Operations M .: Vyssh.shkola, 1986.320 p.

10. Mushik E., Muller P. Methods of making technical decisions: Per. with him. M .: Mir, 1990.208 p.

SITUATIONS DEVELOPMENT MODELING WHILE MAKING PROBLEMATIC DECISIONS

Paata Koghuashvili,
Professor of GTU
Mariam Khizanishvili,
PhD Student of GTU

RESUME

The paper deals with the problems during the decision making process: indefinite risks, modeling issues.

It is mentioned that, the methodology for decision making process is largely determined by factors such as existence of external and internal environmental characteristics, time that is useful for implementation of a management decision, analysis of the management goal and acceptance of the problem solving algorithms. These factors define the selection and use of modeling methods and the type of predictive models. The model largely determines the reasoning of decision-making. Modeling is carried out based on imitation, subject information and logic, quantitative and mathematical methods.

The various methods of reasoning of the decision are broadly discussed in the work. It should be mentioned, that simulation and imitation methods are effective. The manager can be assisted by simulation modeling, decision-making criteria during the process of production. Along with well-known classical criteria -Maximum Criteria for Bald, Beas and Laplace- some other criteria can be used for reasoning of decision-making. for example: Gurwitz, Germeier and etc. The mathematical apparatus of the game theory and statistical decision makers provide the ability to use different criteria of selection in terms of uncertainty and risks in accordance with the manager's advantages.

Key words: methods of decision making; problematic situation; immensity and risk, methods of imitation-simulation.

ბრენდის პერცეფცია და დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის საშუალებით ორგანული პროდუქტის ხარისხის ფენომენი

სალომე ტოგონიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

რეზიუმე

მეტად საინტერესოა ორგანული პროდუქტის შემოსვლა ბაზარზე და მის მიმართ მომხმარებელთა პერცეფცია. ჩვენ დავისახეთ მიზნად მარკეტინგულ სამიზნეში მოგვექცია თეორიაში გამოთქმული აზრი ბრენდის/პროდუქტის პერცეფციის შესახებ და დიდი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის ძირითადი ასპექტები.

რა დაარწმუნებს მომხმარებელს მისი ჯანის სიმრთელის შესაძლებლობებში? მხოლოდ ორგანული პროდუქტი - ბრენდი. ასეთი კითხვა შეიძლება დაგვებადოს როცა ბაზარზე გვინდა ორგანული პროდუქტის შეტანა.განვიხილოთ თუ როგორ იქმნება ბრენდის ფასეულობა და ბრენდის ფასეულობის ჯაჭვი.

როდესაც ვიწყებთ მუშაობას ახალ კომპანიაში, ან ვმუშაობთ ორგანიზაციაში რომელიც უკვე არის ბრენდი, შესაძლოა გაგვიჩნდეს ასეთი კითხვა - რამდენად ძლიერია ჩვენი ბრენდი? ქმნის თუ არა ჩვენი სამუშაო პროცესი ფასეულობას? როგორ უნდა შევაფასოთ არსებული ფასეულობა?

ყოველი სავალუტო ერთეული დახარჯული კომპანიის მარკეტინგში უნდა იყოს განხილული როგორც ეფექტიანი ქმედება, რომელიც დაეხმარება მომხმარებელს შეფასებაში.

შეფასების კრიტერიუმი თანამედროვე მარკეტინგში არის სიდიდე - „მარკეტინგული ინვესტიციებიდან დაბრუნებადობა.“

საკვანძო სიტყვები: პერცეფცია, ბრენდინგი, ხარისხის სტანდარტი

ძირითადი ტექსტი

მთავარი პრობლემა - მომხმარებლის პერცეფცია.მიუხედავად ზემოხსენებული მარკეტინგული ინვესტიციების ეფექტურობისა და ეფექტიანი გაზომვის სისტემისა, მრავალი მეცნიერი ფიქრობს, რომ მარკეტინგულ ხარჯებს ყოველთვის სწრაფად არ მოაქვთ ბრენდის გარკვეული განვითარება, ისინი უფრო შემდგომში მოქმედებენ და აქედან გამომდინარე მათი შეფასება ამ სისტემით შეუძლებელი.აი როგორ აღწერს კევინ კელერი თავის წინგში „ ბრენდის შექმნა, მისი ფასეულობის გაზომვა და მართვა“. ერთ-ერთი მარკეტოლოგის ჯონათან კნოვლეს აზრით, მარკეტოლოგებისათვის მნიშვნელოვანია არა ROI-ს და ROMI-ს შეფასება, არამედ ყურადღების გამახვილება შემდეგ საკითხებზე:

1. ბრენდი როგორც აქტივი - მარკეტოლოგებს სჭირდებათ გაზომონ იგი მისი შესაძლებლობით. დაბადოს შემოსავლები,- შექმნას „ქეში“ ანუ ფულის შემოდინება.

2. მარკეტოლოგებს შეუძლიათ შექმნან ფასეულობა მხოლოდ სამომხმარებლო ქცევის შეცვლის შემდეგ. მხოლოდ დამოკიდებულების შეცვლა ვერ შეცვლიოს „ქეშის“ შემოდინების მასშტაბს.

3. მარკეტოლოგებმა უნდა დაიანგარიშონ ბრენდის კაპიტალი, მისი რაციონალური (ბრენდის ცივი გზა) და ემოციური კომპონენტებით (ბრენდის ცხელი გზა).

ბრენდის ფასეულობის ჯაჭვი.იმისათვის რომ გავიგოთ, თუ როგორ შევქმნათ და დავნერგოთ ბრენდ-კაპიტალის დაანგარიშებისა და მენეჯმენტის სისტემა ორგანული პროდუქტის შემთხვევაში, ჩვენ უნდა გავიაზროთ CBBE-მომხმარებელზე დაფუძნებული ბრენდ-კაპიტალი ანუ Customer Based Brand Equity CBBE მოდელი.

ბრენდის ფასეულობის ჯაჭვი, ეს არის მეთოდი, რომლის საშუალებით უნდა მოვახდინოთ ბრენდ-კაპიტალის ყველა რესურსისა და ბრენდის ფასეულობების შექმნისა და გაზრდის მეთოდის შეფასება.

ბრენდის ფასეულობის ჯაჭვის კონცეფციას გააჩნია შემდეგი მთავარი წინაპირობები:

- ბრენდის ფასეულობა დაკავშირებულია და ეფუძნება მომხმარებლებს.

- ბრენდის ფასეულობის შექმნა იწყება მაშინ როცა ფირმა ინვესტიციას აკეთებს მარკეტინგის პროგრამაში, გამიზნულია აქტუალურ და პერსპექტიულ მომხმარებლებზე.

- მარკეტინგული აქტივობა გავლენას ახდენს მომხმარებელზე და მის აზროვნებაზე იცოდეს, ესმოდეს და გრძნობდეს.

- მომხმარებლის აზროვნება იწვევს საბაზრო პერფომანს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული რამდენს და როდის შეიძენს მომხმარებელი.

- საბოლოოდ მსხვილი ინვესტორებიც დაინტერესდებიან ბრენდით, იმისათვის რომ შეიძინონ ბრენდთან დაკავშირებული ფასიანი ქაღალდები და ამგვარად კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადონ ბრენდთან დაკავშირებული ფასეულობები.

ფასეულობის შემქმნელი საფეხურები.ფასეულობის შექმნისათვის ორგანულ პროდუქტს უნდა ჰქონდეს შემდეგი სტადიები განვლილი:

- მარკეტინგის მრავალდონიანი პროგრამის შექმნა;

- მარკეტინგის პროგრამაში ინვესტირება - ამაში შედის ნებისმიერი ინვესტირება რომელიც ბრენდის ფასეულობას გაზრდის.

- მარკეტინგის პროგრამის მულტიპლიკატორი - მარკეტინგის პროგრამის ძალა მოახდინოს გავლენა მომხმარებელზე არის განსაზღვრული მისი ხარისხით. პროგრამის ანალიზისათვის გვაქვს შემდეგი საკითხები: 1- პროგრამის გაგების სიმარტივე. 2 - მნიშვნელოვნება. 3 - განსხვავებულობა. 4 - შემცველობა.

- მომხმარებლის აზროვნება - ფიქრები,გრძნობები,გამოცდილება,იმიჯი,დარწმუნება,რწმენა,დამოკიდებულება. ეს არის ფაქტორები რომლებიც უნდა გვესმოდეს და შეძლებისდაგვარად გამოვიყენოთ მარკეტინგში.

კევინ კელერი გამოყოფს 5 მთავარ საკითხს მომხმარებლის აზროვნებაში:

1. ბრენდის ცნობადობა - მომხმარებლის მახსოვრობაში მნიშვნელოვანია ბრენდის ცნობადობის ტიპები. ცნობადობა ორგვარია:

ა) მახსოვრობაში სამომხმარებლო კატეგორიასთან მიბმული ცნობადობა

ბ) შეცნობითი ცნობადობა,ანუ მრავალი პროდუქტის ნახვისას ერთის უმალ ცნობა და მასზე ინფოემაციის გონებრივი შეხსენება.

2. ბრენდის ასოციაციები: რა ასოციაციებს იწვევს ბრენდი მომხმარებლის გონებაში, როგორ მოქმედებენ ისინი თავად პროდუქტის მომავალზე.

3. ბრენდის დამოკიდებულება - ხარისხი და დაკმაყოფილებადობა მომხმარებლის.

4. ბრენდის მიმართ ერთგულება;

5. ბრენდის აქტიურობა - ბრენდის გამოყენების რაოდენობრივი მხარე.

სწორედ ამ საფეხურზე იქმნება ბრენდის ფასეულობა,როდესაც მომხმარებელს აქვს:

1. ღრმა და სამომხმარებლო კატეგორიაზე მიბმული ბრენდის ცნობადობა;

2. ბრენდის განმასხვავებელი მნიშვნელოვანი საკითხების ცოდნა;

3. ბრენდის პოზიტიური შეფასება და შეგრძნებები მის მიმართ;

4. ბრენდის მიმართ გარკვეული ერთგულება;

5. ბრენდის მაღალი აქტიურობა ე.ი. მისი გამოყენების მაღალი ალბათობა.

დიმიტრი უზნაძის თეორია ცნობადობის საკითხთან მიმართებაში

დიმიტრი უზნაძე ერთ ასეთ ექსპერიმენტს აღწერს თავის წიგნში: "ერთი ფსიქოლოგი რადოსლავლევიჩი, შემდეგ საინტერესო დაკვირვებას მოგვითხრობს: ერთ-ერთს თავის ცდისპირს ისე უნდა გაემეორებინა დასამახსოვოებელი მასალა, რომ თურმე მან არც კი იცოდა, რომ ეს მასალა უნდა დაემახსოვრებინა. 46 განმეორების შემდეგ ექსპერიმენტატორმა ჰკითხა ცდისპირს, შეუძლია თუ არა მას ამ მასალის ზეპირად განმეორება. `როგორ? განა ზეპირად უნდა დამესწავლაო! იკითხა გაკვირვებით ცდის-

პირმა. და ამის შემდეგ ექვსიოდე განმეორებაც კი საკმარისი აღმოჩნდა და ცდისპირმა უკვე მთელი მასალა ზეპირად იცოდა. პირველ შემთხვევაში, განმეორების მიუხედავად, ცდისპირს თითქმის არაფერი ახსოვდა; ხოლო მეორე შემთხვევაში ექვსი განმეორებაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა მას მთელი მასალა ზეპირად დაესწავლა". დიმიტრი უზნაძე კითხულობს თუ როგორ უნდა აიხსნას ეს საკვირველი ფაქტი? გავრცელებული პასუხი ასეთია: „პირველ შემთხვევაშიც ცდისპირს დამახსოვრების განწყობა არჰქონია; მეორეში მას ეს განწყობა ჰქონდა. და დამახსოვრების არსებით პირობად სწორედ ეს უნდა ჩაითვალოსო. ამრიგად აქ იგულისხმება, რომ დამახსოვრების განზრახვა და დამახსოვრების განწყობა ერთიდაიგივეა. მაგრამ ამ დაკვირვების უფრო სწორი ანალიზი ალბათ ასეთი იქნებოდა: როცა ცდისპირს გააგებინეს, რომ მას ეპირად უნდა დაესწავლამასალა. უეჭველია, ამას პირველ რიგში დამახსოვრების განწყობა კი არა, დამახსოვრების მოთხოვნილება უნდა გამოეწვია მასში: მან მიწოდებული მასალაზე პირადად არ იცოდა, და მას ამ `დანაკლისის~ შევსების ტენდენცია უნდა გაღვიძებოდა. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ უდაოა, რომ აქ განწყობასთან კი არა, ჯერ მხოლოდ ამ უკანასკნელის სუბიექტურ ფაქტორთან _ მოთხოვნილებასთან _ გვაქვს საქმე. როდესაც ეხლა დამახსოვრების მოთხოვნილების მქონე სუბიექტის წინაშე დასამახსოვრებელი მასალა ჩნდება, ეს უკანასკნელი, როგორც ობიექტური ფაქტორი, სპეციფიკურ ცვლილებას _ გარკვეულ განწყობას იწვევ სმასში, და მიწოდებული მასალის ადვილი დამახსოვრება მის ნიადაგზე ხდება."

აქედან ამგვარი ჰიპოთეზა უნდა გამოვიტანოთ - თუ გვაქვს გარკვეული განწყობა დამახსოვრების მიმართ ჩვენ უფრო კარგად ვიმახსოვრებთ, თუ გვაქვს დადებითი პოზიტიური განწყობა ცნობადობის მიმართ, თუ ცნობადობა ჩვენ გვარგია, მაშინ ჩვენ ამ მიმართულებით მივდივართ.

ორგანული ბრენდის საბირჟო ფასეულობა.როდესაც ბრენდი ვითარდება და მისი იმიჯი ძლიერდება, საფინანსო ბაზარი ამაზე დადებით რეაგირებას ახდენს. სამი მნიშვნელოვანი ინდიკატორი : აქციის ფასი, შემოსავლების მულტიპლიკატორი და

ფირმის საბაზრო კაპიტალიზაცია საბოლოოდ დიდ გავლენას ახდენს ბრენდის ფასეულობის ჩამოყალიბებაზე.

კვლევები აჩვენებს, რომ ძლიერმა ბრენდებმა არამარტო კარგი შემოსავლების უზრუნველყოფა შეძლეს, არამედ მათ შეუძლიათ გააკეთონ ეს ნაკლები რისკებით.მაგალითად - ცნობილი ბრენდი სტრაბაქსი. მან კელვინ კელერის თანახმად, თავისი ფასეულობა 1993-2003 წლებს შორის შექმნა. გაზარდა რა თავისი სარეკლამო ბიუჯეტი, მისი მთავარი მარკეტინგული ინვესტიცია იყო ბაზრის ექსპანსიისაკენ და საცალო ქსელის გაფართოებისაკენ მიმართული. მიუხედავდ იმისა რომ სტარბაქსს არ ჰქონდა ნაციონალური სარეკლამო რგოლი, ამ კომპანიამ გაზარდა თავისი ყოფილი საზღვრები და მოახერხა მიეწოდებინა სტარბაქსის ყავა ავიაკომპანიებში, სუპერმარკეტებში, ჰოტელებში და რესტორნებში, მიკლედ ყველგან სადაც მისი პოტენციური მომხმარებელი იყო შენიშნული.

საინტერესოა ისიც, რომ სტარბაქსი ზოგიერთი ექსპერტის აზრით არ აკეთებდა აქცენტს მედიაში სარეკლამო კამპანიაზე. მარკეტინგული აქცენტი გადატანილი იქნა საცალო ქსელში - ინიციატივებზე რომელსაც „in-store marketing initiative“ ჰქვია.

ასევე სტარბაქსი აგრძელებდა word of mouth მარკეტინგს, რომლის გამოყენებით ცდილობდა ადამიანებისათვის ინფორმაციის არაოფიციალურად მიწოდებას

კითხვა ასეთია - შეიძლება ამგვარი მარკეტინგული აქტივობებით ორგანული ბრენდის გაძლიერება და მისი სავაჭრო პოტენციალის თუნდაც საბირჟო კაპიტალის ზრდა.

ბრენდის ფასეულობის შეფასება .Young & Rubicam,s Brand Asset Valuator (BAV) გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც ახდენს ბრენდის ფასეულობის შეფასებას ბრენდის სიძლიერის (მისი მნიშვნელობის და დიფერენცირების, ანუ განსხვავებულობის) და სტატუსისი მიხედვით. სტატუსი მოიცავს ბრენდის მიმართ მომხმარებლის მხრიდან პატივისცემის გრძნობას,ცოდნას და ინფორმირებულობას.

ბრენდის სიძლიერე და სტატუსი არის დაკავშირებული სამომხმარებლო აზროვნებაზე, რომელსაც 5 მიმართულება გააჩნია:

1. ბრენდის ღრმა და კარგი ცნობადობა

2. დიფერენცირებულობისა და მსგავსების გამოკვეთილი ასპექტები

3. ბრენდის პოზიტიური შეფასება

4. ბრენდის მიმართ ერთგულება

5. ბრენდის აქტიურობა ბაზარზე გაყიდვების მხრივ

ბრენდის მიმართ დამოკიდებულების, ინტერესის და აზრის მოდელი.

AIO(attitude,interests and opinions) - მარკეტინგის ინსტრუმენტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ პროდუქტის მიმართ გრძნობების გაჩენაში. დამოკიდებულება პროდუქტის მიმართ, ინტერესი.

VALS - ის მოდელი, ცხოვრების სტილის ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოდელია. იგი გარკვეულწილად აერთიანებს ფასეულობებს და ცხოვრების სტილის გააზრებას.



თუ ქვევიდან ზევით მივყვებით ამ მოდელს, მაშინ დავინახავთ,რომ ყოველი ფაქტორი განაწილებულია რესურსის დონითა და ინოვაციების სიმრავლით.

ქვემოთ ისინი დგანან, ვინც სულ გადარჩენაზე არიან ორიენტირებული. მათ ეწოდებათ „გადარჩენილები“. ამ ტიპის ადამიანებს არ აქვთ ლტოლვა ინოვაციებისაკენ და არ გააჩნიათ რესურსები. სულ ზევით კი ამ მოდელში მოცემულია ადამიანები რომლებსაც გააჩნიათ დიდი რესურსები და ასევე ისინი მაღალი ინოვაციურობით გამოირჩევიან. ამ უმაღლეს ჯგუფს ეწოდებათ ინოვატორები.

ადამიანები აღნიშნულ მოდელში დაყოფილი არიან სამ მთავარ მოტივაციურ ჯგუფად:

1. გარკვეული იდეით მოტივირებული ადამიანები
2. მიღწევაზე ორიენტირებული ადამიანები
3. თვით გამოხატვაზე ორიენტირებული ადამიანები

როგორ ყიდულობენ ორგანულ საკვებ პროდუქტებს?

ტრადიციული საოჯახო სასიცოცხლო ციკლი

სურათი: ტრადიციული დემოგრაფიული ციკლი - წყარო ავტორი.

საფეხური	დახასიათება
დაუქორწინებელი ახალგაზრდა, რომელიც არ ცხოვრობს თავის ოჯახთან	არასტაბილური შემოსავალი, კარიერის საფეხურზე, ჯანმრთელობის დაცვის დაბალი ხარჯები
ახალდაქორწინებულლი წყვილი,რომლებსაც ჯერ ბავშვი არ ჰყავთ	ხარჯები იზრდება,ფინანსური სტაბილურობა ჯერ არ არსებობს. ჯანმრთელობის ხარჯები მატულობს
მთლიანი ბუდე 1: 6 წლამდე ბავშვით	ჯანმრთელობის ხარჯები მატულობს- აქ შეიძლება ორგანული პროდუქტით დარწმუნება მომხმარებლისა

მთლიანი ბუდე 2: ბავშვი 6 წელ-ზე უფროსია	ჯანმრთელობის ხარჯები მატუ-ლობს, ხშირად შემოსავალი სტაბი-ლური ხდება. აქ შეიძლება ორგა-ნული პროდუქტით დარწმუნება მომხმარებლისა
მთლიანი ბუდე 3 :ასაკოვანი წყვილი, მათზე დამოკიდებული ბავშვებით	ჯანმრთელობის ხარჯები მატუ-ლობს, ხშირად შემოსავალი სტაბი-ლური ხდება. აქ შეიძლება ორგა-ნული პროდუქტით დარწმუნება მომხმარებლისა
ცარიელი ბუდე 1: დასაქმებული წყვილი, მათთან ბავშვები აღარ ცხოვრობენ	ჯანმრთელობის ხარჯები მატუ-ლობს, ხშირად შემოსავალი სტაბი-ლური ხდება. აქ შეიძლება ორგა-ნული პროდუქტით დარწმუნება მომხმარებლისა
ცარიელი ბუდე 2: საპენსიო წყვილი, მათთან ბავშვები აღარ ცხოვრობენ	ჯანმრთელობის ხარჯები მატუ-ლობს, ხშირად შემოსავალი სტაბი-ლური ხდება. აქ შეიძლება ორგა-ნული პროდუქტით დარწმუნება მომხმარებლისა
გადარჩენილი ერთი წარმო-მადგენელი, რომელიც ჯერაც მუშაობს	შემოსავალი ნორმალურია,ჯანმრ-თელობა კი უკვე მოითხოვს მეტ ხარჯებს. აქ შეიძლება ორგანული პროდუქტით დარწმუნება მომხმა-რებლისა
გადარჩენილი ერთი წარმომა-დგენელი, პენსიაზე გასული	მათ სჭირდებათ სამედიცინო პრო-დუქტი, მათი შემოსავალი დაბალია. მათ გაფრთხილება სჭირდებათ. ორგანული პროდუქტი შეიძლება მოიხმაროს საკმარისი განათლების შემთხვევაში

ხარისხის მენეჯმენტი და ექსვი სიგმა ორგანული პროდუქ-ტის შექმნის პროცესში

ორგანული პროდუქტების მარკეტინგში ყველაზე მნიშვნე-ლოვანია პერცეფცია , რომელიც მოდის დარწმუნებიდან ან

დამარწმუნებელი ქცევიდან. პროცესები უნდა იყოს დამარწმუნებელი, პროცესები უნდა იყოს მართული ხარისხის დაცვის ერთ-ერთი სისტემით. ჩვენ გამომდინარე ბოლო განვითარებიდან აქცენტს ვიღებთ ექვსი სიგმის მეთოდზე.

1986 წელს მოტოროლას კორპორაციის საკომუნიკაციო დეპარტამენტის მმართველმა მენეჯერმა, რომელსაც ფართო გამოცდილება ჰქონდა მიღებული კომპანიის საქმიანობის იმ სფეროს მიმართ, რომელსაც ეწოდება „კომპანიის ხარისხის განვითარება“, გადაწყვიტა გამოეყენებინა სრულიად ახლებური მიდგომა პროცესების მიმართ. ბილ სმიტი გახლდათ მეცნიერი და მენეჯერი, მას დიდი ხანია სურდა გამოემუშავებინა რაღაც ერთიანი, ახალი მიდგომა დილერების მხრიდან გამოთქმულ შენიშვნებზე და კრიტიკაზე, რომელიც მოტოროლას საგარანტიო საკითხებს ეხებოდა.მთავარი იყო კომპანიაში განვითარებული პროცესების შეფასება და ეგრეთწოდებული საწარმოო დეფექტების დათვლა. ამიტომაც სმიტმა შექმნა სრულიად ახალი მიდგომა, მან სტატისტიკის გამოყენებით შეადგინა 6 სიგმას ჩანასახი და მოტოროლას ხელმძღვანელობას წარუდგინა.

მოტოროლას მაშინდელი აღმასრულებელი დირექტორი იყო ბობ გალვინი. მან უმალ დაინახა სმიტის ინოვაციის საინტერესო ხასიათი და 6 სიგმა უეცრად მოტოროლას კომპანიის მთავარ სტრატეგიად იქცა.

ქვსი სიგმა თავიდანვე მოითხოვდა, მთელი პროცესების დოკუმენტირებას,რადგანაც მთავარი გახდა შეცდომების აღმოჩენა, დათვლა და მათი გავლენის გაზომვა. შეცდომებისგან გამომდინარე მთავარია ბიზნესის პრობლემის განსაზღვრა - შეცნობა და ამიტომაც შემდეგ იგლისურმა სიტყვამ- DEFINE თავისი საწყისი ადგილი მოძებნა.

პირველი მნიშვნელოვანი ნაწილი 6 სიგმა ანალიზში დაიკავა სიტყვამ - MEASURE, რაც ქართულად ნიშნავს არა მარტო გაზომვას, არამედ პირველ რიგში დათვლას. ამასთან ერთად სმიტის კონცეფციაში მნიშვნელოვანი სიტყვები იყო: ANALUZE, ანუ მოახდინე ანალიზი, გაანალიზე.

შიდა პროცესების ანალიზის მოთხოვნამ კომპანია შეცვალა,

იგი მთლიანად დაემსგავსა ჩაფიქრებულ ადამიანს, რომელიც თავის ნების მიერ ქმედებას დაფიქრებული სწავლობს და აანალიზებს. მაგრამ რატომ შვება იგი ამას - იქნებოდა ლოგიკური კითხვა.

IMPROVE -გააუმჯობესე, აი პასუხი. მთელი სისტემა სახელად 6 სიგმა, მოწოდებულია ამ ტერმინისათვის - გააუმჯობესე, ყოველდღიურად, შეუჩერებლად, მოკვდი, მაგრამ გააუმჯობესე - აი სისტემის დედააზრი.

თეორიიდანაც ცნობილია და პრაქტიკაც გვასწავლის, რომ სისტემას, რომელსაც შევქმნით - შემოწმება ჭირდება. აქედან გამომდინარე კონცეფციაში უკვე ბოლო სიტყვა- CONTROL, გააკონტროლე მკვიდრდება.

ზოგადად ჩვენ ვიცით რომ იდეების ირგვლივ ადამიანების გაერთიანება რთულია. სხვადასხვა კონცეფციების მიხედვით განსხვავებული მეთოდები არსებობს კომპანიაში, ადამიანური კაპიტალის მობიზილებისა და ადამიანური რესურსის სწორ მიზნებზე ფოკუსირებისათვის.

თანამდეროვე ექვსი სიგმის კონცეფცია გულისხმობს - მონაცემთა ბარათების დაბალანსებული მეთოდის გამოყენებას. ამ მეთოდით უნდა მოხდეს სტრატეგიული მიზნების, საზომის და ამ ყოველივეს ირგვლივ კომპანიის ადამიანური და მატერიალური ძალების გაერთიანების გამაუმჯობესებელი გუნდების შექმნა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საჭიროა შემოვიტანოთ ყველა ის ცნება, რაც 6 სიგმის მეთოდს და მის შესაძლო დაგეგმვა ეხება. გამაუმჯობესებელი გუნდების შექმნა არის ერთ-ერთი მთავარია მოცანა ექვსი სიგმის საკითხში. გამაუმჯობესებელთა გუნდების შექმნისათვის აუცილებელია:

- კომპანიისათვის თავდადებული პირების მოძებნა გამოცდილთა შორის.

- კომპანიისათვის თავდადებულთა გამოკითხვა და მათი აზრის გაგება სხვადასხვა მიმართულებით, პრობლემების მოძებნისა და გაუმჯობესების მიმართ.

- გუნდის შექმნისათვის სხვადასხვა პრონციპების მოძიება

- გუნდის ფორმირება
- გუნდის შტურმის მეთოდით გამოცდა
- გუნდის იდეების განვითარება
- პრინციპების გამოკვეთვა
- წუნის აღმოჩენისას შეფასების სისტემის შექმნა

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიისა და ფსიქო-სოციალური მიდგომა

მასლოუს ფსიქო-სოციალური ფილოსოფიის როგორც გადაწყვეტილებების მიღების ხელოვნების სახით განსაზღვრა არ იქნება მთლად მართებული განსაზღვრება. ყველა ფილოსოფოსი ცდილობს გაიგოს ადამიანთა გადაწყვეტილებების მიზეზები. არიან თუ არა ისინი რაციონალურნი? არიან თუ არა ისინი მხოლოდ ემოციურნი? ყველა ადამიანს მიაჩნია რომ ისინი იღებენ რაციონალურ გადაწყვეტილებებს. სხვა ადამიანებისთვის კი მათი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს ირაციონალური და მანიპულაციის შედეგი. სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, თანამედროვე ურთიერთობებში მანიპულაციებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. ბიზნეს-ვაჭრობის სფეროში კომპანიები იყენებენ გამომწვევ თემებს, ფერებს, დინამიკას,იმისთვის, რომ მიიპყრონ ყურადღება. მეორე მხრივ, ინდუსტრია იყენებს პოპულარულ სახეებს, რათა მოახდინოს გავლენა ქალთა სამომხმარებლო გადაწყვეტილებებზე. მეტიც, კომპანიები რეკლამის მეშვეობით არწმუნებენ მომხმარებელს, რომ მან თავად მიიღო გადაწყვეტილება ამა თუ იმ საგნის შეძენისას.

მასლოუს სურდა გაეგო, თუ რა იყო მოტივატორი ამა თუ იმ ქმედებისას. იგი ამბობდა, რომ ინდივიდებს გააჩნიათ მოტივაციური სისტემები, რომლებიც არ არიან კავშირში დაჯილდოებისა და ქვეცნობიერ მოთხოვნილებებთან. მასლოუმ (1943) აღნიშნა, რომ ინდივიდები ცდილობენ მიაღწიონ გარკვეულ მიზნებს. ერთი მიზნის მიღწევის შემდეგ ინდივიდი ცდილობს მეორე მიზნის მიღწევას და ასე შემდეგ. როგორც წესი, მასლოუს მთხოვნილებათა სქემა გამოიხატება პირამიდის სახით, რომელიც ხუთ საფეხურადაა დაყოფილი.

მასლოუს მიხედვით არსებობს გარკვეული თანმიმდევრობა

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ჯერ ინდივიდებიც ცდილობენ დაიკმაყოფილონ უმთავრესი მოთხოვნილებები და შემდეგ გადავიდნენ სურვილებზე. თუმცა, ინდივიდები არ არიან ადვილად პროგნოზირებადნი. მახასიათებლები შეიცავენ მანიპულაციის ელემენტებსაც.

ორგანული პროდუქტის პერცეფციის გაზრდისათვის -აუცილებელია უმთავრესი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. სხვა საფეხურები კი შეიძლება გამოტოვებულ იქნას. ინდივიდებს შეუძლიათ ადვილად გადავიდნენ მიკუთვნებულობის საფეხურიდან თვით აქტუალიზების ან თვით-დაჯერებულობის საფეხურზე გარკვეული მოტივატორების მეშვეობით. ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები შეიძლება შერეულ იქნას სხვა მოთხოვნილებებთან. როდესაც ვინმე ცილობს დაიკამყოფილოს უმთავრესი მოთხოვნილებები, ამისდა პარალელურად მნიშვნელოვანია აგრეთვე თვით-რწმენის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც.

დავუბრუნდეთ ჩვენს თავდაპირველ კითხვას: შესაძლებელია თუ არა აღნიშნული გარეშე ფაქტორების მეშვეობით მომხმარებლური ჩვევების მანიპულირება? ყიდვის პროცესის რომელ ასპექტზე ახდენს გავლენას მასლოუს მოთხოვნილებათა პირამიდა? რა თქმა უნდა შემეცნების საშუალებით მასლოუს პირამიდა ორგანულ პროდუქტს აყენებს მესამე საფეხურზე, სადაც არის სოციალური მოთხოვნა და უფრო მაღალ საფეხურზე - სადაც ადამიანს ამოძრავებს თავის თავის დაფასება.

დასკვნა

ორგანული პროდუქტის ბაზარზე სწორი შემოტანისათვის საჭიროა მეტად მნიშვნელოვანი მარკეტინგული ქმედებების გატარება, რომლებიც მოიცავს , ერთის მხრივ კელერის კონცეფციას, ხოლო მეორე მხრივ დიდი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის შრომებს განწყობის თეორიაში.

საჭიროა დასავლეთური მოდელის გამდიდრება დიმიტრი უზნაძისეული მოდელით. კერძოდ,

უნდა მოხდეს:

1. განწყობის მომზადება ბრენდის შემოტანისათვის - რაც განაპირობებს ბრენდის ცნობადობას;

2. უნდა გამოიკვეთოს ბრენდის დიფერენცირებულობა ;

3. მოხდეს მისი პოზიტიური შეფასება და გრძნობების მის მიმართ არსებობა;

4. შედგეს ორგანული პროდუქტის მიმართ ერთგულება;

5. მოხდეს ორგანული პროდუქტის შეფასება.

ლიტერატურა:

1. Barney, M. (2002) Motorola's Second Generation. 2002 American Society for Quality.

2. Keller, L (2003) Strategic Brand Management.

3. Uznadze, D. (1966) Lectures in Mental Psychology - Psychology of Mood

4. Justin Paul , Arun Mittal , Garima Srivastav , (2016) "Impact of service quality on customer satisfaction in private and public sector banks", International Journal of Bank Marketing, Vol. 34 Iss: 5, pp.606 – 62/ http://dx.doi.org/10.1108/IJBM-03-2015-0030

5. UK Esseys (2014)Relationship marketing in attaining and retaining customers – UK Esseys https://www.ukessays.com/dissertation/proposal/marketing/the-contributions-of-relationship-marketing.php

6. Turner, K., Von Heusinger (1983)Selection of appropriate electronic banking channel alternative: Critical analysis using analytical hierarchy process. International Journal of Bank Marketing ISSN: 0265-2323 Series editor(s): Ken Turner and Klaus Von Heusinger Online from: 1983

7. Walker, L. (2001)"E-complaining: A content analysis of an Internet complaint forum." Journal of Services Marketing 15.5 (2001): 397-412.

BRAND PERSECUTION AND DIMITRI UZNADZE MOOD THEORY PHENOMENON OF ORGANIC PRODUCT QUALITY

Salome Togonidze
PhD Student of GTU

RESUME

It is of interest to enter the organic product on the market and the perception of consumers towards it. We aimed at a marketing target for the idea of brand / product perception and the main aspects of the great Georgian psychologist Dimitri Unzadze's mood theory.

What can convince the customer to make his chain of power?

Only organic product - brand. Such a question can be done when we want to put organic products on the market.

Consider how the brand and value of the brand are created?

When we start to work in a new company or work in an organization that's already a brand, we might have a question - how strong is our brand? Does our work process create value? How should we evaluate the value.

Every currency unit spent on marketing should be considered as effective action to help customers evaluation.

Evaluation criterion in modern marketing is the amount - "return from marketing investments."

Key words: Perception, branding, quality standard.

საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა

ზაზა გოიშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს სოფლის მეურნეობა უკიდურესად არაეფექტურია, რადგან შედეგები არ შეესაბამება დასაქმების მოცულობას, სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობა უკიდურესად დაბალია. როგორც ანალიზიდან ჩანს ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 2014 წელს 1,4 ტონა შეადგენდა, 2016 წლისათვის გაიზარდა 2,6 ტონამდე. სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა ამავე პერიოდში გაიზარდა უმნიშვნელოდ და 2016 წელს შეადგინა 2,6 ტონა. ძალზე დაბალია კარტოფილის კულტურის მოსავლიანობა, რომელმაც 2016 წელს 12,3 ტონა შეადგინა. ბოსტნეულის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ ამავე პერიოდში 8,2 ტონა შეადგინა.

ორი მთავარი ფაქტორი, რომელიც დღეისათვის ზღუდავს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის ზრდის შესაძლებლობებს, არის:

- ნედლეულის დეფიციტი;
- საექსპორტო ჯაჭვის ცუდი ორგანიზება ფერმერებისაგან საექსპორტო ტვირთების მიწოდებამდე;

აუცილებელია საქართველოში შევინარჩუნოთ არსებული პოზიტიური ტენდენციები, როგორიცაა -სოფლის მეურნეობის ექსპორტის ზრდა, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა და სოფლის მეწარმეთა წახალისება, აგროტურიზმისა და ღვინის სექტორის განვითარება, რომლის დიდი პოტენციალის პროგრესი ბოლო

ათწლეულის განმავლობაში თანდათან შესამჩნევი ხდება.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, საექსპორტო ბაზრები, შეღავათიანი აგრო-კრედიტი, საკუთარი პოტენციალი, მიწის ბაზარი.

ძირითადი ტექსტი

დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა ნელი ტემპით ვითარდება და მცირე ზომის ფერმერი ვერ უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალეფექტიანობას. მაგრამ ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოს სოფლის მეურნეობაში სამუშაო ძალის 54%-ია დაკავებული. აგრარული სექტორის ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობის და დევაპიტალიზაციის პირობებში უაღრესად დაბალია შრომის ნაყოფიერება, მოსავლიანობა და მწარმოებლურობა და სხვა მაჩვენებლები, რაც საბოლოო ჯამში ამ სექტორის პროდუქციის დაბალკონკურენტუნარიანობაში აისახება.

ისტორიულად საქართველოს ეკონომიკაში აგრარულ სექტორს ყოველთვის წამყვანი როლი ეკავა, იგი ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს ამარაგებდა სუბტროპიკული კულტურებით, ხილით, ბოსტნეულით და კვების პრობლემებით. 1990 წელს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყევეობის და თევზჭერის ხვედრითი წილი ერთ მესამედს შეადგენდა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. სოფლის მეურნეობის წარმოებმ განიცადა სერიოზულ ნგრევა. საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა ეთნო პოლიტიკური კონფლიქტები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რღვევა, რის გამოც ქვეყანამ დაკარგა სტაბილური ძაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც მუდმივად მოიხმარდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციას. მკვეთრად შემცირდა ექსპერტზე ორიენტირებული ჩაის ფოთლის, ყურძნის, მარცვლეულის, ხორცისა და კვერცხის წარმოება მიუხედავად ამისა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოება კვლავ რჩებოდა ერთ-ერთ სიცოცხლისუნარიან დარგად. ეკონომიკის ნგრე-

ვის, მრეწველობასა და სხვა დარგების უპირატესი დაცემის შედეგად, სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 1995 წელს გაიზარდა 44,4%-მდე. მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად მცირდებოდა მისი ეფექტიანობა და მოსავალი. ტექნიკისა და ტექნოლოგიური რესურსების, შხამქიმიკატების, თესლის, სასუქებისა და სხვა რესურსების მომარაგებაში არსებული პრობლემები კიდევ უფრო აფერხებდა ამ დარგის განვითარებას. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ეკონომიკის სხვა დარგების სწრაფი განვითარების შედეგად სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში თანდათან შემცირდა და 2005 წელს დავიდა 6,7%-მდე, 2010წელს კი 8,4% შეადგინა. ხოლო 2016 წლისათვის უმნიშვნელოდ გაიზარდა და 9,0% შეადგინა.

Gგასული საუკუნის 90-იანი წლების პირველი ნახევრიდან დაიწყო ქვეყანაში სოფლის მეურნეობის რეფორმები და გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები მიწის კერძო საკუთრებაში გადასაცემად, მაგრამ საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეფექტიანი მეურნეობის ფორმირება კვლავაც ერთ-ერთ ძირითად პრობლემად დარჩა. 1992 წელს მთავრობის №48 რეზოლუციით რომელსაც ეწოდებოდა "დადგენილება მიწის პრივატიზაციის შესახებ". დაიწყო მიწების განაწილება და კერძო მფლობელებისათვის გადაცემა, საბოლოდ გადაწყდა, რომ გლეხებს შეეძლოთ გაეზარდათ საბჭოთა პერიოდიდან მათ გამგებლობაში არსებული 0,25 ჰა მიწის ნაკვეთები მაქსიმუმი 1,2 ჰა-მდე., ხოლო ქალაქის მაცხოვრებლების, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ სოფელთან გადაეცათ 0,25 ჰა მიწები დასამუშავებლად, ქალაქი მოსახლეობის რომლებსაც მიწები მხოლოდ საცხოვრებლად სჭირდებოდათ გადაეცათ 0,15 ჰა. მეცხოველეობაში დასაქმებულ გლეხებს გადაეცათ 5 ჰა-მდე მიწის ფართობი. 90-იანი წლების პირველ ნახევარში მიწების განაწილება განხორციელდა მიწის საკუთრების სამართლებრივი საფუძვლების გარეშე. იურიდიულად მიწას კვლავ სახელმწიფო ფლობდა. ამ მიზნით 1996 წელს მიღებული ინა კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ". და ამის შე-

მდეგ მოსახლეობას განაწილებული მიწა გადაეცა კერძო საკუთრებაში.

ქვეყანაში 2004 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერით სასოფლო-სამეურნეო მიწის მქონე (საკუთრება და იჯარა) მეურნეობებიდან 75,2% გააჩნდა 1 ჰა-ზე ნაკლები მიწა; 18,3%-ს მეურნეობებისა ჰქონდა 1-2 ჰა-მდე, ხოლო 7% ფლობდა 3-20 ჰა მიწას. მთლიანობაში მიწის რეფორმის შედეგად გაიზარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწების რაოდენობა და შესაბამისად კერძო საკუთრებაში წარმოებული პროდუქტის წილი წარმოების მთლიან მოცულობაში. კერძო სექტორი თანდათან ხდება სოფლის მეურნეობის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი. უკვე 1994 წელს კერძო სექტორი იძლეოდა მეცხოველეობის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსის და ყურძნის თითქმის მთელ პროდუქციას და მარცვლეულის წარმოების ნახევარზე მეტს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების შემცირების ტენდენცია გრძელდება დღემდე და 2016 წელს დამუშავებული ფართობების მოცულობა შემცირდა 2,9-ჯერ. საქართველოში 90-იანი წლების შემდეგ სოფლის მეურნეობის სექტორში გამოშვების სტრუქტურა შეიცვალა, თუ 90-იანი წლების პირველ ნახევარში ფერმერულ მეურნეობებში ყურძენი იყო პირველ ადგილზე, 2010 წლისათვის ყურძნის მოსავალი თითქმის 5,8-ჯერ შემცირდა. წინ წამოვიდა ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება, ხოლო სხვა პროდუქტების წარმოება როგორცაა კვერცხი, რძე შემცირდა მაგრამ გარკვეულ წილად მაღალი დონე შენარჩუნებული იქნა, რაც შეეხება 2010 წლიდან 2016 წლის ჩათვლით პერიოდს, გაიზარდა მარცვლეულის წარმოება 95%-ით. ზრდის ტენდენციები შეიმჩნევა კარტოფილის, ხილის წარმოებაში, რაც შეეხება მეცხოველეობის პროდუქციას, ხორცის წარმოება გაიზარდა 17,2%-ით, კვერცხის წარმოება 21,1%-ით ამავე პერიოდში მარცვლეულიდან ხორბლის წარმოება განიცდიდა რყევებს, რაც განპირობებული იყო ბუნებრივ კლიმატუ-

რი პირობებით. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხორბლის წარმოების ამაღლების რესურსები ქვეყანაში გამოუყენებელი დარჩა.

უკანასკნელ ათწლეულში ყურძნის წარმოება შემცირდა. მასზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ღვინის წარმოებაში არსებულმა მდგომარეობამ. თუ 2005 წელს რუსული ღვინის ბაზარი ითვისებდა მთლიანი ღვინის ექსპერტის 78%-ს, რუსეთის მიერ შემოღებული ემბარგოს შედეგად საქართველოში მოქმედი ღვინის კომპანიების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. მთავრობამ მართალია განახორციელა მევენახეობის მხარდამჭერი ღონისძიებები, მაგრამ იგი მოკლევადიან პერიოდს მოიცავდა და შეარბილა რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს გავლენა მთლიან სექტორზე და მან გაგრძელება ვერ პოვა გრძელვადიან პერიოდში, რის გამოც ყურძნის წარმოება კვლავ შემცირდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობა უკიდურესად არაეფექტურია, რადგან შედეგები არ შეესაბამება დასაქმების მოცულობას, სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობა უკიდურესად დაბალია, როგორც ანალიზიდან ჩანს ხორბლის საშუალო საეჰქტარო მოსავლიანობამ 2014 წელს 1,4 ტონა შეადგენდა 2016 წლისათვის გაიზარდა 2,6 ტონამდე. სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა ამავე პერიოდში გაიზარდა უმნიშვნელოდ და 2016 წელს შეადგინა 2,6 ტონა. ძალზე დაბალია კარტოფილის კულტურის მოსავლიანობა, რომელმაც 2016 წელს 12,3 ტონა შეადგინა ბოსტნეულის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის ამავე პერიოდში 8,2 ტონა შეადგინა. რაც შეეხება მეცხოველეობის დარგის პროდუქტიულობის მაჩვენებლებს, ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ დაბალია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მერძეული პროდუქტიულობა და იგი 2014 წელს საშუალო წლიურად 1364 ლიტრ შეადგენს, 2016 წლისათვის ეს მაჩვენებელი უმნიშვნელოდ გაიზარდა და 1421 კგ. შეადგინა. პირუტყვის პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებლები ნათლად მიუთითებს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გამოუყენებელ რეზერვებზე, რომლის სამომავლოდ ათვისება

სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვია.

ქვეყანას, რომელსაც აქვს მსხვილი სოფლის მეურნეობის სექტორი, კლიმატური პირობებით განპირობებული აშკარა შედარებით უპირატესობა სოფლის მეურნეობაში, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებით მინიჭებული წვდომა მსოფლიო ბაზრებზე, უნდა შეძლოს სურსათის ექსპორტის გაზრდა. თუმცა საქართველოს სურსათის ექსპორტის პოტენციალის ათვისება არ არის მარტივი საქმე. საქართველოს არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის სისუსტეს ძირითადად განაპირობებს ექსპორტის კონცენტრირება კონკრეტულ პროდუქტებზე. 2014-2016 წლებში სასმელებზე, მათ შორის ღვინოზე. ძლიერ ალკოჰოლურ სასმელებზე და მინერალურ წყლებზე მოდიოდა საქართველოს სურსათის ექსპორტის 47%, ხილზე, განსაკუთრებით თხილზე, მოდიოდა ექსპორტის 28%.

პროდუქციის დივერსიფიკაციის ეფექტს თავი რომ დავანებოთ, საექსპორტო ბაზარიც კონცენტრირებულია. 2009-2016 წლებში სურსათის ექსპორტი ძირითადად მოდიოდა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ბაზრებზე, ძირითადად რუსეთსა და უკრაინაზე. პროდუქტებისა და საექსპორტო ბაზრების შეზღუდულ რაოდენობაზე კონცენტრირების გამო ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი დაუცველია ამ ბაზრებზე მომხდარი შოკებისა და შეფერხებებისადმი.

საქართველოში სურსათის ექსპორტს ზრდის სამი ძირითადი მიმართულება არსებობს:

- ხარისხის გაუმჯობესება და არსებული საექსპორტო საქონლის თხილის, სასმელების (ღვინო, წვენები, მინერალურ წყლები) ჩირისა და ტრადიციული ქართული პროდუქტების (ჩურჩხელის, სულგუნის და მაწვნის) რაოდენობის გაზრდა;

- ამ ეტაპზე ძირითადად არამოთხოვნად ბაზრებზე ექსპორტირებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, რათა შესაძლებელი გახდეს ახალ მოთხოვნად ბაზრებზე გასვლა. (ჩირი, თაფლი, სანელებლები, ახალი და გამხმარი ბოსტნეული);

- ახალი საქონლის, განსაკუთრებით სერთიფიცირებული ორგანული და მაღალი დამატებული ღირებულების ნიმუშების პროდუქციის წარმოება, როგორიცაა ახალი და გაყინული კენკროვნები (მოცვი, მაყვალი, ჟოლო), მაღალი ღირებულების მატარებელი ახალი და გადამუშავებელი ხილი (კივი, ფეიხოა) და სამკურნალო მცენარეები.

საქართველო, მიუხედავად დიდი საექსპორტო პოტენციალისა, კვლავ დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო საქონლის იმპორტზე, რის შედეგად ქვეყანაში კვების პროდუქტების თვითდაკმაყოფილების მაჩვენებელი ძალიან დაბალია[1].

საქართველოს ძირითად სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს მიეკუთვნება: ხილი, ციტრუსი, თხილი, თაფლი, სამკურნალო მცენარეები და სხვა. ანალიზიდან ჩანს, რომ 2000-2016 წლებში სურსათის და სასმელების, ექსპორტის ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა და 2000 წლის დონეს 2016 წელი აღემატება თითქმის 13-ჯერ. მაგრამ ამავე პერიოდში სახეზე გვაქვს ქვეყანაში სურსათის და სასმელების იმპორტის ზრდის ტენდენცია და საკვლევ პერიოდში იგი გაზრდილია თითქმის 6,6-ჯერ. მთლიანობაში საქართველოში საგარეო ვაჭრობაში სხვაობამ ექსპორტსა და იმპორტს შორის 2016 წელს შეადგინა (-5181,5 მლნ. აშშ დოლარი). ანუ სალდო კვლავ უარყოფითია. მხედველობაშია მასალები ის გარემოება, რომ იმპორტირებულ პროდუქციაში გარკვეულად მცირდება სურსათის ხვედრითი წილი და იგი 2016 წლისთვის შეადგენს 11,9%-ს.

საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული სავაჭრო ურთიერთობები, განსაკუთრებით რუსეთთან, რომელიც ითვლებოდა საქართველოს უპირველეს სავაჭრო პარტნიორად, ემყარებოდა ღვინის, ალკოჰოლური სასმელების, მინერალურ წყლის, ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტს. რუსეთის ფედერა-

1 1974 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად კვების უსაფრთხოების მინიმალური დონე 80-85%-ს შეადგენს. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა კვების უსაფრთხოების რისკის ქვეშაა, თუ ადგილობრივ დონეზე მოხმარებული საკვები პროდუქციის 15-20%-ზე მეტი იმპორტირებულია.

ციის მიერ სხვადასხვა ქართულ პროდუქტზე ექსპორტის შეზღუდვის შედეგად შემცირდა ვაჭრობა რუსეთთან. 2005 წელს ემბარგომდე რუსეთში იყიდებოდა ხილისა და სუბტროპიკული კულტურების 21%[1]. დღეისათვის ამ პროდუქტების ექსპორტი ძირითადად უკრაინასა და ბელარუსიაში ხდება. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა და როლი ქვეყნის ეკონომიკაში საკმაოდ დიდია, მისი ბაზრების დივერსიფიკაციას არ ეთმობა სათანადო ყურადღება, რის გამოც კვლავ დაბალია ექსპორტში სასურსათო პროდუქტების წილი.

ორი მთავარი ფაქტორი, რომელიც დღეისათვის ზღუდავს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის ზრდის შესაძლებლობებს, არის:

- ნედლეულის დეფიციტი;
- საექსპორტო ჯაჭვის ცუდი ორგანიზება ფერმერებისაგან საექსპორტო ტვირთების მიწოდებამდე[2].

იმისათვის, რომ მეტი გავიტანოთ ექსპორტზე უნდა შევძლოთ მეტი საქონლის წარმოება, არსებობს გადამამუშავებელი ქარხნები, მაგრამ სამწუხაროდ არ გვაქვს საკმარისი საკუთარი ნედლეული, რათა სრულად ავითვისოთ საკუთარი პოტენციალი. ხოლო პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეფიციტს განაპირობებს: საკუთრებაში არსებული მიწების დანაწევრება, ძველი ვენახებისა და პლანტაციების (მანდარინი, ჩაი) დეგრადაცია. ბაღების უმეტესობა 50-იან წლებშია გაშენებული. რაც შეეხება თხილთან, ატამთან, ვაშლსა და სხვა ხილთან დაკავშირებული მდგომარეობას, იგი შედარებით უკეთესია, თუმცა სახეზე გვაქვს იაფფასიანი სანერგე მასალის გამოყენება, რაც იწვევს მოსავლის შემცირებას და მავნებლებისა და მცენარეთა დავადებებისადმი დაუცველობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ასევე სახეზე გვაქვს ფერმერების ცოდნის სიმწირე. ფერმერთა უმნიშვნელო ნაწილს

1 **COMTRADE** – მონაცემთა ბაზა.

2 **საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალის ათვისება. ანდრე მაქსიმოვი. ბერლინი. 2017 წ.**

აქვს გავლილი ტრენინგები მოსავლის წარმოებასა და ფერმის მართვაში. ზოგიერთს განთლება საბჭოთა პერიოდში აქვს მიღებული, რომელიც ეფუძნებოდა ფერმისა და წარმოების იმ წყობას, რომელიც დღეისათვის აღარ არსებობს. ამასთან ქვეყანაში საგანმანათლებლო სისტემის დაფინანსება მწირია და ვერ აწვდის ფერმერებს სურსათის ღირებულებათა ჯაჭვში კონკურენტულობისათვის საჭირო განათლებას. ბევრი ფერმერი არ ენდობა ინოვაციებს და ურჩევნიათ არაფორმალური ურთიერთობები პარტნიორებთან.

სოფლად დეგრადირებული და გადაბერებული ბაღები და პლანტაციები, დაბალი ხარისხის ხეხილი და სარგავი მასალა ფერმერულ მეურნეობებს მცენარეთა დაავადებებისადმი დაუცველს ხდის. დღეისათვის სუნიანი ბაღლინჯო (ფაროსანა) წარმოადგენს საქართველოში თხილის, ციტრუსის წარმოების საფრთხეს, რაც არის ევრობაზარზე ექსპორტის საყრდენი.

საქართველოში სოფლად სახეზე გვაქვს ფერმერულ მეურნეობებში საექსპორტო ჯაჭვის ცუდი ორგანიზება, რაც ართულებს და ხარჯიანს ხდის საექსპორტო ტვირთებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მცირე მოცულობებიც კი არ არის ჯეროვნად მომზადებული, რათა დააკმაყოფილოს ექსპორტის სტანდარტები. სოფლად გაბატონებული არაფორმალური ურთიერთობების გამო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამხარისხებელი საწარმოების მფლობელები უარს ვერ ამბობენ დაბალი ხარისხის და ცუდად დაფასოვებული მოსავლის მიღებაზე.

ექსპორტის მცირე მოცულობების გამო, ქართველი ექსპორტიორების უმრავლესობა მოკლებულია ახალ ბაზრებზე შესვლისთვის საჭირო რესურსებს, რის გამოც ქართული სურსათის ექსპორტი დიდ წილად შემოიფარგლება რუსეთისა და დსთ-ის სხვა ქვეყნების ნაკლებად მოთხოვნადი, დაბალი ფასებისა და კლებადი ბაზრებით.

ქვეყანაში 90-იანი წლების დასაწყისში მიწის რეფორმის პარალელურად დაიწყო სოფლის ინფრასტრუქტურის გარდაქმნაც.

დაიშალა აგროსერვის ცენტრები, რომლებიც მანქანა-მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებით იყვნენ დაკავებულნი და "სოფლქიმია" რომელიც შხამქიმიკატებით და სასუქებით ამარაგებდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. ისინი გარდაიქმნა კომერციულ სტრუქტურებად, მაგრამ არ იყო ორიენტირებული მოგებაზე და ინარჩუნებდა მონოპოლიზებულ მდგომარეობას.

საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საორიგაციო სამსახური. წყლის რესურსების გამოყენებასა და მართვის ორგანიზაციები ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ და ვერ ინარჩუნებდნენ თავიანთ მდგომარეობას, რადგან წყლის ტუმბოები, რეზერვუარები, არსებული ტექნოლოგიები ამორტიზებული იყო, ხოლო წყლის მიწოდება შეფერხებით ხორციელდებოდა ელექტროენერგიის დეფიციტის და სათადარიგო ნაწილების ნაკლებობის გამო. მსოფლიო ბანკის მონაცემებით 1992-2003 წლებში მიწების 11% - იყო გასაეწყავებული, ხოლო 2003-2010 კი ეს მაჩვენებელი უფრო შემცირდა და შეადგინა 6-7%, როდესაც ევროკავშირში საშუალო მაჩვენებელი 26-29%-ია[1].

საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება. 1992 წლამდე, საქართველო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ცენტრალიზებულად მარაგდებოდა. 90-იან წლებში ტექნიკური პარკის განახლება არ მომხდარა და მკვეთრად შემცირდა მუშა მდგომარეობაში მყოფი მანქანების რაოდენობა და ამის შედეგად მექანიზაციის დონე კრიტიკული გახდა. ქვეყანაში ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავ ინერციით მიმდინარეობს, 2006 წელს საქართველოში ყოველ 1000 ჰა-ზე მოდიოდა 53,2 ტრაქტორი და 0,4 კომბაინი, რაც სლოვენიაზე 35-ჯერ ნაკლები იყო[2]. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი იანგარიშება დამუშავებული მიწების ფართობებთან მიმართებაში, რადგან საქართველოში მკვეთრად შემცირებულია ნათესი ფართობების რაოდენობა.

დღეისათვის საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტი-

1 w.w.w. data woreol bank. org.

2 FAO Statistical Yearbook. 2009. Statistics Division FAO.

ციების წილი სოფლის მეურნეობაში ძალზე მცირეა. 2007 წელს სოფლის მეურნეობის წილი მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში შეადგენდა 0,8%, 2008 წელს - 0,5%, 2009 წლისათვის გაიზარდა - 3,4%, 2010 ეს მაჩვენებელი კვლავ შემცირდა 1,0%-მდე. ხოლო 2016 წლისათვის პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 0,8% შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად ხორციელდება თხილის წარმოების, ღვინის დამზადების, წყლის ჩამოსხმისა და სხვა სფეროებში.

სოფლის მეურნეობის სექტორი ნაკლებ მიმზიდველი იყო საბანკო სექციისათვის. შემდგომ არსებული მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა და 2016 წელს სოფლის მეურნეობის სექტორზე გაცემული კრედიტების წილმა მთლიანი საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში 4,0% შეადგინა.

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის საბჭომ მოიწონა ევროკომისიის მიერ შემუშავებული "ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგია", რომლის საფუძველზეც მოხდა საქართველოს ჩართვა "ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში". შემუშავდა ხუთწლიანი გეგმა, რომლის განხორციელებაც მნიშვნელოვნად დაეხმარა საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის საქმეში. უკვე 2014 წლის 27 ივნის საქართველოში ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას რომელიც მოიცავს თავისუფალ სავაჭრო სივრცეს და საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს გზას უხსნის ევროკავშირის ბაზრისაკენ. შეთანხმებების შესაბამისად საბაჟო ტარიფები მოეხსნება საქართველოდან ექსპორტირებულ ყველა პროდუქციას. იგი ითვალისწინებს თავისუფალი ვაჭრობის სამი ტიპის გამონაკლისს:

- თავისუფალი ვაჭრობა სატარიფო განაკვეთების კვლევების ფარგლებში. ამ კატეგორიაში შედის ერთადერთი პროდუქტი - ნიორი;

- პროდუქტები, რომლებზეც ჯერაც ვრცელდება შეტანის ფასი, მაგრამ რომელთა იმპორტის გადასახადი (ღირებულების შესაბამისი) კომპონენტი გაუქმებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული გადასახადის ოდენობა არ იქნება დამოკიდებული

ექსპორტირებული საქონლის მოცულობაზე, არამედ დადგინდება შეტანის ფასი. საქართველოს ექსპორტიორებისათვის საინტერესოა ამ კუთხით: პომიდორი, კიტრი, ტკბილი ფორთოხალი, ვაშლი, მსხალი;

- პროდუქტები, რომლებზეც ვრცელდება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი: ღორის, საქონლის და ცხვრის ხორცი, ფრინველის ხორცი, რძის პროდუქტები, კვერცხი, ბურღულეული, შაქარი, სოკო, ალაო, ქატო, ტკბილი სიმინდი და სხვ.

დღეის მდგომარეობით საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია და მათი დამზადების ტექნოლოგია შესაბამისობაში არ არის ევროკავშირის სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის მოთხოვნებთან. Dთავისუფალი ვაჭრობისA მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი დირექტივის დანერგვა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სისტემის რეფორმირება.

იმისათვის რომ საქართველოში წარმოებული საქონელი საბაჟო ტარიფების გარეშე შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე, მან უნდა დააკმაყოფილოს საქონლის წარმოშობასთან დაკავშირებული პირობები. ამიტომ საჭიროა საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის აღება, რომელიც გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ. წარმოშობის სერტიფიკატი ძალაში იქნება ექსპორტიორ ქვეყანაში მისი გაცემის დღიდან 4 თვის განმავლობაში. საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროდირექტივებთან უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად და დასრულდეს 2030 წელს.

საქართველოში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, აუცილებელია ერთობლივი მოქმედება, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მცირე მეურნეობათა მდგომარეობა[1]. ამ მიზნით საჭიროა, რომ 2020 წლისთვის ბიუჯეტის სახელმწიფო ხარჯებ-

1 „საჯარო პოლიტიკის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიულ ბაზრებზე“. სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2015 წ. გვ. 29.

ში, 10%-ით გაიზარდოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი. განვითარდეს ინფრასტრუქტურა სოფლად და ფართოდ დაინერგოს უფასო სასოფლო-სამეურნეო სწავლების სამსახურები, გაძლიერდეს ეკონომიკური რეგულაციები და დაინერგოს პროგრამები, რომლებიც წაახალისებენ სუპერმარკეტებსა და ქალაქების საცალოს ავაჭრო ქსელის ობიექტებს, რომ მეტი საქონელი შეიძინონ ადგილობრივი მცირე მეურნეობებიდან, მათ შორის კოოპერატივებიდან. მოხდეს ინსტიტუციური და ფინანსური მხარდაჭერა, რისთვისაც აუცილებელია:

- ხელი შევუწყოთ მცირე მეურნეობებს დაარეგისტრირონ მიწა საკუთრებაში, რათა გამოიყენონ საკუთრების უფლება ბანკიდან აღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით;
- მთავრობის მიერ დაფინანსებული შეღავათიანი აგრო-კრედიტის პროექტი გარდაიქმნას სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ბანკად. რომლის კრედიტები ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი ზომის ფერმერისათვის და კოოპერატივისთვის;
- გაგრძელდეს აგრო-დაზღვევის პროგრამის დახვეწა, რომელიც საბოლოო ჯამში უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებულ ეროვნულ სააგენტოდ;
- სახელმწიფო შესყიდვების დროს პრიორიტეტი მიენიჭოს მცირე მეურნეობებს.

ჩატარებულმა კვლევამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ აუცილებელია საქართველოში შევინარჩუნოთ არსებული პოზიტიური ტენდენციები, როგორიცაა სოფლის მეურნეობის ექსპორტის ზრდა, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა და სოფლის მეწარმეთა წახალისება, აგროტურიზმისა და ღვინის სექტორის განვითარება, რომლის დიდი პოტენციალის პროგრესი ბოლო ათწლეულის განმავლობაში თანდათან შესამჩნევი ხდება.

ლიტერატურა:

1. პ. კოღუაშვილი, რონალდ რეიგანის აგრარული პოლიტიკა, თბ. 2012წ.

2. sajaro politikis mxardaWera saqarTvelos teritoriul bazrebze. soflis meurneobis saministro 2015 w.

3. saqarTvelos soflis meurneobis eqsportis potencialis aTviseba. andre maqsimovi. berlini. 2017 w.

4. FAO Statistical Yearbook. 2009. Statistics Division FAO

5. w.w.w. data woreol bank. Org

REFERENCES:

1. P. Koguashvili, Ronald Reagan's Agrarian Policy, Tb. 2012 year

2. Support of public policy on Georgia's territorial markets. Ministry of Agriculture 2015 year

3. Utilize agricultural export potential of Georgia. Andre Maximov. Berlin. 2017 year.

4. FAO Statistical Yearbook. 2009. Statistics Division FAO

5. w.w.w. data woreol bank. Org

MODERN STATE OF AGRICULTURE OF GEORGIA AND THE EU NEIGHBORHOOD POLICY

Zaza Goishvili
PhD Student of GTU

RESUME

Georgia's agriculture is extremely ineffective because the results do not correspond to the volume of employment, and the harvest of agricultural crops is extremely low, as an analysis shows that wheat's average annual yield is 1,4 tons in 2014. By 2016, it increased to 2,6 tons. The average vegetative harvest of cement has grown significantly in the same period and in 2016 it was 2,6 tons. The yield of potato culture is very low, which reached 12,3 tons in 2016. At the same time, the average vegetable harvest was 8.2 tons.

The two main factor that limits the possibilities of exporting agricultural products to Georgia:

-Raw material deficit,

-Bad chain of export from farmers to export goods;

It is necessary to maintain current positive trends in Georgia such as increase of agricultural exports, support from the state and encourage the rural entrepreneurs, development of agriturism and wine sector, which has seen a significant growth in the last decade.

Key words: Agriculture, export markets, preferential agricultural credit, own potential, land market.

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

ჟურნალი“ეკონომიკა“
გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

UDC: 338(922)(05)

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 10.02.2018 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.02.2018 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,25